



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, იურიდიული ფაკულტეტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
International Law Institute, Faculty of Law

N2, 2013

**საერთაშორისო
სამართლის
ჟურნალი**

**JOURNAL OF
INTERNATIONAL
LAW**

თბილისი, Tbilisi,
2013

„საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ სამეცნიერო ხასიათის ორენოვანი გამოცემაა. მასში წარმოდგენილია როგორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საკითხები.

ჟურნალი გამიზნულია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ლევან ალექსიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(თსუ)

აღმასრულებელი რედაქტორი

ქეთევან ხუციშვილი

(თსუ)

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

რალუკა ბესტელიუ

ბუქარესტის უნივერსიტეტი,
ტიტულესკუს უნივერსიტეტი (რუმინეთი)

ირაკლი გურდული

(თსუ)

კონსტანტინე კორკელია

(თსუ)

ვიგენ კოჩარიანი

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(სომხეთი)

რუსთამ გამელოვი

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
(აზერბაიჯანი)

დავით პატარაია

(თსუ)

გერი სიმფსონი

მელბურნის უნივერსიტეტი (ავსტრალია),
ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური
მეცნიერების სკოლა (დიდი ბრიტანეთი)

ეკა სირაძე

(თსუ)

ირინე ჟურდაძე

(თსუ)

ლაური ჰანიკაინენი

თურქუს უნივერსიტეტი (ფინეთი)

BOARD OF EDITORS

Editor in Chief

LEVAN ALEXIDZE

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
(TSU)

Executive Editor

KETEVAN KHUTSISHVILI

(TSU)

Members of the Board:

RALUKA BESTELIU

Bucarest and N. Titulescu Universites
(Romania)

IRAKLI BURDULI

(TSU)

LAURI HANNIKAINEN

University of Turku (Finland)

KONSTANTINE KORKELIA

(TSU)

VIGEN KOCHARYAN

Yerevan State University (Armenia)

IRINE KURDADZE

(TSU)

RUSTAM MAMEDOV

Baku State University (Azerbaijan)

DAVID PATARAIA

(TSU)

GERRY SIMPSON

Melbourne University (Australia),
London School of Economics and
Political Science (UK)

EKA SIRADZE

(TSU)

სარჩივი CONTENTS

საბა ფიფია, საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების <i>Erga Omnes</i> ხასიათი საერთაშორისო სამართალში -----	5
Saba Pipia, Erga Omnes Character of the Obligation to Protect International Environment under International Law -----	18
გიგა გიგაშვილი, ეკო-მიგრაციის სამართლებრივი რეგულირება -----	29
Giga Gigashvili, Legal Regulation of Ecological Migration -----	54
ხათუნა ჭითანავა, სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები ეროვნულ და საერთაშორისო სამართალსა და პრაქტიკაში -----	76
Khatuna Chitanava, Internally Displaced Persons due to Natural Disasters in National and International Legislation and Practice -----	100
მარიამ მაისურაძე, ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკა და მიგრაციის მართვის მნიშვნელობა -----	119
Mariam Maisuradze, European Union Migration Policy and the Importance of Migration Management -----	142
ირინა ალაპიშვილი, მსოფლიო კატაკლიზმები (კატასტროფები) და საერთაშორისო სამართალი -----	161
Irina Aghapishvili, World Disasters and International Law -----	171
არჩილ ლორია, უკანონო იმიგრაციის სახეები და მათი გამომწვევი მიზეზები საქართველოში -----	179
Archil Loria, Irregular Immigration Types and Reasons Causing thereof in Georgia -----	188
მარინა მესხი, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკანონმდებლო რეგულირება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით -----	195
Marina Meskhi, Regulation of Trafficking in Persons in the International and Domestic legislation -----	209
გივი მიქანაძე, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება ქართულად -----	220
Givi Mikanadze, Parole, the Georgian Way -----	230
ნინო საგინაშვილი, სამხრეთის ცისფერი თინუსის საქმე -----	237
Nino Saginashvili, Southern Bluefin Tuna Case -----	253

საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების ERGA OMNES ხასიათი საერთაშორისო სამართალში

შესავალი

სტატია საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების ხასიათს იკვლევს. საკვლევი თემა შემდეგია: არის თუ არა საერთაშორისო გარემოს დაცვა სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულება, და შესაბამისად, იწვევს თუ არა მისი დარღვევა პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით. საერთაშორისო გარემოს დაცვა ფართო ცნებაა და მრავალ ვალდებულებით ასპექტს მოიცავს; სტატიაში განხილულია მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები და თითოეული გაანალიზებულია *erga omnes* ვალდებულების ქრილში.

სტატიაში განხილულია ზოგადად *erga omnes* ვალდებულების ხასიათი საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შედგენილ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლებისა და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის ქრილში. ამ თვალსაზრისით, *erga omnes* ვალდებულების წარმოშობის, დარღვევისა და პასუხისმგებლობის დაკისრების სტადიები, ასევე დღემდე სასამართლოების მიერ სხვადასხვა სადავო საქმესა თუ საკონსულტაციო გადაწყვეტილებაში *erga omnes* ვალდებულებად აღიარებული ვალდებულებებია სტატიის ინტერესის სფეროში მომხვდარი; ასევე ამომწურავად არის განხილული საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების შინაარსი ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სახელმწიფოებო თუ ჩვეულებითი ნორმების საფუძველზე. სტატიის მომდევნო ნაწილი ეთმობა გარემოს დაცვის ვალდებულების კონკრეტულ ასპექტებსა და დეტალურად არის განხილული მათი, როგორც ვალდებულების, დაცვისა და

შესრულების ხარისხი, რაც თითოეული ამგვარი ვალდებულების *erga omnes* ხასიათის დადგენას ისახავს მიზნად.

გარდა ამისა, სტატია ყველა იმ აქტუალურ შემთხვევას მოიცავს, რაც მსოფლიოში გარემოს დაცვის სამართლის კუთხით პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. თემა აქტუალურია სწორედ იმ ბუნდოვანების გათვალისწინებით, რომელიც საერთაშორისო სამართალში გარემოს დაცვითი ვალდებულების მკაფიო ხასიათის განსაზღვრის კუთხით არსებობს. რადგან დღეს არ არის პირდაპირ დადგენილი, რა სახის ვალდებულებაა საერთაშორისო გარემოს დაცვა და, შესაბამისად, რა ხარისხის პასუხისმგებლობას იწვევს მისი დარღვევა, სახელმწიფოები ცდილობენ, საკუთარი ქმედებები მაქსიმალურად გაამართლონ და ყველა შესაძლო გზით შეზღუდონ ან/და გამორიცხონ საკუთარი პასუხისმგებლობა გარემოს დაბინძურებისა ან გარემოს დაცვის ვალდებულების სხვაგვარი დარღვევისათვის.

წარმოდგენილი მსჯელობა ემყარება მხოლოდ შეფასებით კრიტერიუმებს. მსჯელობა შედარებითი ანალიტიკის მეთოდით არის განვითარებული, კერძოდ კი, გარემოს დაცვის ვალდებულება სხვა აქამდე აღიარებულ *erga omnes* ვალდებულებებთან არის შედარებული, რის შედეგად გარემოს დაცვის ვალდებულების ხასიათი დგინდება.

სტატიის პირველ, ზოგად ნაწილში გაანალიზებულია *erga omnes* ვალდებულებისა და საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების არსი. იმის გათვალისწინებით, რომ გარემოს დაცვის სამართალი საერთაშორისო სამართლის შედარებით ახალი ნაწილია, მისი არსის შესახებ მკითხველისთვის მოკლე

ინფორმაციის მინოდება წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის აუცილებელია. ამასთან, საჭიროა *erga omnes* ვალდებულების დეფინიციისა და შინაარსის, საერთაშორისო სამართლის კომენტატორებისა თუ სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასებების ნაშრომის მიზნებისთვის მიმოხილვა, საერთაშორისო გარემოს დაცვითი ვალდებულების *erga omnes* ვალდებულებასთან შედარების გასამარტივებლად. სტატიის მეორე ნაწილი ეხება გარემოს დაცვის სამართლის კონკრეტულ ასპექტებსა და მათ სავარაუდო *erga omnes* ხასიათს. წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში მსჯელობა ძირითადად ანალიტიკაზეა აგებული და კონკრეტული შეფასებების შედეგად დგინდება გარემოს დაცვის სამართლის ზოგიერთი ასპექტის დაცვის ვალდებულების *erga omnes* ხასიათი.

1. ERGA OMNES ვალდებულების ანალიზი

1.1. საერთაშორისო სამართლის კომისიის 1975 წლის მუხლები სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების¹ 48-ე მუხლი, რომელიც ეხება დაზარალებული სახელმწიფოს გარდა სხვა სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნის დაყენებას, ამბობს, რომ:

„1. დაზარალებული სახელმწიფოს გარდა, სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, დააყენოს სხვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი [...] თუკი:

(ა) დარღვეული ვალდებულება ეკუთვნოდა სახელმწიფოთა ჯგუფს, მათ შორის – ამ სახელმწიფოსაც, და ემსახურებოდა ამ სახელმწიფოთა ჯგუფის კოლექტიურ ინტერესებს; ან

(ბ) დარღვეული ვალდებულება ეკუთვნოდა სრულიად საერთაშორისო საზოგადოებას, როგორც ასეთს.“²

როგორც მუხლის ციტირებული ტექსტიდან ირკვევა, დაზარალებული სახელმწიფოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, სხვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, თუკი ორი პირობა დაკმაყოფილდა: (1) ვალდებულება, რომლის დარღვევამაც წარმოშვა პასუხისმგე-

ბლობის დაყენების საკითხი, ან სახელმწიფოთა ჯგუფს ან მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებრიობას უნდა ეკუთვნოდეს და (2) ეს ვალდებულება სახელმწიფოთა კოლექტიურ ინტერესს უნდა ემსახურებოდეს. ეს დებულება დარღვეული ვალდებულების სამართლებრივი ბაზისის საძიებლად საერთაშორისო სამართლის წყაროებს არ განასხვავებს; შესაბამისად, კოლექტიური ინტერესების დაცვისათვის შექმნილი ვალდებულებები შესაძლოა, როგორც მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან, ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდანაც მომდინარეობდეს. ამგვარ ვალდებულებებს „*erga omnes partes* ვალდებულებადაც“ მოიხსენიებენ ხოლმე. ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები უნდა წარმოადგენდეს „კოლექტიურ ვალდებულებას“, ანუ ისინი სახელმწიფოთა გარკვეულ ჯგუფს შორის უნდა მოქმედებდნენ და რომელიმე კოლექტიურ ინტერესს უნდა ემსახურებოდნენ. ასეთი ვალდებულება შესაძლოა, გარემოს დაცვას ან რეგიონის უსაფრთხოებას (მაგ., ბირთვული იარაღისგან თავისუფალი რეგიონული ზონის შესახებ ხელშეკრულება, ან ადამიანის უფლებების რეგიონული სისტემა) ეხებოდეს.³

ციტირებული 48-ე მუხლი არ იყენებს ტერმინს *erga omnes*, მაგრამ მისი კომენტარი პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ ტიპის ვალდებულებებს ეხება. ამავდროულად, მუხლი *erga omnes* ვალდებულებების რაიმე სახის ჩამონათვალს არ გვთავაზობს, რადგან ჩამონათვალი შეზღუდული იქნებოდა. შესაბამისად, მუხლის არსებული რედაქცია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სამართლის მეორადი წყაროების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, შესაძლებელია მათში უკვე კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა, რომლებიც *erga omnes* ვალდებულებებად შესაძლოა, იქნეს მიჩნეული. 48-ე მუხლის უნიკალური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო საზოგადოების ნევრ ნებისმიერ სახელმწიფოს... შეუძლია, მოითხოვოს პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი ზიანისათვის, რომელიც უშუალოდ მას არ მისდგომია.⁴

საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის თაობაზე საერთაშორისო სამართლის კომისიის კვლევაში საუბარია იმაზე, რომ

ვალდებულების *erga omnes* ხასიათი არ გულისხმობს ამ ვალდებულების რაიმე სახის უპირატესობას სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებთან მიმართებით. *erga omnes* ვალდებულების თავისებურება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულად გვევლინება არა ერთი რომელიმე სახელმწიფო, არამედ საერთაშორისო საზოგადოება, როგორც ასეთი. ამგვარი ვალდებულება არ აწესებს რაიმე სახის ნაცვალგებით უფლებებს ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსთვის, არამედ მოიცავს უფრო ზოგად და კოლექტიურ ინტერესს, რომელიც მთელი საერთაშორისო საზოგადოების საზრუნავი შეიძლება, იყოს.⁵

საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი *erga omnes* ვალდებულებას განმარტავს, როგორც, *„ზოგად საერთაშორისო სამართალში არსებულ ვალდებულებას, რომელიც სახელმწიფოს აღებული აქვს მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, მისი საერთო ღირებულებებისა და ამ ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღების ფონზე, ისე რომ ამ ვალდებულების დარღვევა საშუალებას აძლევს ყველა სახელმწიფოს, დააყენოს პასუხისმგებლობის მოთხოვნა“*.⁶

1.2. სასამართლო პრაქტიკა

საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების როლი რომელიმე საერთაშორისო ვალდებულების *erga omnes* ვალდებულებად ჩამოყალიბების პროცესში განუსაზღვრელია, რადგან სწორედ საერთაშორისო სასამართლოებს ეკუთვნით რეალურად გადაწყვეტი სიტყვა ამა თუ იმ ვალდებულების *erga omnes* ვალდებულებად აღიარებისთვის. ამ მხრივ საერთაშორისო მართლმსაჯულებას საკმაოდ ფართო პრაქტიკა აქვს.

მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ *უიმბლდონის საქმეში* იმსჯელა კონკრეტული ვალდებულებების ხარისხსა და ხასიათზე და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მოერიდა პირდაპირ ტერმინის *erga omnes* გამოყენებას, მან ირიბად მაინც მიუთითა ზოგიერთი ვალდებულების უპირატეს ხასიათზე სხვა ვალდებულებების მიმართ. მოტივაციაში სასამართლომ განმარტა, რომ:

„ვერსალის ხელშეკრულების ავტორების განზრახვა, ბალტიის ზღვაში გასვლა გაად-

ვილებულიყო მასზე საერთაშორისო რეჟიმის დანესებითა და, შესაბამისად, არხის ყოველთვის ყველა სახის უცხოური ხომალდებისათვის გახსნა უფრო დიდი ძალის ვალდებულებაა, ვიდრე ხელშეკრულების სხვა დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები“.⁷

როგორც სასამართლო გადანყვეტილების ციტირებული ტექსტიდან ჩანს, კონკრეტული ვალდებულების უპირატესი ხარისხი გამომდინარეობდა იქიდან, რომ ამ ვალდებულებით ჩამოყალიბებული უპირატესობით უნდა ესარგებლა „ყველას“ (საზღვაო ხომალდებს); შესაბამისად, ამ ვალდებულების ბენეფიციარიც იყო მთლიანად საერთაშორისო საზოგადოება, რომელსაც ხელშეკრულების აღნიშნული დებულების ჯეროვნად შესრულების ინტერესი ჰქონდა და სასამართლომ ეს მსჯელობით დაადასტურა.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ბარსელონას საქმეში* პირდაპირ გამიჯნა ერთმანეთისგან ორი ტიპის საერთაშორისო ვალდებულება: (1) სახელმწიფოს ვალდებულება საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და (2) სახელმწიფოს ვალდებულება *vis-à-vis* მეორე სახელმწიფოსთან. პირველი კატეგორიის ვალდებულებები სასამართლომ მიიჩნია ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგნად, რომლიდანაც წარმოშობილი უფლებების დაცვის სამართლებრივი ინტერესი შესაძლოა, ყველა სახელმწიფოს ჰქონდეს. ასეთ ვალდებულებებს სასამართლო პირდაპირ მოიხსენიებს, როგორც *erga omnes* ვალდებულებებს.⁸ ამის შემდეგ სასამართლომ სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულების რამდენიმე მაგალითი დაასახელა. ესენია: აგრესიის აქტებისა და გენოციდის აკრძალვა, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, მათ შორის მონობისგან და რასობრივი დისკრიმინაციისაგან ადამიანთა დაცვა.⁹ სასამართლოს შეხედულებით, საერთაშორისო საზოგადოების საერთო საზრუნავს განეკუთვნება ისეთი ძირითადი ნორმები, რომელთა უპირობო შესრულებაზე ფაქტობრივად არსებობს კონსენსუსი საერთაშორისო საზოგადოებაში, შესაბამისად ამ ვალდებულებებს აქვთ *erga omnes* ხასიათი.

აღმოსავლეთ ტიმორის საქმეში სასამართლომ გააფართოვა ზემოთ მოცემული ჩამონათვალი და მიიჩნია, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების პატივისცემა ასევე

განეკუთვნება სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას. როგორც სასამართლომ განაცხადა:

„ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, იმ სახით როგორც ეს მოცემულია გაეროს წესდებასა და გაეროს პრაქტიკაში, აქვს *erga omnes* ხასიათი, რაც შეუქცევადია. ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი აღიარებულია გაეროს წესდებითა და სასამართლოს პრაქტიკით. ეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირეული პრინციპია.“¹⁰

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასამართლომ ისეთი კოლექტიური უფლება, როგორცაა თვითგამორკვევის უფლება, *erga omnes* ხასიათის ვალდებულებად მიიჩნია, რაც ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ სხვა სახის კოლექტიური უფლებების დაცვაც (მაგ., როგორცაა სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება) შესაძლოა, განეკუთვნებოდეს სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას, რადგან აღმოსავლეთ ტიმორის საქმეში სასამართლომ მოტივაცია მოწმობს იმას, რომ თვითგამორკვევის უფლება სწორედ მისი კოლექტიური ხასიათის გამო მიიჩნევა *erga omnes* ხასიათის მქონედ, რადგან მისი დარღვევა კოლექტიურად აზარალებს მთელს საერთაშორისო საზოგადოებრიობას.

აღმოსავლეთ ტიმორის გადანყვეტილებების შემდეგ, ცოტა მოგვიანებით სასამართლომ უფრო ზოგადი მიდგომა აირჩია კონკრეტულ ვალდებულებათა *erga omnes* ხასიათის მისათითებლად საკონსულტაციო დასკვნაში კედლის საქმეზე. სასამართლომ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით დაადგინა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები, მაგ., როგორცაა „ელემენტარული ადამიანურობის პრინციპი,“ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ისინი გაზიარებული და დაცული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მიერ, იმისდა მიუხედავად, ეს სახელმწიფოები არიან თუ არა ამ ფუნდამენტური ნორმების დამდგენელი კონვენციების მონაწილენი, რადგან ეს ნორმები განეკუთვნება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის უცვლელ პრინციპებს. სასამართლოს შეფასებით, ამ ნორმათა ერთობლიობა აყალიბებს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელთაც არსებითად *erga omnes* ხასიათი აქვთ.¹¹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიდგომა გაიზიარა ყოფილი

იუგოსლავიისთვის შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა ფურუნდიას საქმეში; ტრიბუნალმა პირდაპირ განაცხადა, რომ წამების აკრძალვა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას *jus cogens*, ხოლო ამ ნორმის დაცვა კი სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებაა. ამავე გადანყვეტილებაში სასამართლომ გააკეთა *erga omnes* ვალდებულების ზოგადი განმარტება და შემოგვთავაზა შემდეგი სახის დეფინიცია, რომელიც თითქმის არ განსხვავდება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსეული განმარტებისაგან:

„[*erga omnes* ვალდებულება] არის სახელმწიფოს ისეთი ვალდებულება, რომელიც მას აღებული აქვს საერთაშორისო საზოგადოების წევრი ყველა სხვა სახელმწიფოს წინაშე, რომლებსაც ამ ვალდებულებიდან გამომდინარე თანაბარი უფლებები აქვთ. ამ ვალდებულების დარღვევა იმავდროულად იწვევს აღნიშნული თანაბარი უფლებების დარღვევასაც და საერთაშორისო საზოგადოების წევრ ყველა სახელმწიფოს ხდის უფლებამოსილს, წამოაყენოს მოთხოვნა ამ ნორმასთან შესაბამისობაში დაბრუნების შესახებ; მათ ასევე აქვთ უფლება, კატეგორიულად მოითხოვონ ნორმის შესრულება ან მოუწოდონ დამრღვევ სახელმწიფოს, დაუყენებლივ აღმოფხვრას ეს დარღვევა.“¹²

როგორც საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკიდან ჩანს, სასამართლო ყოველთვის ცდილობს, განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლებრივი ნორმის დაცვას მიანიჭოს *erga omnes* ვალდებულების სტატუსი, რადგან მისივე განმარტებიდან გამომდინარე, *erga omnes* ვალდებულება მთელი საერთაშორისო საზოგადოების საზრუნავია და მისი შესრულების ასპექტში ყველა სახელმწიფოს აქვს გარკვეული სამართლებრივი ინტერესი.

2. საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების შინაარსი

ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო გარემოს დაცვითმა პრობლემებმა საერთაშორისო სამართლისა თუ პოლიტიკის დღის წესრიგის ცენტრში გამოინაცვლეს. ოზონის ხვრელის გაფართოე-

ბამ, ველური ბუნების ზოგიერთი სახეობის გადაშენებამ, ტყის მასივის ჩეხვამ, კლიმატის ცვლილებამ და სხვა გარემოს დაცვითმა საკითხებმა პოლიტიკოსთა და საზოგადოების წევრთა ყურადღება მიიპყრეს. ამის საპასუხოდ, სახელმწიფოებმა ასობით გარემოს დაცვითი შეთანხმება შეიმუშავეს და რთული სამართლებრივი რეჟიმი განავითარეს.

1948 წელს თვრამეტმა სახელმწიფომ, შვიდმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და ასშვიდმა ეროვნულმა ორგანიზაციამ ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურად მდგრადი გამოყენების წასახალისებლად ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUCN) დააფუძნეს. წლების განმავლობაში ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი, რომელსაც ახლა მსოფლიო კონსერვაციის კავშირი ეწოდება,¹³ საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებასა (მისი თანამონაწილეობით შემუშავდა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის პროექტი და ასევე დიდი წვლილი შეიტანა გადაშენების გზაზე მყოფ სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის (CITES) მიღებაში) და განხორციელებაში; ის ამზადებს ოფიციალურ ანგარიშებს ველური ბუნების სფეროში ვაჭრობის შესახებ და აწვდის მათ CITES სამდივნოს. IUCN ცხადპყოფს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს გარემოს დაცვის სფეროში აქვთ.

საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართლის თანამედროვე ერა 1972 წელს დაიწყო, როდესაც 113 სახელმწიფო სტოკჰოლმში ადამიანური გარემოს შესახებ გაერთიანებული ერების კონფერენციაზე შეიკრიბა. სტოკჰოლმში სახელმწიფოებმა ადამიანური გარემოს დეკლარაცია (სტოკჰოლმის დეკლარაცია) შეიმუშავეს და მიიღეს წინადადება, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა გაერთიანებული ერების გარემოს დაცვითი პროგრამა (UNEP).¹⁴ კონფერენციაზე სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ძირითადი პრინციპი, რომ ერთმა სახელმწიფომ არ უნდა გამოიწვიოს მეორე სახელმწიფოს გარემოსთვის ზიანის მიყენება. სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპის შესაბამისად:

„სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების წესდებისა და საერთაშორისო სამარ-

*თლის პრინციპების შესაბამისად, აქვთ სუვერენული უფლება, გამოიყენონ თავიანთი ბუნებრივი რესურსები საკუთარი გარემოს დაცვითი პოლიტიკის შესაბამისად, და ასევე პასუხისმგებლობა, მათი იურისდიქციისა ან სხვაგვარი კონტროლის ქვეშ განხორციელებულმა ქმედებებმა არ გამოიწვიოს სხვა სახელმწიფოს გარემოს ან ეროვნული იურისდიქციის მიღმა არსებული სივრცის ბუნების დაბინძურება“.*¹⁵

უფრო ფართოდ რომ განვიხილოთ, სტოკჰოლმის კონფერენციამ ნათლად წარმოაჩინა, რომ საერთაშორისო გარემოს დაცვითი პრობლემები მართლაც წარმოადგენს ზრუნვის განსაკუთრებულ საგანს და საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართალი საერთაშორისო სამართლის განსაზღვრული ნაწილია. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართალშემოქმედება საკმაოდ დააჩქარა იმ ფაქტმაც, რომ სახელმწიფოები სტოკჰოლმის კონფერენციასა და 1992 წლის გაერთიანებული ერების გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციის (დედამინის სამიტი) შორის პერიოდში ასობით გარემოს დაცვითი ხელშეკრულების მონაწილენი გახდნენ ; ამ სამიტმა, თავის მხრივ, მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტი შექმნა.

თანამედროვე საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართალი შედგება ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი რეჟიმისგან, ასევე ჩვეულებითი და რბილი სამართლის ნორმებისგან, რომლებიც მრავალ საკითხს აწესრიგებენ. ეს სამართლებრივი ნორმები გარემოს დაცვის ისეთ მრავალფეროვან საკითხებს ეხება, როგორცაა ატმოსფერო, ოკეანეები და ზღვები, ბუნებრივი წყლის რესურსები, ველური ბუნება და ბიომრავალფეროვნება, სახეობათა დაცვა, საჭერი ქმედებები და ნარჩენების მართვა, სამენარმეო ნარჩენები დაპოლარული რეგიონები. ჩამოთვლილთაგან ბევრ სფეროში პოლიტიკის გამტარებლები ბალანსის მოძებნას ცდილობენ ერთის მხრივ, ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და, მეორეს მხრივ, ისეთ პოლიტიკურ მიზანს შორის, როგორცაა ეკონომიკური განვითარება. ამ ორი პოტენციურად შეუთავსებელი მიზნის დაბალანსების ერთ-ერთი იდეა, მდგრადი განვითარებაა“, რაც თანამედროვეობის მოთხოვნების დაკ-

მაყოფილებით განვითარებას გულისხმობს მომავალი თაობების მიერ მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. მაშინ როდესაც ბევრი ხელშეკრულება აღიარებს მდგრადი განვითარების მიზანს, პოლიტიკურად ეს კვლავ რჩება ორაზროვან კონცეფციად, რადგან ბევრი განვითარებადი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა გარემოს დაცვის მცდელობებთან მიმართებაში.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები გარემოს დაცვის სფეროში სტოკჰოლმის კონფერენციის შემდგომ პერიოდში აღმოცენდა. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მიერ მიღებული „სახელმწიფოთა სახელმძღვანელო პრინციპები გარემოს დაცვის სფეროში ორი ან მეტი სახელმწიფოს კუთვნილი ბუნებრივი რესურსების კონსერვაციისა და ჰარმონიული გამოყენებისთვის“, რომელიც UNEP-ის მმართველმა საბჭომ 1978 წელს დაამტკიცა. აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტი სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპს იმეორებს და განამტკიცებს სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას მის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების საკითხში; ეს დოკუმენტი მიუთითებს იმაზეც, რომ ეროვნული იურისდიქციის მიღმა ამგვარმა გამოყენებამ სხვა სახელმწიფო არ უნდა დააზარალოს. UNEP-ის პრინციპები შესაძლო ტრანს-სასაზღვრო ზიანის თავიდან აცილების მიზნით ასევე აწესებენ სახელმწიფოს ვალდებულებას, შეატყობინოს მეორე სახელმწიფოს საკუთარი გეგმებისა და ამ გეგმების განხორციელების შესაძლო გავლენის შესახებ გარემოზე; აღნიშნული ვალდებულება ასევე მოიცავს კონსულტაციისა და თანამშრომლობის აუცილებლობასაც საერთაშორისო გარემოსადმი გაუთვალისწინებელი ზიანის მიყენების ასარიდებლად. UNEP-ის პრინციპები დღეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებად მიიჩნევა.¹⁶

სტოკჰოლმის შემდეგ გაერომ მეორე გლობალური კონფერენცია – გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენცია (UNCED)¹⁷ მოინვია რიო დე-ჟანეიროში. ათდღიან კონფერენციას ათი ათასზე მეტი დელ-

ეგატი დაესწრო და საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგით დასრულდა: შემუშავდა და გაიხსნა ხელმოსაწერად ორი კონვენცია¹⁸, ორი დოკუმენტი კი მიღებულ იქნა, როგორც კონფერენციის ძირითადი მიღწევა. ეს დოკუმენტებია: გარემოსა და განვითარების დეკლარაცია (ცნობილი როგორც *რიოს დეკლარაცია*) და მისი თანამდევი სამოქმედო გეგმა (ცნობილი როგორც *პროგრამა 21*). დეკლარაცია ოცდაშვიდ პრინციპს მოიცავს, რომელთა უმეტესობა სტოკჰოლმის დოკუმენტიდან გამომდინარე; თუმცა, რიოს დეკლარაციის ქვაკუთხედი მდგრადი განვითარებაა; ამ მხრივ მე-4 პრინციპი განმსაზღვრელია, რომლის თანახმად, მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებელია, გარემოს დაცვა ამ განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილი იყოს და არავითარ შემთხვევაში არ განიხილებოდეს ცალკე, იზოლირებულ სფეროდ.¹⁹ *პროგრამა 21* კი უმეტესად სამართლებრივ საკითხებზეა ორიენტირებული და ისეთი სფეროების სამართლებრივ რეგულირებას მოიცავს, როგორცაა: სოციალურ-ეკონომიკური განზომილება, კონსერვაცია და რესურსების მართვა, არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაძლიერება და პროგრამის განსახორციელებელი ღონისძიებები.²⁰

მიუხედავად იმისა, რომ რიოს კონფერენციაზე მიღებულ ტექსტებს ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, ორივე კონვენცია, დეკლარაცია და *პროგრამა 21* საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. დეკლარაციის რამდენიმე პრინციპს, როგორცაა საზოგადოების ჩართულობა გარემოს დაცვის პროცესში, ეკოლოგიური ზეგავლენის წინასწარი შეფასება, სიფრთხილის ზომები და ა.შ. ვხვდებით რიოს კონფერენციის შემდეგ მიღებულ ბევრ სავალდებულო თუ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტში და ეს პრინციპები უკვე აღმოცენებად საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს წარმოადგენენ.²¹

თანამედროვე საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართალი ასევე გამოირჩევა სამართალშემოქმედების ფარგლების, ბუნებისა და პროცესის ინოვაციური განვითარებით. მაგალითად, ბოლო დროინდელი ხელშეკრულებები უფრო მეტად ორიენტირებულია მთელი ეკოსისტემის შენახვა-

კონსერვაციაზე, ვიდრე უამრავი სახეობისა თუ ყველა სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა გლობალური საერთო სივრცის დაცვაზე, როგორცაა, მაგალითად, ატმოსფერო. ასეთი ხელშეკრულებები უფრო და უფრო ხშირად შეიცავენ ეროვნული საზღვრების მიმდებარედ ქმედებების ამკრძალავ დებულებებს. გლობალური გარემოს დაცვის თანამედროვე ხელშეკრულებები უფრო მეტად პრევენციულ და გამაფრთხილებელ მიდგომებზეა მიმართული, ვიდრე საზღვრისპირა ზიანის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. დაბოლოს, დღეს ხშირად ურევენ ერთმანეთში საერთაშორისო რეგულირების სხვადასხვა სფეროებს, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრება და ადამიანის უფლებები; ამ საკითხების ურთიერთმიმართება საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა ორგანოებს შორის იერარქიული დამოკიდებულების რთულ პრობლემას წამოჭრის, თუ როგორ წარმოჩინდეს გარემოს დაცვითი საკითხები სხვა საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებთან ინტეგრირებულ სქემაში.

3. საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების კონკრეტული ასპექტები

3.1. გარემოსთვის ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენცია

ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენციის ვალდებულების დასადასტურებლად ხშირად იშველიებენ მნიშვნელოვან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას *Trail Smelter*-ის საქმეზე; დავა წარმოიშვა კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის იმ ზიანის გამო, რომელიც ვაშინგტონის შტატს გოგირდის ორჟანგის გამოყოფის გამო მიაღდა; იგი გამოიყოფოდა კანადური გადამამუშავებელი ქარხნიდან, რომელიც ტრელში, ბრიტანულ კოლუმბიაში, საზღვრიდან შვიდი მილის დაშორებით მდებარეობდა. წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ, 1935 წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქმეს გადასცემდნენ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელიც აღჭურვეს უფლებამოსილებით, „გამოეყენებინა ის სამართალი და პრაქტიკა, რომელიც ანესრიგებდა მსგავსი სახის ურთიერთობებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე საერთაშორისო სამართალი

და პრაქტიკა“. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განაცხადა, რომ:

„საერთაშორისო სამართლის პრინციპის მიხედვით ... არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გამოიყენოს, ან სხვას დართოს ნება მისი ტერიტორიის იმგვარი გამოყენებისა, რაც გამონაბოლქვით ზიანს გამოიწვევს, მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ან პირთა ქონების საზიანოდ, როდესაც საქმე გვაქვს სერიოზულ გარემოებებთან და ზიანი დადასტურებულია დამაჯერებელი მტკიცებულებებით“.²²

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა კანადას დააკისრა კომპენსაციის გადახდა უკვე დაბინძურებული ტერიტორიის გამო და ასევე დაადგინა გადამამუშავების პროცესის მონეტარიზებული კომპლექსური რეჟიმი, სამომავლოდ ვაშინგტონის შტატისათვის ზიანის მაქსიმალურად შესამცირებლად. მაშინ როდესაც, *Trail smelter*-ის საქმეს ხშირად იშველიებენ იმის დასადასტურებლად რომ ტრანს-სასაზღვრო დაბინძურების პრევენცია ჩვეულებითი ვალდებულებაა, მსოფლიო რეალობაში ყოველდღიურად ხდება დიდი რაოდენობით საზღვრისპირა დაბინძურება.²³

ზემოთ მოყვანილი მნიშვნელოვანი საქმის გადანყვეტამდე ასევე იყო მსგავსი გადანყვეტილებები, რომლებიც, მართალია, *Trail smelter*-ის საქმის მსგავსად პირდაპირ არ მიუთითებდნენ აღნიშნულ ვალდებულებაზე, თუმცა გადანყვეტილებების ენა და ტექსტი მიანიშნებდა იმაზე, რომ ამგვარი ვალდებულების აღიარება ირიბად მაინც ხდებოდა სასამართლოს მიერ. ასე, მაგალითად, მე-19 საუკუნის მინურულს, *ბერინგის ზღვის არბიტრაჟში* საარბიტრაჟო პანელმა აშშ-სთან ერთად ბრიტანეთსაც დაავალა ბერინგის ზღვაზე ბენვიანი სელაპების უნიკალური ჯიშის შენარჩუნების ერთობლივი რეჟიმის შემუშავება საერთაშორისო შეთანხმების დადების გზით,²⁴ ხოლო საქმეში *მისური ოლანდის წინააღმდეგ* მისურის შტატის საოლქო სასამართლომ განაცხადა, რომ კონგრესის მიერ გადამფრენი ფრინველების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მიღება არ არღვევდა კონსტიტუციას, რადგან ეს გამომდინარეობდა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან. გარდა ამისა, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გადამფრენი ფრინველები, რომლებიც შემოივლიან

მთელს მსოფლიოს, არ შეიძლება, სხვადასხვა შტატში სხვადასხვანაირად იყვნენ დაცულნი და მათზე ნადირობა განსხვავებულად რეგულირდებოდა. ეს ფრინველები გადაიფრენენ კანადაშიც და აშშ-ის სხვა მეზობელ ქვეყნებშიც; შესაბამისად, მათი დაცვის ვალდებულება ამერიკას მსოფლიოს წინაშე აქვს.²⁵

სასამართლო პრაქტიკის განვითარების მიღმა, 2001 წელს გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა მუხლების პროექტი, რომელიც სახიფათო მოქმედებებით გამოწვეული ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენციას ეხება. ეს დოკუმენტი გამოიყენება იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით აკრძალული არ არის, მაგრამ მათი განხორციელება ტრანს-სასაზღვრო ფიზიკური ზიანის მაღალ საშიშროებას შეიცავს.²⁶ მუხლების აღნიშნული პროექტი იმეორებს სტოკჰოლმისა და რიოს დეკლარაციების პრინციპებს; კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია, შეაფასოს რისკები და გარემოზე გავლენარაიმე ქმედების ავტორიზაციამდე და მხოლოდ მას შემდეგ დაიწყოს ამ ქმედების განხორციელება, რაც ასეთი შეფასების შედეგად დარწმუნდება, რომ ქმედება არ გამოიწვევს ტრანს-სასაზღვრო ზიანს. მუხლების პროექტი ასევე ითვალისწინებს სიფრთხილის ღონისძიებების გატარების, რისკების შემცირების, სახელმწიფოთა შორის კეთილსინდისიერი თანამშრომლობისა და ინტერესთა სამართლიანი ბალანსის პრინციპებს.²⁷

სახელმწიფოებს ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენციის ვალდებულებას საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმები აკისრებენ. აღნიშნული ნორმები როგორც სასამართლო პრაქტიკას, ასევე სხვადასხვა არასავალდებულო დოკუმენტებს ეფუძნება. ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენცია საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართლის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს; ამავდროულად, იგი მდგრადი განვითარების კონცეფციის განუყოფელი ნაწილიცაა, რაც მას მთელი საერთაშორისო საზოგადოების ზრუნვის ობიექტად აქცევს, ხოლო ამ ვალდებულების დაცვა კოლექტიურ ინტერესს წარმოადგენს. ვინაიდან ტრანს-სასაზღვრო ზიანს რამდენიმე სახელმწიფოსათვის ფიზიკური ზარალის მიყენების გამოწვევა შეუძლია, ცხადია, ამგვარი ზიანის პრევენციის ლეგიტიმური

ინტერესი კოლექტიურად ყველა სახელმწიფოს აქვს და მათ ამ ვალდებულების დამრღვევი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, მიადგათ მათ კონკრეტული ზიანი, თუ – არა. ვალდებულების შინაარსი ცალსახად მიუთითებს, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენციის ვალდებულება მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აქვს აღებული; შესაბამისად, *ბარსელონას საქმეში* შემუშავებული ტესტის მიხედვით, საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართლის ეს კონკრეტული ასპექტი შესაძლოა, წარმოადგენდეს სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას.

3.2. ატმოსფეროსა და ოზონის შრის დაცვა

ატმოსფეროს დაცვა საერთაშორისო საზოგადოების საზრუნავი გახდა მას შემდეგ, რაც ჰაერის დაბინძურებამ მასიური ხასიათი მიიღო, ხოლო ოზონის შრის მოლექულები კი უფრო მეტად მცირდება. ატმოსფეროს დაცვასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ნორმები არ არსებობდა 1970-იანი წლების მიწურულამდე. ამ პერიოდიდან იწყება აღნიშნული სფეროს სამართლებრივი რეგულირების მცდელობები, თუმცა არცერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას საყოველთაო ხასიათი არ ჰქონია და ატმოსფეროს დაცვის ვალდებულების ხარისხი დღემდე გაურკვეველია.²⁸

1963 წლის ატმოსფეროში ბირთვული ტესტის ამკრძალავი კონვენცია ატმოსფეროსა და საჰაერო სივრცის დაცვა/შენარჩუნების პირველი მცდელობა იყო.²⁹ 1973 წლისათვის ამ კონვენციას უკვე 110 წევრი სახელმწიფო ჰყავდა, მათ შორის ყველა ბირთვული სახელმწიფო, გარდა საფრანგეთისა, რომელიც განაგრძობდა ბირთვული იარაღის გამოცდას სამხრეთ წყნარი ოკეანის თავზე მდებარე ატმოსფეროს საჰაერო სივრცეში. ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ საფრანგეთის წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში განაცხადი შეიტანეს; ავსტრალია დავობდა, რომ საფრანგეთის ცდები არღვევდა საერთაშორისო ვალდებულებას, ატმოსფერო თავისუფალი ყოფილიყო ყოველგვარი ბირთვული ცდებისაგან,³⁰ ხოლო

ახალი ზეღანდია დამატებით დავობდა, რომ საფრანგეთმა ბირთვული ცდებით მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების ყველა წევრის უფლებები დაარღვია.³¹ მართალია, საფრანგეთის ცალმხრივმა დეკლარაციამ, რომ იგი აღარ განახორციელებდა ბირთვული იარაღის ცდებს ატმოსფეროში³², შეწყვიტა საქმის წარმოება სასამართლოში ისე, რომ არსებითი ნაწილი განუხილველი დარჩა, მაგრამ სასამართლომ საქმის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაში მაინც მიუთითა, რომ საფრანგეთს რომც არ აელო ცალმხრივად ვალდებულება ატმოსფეროში ცდების შეწყვეტის შესახებ, სასამართლო დიდი ალბათობით მოსარჩელე მხარის არგუმენტებს გაიზიარებდა.³³

ოზონის შრე დედამიწის სტრატოსფეროს აკრავს და იცავს მას მზიდან მომდინარე ულტრაიისფერი სხივებისაგან, რომლებიც როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ასევე ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლისთვის სახიფათოა. 1980-იან წლებში ინდუსტრიულმა პროგრესმა გამოიწვია ისეთი ინერტული აირების გამოყოფა ჰაერში, რომლებსაც ულტრაიისფერი დასხივება იზიდავს. შესაბამისად, ისინი ოზონის შრისკენ მიისწრაფიან და იქ ფეთქდებიან, რაც ოზონის შრის შემცირებას იწვევს; ასეთმა ინერტულმა აირებმა ოზონის შრე არქტიკის თავზე დაშალა კიდევაც, რამაც წარმოშვა ოზონის ხვრელი, რომლის გაფართოება მთელი დედამიწისათვის საკმაოდ სახიფათოა.³⁴ ამ პრობლემის თვალნათლივ დანახვამ საერთაშორისო საზოგადოება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება. შედეგად, UNEP-ის ეგიდით 1985 წელს შემუშავდა ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, რომელმაც გაითვალისწინა კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება ოზონის შრის შემცირებისა და ადამიანთა ჯანმრთელობისა და საერთაშორისო გარემოს დაცვის მიზნით.³⁵ ვენის კონვენციის მიღებიდან ორ წელიწადში სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ, კიდევ ერთხელ შეკრებილიყვნენ სპეციალურ კონფერენციაზე კონვენციის დამატებითი ოქმის შესამუშავებლად, რადგან ბრიტანელმა ექსპერტებმა ზუსტად ამ დროისათვის დაადასტურეს, რომ ოზონის შრე ერთ ადგილას

დაიშალა. ამ კონფერენციამ მიიღო მონრეალის ოქმი, რომელიც აწესრიგებდა კონკრეტულ საიმპლემენტაციო წესებს, მაგალითად, როგორცაა ოზონის შრისთვის სახიფათო ქიმიური ნივთიერებების წარმოება, მოხმარება, გამოთვლა, შესაბამისი ლიმიტების დადგენა, კონტროლს დაქვემდებარება და ა.შ.³⁶

მიუხედავად ნელი დასაწყისისა, დღეს ატმოსფეროსა და მის მიღმა სივრცის დაცვის სამართალი საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართლის ძალიან დეტალური და კომპლექსური დარგია. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ატმოსფეროსა და ოზონის შრის დასაცავად ბევრი რეგიონული თუ გლობალური ღონისძიება გატარდა, რაც ერთგვარად მიუთითებს კიდევაც ამ სფეროში არსებული ვალდებულებების განსაკუთრებულ ხასიათზე.³⁷ თვითონ ის ფაქტი, რომ ატმოსფერო და ოზონის შრე მთელს დედამიწას აკრავს იმის მანიშნებელია, რომ მისი დაცვის კოლექტიური ინტერესი ყველა სახელმწიფოსა და ზოგადად საერთაშორისო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს. *ბირთვული ტესტის საქმეში* ახალი ზეღანდიის სასარჩელო მოთხოვნაც სწორედ ასეთ „საერთაშორისო საზოგადოების კოლექტიურ უფლებას“ ეყრდნობოდა, რომელზეც სასამართლომ არაპირდაპირ მიუთითა, რომ ის იზიარებდა ამ მიდგომას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ატმოსფეროსა და მის მიღმა სივრცის (ოზონის შრის ჩათვლით) დაცვა და დაბინძურების პრევენცია განეკუთვნება სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას.

3.3. ღია ზღვის ფსკერზე ბუნებრივი რესურსების დაცვა

ღია ზღვის ფსკერი და მასზე არსებული ბუნებრივი რესურსები გამოცხადებულია კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობად,³⁸ რაც გულისხმობს, რომ ამ არეალში მიმდინარე ნებისმიერ ქმედებაზე კანონიერი ინტერესი შეიძლება, ჰქონდეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის – არა საზღვაო სახელმწიფოებსაც. იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა რეგულირდებოდეს ამ არეალში სახელმწიფოთა ქმედებები და რა სახის ვალდებულებები უნდა გავრცელდეს დედამიწის ამ ნაწილში, საკითხი გადაეცა ღია ზღვის ფსკერის პალატას საკონსულტაციო დასკვნის გამოსატანად.

პალატისათვის საკონსულტაციო დასკვნის თხოვნამ დიდი მოლოდინები წარმოშვა, ზოგიერთი ავტორი ამ ფაქტის შეფასებისას კითხვას სვამდა: „გახურდა თუ არა ჰამბურგის ტრიბუნალი?“³⁹ ღია ზღვის ფსკერის ორგანიზაციის მიერ პალატისთვის გადაცემული იყო სამი კონკრეტული შეკითხვა, რომელთა ზოგადი დასათაურება ასე ჟღერდა: „ღია ზღვის ფსკერზე მოქმედი პირებისა და დაწესებულებების დამფინანსებელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა და ვალდებულებები“.⁴⁰

ღია ზღვის ფსკერის პალატამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ ფართოდ იმსჯელა გადაცემულ კონკრეტულ შეკითხვებზე, რის შედეგად საერთაშორისო საზღვაო სამართლისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მივიღეთ. პალატამ ვრცლად მიმოიხილა სახელმწიფოს პირთა და დაწესებულებების მოქმედებების მარეგულირებელი პრინციპები ღია ზღვის ფსკერზე და საერთაშორისო გარემოს დაცვითი სამართლის გამოსახედიდან ისტორიული დასკვნები გააკეთა. პალატის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სახელმწიფოებს აქვთ წინდახედულობის ნორმების დაცვის, წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებებისა და გარემოს დაცვის სფეროში არსებული უმაღლესი სტანდარტების პრაქტიკის გამოყენების ვალდებულება.⁴¹ პალატა დაეყრდნო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას, ასევე საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებულ *მუხლებს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ* და განაცხადა, რომ გარემოს დაცვა ღია ზღვაში და მის ფსკერზე სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებაა, რომელიც მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის საზრუნავია, რადგან თავად ეს არეალი ზოგადად კაცობრიობის საკუთრებაა. პალატის მიერ გაკეთებული ეს განმარტება ძალიან პროგრესული მიდგომის მაჩვენებელია.⁴²

როგორც ვხედავთ, ღია ზღვის ფსკერზე ბუნებრივი რესურსების დაცვის ვალდებულების *erga omnes* ხასიათის დადგენა შედარებით მარტივია, რადგან, ამგვარ ვალდებულებას *erga omnes* სტატუსი საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით მიენიჭა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია

ღია ზღვის ფსკერზე მოქმედი სპეციალური რეჟიმით, რაც გულისხმობს მის კუთვნილებას მთელი საერთაშორისო საზოგადოებისადმი; შესაბამისად, ამ არეალში საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა აზარალებს არამარტო საზღვრისპირა სახელმწიფოს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს.

დასკვნა

სტატიაში განხილული მასალის, ანალიზისა და მსჯელობის შედეგად შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას აქვს შემდეგი მახასიათებელი ნიშნები: (i) ვალდებულება ერთ სახელმწიფოს მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აქვს; ამდენად, ეს ვალდებულება განსხვავდება სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებებისგან, რომლებიც ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს მიმართ წარმოეშობა და მხოლოდ *inter parte* მოქმედებს; (ii) ასეთი ვალდებულება კოლექტიურ ინტერესს აწესებს; შესაბამისად, მისგან წარმოშობილი უფლებების ბენეფიციარი არის მთელი საერთაშორისო საზოგადოება; (iii) ამ ვალდებულების დარღვევის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების უფლება აქვს საერთაშორისო საზოგადოების წევრ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, თუნდაც ის არ იყოს უშუალო დაზარალებული.

საკითხი, არის თუ არა საერთაშორისო გარემოს დაცვა სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულება, საკმაოდ კომპლექსურია და ამ დარგის ბევრ ასპექტს მოიცავს. ზოგიერთი მეცნიერისა და კომენტატორის აზრით, საერთაშორისო გარემოს დაცვა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის საზრუნავია და, შესაბამისად, იმ საერთაშორისო სამართლებრივი (როგორც სახელმეკრულე-ბო, ისე ჩვეულებითი) ნორმებისა და წესების ერთობლიობა, რომლებიც თანამედროვე გარემოს დაცვის სამართალს შეადგენს, სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას განეკუთვნება.⁴³ ამ პოზიციას ამყარებს ის ტექსტები, რომლებიც გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონვენციებსა თუ სასამართლოს გადაწყვეტილებებში გამოიყენება; ამის ნათელი მაგალითია მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, რომელიც

inter alia ბუნებრივ მემკვიდრეობას მოფლიოს მემკვიდრეობად აცხადებს, რომლის დაცვის ვალდებულება მთელს საერთაშორისო თანამეგობრობას აკისრია.⁴⁴ მიუხედავად ამგვარი ზოგადი ჩანაწერებისა, საერთაშორისო გარემოს დაცვა, როგორც ასეთი, არ შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას, რადგან ის თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა ვალდებულებათა ერთობლიობას, რომლებიც კრებითი ფორმით არ უნდა იყოს განხილული, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოებზე გავრცელება საერთაშორისო ვალდებულებათა მთელი წყება, რომლებიც, შესაძლოა, ჯერ კოდიფიცირებულიც არ იყოს და არც ჩვეულებითი სამართლის ნაწილს წარმოადგენდეს. საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულება, როგორც ზოგადი ნორმა, შესაძლოა, სამომავლოდ მართლაც იქცეს *erga omnes* ვალდებულებად, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როდესაც მისი შემადგენელი ყველა კომპონენტი ინდივიდუალურად მიაღწევს *erga omnes* ვალდებულების ან/და *jus cogens* ნორმის სტატუსს, თუმცა მოცემულ ეტაპზე ამაზე საუბარი ნაადრევია. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რომელიმე საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების *erga omnes* ხარისხში აყვანას ყოველთვის საერთაშორისო სასამართლოები ან ტრიბუნალები ცდილობდნენ; შესაბამისად, სავარაუდოა, რომ საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების *erga omnes* ხასიათზეც სასამართლოს მსჯელობის შედეგად მივიღოთ დასაბუთებული პასუხი. თუმცა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს რამდენჯერმე ჰქონდა საშუალება, რომელიმე გადაწყვეტილებაში პირდაპირ ეხსენებინა, რომ გარემოს დაცვა სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებაა (მაგ., *ბირთვული იარაღის საქმე, გაბჩიკოვო-ნაგიმაროს პროექტის საქმე და სხვ.*); მაგრამ, იგი ამას მოერიდა შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ საერთაშორისო გარემოს დაცვა ჯერ-ჯერობით აღმოცენებადი *erga omnes* ვალდებულებაა. აღნიშნული საკითხის მოწესრიგების ერთგვარ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ (ან მისი ავტორიზაციით რომელიმე სპეციალიზებული დანესებულების მიერ) მართლმსა-

ჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის მიმართვა საკონსულტაციო დასკვნის გამოსატანად.

მაშინ, როდესაც საერთაშორისო გარემოს დაცვის ვალდებულების *erga omnes* ხასიათის დადგენა რთული და კომპლექსური საკითხია, მისი რამდენიმე ასპექტის, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების, *erga omnes* ხასიათზე მსჯელობის შესაძლებლობა იქმნება. სტატიაში წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართლის სამი კონკრეტული მიმართულება და განვიხილეთ მათი დაცვის ვალდებულების *erga omnes* ხასიათი: (1) გარემოსადმი ტრანს-სასაზღვრო ზიანის მიყენების პრევენცია გარემოს დაცვის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, რომელმაც ასახვა ჰპოვა როგორც სახელშეკრულებო, ასევე ჩვეულებითი სამართლის ნორმებში. ამ ვალდებულების კომპონენტებისა და ხასიათის ანალიზი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენცია არის სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულება, რადგან ამ ვალდებულების აღება ხდება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე და არა ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის; (2) ატმოსფეროსა და ოზონის შრის დაცვამ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. შედეგად დაცვის ვალდებულებამ უფრო მაღალ ხარისხს მიაღწია; იმდენად, რამდენადაც ატმოსფეროსა და მის მიღმა სივრცის დაცვა შენარჩუნება საერთაშორისო საზოგადოების კოლექტიური ინტერესის საგანს წარმოადგენს, ადვილი სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულებას ექნება *erga omnes* ხასიათი; (3) ღია ზღვის ფსკერზე ბუნებრივი რესურსების დაცვის ვალდებულება საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ პირდაპირ არის შერაცხული სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებად. ამ შეხედულებას ამყარებს თვითონ საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ გაერო-ს კონვენციაც, და ამ კონვენციით ფსკერზე გავრცელებული კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის პრინციპი.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას რომ, საერთაშორისო გარემოს დაცვა, როგორც ასეთი,

სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას არ წარმოადგენს, თუმცა მისი ზოგიერთი ასპექტი (მაგ., ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენცია, ატმოსფეროსა და ოზონის შრის დაცვა, ღია ზღვის ფსკერზე ბუნებრივი რესურსე-

ბის დაცვა, ა.შ.) შესაძლოა, წარმოადგენდეს სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებას. ამასთან, სია გარემოს დაცვითი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების განვითარებასთან ერთად შესაძლოა, გაფართოვდეს.

- ¹ *Draft Articles on State Responsibility*, მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით: UN GA res. A/RES/65/19, 6 დეკემბერი, 2010.
- ² *Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, with Commentaries*; ტექსტი საერთაშორისო სამართლის კომისიამ 53-ე სესიაზე 2001 წელს მიიღო. Yearbook of the International Law Commission, 2001, vol. II, Part Two. მუხლი 48.
- ³ *Ibid*, პარაგრაფები 6-7.
- ⁴ *Ibid*, პარაგრაფები 9-10.
- ⁵ *Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law*, Report of the Study Group of the International Law Commission Finalized by Martti Koskenniemi, 13 აპრილი, 2006. პარაგრაფი 391.
- ⁶ *Obligations and Rights Erga Omnes in International Law*, Institut de Droit International, the Krakow Session, *Annuaire de l'Institut de Droit International* (2005) მუხლი 1. იხ.: Gaetano Arangio-Ruiz, Fourth Report, *Yearbook of International Law*, 1992 vol. II, Part one, გვ. 34, პარაგრაფი 92.
- ⁷ S.S. "Wimbledon" (*United Kingdom, France, Italy & Japan v. Germany*), 1923, PCIJ Series A, No. 1, გვ. 15, პარაგრაფი 30.
- ⁸ *Barcelona Traction, Light and Power Company, Limited, Judgment*, (Second Phase) ICJ Reports 1970, გვ. 3, პარაგრაფი 33.
- ⁹ *Ibid*, პარაგრაფი 34.
- ¹⁰ *East Timor (Portugal v. Australia)*, *Judgment*, ICJ Reports 1995, გვ. 90, პარაგრაფი 29.
- ¹¹ *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion*, ICJ Reports 2004, გვ. 136, პარაგრაფი 157.
- ¹² *Prosecutor v. Anto Furundžija*, Judgment of 10 December 1998, Case No. IT-95-17/1, Trial Chamber II, 121, *ILR* (2002) გვ. 260, პარაგრაფი 151.
- ¹³ <http://www.iucn.org/about/>.
- ¹⁴ <http://www.unep.org/About/>.
- ¹⁵ *Declaration of the United Nations Conference on the Human Environment*, Stockholm, 16 ივნისი, 1972; 21-ე პრინციპი.
- ¹⁶ Kiss A., Shelton D. (2004) *International Environmental Law*, 3rd ed. New York, გვ. 33.
- ¹⁷ UN GA res. 44/228, 22 დეკემბერი, 1989.
- ¹⁸ *UN Framework Convention on Climate Change and the Convention on Biological Diversity*.
- ¹⁹ Rio Declaration on Environment and Development, Rio de Janeiro, 14 ივნისი, 1992. პრინციპი 4.
- ²⁰ *Agenda 21*, UNCED, 1992.
- ²¹ *Supra*, n.16, გვ. 35.
- ²² *rail Smelter case*, 16 April 1938, 11 March 1941; 3 RIAA 1907 (1941).
- ²³ Dunoff J.L., Ratner S.R., et al (2010) *International Law: Norms, Actors, Process a Problem-oriented Approach* 3rd ed. გვ. 708.
- ²⁴ Reports of International Arbitral Awards. *Award between the United States and the United Kingdom relating to the rights of jurisdiction of the United States in the*

- Bering's sea and the preservation of fur seals*, decision of 15 August 1893. UN collection [2007] Vol. XXVIII გვ. 263-276.
- ²⁵ *Missouri v. Holland*, 252 U.S. 416, 40 S. Ct. 382, 64 L. Ed. 641 (1920).
- ²⁶ *Draft articles on Prevention of Transboundary Harm from Hazardous Activities*, with commentaries ტექსტი საერთაშორისო სამართლის კომისიამ 2001 წელს მიიღო, *Yearbook of the International Law Commission*, 2001, vol. II, Part Two.
- ²⁷ *Ibid.*
- ²⁸ Sands P., (2003) *Principles of International Environmental Law*, 2nd ed. Cambridge, გვ. 317.
- ²⁹ მოსკოვი, 5 აგვისტო, 1963, ძალაში შევიდა 10 ოქტომბერს, 1963, 480 UNTS 43.
- ³⁰ *Nuclear Tests (Australia v. France)*, *Interim Protection, Order of 22 June 1973*, *ICJ Reports 1973*, გვ. 99, იხ.: გვ. 103.
- ³¹ *Nuclear Tests (New Zealand v. France)*, *Interim Protection, Order of 22 June 1973*, *ICJ Reports 1973*, გვ. 135. იხ.: გვ. 139.
- ³² *Nuclear Tests (New Zealand v. France)*, *Judgment, I.C.J. Reports 1974*, გვ. 457. პარაგრაფები 50-55.
- ³³ *Nuclear Tests (Australia v. France)*, *Judgment, I.C.J. Reports 1974*, გვ. 253. პარაგრაფი 56.
- ³⁴ *Supra*, n.28. გვ. 343.
- ³⁵ Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer (1985) მუხლი 2(1).
- ³⁶ მონრეალი, 16 სექტემბერი, 1987, ძალაში შევიდა 1 იანვარს, 1989, 26 ILM 1550 (1987); 184 states are parties to the Protocol.
- ³⁷ *Supra*, n.28. გვ. 389.
- ³⁸ UN GA Res. 2749 (XXV), 17 დეკემბერი, 1970; 1982 UNCLOS, პრეამბულა (და ახლა 1994 Agreement Relating to the Implementation of Part XI of UNCLOS).
- ³⁹ Akande, Dapo *The Hamburg Tribunal Heats Up? Is ITLOS now in Business?* გამოქვეყნებულია 15 სექტემბერს, 2010 ხელმისაწვდომია: <http://www.ejiltalk.org/the-hamburg-tribunal-heats-up-is-itlos-now-in-business/>.
- ⁴⁰ *Resolution of the Council of International Seabed Authority*, 6 მაისი, 2010, ISBA/16/C/13, *Decision of the Council of the International Seabed Authority requesting an advisory opinion pursuant to Article 191 of the United Nations Convention on the Law of the Sea*.
- ⁴¹ Freestone, David (2011) *Advisory Opinion of the Seabed Disputes Chamber of International Tribunal for the Law of the Sea on "Responsibilities and Obligations of States Sponsoring Persons and Entities With Respect To Activities in the Area"*, *American Journal of International Law*, March 9, 2011 Vol. 15, Issue 7.
- ⁴² Anton, Donald K., Makgill Robert A., et al, *Advisory Opinion on Responsibility and Liability for International Seabed Mining (ITLOS Case No. 17): International Environmental Law in the Seabed Disputes Chamber*, The Australian National University, College of Law, Social Science Research Network – Legal Scholarship Network, ANU College of Law Research Paper No. 11-06, ხელმისაწვდომია: http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1793216.
- ⁴³ *Supra* n.28, გვ. 320, n. 13, გვ. 44.
- ⁴⁴ UNESCO World Heritage Convention, მუხლი 6(1).

ERGA OMNES CHARACTER OF THE OBLIGATION TO PROTECT INTERNATIONAL ENVIRONMENT UNDER INTERNATIONAL LAW

INTRODUCTION

This Article seeks to research character of obligation to protect international environment. The research question stands as follows: does protection of international environment constitute obligation *erga omnes*, breach of which invokes relevant responsibility under international law. Protection of international environment is a very wide notion and consists of different obligatory aspects. This paper only touches upon very important fields of the notion and discusses each of them in the light of *erga omnes* obligation.

The Article provides overall analysis of the obligation *erga omnes* as enshrined in the International Law Commission's Articles on State Responsibility and in the case law of international courts. The Paper describes stages of invocation, violation and imposition of responsibility for the obligation *erga omnes*, as well as notes which obligations have been recognized as *erga omnes* by international courts in various contentious cases or advisory opinions. The Article considers in details the notion of the obligation to protect international environment based on all major international treaty or customary rules applied in this field. In addition the Article shall also consider the concept of sustainable development and its relation to the obligation to protect international environment. The subsequent chapter relates to certain aspects of environmental protection and examines degree of their protection and fulfillment as an obligation; this sapecific study aims to identify *erga omnes* character of each of the above listed sub-obligations.

თითქმის ყველა კვლევის შედეგად დგინდება, რომ იძულებით გადაადგილებას შეიძლება ჰქონდეს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბუნება; თუმცა უმეტეს შემთხვევებში გვხვდება შიდა მიგრაცია და მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაა, როდესაც საქმე გვაქვს საერთაშორისოსთან.²³ მოცემული მდგომარეობა ართულებს საკითხის საერთაშორისო დონეზე დარეგულირების შესაძლებლობას, განეკუთვნება რა ქვეყნის საშინაო საკითხებს, რომლებში ჩაურევლობა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებითა და გამყარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითაც.

იმ ციფრების გათვალისწინებით, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი ძალზედ ძნელი

დასაჯერებელია, რომ დღემდე არ არსებობს საერთაშორისო ეკო-მიგრაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც გაერო-მ მიიღო სახელმძღვანელო პრინციპებია იძულებით გადაადგილების შესახებ (შემდგომში სახელმძღვანელო პრინციპები), რომელიც თავის მხრივ არ არის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე. მიუხედავად ამისა წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება, მაინც ხდება თუ არა ეკო-მიგრაციის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო დონეზე და თუ კი მაშინ რა მექანიზმებით. გარდა ამისა, შევხებით ისეთ მთავარ პრობლემას, როგორც ეკო-მიგრაციის დაფინანსების საკითხია. განვიხილავთ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს და იმას არის თუ არა ეს პრინციპები ჩვეულებითი სამართლის ნაწილი. დასასრულს, შემოთავაზებული იქნება შემდგომი სავარაუდო ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკო-მიგრანტების სამართლებრივი მდგომარეობის დარეგულირებას.

1. ეკო-მიგრაცია საერთაშორისო სამართალში

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო დონეზე ეკო-მიგრაციის სამართლებრივი რეგულირება არ გვხვდება, ამიტომ ძალზედ ძნელია ეკო-მიგრანტის სამართლებრივი განსაზღვრა, თუმცა ყველაზე უპრიანი იქნება გაერო-ს განმარტების მოყვანა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბუნებრივმა ფაქტორებმა შესაძლოა გამოიწვიონ იძულებით გადაადგილება და შესაბამისად საერთაშორისო საზოგადოებას შესთავაზა ტერმინი „ბუნებრივი პირობების გამო იძულებით გადაადგილებული პირები“ „environmentally displaced persons“ (EDPs), რომელშიც მოიაზრებიან პირები, რომელთა სიცოცხლე, კეთილდღეობა და მყოფადობა ბუნებრივი პირობების, ეკოლოგიური მდგომარეობის ან კლიმატის ცვლილების გამო დადგა სერიოზული რისკის ქვეშ, რამაც შედეგად გამოიწვია მათი იძულება გადაადგილებულიყვნენ მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან.²⁴ აღნიშნული განმარტება უფრო ჰუმანიტარული ხასიათისაა, ვიდრე სამართლებრივი, ამიტომ შევეცდებით მოვიყვანოთ ის მრავალი გან-

მარტება, რომელიც შემოთავაზებულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ მეცნიერების მიერ.

ერთ-ერთი მათგანია გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა კატეგორიული გამიჯვნა ლტოლვილისა და „ბუნებრივი პირობების გამო იძულებით გადაადგილებულ“ პირს შორის:

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ლტოლვილი არის ის, ვინც გადაადგილდება თავისი ქვეყნიდან ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური ან სოციალური ჯგუფის კუთვნილების გამო დევნის შიშით და ვერ სარგებლობს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისგან დაცვით. საკუთარი სახელმწიფოს მხრიდან დაცვის გარანტიების ვერ მიღება, მთავარი ელემენტია ლტოლვილის სტატუსთან მიმართებაში. ...

ტერმინის „ეკო-მიგრანტი“ გამოყენება ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც იძულებული გახდა ბუნებრივი პირობების ან კლიმატის ცვლილების გამო დაეტოვებინა საცხოვრებელი ბუნდოვანს გახდის განსხვავებას, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ პირს მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი. აღნიშნული უფრო მეტად გააფერმკრთალებს ეროვნული ხელისუფლების უმთავრეს ვალდებულებებს საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ვალდებულებას დაიცვას ის, ვინც დარჩენილია დაცვის გარეშე. შესაბამისად გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს მიაჩნია, რომ ტერმინის „ეკო-ლტოლვილი“ გამოყენება არასწორია.²⁵

როგორც განცხადებიდან ჩანს, იგი საკამაოდ კრიტიკულად უდგება ტერმინ ლტოლვილის გამოყენებას ეკო-მიგრანტებთან მიმართებაში, რაშიც ჭეშმარიტება ნამდვილად არის.

მიუხედავად ამისა, ეკო-მიგრანტებს ხშირად მოიხსენიებენ ეკო-ლტოლვილებად, მიზნით უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს მათ დაცვაზე და ისარგებლონ იგივე გარანტიებით, როგორც გააჩნიათ ლტოლვილებს. თავის მხრივ ტერმინ ეკო-ლტოლვილის ქვეშ, მოიაზრება იძულებით გადაადგილება, რომელიც გამომწვეულია ერთის მხრივ კლიმატის ნელი ცვლილებით: ზღვის დონის მატებით, რომელიც გამომწვეულია გლობალური დათ-

ბოზით; მინის დეგრადაციით (ნოციერების გაუარესება), დესერტიფიკაციით; ტყის მასივის განადგურებით; წყალშემცველი ფენის განადგურებით; გამოსადეგარი წყლის სიმცირის ზრდით და საკვები პროდუქტის დაბალი ხარისხით, ასევე ბუნებრივი კატასტროფებით: ციკლონები, წყალდიდობები, ცუნამები, ქარიშხლები, ტაიფუნები და ტყის სტეპების ხანძრები.²⁶

ტერმინს „ეკოლოგიური ლტოლვილები“ საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ლესტერ ბრაუნი გახლდათ პირველი, რომელმაც შემოიტანა აღნიშნული ტერმინი 1970 წელს.²⁷ ამის შემდეგ, ესამ ელ-ინავმა, გაერო-ს გარემოს პროგრამის (UNEP) წარმომადგენელმა, შემდეგნაირად განმარტა „ეკოლოგიური მიგრანტები“

„ხალხი, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მათი ტრადიციული სამყოფელი, დროებით ან მუდმივად, რაც აშკარად გამოწვეული იყო ბუნების განადგურებით (ბუნებრივად/ან ხელოვნურად) და აღნიშნული საფრთხის ქვეშ აყენებდა მათ არსებობას ან სერიოზული გავლენა იქონია მათ ცხოვრების ხარისხზე/დონეზე.“²⁸

ელ-ინავი თავის მხრივ გამოყოფდა ბუნებრივი ლტოლვილების სამ კატეგორიას: ადამიანები, რომლებიც დროებით არიან გადაადგილებულნი და დაბრუნდებიან მამინვე, როდესაც აღმოიფხვრება მათი გადაადგილების მიზეზი; ადამიანები, რომლებიც გადაადგილებულნი არიან მუდმივად და სახლდებიან სხვა ნებისმიერ ადგილზე; და ადამიანები, რომლებიც დროებით ან მუდმივად გადაადგილდებიან, ვინაიდან ადგილი სადაც ისინი სახლობენ, ბუნებრივი პირობების გაუარესების და ბუნების დეგრადაციის გამო, საბოლოოდ დასახლებისთვის გამოუსადეგარი გახდება.²⁹

მსოფლიო კვლევის ინსტიტუტის (World Watch Institute) წარმომადგენელმა ჯოდი იაკობსენმა განაცხადა, რომ 1984 წელს ტერმინი „ბუნებრივი ლტოლვილი“ გამოყენებულ იქნა ჰაიტის მოსახლეობასთან მიმართებაში³⁰. მისი აზრით, მინის დეგრადაციის მასშტაბი ქვეყანაში იმდენად ფართო და მძიმე იყო, რომ ხალხს აღარ ჰქონდა არჩევანი და იძულებულნი იყვნენ გადაადგილებულიყვნენ ფლორიდაში (რომელიც თავის მხრივ სახი-

ფათო იყო) და ამით იქცნენ მსოფლიოში პირველ „ბუნებრივ ლტოლვილებად“.³¹ ისიც ლტოლვილთა სამ კატეგორიას გამოყოფდა:

„ისინი ვინც დროებით გადაადგილდებიან ისეთი ლოკალური კატასტროფების დროს როგორცაა, მინისძვრა ან ზევაი; ისინი ვინც გადაადგილდებიან, რადგან ბუნების დეგრადაცია არის შეუქცევადი და არ იწვევს ეჭვს, რაც სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს მათ ჯანმრთელობას; და ისინი ვინც გადასახლდნენ ბუნების დესერტიფიკაციის გამო, ან ისეთი მიზეზის გამო, რაც მუდმივად შეუძლებელს გახდიდა მათ იქ სახლობას“.³²

მოცემულ განმარტებებთან მიმართებაში რელევანტური იქნება UNDP-ის ყოფილი მალაჩინოსნის დევიდ ბარკერის განმარტების მოყვანა, რომელიც თავის მხრივ „ეკო-მიგრანტს განმარტავდა შემდეგნაირად:

„ადამიანი, რომელიც იძულებულია გადაადგილდეს ერთობლივად ბუნებრივი კატასტროფებისა და პოლიტიკური გარემოებების გამო და მას არ შეუძლია ან არ სურს, ისარგებლოს თავისი სახელმწიფოს დაცვის გარანტიებით“.³³

1.1. ეკო-მიგრანტი თუ ეკო-ლტოლვილი ?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტერმინი ეკო-ლტოლვილი ხშირად გვხვდება მეცნიერების ნაშრომებში, როდესაც ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეკო-მიგრანტები შესაძლოა მოექცნენ ლტოლვილის განმარტების ქვეშ.

ზემოთ მოყვანილი განმარტებების საპირისპიროდ, რომლებსაც თავისთავად არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა, საერთაშორისო სამართალში გვაქვს ლტოლვილის განმარტება, რომელიც მოცემულია გაერო-ს 1951 წლის კონვენციაში ლტოლვილთა სტატუსის შესახებ:

„ნებისმიერი ადამიანი, რომელიც განიცდის დასაბუთებულ ეჭვს, რომ არის დევნილი რასის, რელიგიის, ნაციონალობის, რომელიმე სოციალური ან პოლიტიკური ჯგუფის კუთვნილების გამო, არის მისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს მიიღოს მისი ქვეყნის დაცვა, ან ადამიანი რომელსაც არ აქვს მოქალაქეობა და არის მისი მუდ-

მივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ ზემოთ მოყვანილ მიზეზთა გამო არ შეუძლია ან არ სურს, რომ დაბრუნდეს არის ლტოლვილი“.³⁴

კონვენციის მოცემული განმარტების განხილვა ეკო-ლტოლვილების ჭრილში გვაჩვენებს, რომ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გადაადგილებული პირები არ განიცდიან „დასაბუთებულ დევნის შიშს“, რომელიც ერთ-ერთი მახასიათებელია კონვენციის განმარტების.³⁵ გარდა ამისა, ვერც კლიმატის ცვლილება და ვერც ბუნებრივი კატასტროფები ვერ იქნება დევნის საფუძველი იმ ხუთი გარემოების გამო რომელიც ჩამოთვლილია კონვენციაში (რასის, რელიგიის, ნაციონალიზმის, რომელიმე სოციალური ან პოლიტიკური ჯგუფის კუთვნილება). ეკო-ლტოლვილებთან მიმართებაში ვხვდებით კიდევ ერთ დიდ პრობლემას, კერძოდ, ეკო-გადაადგილება (მიგრაცია) უმეტეს შემთხვევაში არ კვეთს ქვეყნის საზღვარს და ხდება ქვეყნის საზღვრებს შიგნით, ხოლო თავის მხრივ კონვენცია უთითებს, რომ პირმა აუცილებლად უნდა გადაკვეთოს საზღვარი.

როგორც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ბუნებრივი პირობების გამო იძულებით გადაადგილებული პირი შეგვიძლია მივიჩნიოთ ლტოლვილად, არის როდესაც სახელმწიფო ბუნებრივ პირობებს იყენებს პოლიტიკური რეპრესიებისათვის. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ დევნის მთავარი მახასიათებელია ქვეყნის უუნარობა პირის დაცვა დევნიდან. აღნიშნული ხდება მაშინ, როდესაც ქვეყანას ან არ შეუძლია ან არ სურს დაიცვას მისი მოქალაქეები მოძალადეებისგან და პირებისგან, რომლებიც დევნიან მათ (მაგალითად არასახელმწიფოებრივი დაჯგუფებები), ან როდესაც ქვეყანა თავად არის დევნის განმახორციელებელი.³⁶ როგორც რენაუმ აღნიშნა: „მანამ, სანამ ბუნება არ იქნება გამოყენებული, როგორც დევნის მექანიზმი, ანუ ბუნება მოგვევლინება მდევრის როლში, მანამდე ბუნებრივი კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებული ვერ იქნება ლტოლვილი.“³⁷ მიუხედავად ასეთი მძაფრი მოსაზრებებისა, ვილიამ ვოდმა აღნიშნა, რომ არსებობს ქვე კატეგორია ლტოლვილთა, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ ნამდვილ ეკო-ლტოლვილებად. მისი აზრით, ეს

ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანები არიან გამოხატული და მიზანმიმართული ეკოლოგიური დეგრადაციის პოლიტიკის მსხვერპლნი, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო, ან არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.³⁸

ძალზედ საინტერესო შეხედულება გააჩნია ტერმინთან დაკავშირებით ლტოლვილთა კვლევის ცენტრის (Refugee Studies Center) წარმომადგენელს სტეფან კასელს, რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტერმინი არის დამაბნეველი, მცდარი:

„სამართლებრივი ლიტერატურის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა გონივრული დასკვნა, რომ ტერმინი „ეკო-ლტოლვილი“ არის მცდარი და ნაკლებად დაგვეხმარება იმ კომპლექსური პროცესის აღქმაში, რომელიც საჭიროა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ბუნებრივი ფაქტორები არ არის მნიშვნელოვანი შექმნილ სიტუაციაში. პირიქით ის არის ნაწილი იმ კომპლექსური ელემენტებისა როგორცაა: ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები. სწორედ ეს ფაქტორებია ის ძირითადი, რომელზეც საჭიროა უფრო მეტი კვლევა და ანალიზი იძულებით გადაადგილებულ პირობების მოგვარების პროცესში.“³⁹

როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივი კატასტროფებით და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში, უფრო უპრიანი იქნება ტერმინის „ეკო-მიგრანტის“ გამოყენება. მსგავს იდეას ავითარებს გრეიმ ჰუგო, რომელიც ამბობს, რომ ბუნებრივი კატასტროფებით და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მიგრაცია წარმოადგენს მოვლენას, რომელიც ეკო-მიგრაციად უნდა იქნეს შეფასებული, როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად.⁴⁰

1.1.1. ლტოლვილის განმარტება რეგიონალური ინსტრუმენტების მიხედვით: აფრიკის კავშირი და კარტაგენას დეკლარაცია

აფრიკის კავშირის კონვენცია ლტოლვილთა შესახებ აფართოვებს ლტოლვილის სტატუსის განმარტებას და შემოაქვს „საჯარო წესრიგის სერიოზული დარღვევის“ კრიტერიუმს, რაც მეცნიერების მხრიდან

განიხილება წინაპირობად, რომ ეკო-მიგრანტები, რომელთა იძულებით გადაადგილება გამოწვეულია უცაბედი კატასტროფებით, მივიჩნით ლტოლვილებად. ამასთან დაკავშირებით ედვარდსი მიუთითებს, რომ თეორიაში აღნიშნული მიდგომა დასაშვებია, თუმცა პრაქტიკაში ხალხი, რომელიც იძულებით გადაადგილდება, ლტოლვილის სტატუსს მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში იღებს. ის ქვეყნები, რომლებიც ასეთ პირებს აძლევენ ლტოლვილის სტატუსს, თავისთავად იშვიათად აცხადებენ, რომ სწორედ აფრიკის კავშირის კონვენციას დაეყრდნენ.⁴¹ ედვარდის აზრით, მეზობელ ქვეყნებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭება მეტწილად განპირობებულია ჩვეულებითი სამართლის ნორმებით და ასევე შიდა სამართლით, რომელსაც თან ახლავს ქვეყნების კეთილი ნება. რა თქმა უნდა, სტატუსის მინიჭების დროს ისინი არ უთითებენ ხელშეკრულების სამართლებრივ ვალდებულებას.⁴²

1.1.2. ევროკავშირი

ევროკავშირი არ განეკუთვნება საერთაშორისო ორგანიზაციების ტიპიურ ოჯახს და იგი ხასიათდება თავისი განსაკუთრებული სუბიექტურობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ აქტიურად არეგულირებს მასში შემავალი ქვეყნების სამართლებრივ და რიგ შემთხვევაში პოლიტიკურ მოვლენებს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მცდელობა იყო ევროკავშირის დროებითი დაცვის შესახებ დირექტივის მიღება, როგორც გამონაკლისი მექანიზმისა.⁴³ აღნიშნული დირექტივა, ძირითადად ეხმაურება შიდა კონფლიქტების და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად დაზარალებულ პირთა მდგომარეობას და გადაადგილებას.⁴⁴ მოსამზადებელი სამუშაოებიდან ნათელი ხდება, რომ ფინეთის გავლენა ძალიან დიდი იყო იმაში, რომ დირექტივის ფარგლები გავრცელებულიყო პირებზე, რომლებიც იძულებით გადაადგილდებიან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად, თუმცა აღნიშნული შეთავაზება არ იქნა მხარდაჭერილი სხვა სახელმწიფოების მხრიდან, რაც ძირითადად გამომდინარეობდა დამატებითი ვალდებულებების აუღებლობის სურვილიდან. მეტიც, ბელგია და ესპანეთი აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებდნენ, რომ ბუნებრივი კატასტროფების

შედეგად გადაადგილებულ პირთა შესახებ არ საუბრობს არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ეხება ლტოლვილებს.⁴⁵

1.2. ლტოლვილის განმარტება სასამართლოს მიერ

სხვადასხვა უზენაესმა სასამართლოებმა მთელს მსოფლიოში განმარტეს, რომ გაერო-ს ლტოლვილთა კონვენცია არ ფარავს პირებს, რომლებიც არიან უკეთესი საცხოვრებელი პირობების მაძიებელი, ასევე პირებს, რომლებიც ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლებს წარმოადგენენ, მაშინაც კი როდესაც საკუთარი სახელმწიფო უძლურია დახმარების აღმოსაჩენად.⁴⁶ ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ „დევნის“ კრიტერიუმი შემოფარგლავს კონვენციის ჰუმანიტარულ არეალს და არ ფარავს თავშესაფრის ძიების ყველა შემთხვევას. არ აქვს მნიშვნელობა რამდენად დამანგრეველია ეპიდემია, ბუნებრივი კატასტროფა ან შიმშილი, პირი რომელიც გაექცა ამ მოვლენებს ვერ განიხილება ლტოლვილად კონვენციის მიხედვით.⁴⁷ სხვაგვარად, პირები რომლებიც გაურბიან ბუნებრივ კატასტროფებს და ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ მოექცევიან კონვენციის დაცვის ქვეშ.⁴⁸

თითქმის იდენტური პოზიცია ჰქონდა ლორდთა პალატას, რომელმაც აღნიშნა, რომ კონვენცია არ ანებს დაცვას ყველა შემთხვევაში:

განმცხადებელს შესაძლოა ჰქონდეს დასაბუთებული შიში, რომ მის სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე შიმშილის, სამოქალაქო ომის ან ძალადობის და არასათანადო მოპყრობის გამო; თუმცა აღნიშნული რისკი და შიში არ ანიჭებს მას ლტოლვილის სტატუსს. კონვენციას გააჩნია უფრო ვიწრო მოქმედების სფერო, რომელიც მოცემულია უშუალოდ კონვენციაში.⁴⁹

მიუხედავად ზემოთ განხილული სასამართლო პრაქტიკისა, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კირიბატის და ტუვალუს მოქალაქეები ითხოვდნენ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას, ხოლო მიზეზად სწორედ კლიმატის ცვლილებას უთითებდნენ. ასევე, იყვნენ განმცხადებლები ტონგოდან და ბანგლადეშიდან. 57-დან არცერთი განცხადება არ დაკმაყოფილებულა.⁵⁰

ახალი ზელანდიის ლტოლვილის სტატუსის მიმნიჭებელმა ორგანომ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც პირის მდგომარეობა შესაძლოა განხილულიქნას განცალკევებული რისკის შემცველი, ვინაიდან ტუვალუს სხვა მოქალაქეებიც, რომლებიც ცხოვრობენ ტუვალუსში, განიცდიან ზუსტად ისეთივე რისკს და შიშს, როგორსაც აღნიშნული პირი.“⁵¹

ლტოლვილთა კონვენციის მოსამზადებელი მასალიდან ირკვევა, რომ ლტოლვილის სტატუსის განმარტება უნდა ყოფილიყო ზუსტი და სპეციალური. კერძოდ, სახელმწიფოებს არ სურდათ, რომ იურიდიულად სავალდებულო ნორმაში ყოფილიყო ისეთი ტერმინები და მიდგომები, რომლებიც ორაზროვანი და ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მომცემი იქნებოდა.⁵²

ამასთან ერთად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ გაერო-ს ლტოლვილთა კონვენციის განმარტება მოძველებურია და საჭიროა მისი მოდიფიკაცია იმისთვის, რომ უფრო მეტად ეყრდნობოდეს ადამიანის უფლებათა სამართალს⁵³ შესაბამისად მომძღვარდა აზრი, რომ ლტოლვილის სტატუსის განმარტებაში შევიდეს ბუნებრივი კატასტროფების და კლიმატის ცვლილების შედეგად იძულებით გადაადგილება, რაც თავისთავად გაცილებით მეტი დაცვით უზრუნველყოფს ამ მიზეზით იძულებით გადაადგილებულ პირებს. ტერმინ ეკო-ლტოლვილის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ლტოლვილის სტატუსი უნდა გავრცელდეს შემდეგი სამი გარემოებით გამოწვეულ იძულებით გადაადგილებაზე: ზღვის დონის მატება, ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები, გვალვა და ნყლის რესურსის კლება.

აღნიშნულ თავში განხილული მასალებიდან ირკვევა, რომ ეკო-ლტოლვილს, როგორც სამართლებრივი ძალის მქონე ტერმინს, არ გააჩნია პერსპექტივა და უფრო რეალურია ტერმინი ეკო-მიგრანტის გამოყენება.

2. სამართლებრივი ჩარჩო

ზემოთ განხილული ტერმინების გარდა ალბათ უპრიანი იქნება, განვიხილოთ ის ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც გარკვეული დოზით მაინც არეგულირებს ეკო-მიგრაციას.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1992 წელს გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ გადაწყვიტა დაენიშნა გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც შეისწავლიდა იძულებით გადაადგილების პროცესთან დაკავშირებულ შექმნილ გლობალურ კრიზისს. იმ დროინდელმა გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ, ფრანცის დენგს დაავალა ეთავა აღნიშნული საქმე. სპეციალურმა წარმომადგენელმა საქმის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობდა ისეთი სამართლებრივი დოკუმენტი იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, როგორც იყო მაგალითად გაერო-ს 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთათვის. დენგს დაევალა, რომ სამართლის ექსპერტებთან ერთად შეესწავლა იცავდა თუ არა ასეთ პირებს საერთაშორისო სამართალი და თუ კი რა მოცულობით. კვლევის შედეგად, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ იძულებით გადაადგილებული პირები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს საკმაოდ დიდი ვაკუუმი.⁵⁴

იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის კონტექსტში ერთ-ერთ სამართლებრივ ჩარჩოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ გაერო-ს 1990 წლის კონვენცია მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების შესახებ, რომლის რატიფიკაცია მოახდინა 45 ქვეყანამ.⁵⁵ თუმცა, აღნიშნული კონვენცია ძირითადად ვრცელდება იმ მიგრანტებზე, რომლებიც ქვეყანაში იმყოფებიან ლეგალურად და არ გვთავაზობს დაცვას ე.წ. „არალეგალი მიგრანტებისთვის“.⁵⁶ ჩვენთვის კი, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მთავარ პრობლემას წარმოადგენს მიგრანტთა დაცვა სანამ ისინი არალეგალურად იმყოფებიან ქვეყანაში, ვინაიდან თუ ქვეყანამ დართო მათ ქვეყანაში ლეგალურად შესვლის შესაძლებლობა, ნათელია, რომ გარკვეული დაცვის გარანტიები ავტომატურად გავრცელდება.

შემდეგ სამართლებრივ ჩარჩოდ შეგვიძლია განვიხილოთ მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ გაეროს 1954 წლის კონვენცია. ის შესაძლოა მიგრანტებზე გავრცელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვექნება პატარა კუნძულოვანი ქვეყნების გაქრობასთან, ჩაძირვასთან.⁵⁷ ბოლო ხანებში საკმაოდ აქტი-

ურად მიმდინარეობს განხილვა, თუ რომელი სამართლით დარეგულირდება შემთხვევა, როდესაც გაქრება რომელიმე სახელმწიფო და რა სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს ეს მისი მოქალაქეებისთვის. შესაბამისად, მანამ, სანამ ქვეყანა ჩაიძირება და გაქრება მისი მოქალაქეები ვერ დაეყრდნობიან აღნიშნულ კონვენციას და ვერ ისარგებლებენ მისი დაცვის გარანტიებით, მიუხედავად იმისა, რომ კუნძულის ჩაძირვა ან გაქრობა არ არის უცაბედი მოვლენა და იგი დროის გარკვეულ პერიოდში მიმდინარეობს.

თუ პირს იძულებით გადაადგილება საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთით უწევს, მიუხედავად მიზეზისა, საჭიროა საერთაშორისო სამართალმა დაარეგულიროს აღნიშნული გადაადგილება.⁵⁸ თუმცა, იმისთვის, რომ ამოქმედდეს შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის მექანიზმი ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს მიზეზს, თუ რატომ გახდა პირი იძულებული დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი. სწორედ აქედან გამომდინარე ამბობს საერთაშორისო სამართალი, რომ თუ იძულებით გადაადგილების მთავარი მიზეზი ბუნებრივი კატასტროფებია, სახელმწიფო, რომელშიც მოხდა მოვლენები, რჩება უმთავრეს პასუხისმგებლად შექმნილ მდგომარეობაზე.⁵⁹

სამართლებრივად, ის ვინც საერთაშორისო საზღვარს კვეთს არის ლტოლვილი, მაშინ როდესაც ისინი ვინც გადაადგილდებიან ქვეყნის შიგნით განიხილებიან „შიდა მიგრანტებად.“ ტრადიციულად, საერთაშორისო სამართალი არ არეგულირებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს, რაც გამომდინარეობს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპიდან. აღნიშნული მიდგომა დროთა განმავლობაში შეიცვალა და საერთაშორისო სამართალმა დაიწყო „შიდა მიგრაციის“ რეგულირება, რაც მეტწილად განპირობებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოქმედებით. ამას, ემატება ის გარემოება, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში, როგორც ერთიანმა მექანიზმმა, დაიწყო ისეთი პრობლემების გლობალურ დონეზე დარეგულირება, როგორებიცაა მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა. აღნიშნული პრობლემების რეგულირება საერთაშორისო სამართალს გარკვეულწილად აძლევს საშუალებას ჩაერიოს ქვეყნის შიდა საქმეებში.

მთავარი სამართლებრივი პრობლემა რომელიც ამ პერიოდში ეკო-მიგრაციასთან დაკავშირებით დგას წარმოადგენს პირის უფლებას, სამუდამოდ დასახლდეს იმ ქვეყანაში, სადაც იგი იძულებით გადაადგილდა ბუნებრივი კატასტროფის შედეგად. აღნიშნული უფლება საერთაშორისო სამართალში არ არსებობს და გააჩნია ორი განმაპირობებელი მიზეზი. პირველი გახლავთ ის, რომ ქვეყნების საიმიგრაციო პოლიტიკა უმეტეს ქვეყნებში არ ითვალისწინებს მსგავს უფლებას,⁶⁰ თუმცა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი პირების დროებით დარჩენის უფლებას.⁶¹ მეორე მიზეზი კი არის საერთაშორისო, ვინაიდან საერთაშორისო სამართალი არ იცნობს ბუნებრივი პირობების გამო იძულებით გადაადგილებულისთვის სპეციალურ დაცვას ორი მიზეზით: პირველი ის, რომ გაერო-ს ლტოლვილთა კონვენციის მოქმედების სფეროში ვერ ხვდებიან ეკო-მიგრანტები და მეორე – მათზე არ ვრცელდება ე.წ. „არ დაბრუნების“ პრინციპი, რომელიც მოქმედებს ლტოლვილთა სამართალში.⁶² თუმცა მისი გავრცელება მაინც შესაძლებელია ადამიანის უფლებებით და აპელირებით, რომ არ „დაბრუნების პრინციპი“ არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი.⁶³ ჯაინ მაკადამი და ბენ საული ასევე აღნიშნავენ, რომ ეს პრინციპი როგორც სახელმეკრულეა, ისე ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ვრცელდება ისეთ გარემოებებზე, როდესაც დაბრუნების შემთხვევაში არსებობს დევნის, სიცოცხლის თვითნებურად მოსპობის, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე.⁶⁴

3. საერთაშორისო დონეზე ეკო-მიგრაციის დაფინანსების პრობლემა

გარდა ეკო-მიგრაციის სამართლებრივად დარეგულირების სირთულეებისა, პრობლემას წარმოადგენს იმ შედეგების აღმოსაფხვრელად არასაკმარისი დაფინანსება, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფებით.⁶⁵ კერძოდ, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საერთაშორისო დონეზე არ არსებობს სპეციალური ფონდი, რომელიც მომართული იქნება მხოლოდ ეკო-მიგრაციის ფინანსური დახმარებისთვის. მართალია, რომ არ არსე-

ბობს ზუსტი გაანგარიშება თუ რა სახსრებია საჭირო აუცილებელი მიმართულებების დაფინანსებისთვის, თუმცა ეს მაინც არ უნდა გახდეს ხელის შემშლელი პირობა, რომ მთელი საერთაშორისო საზოგადოება იყოს მომართული ამ მძლავრი პრობლემის აღმოსაფხვრელად.

როგორც დასაწყისშივე იყო აღნიშნული ყველაზე მეტად გავრცელებულია შიდა მიგრაცია და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ვხვდებით ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეულ საერთაშორისო მიგრაციას. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო საზოგადოება უნდა დაეხმაროს იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ერთის მხრივ ბუნებრივი კატასტროფით და მეორეს მხრივ ფართომასშტაბიანი მიგრაციით არიან დაზარალებულნი.

მანამ, სანამ შეიქმნება საერთაშორისო ფონდი, რომელიც უშუალოდ მიგრაციასთან დაკავშირებულ პროცესებს დააფინანსებს, უპრიანი იქნება განვიხილოთ ის რამოდენიმე ძირითადი წყარო, რომელიც დღეს მონაწილეობას იღებს მიგრაციის დაფინანსებაში. ყველაზე აქტიურად დაფინანსების საკითხში ჩართულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განვითარების ფონდი. თავად ორგანიზაცია, თავის მხრივ, დაფინანსებას იღებს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან, მაგალითად აზიის განვითარების ბანკიდან, რის შემდეგაც დაფინანსებას ანაწილებს ისეთ ქვეყნებზე, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ამას და ამასთან ერთად არ აქვთ მძლავრი ეკონომიკა, რაც მათ საშუალებას მისცემდა თავად გამოკლავებოდნენ შექმნილ პრობლემებს. ბოლო კვლევების შედეგების მიხედვით, აზიის განვითარების ფონდმა უკვე დააფინანსა და კვლავაც აგრძელებს მიგრაციისა და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის პროექტების დაფინანსებას ეგვიპტეში, მავრიტანიასა და კენიაში.⁶⁶ დაფინანსების მეორე მნიშვნელოვან წყაროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ კატასტროფების დახმარების პროგრამა,⁶⁷ რომელიც თავის მხრივ ფინანსდება ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორცაა გაერო-ს ცენტრალური გადაუდებელი დახმარების ფონდი⁶⁸ და აზიის განვითარების ბანკის წყნარი ოკეანის აუზში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების დახმარების ფონდი.⁶⁹ დაფინანსების მესამე

წყაროდ შეგვიძლია განვიხილოთ ქვეყნებისთვის „განვითარების დაფინანსების“ პროგრამა, რომელიც მიმართულია არა მარტო მიგრაციის დაფინანსებისკენ, არამედ ეხმარება განვითარებად ქვეყნებს განვითარების პროცესში. დაფინანსების წყაროდ გვევლინება ასევე „კლიმატის ცვლილების ფონდი“, რომელიც ისეთი მიგრაციის დაფინანსებისკენაა მიმართულია, რომელიც კლიმატის ცვლილებით არის გამოწვეული.⁷⁰ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებისა, რომლებიც გარკვეულწილად აფინანსებენ პოეტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც გარკვეული ჩარჩო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით არიან შექმნილი და ცდილობენ დაეხმარონ განვითარებად ქვეყნებს.⁷¹ ამის ნათელი მაგალითია „ადაპტაციის ფონდი“, რომელიც შექმნილია კიოტოს ხელშეკრულების ნეგრი სახელმწიფოების მიერ. აღნიშნული ფონდი აფინანსებს ადაპტაციის პროექტებს და პროგრამებს განვითარებად ქვეყნებში და ოფიციალური მონაცემებით 2010 წლიდან დღემდე დაფინანსებაზე დახარჯული აქვს 166.4 მილიონი ამერიკული დოლარი.⁷² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს კანკუნში კონფერენციის ნეგრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ დაეარსებინათ „მწვანე გარემოს ფონდი“, რომელიც მომართული იქნება მიგრაციის და ადაპტაციის პროგრამების დაფინანსებისკენ მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში. გარდა ამისა, 2009 წელს კოპენჰაგენის კონფერენციაზე განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებმა გააკეთეს შემოთავაზება, რომ შეექმნათ 100 მილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ მიგრაციას დააფინანსებდა.⁷³

ზემოთ მოყვანილი განხილვის შედეგად გარკვეული ორაზროვნება იქმნება იმასთან დაკავშირებით რომ, თუ ამდენი ფონდი აფინანსებს მიგრაციას მაშინ რაში არის პრობლემა და რატომ მიიჩნევენ მეცნიერები, რომ ამ სფეროშიც არსებობს პრობლემა. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს ფონდი, რომელიც უშუალოდ ეკონომიკის დააფინანსებს და ამასთანავე არ იქნება დამოკიდებული კონკრეტული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებაზე. თუმცა, ჩემი აზრით, სანამ არ შეიქმნება ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც სამართლებრივად დაარეგულირებს პრობლემას, იქამდე

გაჭირდება დაფინანსების წყაროების ცენტრალიზება ერთ კონკრეტულ ფონდში.

4. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები

სახელმძღვანელო პრინციპების მთავარი მიზანია, წარმოადგინოს ის გარანტიები და უფლებები, რომლებიც აუცილებელია იძულებით გადაადგილებული პირების დაცვისთვის მსოფლიოს მასშტაბით. პრინციპები ასახავს და შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ჰუმანიტარულ სამართალთან. პრინციპები იმეორებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც არსებობენ იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში და ფართოდ არიან გაბნეულნი სხვადასხვა ინსტრუმენტებში; ასევე გამოყოფს „ნაცრისფერ“ ადგილებს, რომლებიც ამ დროისთვის არსებობენ მოქმედ სამართალში. აღნიშნული პრინციპები ეხება იძულებით გადაადგილების სხვადასხვა ფაზებს და აწესებს დაცვას თვითნებური გადასახლებისგან, დახმარებას იძულებით გადაადგილების პროცესში, ასევე იძლევა დაბრუნებისა და ხელახალი განსახლების გარანტიებს.⁷⁴

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, თავისმხრივ კრძალავს პირის იძულებას გადაადგილდეს და აცხადებს, რომ „ყველა ადამიანს უფლება აქვს იყოს დაცული გადაადგილების იძულებისგან, მისი სახლიდან ან მუდმივი საცხოვრებელიდან. აღნიშნულში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება გადაადგილება, რომელიც გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და აუცილებელია ხალხის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის“.

იძულებით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპები, ქვეყნებს სთავაზობს გარკვეულ კონტურებს, ძირითად მიმართულებებს, რომლის მიხედვითაც მათ უნდა გაავრცელონ დაცვა პირებზე, რომლებიც იძულებით გადაადგილდებიან ბუნებრივი კატასტროფების გამო. რა თქმა უნდა, აღნიშნულ შემთხვევაში დაცვა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას. ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად კოლუმბიამ, მოახდინა ამ სახელმძღვანელო პრინციპების შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს,

რომ პრინციპების შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მონოდების პარალელურად, საერთაშორისო საზოგადოება უნდა დაეხმაროს ქვეყნებს იმ ბაზის შექმნაში, რომელიც აღნიშნული პრინციპების რეალობაში გატარების საშუალებას მისცემს.

თავშივე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო პრინციპები გამოყოფს იძულებით გადაადგილების სამ ფაზას: იძულებით გადაადგილების წინარე ფაზა, აქტიური გადაადგილების ფაზა და დასახლების ან განსახლების ფაზა. აქვეა მოცემული ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის შესახებ დებულებები თითოეული ფაზის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული სახელმძღვანელო პრინციპები ძირითადად შიდა მიგრაციის საკითხებს ეხება, მაინც გვხვდება ნორმები, რომლებიც არეგულირებს საერთაშორისოს (მესამე ნაწილი).

დოკუმენტის პირველ ნაწილში განხილულია იძულებით გადაადგილების წინარე ფაზა. მე-7 პრინციპი მიუთითებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სახეზეა „შეიარაღებული კონფლიქტის სავალალო ფაზა და კატასტროფები“ და აღნიშნავს, რომ ასეთ დროს დაზარალებული პირები უნდა სარგებლობდნენ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებით, რომელიც ეხება მათი გადაადგილების მიზეზებსა და პროცედურებს, ასევე სადაც შესაძლებელია, კომპენსაციისა და დასახლების უფლებით. მათ ასევე უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ მათი გადასახლების დაგეგმვაში. გარდა აღნიშნულისა ისინი სარგებლობენ სხვა ზოგადი უფლებებით, როგორცაა: სიცოცხლის, ღირსების, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებებით.⁷⁵

დოკუმენტის მეორე ფაზა თავისმხრივ ეხება დაცვის გარანტიებს უშუალოდ გადაადგილების პროცესში და მიუთითებს, რომ ამ დროს პირები სარგებლობენ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ფართო სფექტრით – თითქმის ყველა უფლებით რაც განტკიცებულია საერთაშორისო აქტებით.⁷⁶

მესამე ნაწილი დოკუმენტისა ეხება ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა ჰუმანიტარულ დახმარებას. დასაწყისში აღნიშნულია, რომ ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მთავარი პასუხისმგე-

ბლობა ეკისრება უშუალო იმ სახელმწიფოს, რომელშიც მიმდინარეობს მიგრაცია. თუმცა ამავე თავში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო დახარებაც შესაძლებელია შეთავაზებული იყოს და თუ ასე მოხდა, სახელმწიფომ არ უნდა განაცხადოს უარი მის მიღებაზე. ამასთანავე, ამ ქვეყნის ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, ჰუმანიტარულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა არ იყოს შეზღუდული.⁷⁷

დოკუმენტის ბოლო ნაწილი გაჯერებულია პრინციპებით, რომელიც ეხება იძულებით გადაადგილებული პირების უკან დაბრუნებას, განსახლებას და ინტეგრაციას. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰქონდეთ უკან დაბრუნების უფლება საკუთარი სურვილის მიხედვით, მოახდინოს მათი განსახლება ქვეყნის სხვა უსაფრთხო რეგიონში. ასევე უზრუნველყოს უშუალოდ გადაადგილებულ პირთა ჩართულობა მათი უკან დაბრუნების და განსახლების პროცესის დაგეგმვაში.⁷⁸ ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ გადასახლება არ უნდა იყოს იძულებითი აქტი, პირიქით, ის უნდა განხორციელდეს თანხმობის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სრული ინფორმირების პრინციპს უნდა ემყარებოდეს.

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, დოკუმენტი არ არის სავალდებულო ძალის მქონე, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი აღსრულება დამოკიდებულია ქვეყნების კეთილ ნებაზე. თუმცა, მდომარეობა შეიცვლება თუ აღნიშნულ პრინციპებს ჩვეულებითი სამართლის ნაწილად მივიჩნევთ. იმის შესახებ წარმოადგენენ თუ არა სახელმძღვანელო პრინციპები ჩვეულებითი სამართლის ნაწილს ქვემოთ იქნება საუბარი.

4.1 არის თუ არა სახელმძღვანელო პრინციპები ჩვეულებითი სამართალი

საერთაშორისო სამართლის წყაროები მოცემულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების შემდეგ საერთაშორისო სამართლის წყაროდ მიიჩნევა „საერთაშორისო ჩვეულება, გამოხატული ზოგად პრაქტიკაში მიღებული როგორც სამართალი.“⁷⁹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ შემდგომში განმარ-

ტა, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი შედგება ორი ნაწილისაგან:

- ✓ ობიექტური ნაწილი, რომელიც გამოიხატება ქვეყნების ზოგად პრაქტიკაში;
- ✓ სუბიექტური ნაწილი, რომელიც გამოიხატება ქვეყნების პრაქტიკაში, რომ ნორმას იყენებენ როგორც სამართალს *opinio juris*.⁸⁰

ზოგადი პრაქტიკის მიხედვით ჩვეულების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ქვეყნების თანმიმდევრული პრაქტიკა, რომ კონკრეტულ ნორმას იყენებდნენ როგორც სამართალს და რა თქმა უნდა, ქვეყნების გამოხატული პოზიცია ნორმის მხარდასაჭერად.⁸¹ ამ შემთხვევაში მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რეალურად როგორ მოქმედებს ქვეყნა, მათ შორის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.⁸² *Opinio juris* კი თავის მხრივ მოითხოვს, რომ ქვეყნები მოქმედებდნენ ნორმის მიხედვით ისე, როგორც მათთვის სავალდებულო.⁸³

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში უფრო მეტად წინ წამოინია ქვეყნების შეხედულებებმა, რაც გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანია ქვეყნების პოზიცია, განცხადებები თუ რას ფიქრობენ კონკრეტულ ნორმასთან მიმართებაში.⁸⁴ ასეთ სცენარში *opinio juris* უკვე მეორეხარისხოვანი ხდება და კლასიკურ მეორე კრიტერიუმად გვევლინება. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს პრინციპი, რომ ზემოთ განხილული ორივე ელემენტი ჩვეულებითი ნორმის ჩამოყალიბებისთვის არის კუმულატიური და საჭიროა ორივე მათგანის დაკმაყოფილება საბოლოო შედეგის მისაღებად. გარდა ქვეყნების ნებისა და პრაქტიკის არსებობისა, ჩვეულებითი ნორმის ჩამოყალიბებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი, სასამართლოს გადაწყვეტილება და შეხედულება, ვინაიდან პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში ისე ხდება, რომ სანამ სასამართლო არ იტყვის, რომ კონკრეტული ნორმა არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი, მანამდე ნორმა არ ხდება შემოჭავი.⁸⁵ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს საერთაშორისო სასამართლო, მაგალითად მსს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ შიდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები ვერანაირ

გავლენას იქონიებენ ჩვეულებითი ნორმის ჩამოყალიბების პროცესში.

რაც შეეხება იმას, თუ საიდან შეიძლება დავადგინოთ ქვეყნების პრაქტიკა კონკრეტულ ნორმასთან მიმართებაში, ისინი შეიძლება ვეძიოთ სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, ქვეყნის მოხსენებებში, ასევე სახელმწიფო წარმომადგენლების განცხადებებში საერთაშორისო ფორუმებზე, ქვეყნის შიდა კანონმდებლობა და რა თქმა უნდა, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში.⁸⁶ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებისა, ქვეყნების პრაქტიკა შეგვიძლია ამოვიკითხოთ კვლევითი მეცნიერთა ნაშრომებში⁸⁷ და ხელშეკრულებებში, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, არ არსებობს რაიმე ტიპის ხელშეკრულება ეკო-მიგრაციასთან დაკავშირებით. ეს თეორიული ნაწილი, გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპებს რომ მოვარგოთ, პირველი რაც უნდა აღვნიშნოთ, არის ის მოკლე პერიოდი რაც გასულია დოკუმენტის მიღებიდან, ვინაიდან საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტის არსებობის პერიოდს.⁸⁸ რაც შეეხება ქვეყნების პრაქტიკას სახელმძღვანელო პრინციპების მიმართ, სულ მცირე სამი სახელმწიფოა (ბურუნდი, ანგოლა და კოლუმბია), რომლებიც მიიჩნევენ, რომ დოკუმენტს აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა და ამას პრინციპების შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციით გამოხატავენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძალზედ მინიშნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილებები. ამ მხრივ აღსანიშნავია კოლუმბია, რომლის საკონსტიტუციო სასამართლომ ორ საქმეში აღნიშნა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები არის საერთაშორისო სამართლის ნაწილი და იგი სავალდებულოა კოლუმბიისთვის. დამატებით უნდა ავლნიშნოთ, რომ ქვეყნების დამოკიდებულება დოკუმენტის მიმართ გამოხატული იყო საერთაშორისო დონეზეც გაერო-ს ფარგლებში. მაგალითად, 1998 წელს გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარდაჭერილ იქნა 55 წევრი სახელმწიფოს მიერ და დაამტკიცა სახელმძღვანელო პრინციპები.⁸⁹ გარდა ამისა, სესიაზე რამოდენიმე სახელმწიფომ გამოთქვა მოსაზრება,

მათ შორის საქართველომ, რომ სახელმძღვანელო პრინციპები ძალზედ ეფექტური და სასარგებლო მექანიზმი იყო იძულებით გადაადგილებული პირების დაცვის კუთხით.⁹⁰ მიუხედავად ზემოთ განხილული ქვეყნების პრაქტიკისა, როგორც ვიცით, ჩვეულებითი ნორმის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა „ზოგადი პრაქტიკა“, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთხმად უნდა უჭერდეს მხარს,⁹¹ თუმცა აუცილებელ პირობად ჩამოყალიბდა, რომ იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომელთაც ყველაზე მეტად ეხებათ ნორმა, უნდა გამოხატავდნენ დადებით პოზიციას და პრაქტიკას ნორმის მიმართ.⁹² ჩვენ კი როგორც დავინახეთ ყველაზე მეტად აქტიურობდა სამი ქვეყანა, რომელზეც ვერ ვიტყვით, რომ მწვავედ განიცდიან მიგრაციის პრობლემას. იმისთვის, რომ სახელმძღვანელო პრინციპები ჩვეულებითი სამართლის ნაწილი გახდეს, საჭიროა იმ ქვეყნებმა, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან მიგრაციის პრობლემას, მხარი დაუჭირონ მას და თავიანთი თანმიმდევრული პრაქტიკით დაანახონ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ისინი მოცემულ ნორმებს მიიჩნევენ სავალდებულოდ. არსებობს მეორე გამოსავალიც, მაგალითად შემუშავდეს გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც გამოაცხადებს, რომ სახელმძღვანელო პრინციპები არის სამართალი. იმ შემთხვევაში თუ რეზოლუცია დიდ მხარდაჭერას მოიპოვებს შესაძლებელი იქნება საუბარი იმაზე არის თუ არა სახელმძღვანელო პრინციპები ჩვეულებითი სამართლის ნაწილი. ამ პროცესში საკმაოდ დიდ როლს, თუ არა გადაწყვეტს, ითამაშებს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვეულებითი ნორმის ჩამოყალიბებისთვის ერთი მხრივ, აუცილებელია ქვეყნების ზოგადი და თანმიმდევრული პრაქტიკა და მეორეს მხრივ *opinio juris*, ანუ რომ სახელმწიფოები ნორმას განიხილავენ სავალდებულოდ და იქცევიან მის შესაბამისად.⁹³ სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც მსს-მ საქმეში *North Sea Continental Shelf* განმარტა: „უნდა იყოს ქვეყნების მიერ ნათლად გამოხატული და ქვეყნები რეალურად უნდა მოქმედებდნენ ნორმის შესაბამისად, მხოლოდ სამართალი და მოჩვენებით ქმედებათა სიმრავლე არ არის საკმარისი“.⁹⁴ ყველა

ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით, გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, ჯერ-ჯერობით არ არის ჩვეულებითი სამართლის ნაწილი.

5. ეკონომიკის რეგულირება სხვადასხვა ქვეყნებში

ამერიკის შეერთებული შტატების და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხანგრძლივი და შემდგომი სამხედრო და ეკონომიკური პარტნიორობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკა შევიდა სპეციალურ შეთანხმებაში **Compact of Free Association (COFA)**, რომელიც გარკვეულ უფლებებსა და გარანტიებს ანიჭებს მიკრონეზიის, პალაუს და მარშალის კუნძულის მიგრანტ მოსახლეობას.⁹⁵ აღნიშნული შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ეკონომიკურ მიგრანტებს.⁹⁶

მართალია, წყნარი ოკეანის აუზის ზოგიერთ ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საკმაოდ კარგი სამართლებრივი გარანტიებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ, ამასთანავე, ქვეყანაში შესვლის თანხმობა მაინც არ არის სავალდებულო და დამოკიდებულია სამინისტროს გადაწყვეტილებაზე. ამერიკის შეერთებული შტატების საიმინჯაციო და ეროვნული აქტის მიხედვით, სამამულო უსაფრთხოების დეპარტამენტის სამდივნოს უფლება აქვს უარი განაცხადოს მიგრანტის მიღებაზე.⁹⁷ თუმცა 2010 წელს, როდესაც ჰაიტს თავს დაატყდა შემზარავი შვიდ ბალიანი მიწისძვრა, რომელმაც 230 000 ადამიანი შეინირა, ამერიკამ უფლება დართო ჰაიტელ ობოლ ბავშვებს შესულიყვნენ ამერიკის ტერიტორიაზე.⁹⁸ ამერიკის კანონის ერთადერთი სისუსტე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მაინც კონკრეტულ ორგანოზეა დამოკიდებული დართავენ თუ არა იძულებით გადაადგილებულს ქვეყანაში შესვლის უფლებას. მსგავს მიდგომას მიჰყვება ავსტრალიის ხელისუფლებაც, რომლის სასამართლომ **Ozmanian**-ის საქმეში განაცხადა, „სამინისტროსთვის დისკრეტის მინიჭება გულისხმობს, რომ მას არ გააჩნია სამართლებრივი ვალდებულება, თავისი შეხედულების მიღმა გადაწყვიტოს საკითხი“.⁹⁹ „ვალდებულების არ ქონასთან“ დაკავშირებით იგივე მიდგომა განავითარა სასამართლომ **Bedlington**-ის საქმეში.¹⁰⁰

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალში შექმნილია ერთგვარი სამართლებრივი ვაკუუმი ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული პირების დაცვასთან დაკავშირებით, რიგი ქვეყნები მაინც იღებენ მათი დაცვის ვალდებულებას თავისი ინიციატივით. ამ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება შვედეთი (**Swedish Aliens Act 2006**) და ფინეთი (**Finnish Aliens Act 2009**) რომლებმაც აღნიშნეს, რომ ბუნებრივი კატასტროფა შედეგთა და ფინეთში დაცვისა და მოქალაქეობის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს.¹⁰¹

მსგავსი პრაქტიკაა დამკვიდრებული აფრიკაშიც. ქვეყანაში შემოსვლის ნება ეძლევათ პირებს, რომლებიც იძულებით გადაადგილებიან ისეთი ბუნებრივი კატასტროფების (პირობების) გამო, როგორცაა მაგალითად, შიმშილი და გვალვა. აღნიშნული პრაქტიკა მეტწილად მომდინარეობს აფრიკის კავშირის ლტოლვილთა კონვენციის განმარტებიდან, რომელმაც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, უფრო ფართო განმარტება შემოგვთავაზა.¹⁰²

სხვა ქვეყნებშიც არსებობს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს, გარკვეული ტიპის დაცვის გარანტიებს სთავაზობენ. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, შემოთავაზებული დაცვა დროებითია. მხოლოდ ქვეყნების მცირე რაოდენობა ითვალისწინებს მუდმივი დაცვის გარანტიებს. ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ზოგ ქვეყანაში, გარანტიები უაშუალოდ შიდა კანონმდებლობაშია განმტკიცებული, სამართლის ამოქმედება, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის შემთხვევაში, დამოკიდებულია აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე.¹⁰³

ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გადაადგილებულ პირებს დაცვას სთავაზობს ამერიკის შეერთებული შტატებია. კერძოდ, ის იყენებს დროებითი დაცვის სტატუსს, რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს სამოთხეს იმ პირებისთვის, ვინც გამოექცა ან არ სურს დაბრუნება თავის ქვეყანაში, სადაც შექმნილია სახიფათო მდგომარეობა. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დროებითი დაცვის სტატუსის მინიჭება არ ხდება ავტომატურად.

მისი მოპოვება დამოკიდებულია „სამამულო უსაფრთხოების სამდივნოს“ გადანყვეტილებაზე. აღნიშნული უწყება უფლებამოსილია განსაზღვროს კონკრეტული ქვეყანა, სადაც მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას ან:

- 1) მოხდა მინისძვრა, გვალვა, ეპიდემია, ან ისეთი ბუნებრივი კატასტროფა, რომელმაც დროებით გაანადგურა საცხოვრებელი პირობები კონკრეტულ რეგიონში;
- 2) ქვეყანა დროებით უძღურია, რომ გაუმკლავდეს მისი მოქალაქეების დაბრუნებას;
- 3) კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლება ოფიციალურად სთხოვს ამის შესახებ.¹⁰⁴

დროებითი დაცვის სტატუსი ბენეფიციარს მუშაობის შესაძლებლობას აძლევს და გამორიცხავს დეპორტაციას სტატუსის მოქმედების ვადაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატუსის მინიჭება ხდება 6-დან 18 თვემდე ვადით, რომლის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წარმომავლობის ქვეყნის მდგომარეობა არ შეიცვალა.¹⁰⁵

წარსულში ძალიან ბევრი ქვეყნის მოქალაქეები ითხოვდნენ სტატუსის მინიჭებას (პერუ, შრი-ლანკა, ინდოეთი, ტაილანდი, სომალი, მალაიზია და ა.შ.). ამასთან დაკავშირებით ოფიციალური პოზიციის გამოუთქმელობის მიუხედავად, როგორც ზემოთ იყო განხილული, რიგი ქვეყნების მოსახლეობამ შეძლო და მიიღო აღნიშნული სტატუსი.¹⁰⁶ გარდა ამისა, ამერიკაში იუსტიციის უწყებას უფლება აქვს გამოსცეს ე.წ. არ გაძევების ბრძანება, რაც ერთის მხრივ კავშირშია „არ დაბრუნების“ პრინციპთან.¹⁰⁷

ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გადაადგილებულ პირთა დაცვის გარანტიებს აწესებს შვეიცარია. თუმცა, შვეიცარიის შესაბამისი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ მიზეზებს, რომელიც გამონვეულია დროში განელილი ბუნებრივი პირობების შეცვლით. მსგავსად, 2010 წელს, არგენტინის ხელისუფლებამ მიიღო ახალი კანონი იმიგრაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი აძლევს ცხოვრების უფლებას პირებს, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში ვერ ბრუნდებიან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიყენებული ზიანის გამო.¹⁰⁸

როგორც ანალიზიდან იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისო მექანიზმი ბუნებრივი კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის შესახებ, რიგი ქვეყნები მაინც ითვალისწინებენ დაცვის კონკრეტულ გარანტიებს. აღნიშნული არ გამომდინარეობს რაიმე საერთაშორისო ვალდებულებიდან და ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნების კეთილ ნებაზე ისევე, როგორც მათ ჰუმანიტარულ პოლიტიკაზე. გარდა ამისა, ფართომასშტაბიანი ბუნებრივი კატასტროფის დროს, ქვეყნების ნაწილი საკუთარი ინიციატივით სთავაზობს დაზარალებულებს ერთჯერად ჰუმანიტარულ დახმარებას.¹⁰⁹

6. ადამიანის უფლებები და მიგრაცია, კომპლემენტარული დაცვა

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციასა და ადამიანის უფლებებს შორის უდავოდ არის პირდაპირი კავშირი, საერთაშორისო საზოგადოება მაინც არ არის დაინტერესებული მისი შესწავლითა თუ ღრმა კვლევით. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ,¹¹⁰ მხოლოდ 2008 წელს დაავალა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, შეესწავლა და წარმოედგინა ის უფლებები, რომლებზეც შესაძლოა კლიმატის ცვლილებას ექონია გავლენა.¹¹¹ შედეგად, კომისრის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში, გამოკვეთილი იყო შემდეგი უფლებები: სიცოცხლის უფლება, ადეკვატური კვების უფლება, წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება, ჯანმრთელობის უფლება და ადეკვატური განსახლების უფლება.¹¹²

ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა თავის ანგარიშში ასევე აღნიშნა, რომ IPCC პირველი შეფასების მიხედვით, კლიმატის ცვლილების უმთავრესი გამოხატულება იქნება ადამიანთა ფართომასშტაბიანი მიგრაცია. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ როდესაც ბუნებრივი პირობების გამო, პირს უხდება იძულებით გადაადგილება ქვეყნის გარეთ, ის ერთის მხრივ სარგებლობს ადამიანის უფლებების ზოგადი სტანდარტების დაცვით მიმღებ სახელმწიფოში, მაგრამ ამასთან ერთად, მეორეს მხრივ, არ აქვს სამართლებრივი უფლება შევიდეს სხვა სახელმწიფოში. აღნიშნული სამართლებრივი ვაკუუმი გარკვეულ

გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან თუ პირს არ აქვს უფლება შევიდეს სხვა სახელმწიფოში, რა მნიშვნელობა აქვს სარგებლობს თუ არა იგი ადამიანის უფლებების დაცვით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლი აცხადებს, რომ „ყველა ადამიანს აქვს თავისუფლად გადაადგილების და ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლება ქვეყნის ტერიტორიის შიგნით, ასევე უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარი და დაბრუნდეს მის ქვეყანაში“. აღნიშნული უფლების განხილვა, იძულებით გადაადგილების კონტექსტში, ნათელს ხდის, რომ მიუხედავად იმისა პირს აქვს უფლება თავისუფლად დატოვოს ქვეყანა თუ არა, მას არ აქვს საერთაშორისო ინსტრუმენტით გარანტირებული უფლება შევიდეს სხვა ქვეყანაში.¹¹³

უდავოა, რომ საერთაშორისო სამართლის მექანიზმებიდან, რომელიც სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის და ვალდებულებების რეგულირებას ახდენს, ყველაზე მეტად განვითარდა ადამიანის უფლებათა სამართალი, რომელიც უფრო ფართო ვალდებულებებს აკისრებს ქვეყნებს ვიდრე საერთაშორისო სამართალში მოქმედი ნებისმიერი სხვა მექანიზმები. მათ შორის არის იმ პირთა მიმართ ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რომლებიც ვერ ხვდებიან ლტოლვილთა დაცვის ქვეშ, თუმცა შელახული აქვთ სიცოცხლის უფლება, ან გახდნენ წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის მსხვერპლნი. აღნიშნული ტიპის დაცვას საერთაშორისო სამართალში უწოდებენ „კომპლემენტარულ დაცვას“, ვინაიდან იგი დამყარებულია მთლიანად ადამიანის უფლებათა ზოგად პრინციპზე და არ გამომდინარეობს სპეციალური სამართლიდან, როგორცაა მაგალითად, გაერო-ს ლტოლვილთა კონვენცია. კომპლემენტარული დაცვის პრინციპს იყენებენ ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ახალი ზელანდია, მექსიკა და ნაწილობრივ ავსტრალია. ისინი ცდილობენ, იმ საერთაშორისო ვალდებულებების იმპლემენტაცია მოახდინონ შიდა კანონმდებლობაში, რომლებიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარეობენ.¹¹⁴ მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ სოციალურ-ეკონომიკური უფლება, რომელიც მოიცავს ადეკ-

ვატური საცხოვრებელი პირობების ქონის უფლებას. აღნიშნული უფლების დარღვევა შეიძლება გათანაბრებულ იქნეს არაადამიანურ მოპყრობასთან, რომელიც თავისთავად წარმოშობს საერთაშორისო დაცვის ვალდებულებას.¹¹⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია საერთაშორისო სამართალი არ გამოირიცხავს არაადამიანური მოპყრობის ერთერთ მახასიათებლად კლიმატის ზეგავლენას, თუმცა არც პირდაპირ მითითებას აკეთებს იმისა, რომ აღნიშნული პირდაპირ შეგვიძლია მივიჩნიოთ არაადამიანური მოპყრობის მაკვალიფიცირებლად.¹¹⁶

6.1. სიცოცხლის უფლება

სხვა უფლებებთან შედარებით უპრიანი იქნება სიცოცხლის უფლების ცაკლე განხილვა, ვინაიდან იძულებით გადაადგილების დროს ყველაზე მეტად საფრთხე სწორედ ამ უფლებას ექმნება. სიცოცხლის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა თითქმის ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტით, ასევე ჩვეულებითი სამართლით. იგი დაცულია ისეთი საერთაშორისო აქტებით როგორცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია¹¹⁷ (მუხლი 3); სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა საერთაშორისო პაქტი¹¹⁸ (მუხლი 6); ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენცია¹¹⁹ (მუხლი 2) და სხვა რეგიონალური კონვენციები. აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ ის არის „უზენაესი უფლება“, ყველა სხვა უფლების საწყისი, რომლისგანაც გადახვევა არ შეიძლება. ამასთან ერთად, მიჩნეულია რომ სწორედ ის არის „არ დაბრუნების“ პრინციპის განხორციელების საფუძველი.¹²⁰ სიცოცხლის უფლება მოიცავს, როგორც ნეგატიურ ისე პოზიტიურ ვალდებულებას, სახელმწიფოს მხრიდან გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომ სიცოცხლის უფლება დაცული იყოს. ამ შემთხვევაში კარგი ანალოგის გავლება შეიძლება კლიმატის ცვლილებასა და ატომურ იარაღთან. ამ უკანასკნელთან მიმართებაში გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, აღნიშნა, რომ ატომურ იარაღს შეუძლია გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა არა მხოლოდ პირდაპირი ეფექტით, არამედ არაპირდაპირ გარემოს რადიაციით დაბინ-

ძურები თავს. ასეთ შემთხვევაში იგივე ეფექტის მატარებელია მაგალითად სუფთა წყალში მარილიანი წყლის შერევა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა. ზემოთ განხილულ შემთხვევებში უმთავრესია იმის განსაზღვრა, ბუნების რა დოზით დაზიანებამ შეიძლება შეუქმნას საფრთხე სიცოცხლის უფლებას. ამასთან დაკავშირებით მარლთმსაჯულების საერთაშორისო სამართლოს მოსამართლემ ვერამანტრიმ თავის განსხვავებულ აზრში საქმეზე გაფიქრება აღნიშნა, რომ „ბუნებრივი გარემოს დაცვას თანამედროვე ადამიანის უფლებათა დაცვის დოქტრინაში უკავია სასიცოცხლო მნიშვნელობა რამოდენიმე უფლებასთან მიმართებაში, მათ შორის ისეთ უფლებებთან, როგორცაა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებები.“¹²¹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სამართლომ მსგავსი მოსაზრება გამოთქვა, როდესაც აღნიშნა, რომ ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს უფლება დაკავშირებულია სიცოცხლის უფლებასთან. ამასთან ერთად მიუთითა, რომ ბუნების განადგურებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთ უფლებებზე, როგორცაა, სიცოცხლის, საკუთრების და პირადი ცხოვრების უფლებები.¹²²

იგივე სასამართლომ საქმეში *Budayeva v. Russia* განაცხადა, რომ სახელმწიფოთა ვალდებულება სიცოცხლის უფლებასთან მიმართებაში, ასევე მოიცავს ვალდებულებას დაიცვას მოსახლეობა ბუნებრივი კატასტროფებისგან, როდესაც ამის შესახებ მისთვის ცნობილი იყო.¹²³

6.2. არ დაბრუნების პრინციპი

საერთაშორისო სამართალში არსებობს ძალზედ მნიშვნელოვანი – არ დაბრუნების პრინციპი (დაბრუნების აკრძალვა). აღნიშნული პრინციპი ვრცელდება ლტოლვილებზე, თავმესაფრის მაძიებელზე ან უცხოელზე, რომელიც ითხოვს რაიმე ტიპის თავშესაფარს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანას არ აქვს უფლება პირი დააბრუნოს ტერიტორიაზე, სადაც ის შეიძლება იყოს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სუბიექტი ან სადაც მისი სიცოცხლე და თავისუფლება საფრთხის ქვეშ იქნება.

მიუხედავად ამასი, რა თქმა უნდა, ქვეყნები არ კარგავენ უფლებას, თავად განსაზღვრონ საიმიგრაციო პოლიტიკა და შესაბამისად აწარმოონ საიმიგრაციო კონტროლი, რაც გამომდინარეობს მათი სუვერენიტეტიდან.¹²⁴ თავის მხრივ საიმიგრაციო კონტროლი გულისხმობს ორ პრეროგატივას – ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმა და იმათი უკან დაბრუნება ვინც უკვე შემოაღწია ქვეყნის შიგნით.¹²⁵ მიუხედავად იმისა, რომ საიმიგრაციო კონტროლი პირდაპირ გამომდინარეობს ქვეყნის სუვერენიტეტიდან და ცალსახად განეკუთვნება ქვეყნის საშინაო საქმიანობას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული. კერძოდ, ქვეყნის უფლებამოსილება აკონტროლოს შესვლა, ადგილსამყოფელის არჩევა და დეპორტაცია არ გულისხმობს იმას, რომ ქვეყანა განთავისუფლებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებისგან.¹²⁶

ადამიანის უფლებათა დაცვის იმ საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან, რომლებიც კრძალავენ პირის თავის ქვეყანაში დაბრუნებას, ყველაზე მნიშვნელოვანია: გაერო-ს ლტოლვილთა კონვენცია; გაერო-ს წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ კონვენცია¹²⁷ და ასევე, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.¹²⁸ გაერო-ს ლტოლვილთა კონვენციის 33-ე მუხლის განმარტების მიხედვით:

- ⁵ United Nations Framework Convention on Climate Change, May 9, 1992, available at: <http://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>.
- ⁶ Third Session of the Conference of the Parties (COP), Kyoto, Japan, Dec. 1-10, 1997, *Kyoto Protocol to the United Nations Framework Convention on Climate Change*, U.N. Doc.FCCC/CP/1 997/L.7/Add. 1 (Feb. 16, 2005), available at <http://www.ccsr.utokyo.ac.jp/unfccc2/pdfs/unfccc.int/resource/docs/cop3/107a01 .pdf>.
- ⁷ Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC), established by the United Nations Environment Programme (UNEP) and the World Meteorological Organization (WMO) in 1988.
- ⁸ Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC), *Climate Change: The IPCC Scientific Assessment: Final Report of Working Group I* (Cambridge: CUP, 1990).
- ⁹ *Ibid.*
- ¹⁰ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR), 'The Legal Implications of the Disappearance of States and Other Territories for Environmental Reasons, Including the Implications for the Human Rights of their Residents, with Particular Reference to the Rights of Indigenous Peoples', Res. 2005/20.
- ¹¹ UN DEV. Programme, Human Development Report 2007/08, *Fighting Climate Change: Human Solidarity in A Divided World*, available at: http://hdr.undp.org/sites/default/files/reports/268/hdr_20072008_en_complete.pdf.
- ¹² Wagner, Th., (2007) *Major Cities Warned Against Sea-Level Rise*, Independent Online, Mar. 2007, at 1, available at: <http://www.iol.co.za/index.php?setid=I&clickid=31&art-id=nw20070328024424684C606123>.
- ¹³ Friends of The Earth Australia, A Citizen's Guide To Climate Refugees 11 (2007), available at: <http://www.foe.org.au/resources/publications/climate-justice/CitizensGuide.pdf>.
- ¹⁴ *Ibid.*
- ¹⁵ Reuveny, R., (2008) *Eco-migration and Violent Conflict: Case Studies and Public Policy Implications*, 36 Hum. Ecology 1, p. 5 (noting that "12 to 17 million Bangladeshis have migrated to India" since the 1950s).
- ¹⁶ Great Wall across the Yangtze, available at: <http://www.pbs.org/itvs/greatwall/dam1.html>.
- ¹⁷ Locke, J., (2009) *Climate Change-Induced Migration in the Pacific Region: Sudden Crisis and Long-Term Developments*, 175 Geographical J. 171, p. 172.
- ¹⁸ Campbell, J., (2010) *Climate Change and Population Movement in Pacific Island Countries*, in *Climate Change and Migration: South Pacific Perspectives* 29, 38 (Burson, B. (ed.)), available at <http://igps.victoria.ac.nz/publications/files/t25928e2182.pdf>.
- ¹⁹ Bedford, R., Bedford, Ch., (2010) *International Migration and Climate Change: A Post- Copenhagen Perspective on Options for Kiribati and Tuvalu*, in *Climate*

- Change and Migration: South Pacific Perspectives 91(Burson, B. (ed.), available at: <http://igps.victoria.ac.nz/publications/files/d7e9c96ba3c.pdf>.
- ²⁰ Biermann, Boas, (2010) *Preparing for a Warmer World: Towards a Global Governance System to Protect Climate Refugees* 10 *Global Environmental Politics* 60, p. 70.
- ²¹ Christian Aid, *Human Tide: The Real Migration Crisis* (2007)., IFRC and Red Crescent Societies, *World Disasters Report: Focus on Recovery*, IFRC and Red Crescent Societies 2001.
- ²² Gorlick, B., *Environmentally Displaced Persons: A UNHCR Perspective*, available at: <http://www.equatorinitiative.org/images/stories/events/2009events/bian-gorlick-environmentally-displaced-persons-unhcrperspective.pdf>.
- ²³ Ogata, S., (1992) *United Nations High Commissioner for Refugees, at the Swiss Peace Foundation, Statement in Geneva* (Oct. 30, 1992), available at: <http://www.unher.org/admin/ADMIN/3ae68fad20.html>.
- ²⁴ Fabrice Renaud, et al., (2007) *Control, Adapt Or Flee: How To Face Environmental Migration?* 14 (Institute for Environment and Human Security, UN Univ., Intersections Publication Series No. 5, 2007), available at <http://www.ehs.unu.edu/file.php?id=259>.
- ²⁵ Timberlake, L., et al., (1984) *Environment and Conflict: Links Between Ecological Decay, Environmental Bankruptcy and Political and Military Instability* (Earth scan Briefing Document No. 40, 1984).
- ²⁶ El-Hinnawi: *An Emergent Crisis In The Global Arena* 24-27 (1995).
- ²⁷ *Ibid.*
- ²⁸ *see note 1.*
- ²⁹ *Ibid.*
- ³⁰ *Ibid.*
- ³¹ Catanese, A.V., (1999) *Haitians: Migration and Diaspora* 50 1999.
- ³² Convention Relating to the Status of Refugees, *opened for signature* July 28, 1951, 189 U.N.T.S. 137, 137-38, available at: <http://www2.ohchr.org/english/law/pdf/refugees.pdf>.
- ³³ Boko, M., et al., (2007) *Africa, in Climate Change: Impact, Adaptation and Vulnerability* 433 (Semmazzi, F., Senouci, M., (eds.), available at: <http://www.ipcc.ch/pdf/assessment-report/ar4/wg2/ar4-wg2-chapter9.pdf>.
- ³⁴ Kibreab, G. (2010) *Climate Change and Human Migration: A Tenuous Relationship?* Rev. 357 2009-2010.
- ³⁵ *see note 26, available at* <http://www.ehs.unu.edu/file.php?id=259>.
- ³⁶ Wood, W. B. (2001) *Eco-migration: Linkages Between Environmental Change And Migration*, in *Global Migrants, Global Refugees: Problems and Solutions* 42 (Zolberg, A. R., Benda, P. (eds.), 2001) at 46.
- ³⁷ UN High Commissioner for Refugees [UNHCR], Evaluation & Policy Analysis Unit, *Environmental Change and Forced Migration: Making Sense of the Debate*, Working Paper No. 70 (Oct. 2002) (prepared by Stephen Castles).
- ³⁸ Hugo, G. (1996) *Environmental Concerns and International Migration*, 30 *International Migration Review* 105, at 109.
- ³⁹ Hugo, G., (1996) *Environmental Concerns and International Migration*, 30 *International Migration Review* 105, at 109.
- ⁴⁰ Edwards, A., (2006) *Refugee Status Determination in Africa* 14 *African Journal of International and Comparative Law* 204, 225–27.
- ⁴¹ *Ibid.*
- ⁴² Council Directive 2001/55/EC of 20 July 2001 on Minimum Standards for Giving Temporary Protection in the Event of a Mass Influx of Displaced Persons and on Measures Promoting a Balance of Efforts between Member States in Receiving Such Persons and Bearing the Consequences thereof [2001] OJ L212/12, art. 2(a).

- ⁴³ *Ibid.*
- ⁴⁴ *Outcome of Proceedings* (2001) Council Doc. 6128/01 available at: <http://register.consilium.europa.eu/pdf/en/01/st06/06128en1.pdf>.
- ⁴⁵ *Canada (Attorney General) v. Ward* [1993] 2 SCR 689, 732 (emphasis added).
- ⁴⁶ *Applicant A v. Minister for Immigration & Ethnic Affairs* [1997] HCA 4; (1997) 190 CLR 225, 248.
- ⁴⁷ *Minister for Immigration v. Haji Ibrahim* [2000] HCA 55; 204 CLR 1, Para. 140.
- ⁴⁸ *Horvath v. Secretary of State for the Home Department* [2001] 1 AC 489, 499–500.
- ⁴⁹ NZ cases: *Refugee Appeal No. 72719/2001*, RSAA (17 September 2001) (Tuvalu); *Refugee Appeal No. 72313/2000*, RSAA (19 October 2000) (Tuvalu); *Refugee Appeal No. 72314/2000*, RSAA (19 October 2000) (Tuvalu).
- ⁵⁰ *Refugee Appeal No. 72189/2000*, RSAA (17 August 2000) para. 13.
- ⁵¹ Executive Committee of the High Commissioner’s Programme, Report of the Forty-Fifth Session, 1994, at 40.
- ⁵² See note 35.
- ⁵³ Guiding Principles On Internal Displacement: Annotations 3 Asil Studies In Transnational Legal Policy No. 32, 2000.
- ⁵⁴ MacDonald, E., Cholewinski, R., (2007) *The Migrant Workers Convention in Europe: Obstacles to the Ratification of the International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of their Families* (EU/EEA Perspectives, UNESCO).
- ⁵⁵ Migration for Employment Convention (Revised), ILO C97, 1949; Migrant Workers (Supplementary Provisions) Convention, ILO C143, 1975.
- ⁵⁶ McAdam, J., (2010) “Disappearing States”, Statelessness and the Boundaries of International Law in J. McAdam (ed.), *Climate Change and Displacement: Multidisciplinary Perspectives* (Hart: Oxford) 105.
- ⁵⁷ Bederman, D., (2006) *International Law Frameworks* 73 (2nd ed.).
- ⁵⁸ Atapattu, S., *Climate Change, Human Rights, And Forced Migration: Implications For International Law*.
- ⁵⁹ UN Charter Article 2(7).
- ⁶⁰ Martin, S., (2010) *Climate Change, Migration, and Governance*, 16 Global Governance 397, 409-10.
- ⁶¹ USC § 1254a (b) (1). For more on Temporary Protected Status in the US and the EU’s Temporary Protection Directive.
- ⁶² see note.
- ⁶³ see note 4.
- ⁶⁴ *Ibid.*
- ⁶⁵ see note 22.
- ⁶⁶ Kalin, W., (2008) *Guiding Principles On Internal Displacement*, Hineonline.
- ⁶⁷ *Ibid.*
- ⁶⁸ *Ibid.*
- ⁶⁹ *Ibid.*
- ⁷⁰ *Ibid.*
- ⁷¹ *Ibid.*
- ⁷² *Ibid.*
- ⁷³ *Ibid.*
- ⁷⁴ Report of the Representative of the Secretary-General, Mr. Francis M. Deng, Submitted Pursuant to Commission Resolution 1997/39, *Further Promotion and Encouragement of Human Rights and Fundamental Freedoms, Including the Question of the Programme, and Methods of Work of the Commission on Human Rights, Mass Exoduses and Displaced Persons, Addendum, Guiding Principles on Internal Displacement*, U.N. ESCOR, Comm’n on Human Rights, 54th Sess., Agenda Item 9(d), 19, U.N. Doc. E/CN.4/1998/53/Add.2 (1998).

- ⁷⁵ Guiding Principles On Internal Displacement: Annotations 3 (ASIL Studies In Transnational Legal Policy No. 32, 2000, Principles 7–9).
- ⁷⁶ *Ibid principles* 10-27.
- ⁷⁷ *Ibid principle* 25.
- ⁷⁸ *Ibid.*
- ⁷⁹ Statute of the International Court of Justice, June 26, 1945, Art. 38(1).
- ⁸⁰ International Court of Justice *Military and Paramilitary Activities in and Around Nicaragua* (Nicar. v. U.S.), 1986 I.C.J. 14, 97-98 (June 27). *Opinio juris* is also frequently spelled as *opinion iuris*.
- ⁸¹ Anthea Elizabeth Roberts, *Traditional and Modern Approaches to Customary International Law: A Reconciliation*,
- ⁸² *ibid*
- ⁸³ International Court of Justice *North Sea Continental Shelf Cases* (F.R.G. v. Den., F.R.G. v. Neth.), 1969 I.C.J. 3, 44 (Feb. 20).
- ⁸⁴ *see note* 56
- ⁸⁵ Daniel Bodansky, *Customary (and Not So Customary) International Environmental Law*, 3 IND. J. Global Legal Stud.105, 116-17 (1995)
- ⁸⁶ Ian Brownlie, *Principles Of Public International Law* 5(5th Ed. **1998**) (Listing The Material Sources Of Custom).
- ⁸⁷ Peter Malanczuk, *Akehurst's Modern Introduction To International Law*44 (7thEd. 1997)
- ⁸⁸ *Ibid*
- ⁸⁹ E.S.C. Res. 1998/50, U.N. ESCOR, 54th Sess., Supp. No. 3, at 164-67, U.N. Doc. E/CN.4/1998/50 (1998).
- ⁹⁰ *see note* 75
- ⁹¹ *see note* 79
- ⁹² *see note* 80
- ⁹³ *see note* 80
- ⁹⁴ *see note* 76
- ⁹⁵ Compact of Free Association Amendments Act of 2003, L. No. 108-188, 117 Stat. 2720 (codified at 48 U.S.C. § 1921 (2006)).
- ⁹⁶ *ibid*, Para 141
- ⁹⁷ *Humanitarian Parole Fact Sheet*, U.S. Citizenship And Immigration Service.
- ⁹⁸ *Special Humanitarian Parole Program for Haitian Orphans Draws to a Close at Request of Haitian Government*, US Citizenship And Immigration Serv.www.uscis.gov/portal/site/uscis/menuitem
- ⁹⁹ Minister for Immigration and Multicultural Affairs and Another v Ozmanian(1996) 46 A.L.D. 244, 16 (FCR) (Austl.).
- ¹⁰⁰ Bedlington and Another v Chong (1998) 87 FCR 75,78(Austl.).
- ¹⁰¹ Aliens Act (2006) (Swed.); 5 Aliens Act (2006) (Swed.), *available at* www.government.se/content/1/c6/06/61/22/bfb61014.pdf.301/2004 Ulkomaalaislaki [Aliens Act] ch.6, § 109 (1) (*Fin.*), *available at* [http://www.finlex.fi/fi/laki/kaannokset/2004/en20040301 .pdf](http://www.finlex.fi/fi/laki/kaannokset/2004/en20040301.pdf).
- ¹⁰² UN High Comm'r for Refugees, Convention Governing the Specific Aspects of Refugee Problems in Africa, art. 1 §§ 1 2, Sept. 10, 1969. Article 1(2)
- ¹⁰³ By the Council of the European Union and the Secretary of Homeland Security respectively
- ¹⁰⁴ US Citizenship and Immigration Services, 'Temporary Protected Status—Haiti' (last updated 1 February 2010) *available online at* <http://www.uscis.gov/portal/site/uscis/menuitem.eb1d4c2a3e5b9ac89243c6a7543f6d1a/?vgnnextchannel=e54e60f64f336210VgnVCM100000082ca60aRCRD&vgnnextoid=e54e60f64f336210VgnVCM100000082ca60RCRD>
- ¹⁰⁵ *ibid*
- ¹⁰⁶ Generally R. E. Wasem and K. Ester, 'Temporary Protected Status: Current

- Immigration Policy and Issues' Congressional Research Service, 9 September 2010.
- ¹⁰⁷ For example to 190,000 Salvadorans in 1992; to 3,600 Liberians (who present grant of DED runs until 30 September 2011):
- ¹⁰⁸ Decree No. 616/2010 Official Bulletin (6 May 2010) s 24(h) (regulating immigration law 25.871 (2003)). The provision delimits its scope of application to foreigners who enter the country as 'transit residents'.
- ¹⁰⁹ see note 4
- ¹¹⁰ United Nations Human Rights Council, Created by GA Res 60/251 on 15 March 2006
- ¹¹¹ Human Rights and Climate Change, H.R.C. Res. 7/23 (Mar. 28, 2008), http://ap.ohchr.org/documents/E/HRC/resolutions/A_HRCRES_7_23.pdf.
- ¹¹² UN HUM. RTS. COUNCIL, *Report of the Office of the U.N. High Comm 'rfor Human Rights on the Relationship Between Climate Change and Human Rights*, 20-41, U.N. Doc A/HRC/10/61 (January 15, 2009), <http://www.unhcr.org/refworld/pdfid/498811532.pdf>.
- ¹¹³ Vladislava Stoyanova *The Principle Of Non-Refoulement And The Right Of Asylum-Seekers To Enter State Territory*, HineOnline, Page 10-15
- ¹¹⁴ see note 4
- ¹¹⁵ South African constitutional court *Soobramoney v. Minister of Health KwaZulu Natal* 1998 (1) SA 765.
- ¹¹⁶ *R. v. Special Adjudicator ex parte Ullah*[2004] UKHL 26; Human Rights Committee, 'General Comment No. 15: The Position of Aliens under the Covenant', 11 April 1986, para. 5. See also Human Rights Committee, 'General Comment No. 18: Non-Discrimination', 10 November 1989.
- ¹¹⁷ Universal Declaration of Human Rights, was adopted by the UN General Assembly on 10 December 1948, resolution 217 A (III)
- ¹¹⁸ International Covenant on Civil and Political Rights, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966 entry into force 23 March 1976, in accordance with Article 49
- ¹¹⁹ European Convention on Human Rights (formally the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms) (drafted 4 November 1950, entered into force 3 September 1953)
- ¹²⁰ *Ahani v. Canada* Communication No. 1051/2002, 24 March 2004; Human Rights Committee, 'General Comment No. 31: Committee on the Rights of the Child, 'General Comment No. 6 (2005): Treatment of Unaccompanied and Separated Children Outside Their Country of Origin', UN Doc. CRC/GC/2005/6, 1 September 2005, Para. 27.
- ¹²¹ International Court of Justice *Case Concerning the Gabčikovo-Nagymaros Project (Hungary v. Slovakia)* 1997 ICJ 92 (Separate Opinion of Judge Weeramantry) para.A(b).
- ¹²² Loucaides and cases cited there, beginning with *Arrondelle v. United Kingdom* DR 26, 5 (noise pollution cases offensive smells).
- ¹²³ *Budayeva v. Russia*, App. No 15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02 and 15343/02 (ECtHR, 20 March 2008).
- ¹²⁴ Ian Brownlie, *Principles Of Public International Law*, 6th ed., 293 (Oxford University Press, 2003).
- ¹²⁵ Matthew J. Gibney and Randall Hansen, *Deportation and the Liberal State: the Forcible Return of Asylum Seekers and Unlawful Migrants in Canada, Germany and the United Kingdom*, UNHCR Working Paper, at 1, available at <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/research/openssl.pdf?tbl=RESEARCH&id=3e59de764>
- ¹²⁶ *Vilvarajah and others v. United Kingdom*, ECtHR, Application no. 13163/87;

- 13164/87; 13165/87; 13447/87; 13448/87, Judgment of 30 October 1991, Para 102; *Chahal v. United Kingdom*, ECtHR, Application no. 22414/93, Report of 27 June 1995, Para 73; *Amuur v. France*, ECtHR, Application no. 19776/92, Judgment of 25 June 1996, Para 41.
- ¹²⁷ Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, GA Res. 39/46, UN GAOR, 1984, Supp. No. 51, UN Doc. A/39/51 (1984)
- ¹²⁸ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 213 U.N.T.S. 222
- ¹²⁹ *Soering v. the United Kingdom*, ECtHR, Application No. 14038/88, Judgment of 7 July 1989; *Chahal v. United Kingdom*, ECtHR, Application no. 22414/93, Report of 27 June 1995; *Ahmed v Austria*, ECtHR, Application No.25964/94, Judgment of 7 December 1996
- ¹³⁰ *R v. Special Adjudicator, ex parte Ullah*[2004] UKHL 26, Para 24–25 (Lord Bingham), 49–50 (Lord Steyn), 67 (Lord Carswell).
- ¹³¹ *Kacaj v. Secretary of State for the Home Department* [2002] EWCA Civ 314, Para. 26
- ¹³² *Kalashnikov v. Russia* (2002) 36 EHRR 587, ECtHR rejected
- ¹³³ Asylum Policy Brief: Discretionary Leave' (last amended 27 October 2009).
- ¹³⁴ see note 129
- ¹³⁵ *United States of America v Canada* (1941) 3 RIAA 1911 (Mixed Arbitral Tribunal) at 1965.
- ¹³⁶ United Nations Framework Convention on Climate Change, Recitals 8 and 9; Declaration of the United Nations Conference on the Human Environment, Principle 21; Rio Declaration on Environment and Development, Principle 2.
- ¹³⁷ Fordham Environmental Law Review Sixteenth Annual Symposium Global Responses To Eco-Migration And Environmental Diasters: The Role Of U.S. And International Law And Policy The Environment And Climate Change: Is International Migration Part Of The Problem Or Part Of The Solution? Rev. 341 2009-2010, Hineonline
- ¹³⁸ see note 23
- ¹³⁹ Rodney Tiffen&Ross Gittins, How Australia Compares 160 (Cambridge University Press, 2nd Ed. 2009).While It Is Extremely Difficult To Isolate Causations Of Climate Change Considering Natural Variables, Nevertheless The Reasons For Thinking Recent Changes In Climatic And Weather Patterns Are "Anthropogenic" In Origin Are Compelling.
- ¹⁴⁰ see note 136
- ¹⁴¹ *ative Village of Kivalina v ExxonMobil Corp. et al.*, 663 ESupp.2d 863, 2009 WL 3326113 (ND Cal. 2009). See A. E. Breakfield, *Political Cases or Political Questions: The Justiciability of Public Nuisance Climate Change Litigation and the Impact on Native Village of Kivalina v ExxonMobil* (2011) 17 *Hastings West-North-west Journal of Environmental Law and Policy* 39.
- ¹⁴² K. Seneviratne, 'Tiny Tuvalu Steps up Threat to Sue Australia, US' *Inter Press Service* (5 September 2002); A. Ielemia, 'A Threat to our Human Rights: Tuvalu's Perspective on Climate Change' (2007) 44 *UN Chronicle* 18.
- ¹⁴³ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 12, The Right to Adequate Food, U.N. Doc. E/C. 12/1999/5 (May 12, 1999).

სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები ეროვნულ და საერთაშორისო სამართალსა და პრაქტიკაში

1. შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოწვეული მიგრაცია აქტიური განხილვის საგნად იქცა მთელს მსოფლიოში. სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებულ პირებს სხვადასხვა სახელს უწოდებენ – „ეკო-მიგრანტები“, „სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებული პირები“, „გარემოს მიგრანტები“¹, „კლიმატის მიგრანტები“², და ა.შ.

არსებობს მოსაზრება, რომ 2050 წლისათვის კლიმატის ცვლილებით შედეგად 200 მილიონი ან მეტი მიგრანტი იქნება მსოფლიოში³. 2011 წლის მონაცემით⁴ მსოფლიოში 26.4 მილიონი ადამიანი იყო გადაადგილებული სტიქიური უბედურებების შედეგად – 2008 წელს 36.1 მილიონი ადამიანი, 2009 წელს 16.7 მილიონი ადამიანი, 2010 წელს – 42.3 მილიონი ადამიანი და 2011 წელს – 14.9 მილიონი ადამიანი. შედარებისთვის 2011 წელს 3.5 მილიონი ადამიანი იყო იძულებით გადაადგილებული მსოფლიოში კონფლიქტისა და ძალადობის გამო.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების (შემდგომში იგპ) ცნების და პრობლემის შესწავლა. პირველ თავში მიმოვიხილავთ საერთაშორისო დოკუმენტებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილებას და ქვეყნების პრაქტიკას. აგრეთვე მოკლედ მიმოვიხილავთ განსხვავებას სტიქიური მოვლენების/კატასტროფების შედეგად დევნილ პირებსა და ლტოლვილებს შორის, თუმცა ეკო-ლტოლვილებს თემა იმდენად ვრცელია,

რომ მას ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევეხებით. მეორე თავში მიმოვიხილავთ საქართველოში არსებულ კანონმდებლობას და პრაქტიკას; აგრეთვე მოვიყვანთ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშს – სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ბუნებრივი კატასტროფები შემდეგნაირია: ბიოლოგიური, კლიმატთან დაკავშირებული და გეოფიზიკური. კატასტროფების ეპიდემიოლოგიის კვლევის ცენტრი „კატასტროფას“ განმარტავს თუ მოხდა ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი:

- ათი ან მეტი ადამიანი დაიღუპა;
- შეეხო ას ან მეტ ადამიანს;
- გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა
- მოთხოვნილ იქნა საერთაშორისო დახმარება

ამ ნაშრომში მოყვანილი სტატისტიკა ამ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გადაადგილებულ პირებს შეეხება, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს რომ არ არსებობს სტატისტიკა იმ პირთა გადაადგილებაზე, ვინც საცხოვრებელი დატოვა არა უეცარი სტიქიური უბედურების გამო, არამედ დროთა განმავლობაში წყლის დონის ვარდნის, ცხოველთა ან ფრინველთა მიგრაციის შეცვლის, მიწის მოსავლიანობის დავარდნის და სხვა მოვლენათა გამო, რომლებიც ნელ-ნელა ცვლიდა გარემო პირობებს.

უნდა ითქვას რომ საერთაშორისო დონეზეც არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაავალდებულებ-

და სახელმწიფოებს სტიქიური უბედურებით დაზარალებულ პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფას. 1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა. დოკუმენტი განსაზღვრავს იგპ-ს ცნებას, რომელიც მათ შორის მოიცავს „სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს“. რამდენიმე ქვეყანამ ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავა, მაგალითად ბურუნდი, კოლუმბია, ფილიპინები, შრი ლანკა. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სახელმწიფო პრინციპების მიხედვით აგებს იგპ კანონმდებლობას, მაგრამ იგპ-თა სტატუსს არ ანიჭებს სტიქიური მოვლენების შედეგად ადგილმონაცვლე პირებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფების შესახებ საკმაოდ მცირეა, ამიტომ რთულია იმსჯელო სასამართლოს ერთიან მიდგომაზე სტიქიური კატასტროფების შედეგად დაზარალებულ ან გადაადგილებულ პირთა საკითხებზე. სასამართლომ ამ სფეროში სულ ოთხი საქმე განიხილა, აქედან ორი საშიშ საქმიანობას ეხებოდა და ორი ბუნებრივ კატასტროფებს.

საქართველოში, მისი გეორგაფიული და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირად ხდება სტიქიური კატასტროფები, და ადგილობრივი მაცხოვრებლები იძულებულნი ხდებიან დატოვონ საცხოვრებელი ადგილი: ზინადება მათი უძრავი ქონება, სახნავ-სათესები, ილუპებიან შინაური ცხოველები. ადგილობრივი მთავრობა ცდილობს გაუწიოს მათ დახმარება, თუმცა არ არსებობს ამ საკითხისადმი უნიფიცირებული მიდგომა. სახალხო დამცველის მონაცემებით დღეისათვის საქართველოში 35 204 სტიქიით დაზარალებული ოჯახია⁵. თუმცა იძულებით გადაადგილებულ პირთა მონიტორინგის ცენტრის (Internal Displacement Monitoring Center – IDMC) ინფორმაციით⁶, სადაც შეკრებილია ინფორმაცია მსოფლიოს მასშტაბით იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ 2012 წლის მარტის ინფორმაციის თანახმად 2011 წლის დასაწყისისთვის

ბუნებრივი კატასტროფების – წყალდიდობების, მენყერების და მიწისძვრების – შედეგად საქართველოში ადგილმონაცვლე იყო 116 000 ადამიანი (საქართველოს მთავრობა, 2011 წლის 18 იანვარი). ცნობილი არ არის ბუნებრივი კატასტროფების შედეგად რომელიმე ადგილმონაცვლე პირი იყო თუ არა იმავდროულად (1990 ან 2008 წლების) კონფლიქტის შედეგად დევნილი⁷.

საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს ეკომიგრანტთა ცნებას და კატეგორიას, საქართველოს კანონში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ არ არიან ნახსენები პირები, რომლებმაც სტიქიური მოვლენების ან კატასტროფების გამო დატოვეს საცხოვრებელი ადგილი.

2013 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“. ახალ კანონპროექტში არ არის ნახსენები სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებული პირები.

საქართველოს სახალხო დამცველი 2010 წლიდან ამახვილებდა ამ საკითხისადმი ყურადღებას საპარლამენტო ანგარიშებში, ხოლო 2013 წელს გამოუშვა სპეციალური ანგარიში⁸, რომელშიც აღინიშნა, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისადმი არსებულ მიდგომასა და პრაქტიკაში არსებობს პრობლემები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებასა და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა, კონკრეტული სტიქიური უბედურებების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა წლების განმავლობაში იღებდა ზომებს რათა დახმარებოდა დაზარალებულ მოსახლეობას, ფინანსურად დახმარებოდა მათ ან დროებით ჩაესახლებინა სადმე.

2013 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 779 ბრძანება⁹ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი

კომისიის შექმნის შესახებ. ბრძანება ნამდვილად დადებითი ინიციატივაა, რადგან აკონკრეტებს სტიქიური კატასტროფებით დაზარალებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების გადაცემის კრიტერიუმებს, ადგენს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის განსახლებისა და საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემის წესს, რაც ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად უდგათ დღეისთვის ეკომიგრანტებს.

შემდეგ თავში განვიხილავთ საერთაშორისო დოკუმენტებს და სხვა ქვეყნების პრაქტიკას, რომელიც სასურველია დაინერგოს საქართველოშიც.

2. საერთაშორისო საგარეო და პრაქტიკა

ტერმინი „ეკომიგრანტი“ დამკვიდრდა 1970-იან წლებში, როდესაც დაიწყო საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება. ტერმინი გამოიყენა ლესეტ ბრაუნმა „World Watch Institute“-დან¹⁰. ეკოლოგიური კატასტროფების და ცვლილებების გამო ადგილმონაცვლე პირთა განმარტება სავალდებულო იურიდიული ძალი მქონე დოკუმენტებში არ არსებობს, თუმცა ქვემოთ მოვიყვანთ იმ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც სახელმძღვანელო ქვეყნების მთავრობებისთვის ამ სფეროში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასეთ ადგილმონაცვლე პირთა შორის განიხილავს როგორც ბუნების მიერ გამოწვეული სტიქიური კატასტროფის გამო ადგილმონაცვლე პირებს, აგრეთვე მთავრობის ან ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო ადგილმონაცვლე პირებსაც.

2.1. საერთაშორისო დოკუმენტები

საერთაშორისო დონეზე დღეისათვის არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაავალდებულებდა ქვეყნებს სტიქიური უბედურებით დაზარალებულ პირთა – ეკო-მიგრანტთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფას.

1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო „გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“¹¹, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა. დოკუმენტი განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებული პირის (იგპ-ს) ცნებას – „იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თვითნებური ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.“

„პრინციპები“ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. იგი სახელმძღვანელო სახელმწიფოსთვის, სადაც წამოიჭრა იძულებითი გადაადგილების პრობლემა და გაეროს რეკომენდაციით რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და გამოყენებული. რამდენიმე ქვეყანამ პრინციპები თავის კანონმდებლობაში ჩართო – კოლუმბია, უგანდა, შრი ლანკა და ინდონეზია¹².

იგპ-ების საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, თანასწორობის საფუძველზე უნდასარგებლობდნენ იგივე უფლებებით და თავისუფლებებით, რითაც სარგებლობენ სხვა პირები თავიანთ ქვეყანაში. მათ არ უნდა განიცადონ რაიმე სახის დისკრიმინაცია მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებაში, იმ მიზეზით, რომ ისინი იძულებით არიან გადაადგილებულნი.

და რადგან ამ პირთა დეფინიციაში სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებიც მოიზრებიან, შესაბამისად გაეროს თვალთახედვით სახელმწიფოს აქვს ეკო-მიგრანტების მიმართ ვადლებულებები – მაგალითად სამედიცინო დახმარება (პრინციპი 19), გახადოს ისინი კანონის წინაშე აღიარებული სუბიექტი (პრინციპი 20) ანუ მიანიჭოს მათ იგპ-ს სტატუსი, ჰუმანიტარული დახმარება (პრინციპი 25), განათლება (პრინციპი 23), და რაც მთავარია, ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აქვთ უპირველ-

სი მოვალეობა და პასუხისმგებლობა, შექმნან პირობები, ისევე როგორც უზრუნველყონ საშუალება, რაც შესაძლებლობას მისცემს იგპებს დაბრუნდნენ თავისი ნებით, უსაფრთხოდ და ღირსეულად თავიანთ სახლებში ან საცხოვრებელ ადგილებში, ან ნებაყოფლობით ხელახლა განსახლებულ იქნენ ქვეყნის სხვა ნაწილში. შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ და გაადვილონ დაბრუნებულ ან განსახლებულ იგპ-თა რეინტეგრაციას (პრინციპი 28).

ვოლტერ კალინი, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებში მის ნაშრომში „რეაგირება იძულებით გადაადგილებაზე: ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო“¹³, მიუთითებს, რომ იძულებით გადაადგილებულთა მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობა მოითხოვს პრობლემის მოგვარებას მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. უდავოდ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იძულებით გადაადგილებულთა ისეთ საჭიროებებს, როგორცაა – საკვები, სასმელი წყალი, თავშესაფარი, სამედიცინო მომსახურება და სხვა ძირითადი ჰუმანიტარული დახმარება. თუმცა ეროვნული რეაგირებისთვის საჭიროა, და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია, ინტეგრირებულ მიდგომებზე, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც დაცვის, ისე დახმარების ასპექტებს. ეს ეხება ისეთი სტიქიური უბედურებების შემთხვევებსაც, როდესაც აშკარაა მატერიალური დახმარების საჭიროება, მაგრამ დაცვის სერიოზული საკითხები მაინც წარმოიშობა. უფრო მეტიც, დაცვაში იგულისხმება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების მთელი წყება, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები.

2.2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

2006 წელს ევროპის საბჭომ გამოსცა „სახელმძღვანელო: ადამიანის უფლებები და გარემო“¹⁴ სადაც აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს ქვეყნებისგან აიღონ პოზიტიური ვალდებულება რათა თავიდან აიცილონ სტიქიური უბედურებების დროს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევები, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი

კატასტროფები ვერ კონტროლდება ადამიანის მიერ, განსხვავებით იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოები ვადებულნი არიან სახიფათო საქმიანობების დროს გაატარონ შესაბამისი გაფრთხილებისა და თავდაცვის მექანიზმები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში – ევროპული სასამართლო) განიხილავს სტიქიური უბედურებების დროს ადამიანის უფლებათა კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევის შესაძლებლობას:

სიცოცხლის უფლება – სიცოცხლის უფლება დაცულია კონვენციის მეორე მუხლით. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სიცოცხლის უფლების დარღვევა საფრთხის შემცველი საქმიანობებისა ან ბუნებრივი კატასტროფების დროს. ამისათვის სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ შესაბამისი საკანდონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციები.

მეორე მუხლი არ ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც სიცოცხლის მოსპობა მოხდა სახელმწიფო აგენტების პირდაპირ ქმედებების შედეგად, არამედ აკისრებს სახელმწიფოებს პოზიტიური ვალდებულებას გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა დაიცვას იმ ადამიანთა სიცოცხლე, რომლებიც იმყოფებიან ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში. ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რათა აგრეთვე დაიცვას ადამიანების სიცოცხლე, როდესაც მათ სიცოცხლეს ემუქრება სხვა (კერძო) პირ(ებ)ი ან საქმიანობა, რომელიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული სახელმწიფოს საქმიანობასთან. თეორიულად მეორე მუხლის დარღვევა შეიძლება იმ შემთხვევებშიც ხდებოდეს, როდესაც არ მოხდა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, მაგრამ იქნა გამოყენებული პოტენციურად საშიში ზომა (მაგალითად მაკარათის საბერძნეთის წინააღმდეგ საქმეში¹⁵, როდესაც პოლიციელებმა ბ-ნ ქრისტოს მაკარათის დაკავება სცადს როდესაც მან შუქნიშნის წითელ ფერზე გაიარა და მოხდა გადაჭარბებული ძალის გამოყენება, სასამართლომ დაადგინა მეორე მუხლის დარღვევა).

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება – გარემოს დეგრა-

დაცია აპრიორად არ ნიშნავს მერვე მუხლის დარღვევას, რადგან არ შეიცავს გარემოს დაცვის ან ბუნების კონსერვაციის ვალდებულებას, თუმცა უნდა იქნეს გაანალიზებული პირდაპირი კავშირი კატასტროფასა და მთავრობის (ან კერძო სექტორის) მიერ გატარებული საქმიანობას შორის – ანუ კატასტროფა ხომ არ მოხდა მთავრობის ან კერძო სექტორის მიერ ჩატარებული საქმიანობის გამო.

ქონების დაცვა¹⁶ – (საკუთრების უფლება) პირებს აქვთ საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, და არ უნდა ხდებოდეს მათი ქონების უკანონოდ ჩამორთმევა. მთავრობას აქვს უფლება აკონტროლოს ქონების მოხმარება ზოგადი ინტერესებიდან გამომდინარე. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონტექსტში გარემო ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ჩამოაყალიბოს გარემოს კონკრეტული სტანდარტები, და შეძლებისდაგვარად გაატაროს პოზიტიური ნაბიჯები, რათა დაიცვას ეს სტანდარტები. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ქონების უფლება საშიში საქმიანობის განხორციელებისას და იშვიათ შემთხვევებში, ბუნებრივი კატასტროფების დროს.

ინფორმაცია და კომუნიკაცია – ინფორმაციის მიღების უფლება დაცულია კონვენციის მეათე მუხლის მიერ – გამოხატვის თავისუფლება. სასამართლო მიიჩნევს, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გარემოს საკითხებზე ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო. მთავრობის მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის არ გამჟღავნება უნდა იყოს რეგულირებული კანონმდებლობით და ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს. კონვენციის მეორე და მერვე მუხლები¹⁷ აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის. სასამართლო მიიჩნევს რომ კონვენციის მეორე მუხლის შესაბამისად სახელმწიფოები ვალდებული არიან მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია სიცოცხლისთვის საშიშ საგანგებო შემთხვევებზე, მათ შორის სტიქიური უბედურებების შემთხვევებზე.

სამართლიანი სასამართლოს უფლება – გარემო პირობების შედეგად დაზარალებულ პირებს აქვთ სასამართლოსთვის მიმართვის და სამართლიანი სასამართლოს უფლება. გარდა ამისა, მე-13 მუხლის უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნულ დონეზე იმ პირისათვის, ვისაც აქვს დასაბუთებული პრეტენზია, რომ მისი კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები დაირღვა.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებაში მეორე მუხლის დარღვევის გამო საკმაოდ მწირია. სასამართლომ ამ სფეროში სულ ოთხი საქმე განიხილა, აქედან ორი საშიშ საქმიანობას ეხებოდა და ორი ბუნებრივი კატასტროფებს. რადგანაც სულ რამდენიმე საქმეა, გამოკალისის სახით მათ შინაარსობრივ მხარესაც გაგაცნობთ:

2008 წელს ევროპულმა სამსამართლომ განიხილა ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Budayeva and Others v. Russia*)¹⁸, სადაც მოსარჩელე აცხადებდა კონვენციის მეორე და მეცამეტე მუხლების და კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. მოსარჩელე ცხოვრობდა ქალაქ ტირნაუზში (რუსეთი), სადაც ხშირია მენყერები. 2000 წელს ერთი კვირის განმავლობაში იყო ძლიერი მენყერი, რასაც მინიმუმ 7 ადამიანის სიკვდილი მოყვა, მათ შორის მოსარჩელეს მეუღლის; აგრეთვე დაზიანება მიიღეს ოჯახის სხვა წევრებმა. ადგილობრივმა მთავრობამ ოჯახები დააკმაყოფილა ახალი საცხოვრისით და მისცა მცირე თანხა პირველად საჭიროებებზე, მაგრამ არ დაინყო გამოძიება დაღუპვის ფაქტებზე. დაზარალებულებმა მიმართეს ადგილობრივ სასამართლოს სამოქალაქო წესით კომპენსაციის მისაღებად, მაგრამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან მთავრობა აცხადებდა, რომ წინასწარ გააფრთხილა მოსახლეობა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რომ მოხდა მეორე მუხლის დაღვევა სიცოცხლის დაცვის უფლების ნაწილსა და პროცედურულ ნაწილში, რადგან არ მოხდა შესაბამისი სასამართლო განხილვა; არ დადგინდა კონვენციის მე-13 და მე-8 და ოქმის პირველი მუხლის დარღვევა. კონვენციის 44-ე მუხლის

შესაბამისად სახელმწიფოს დაევალა გადაეხადა 30,000 ევრო პირველი მოსარჩელესთვის, 15,000 ევრო მეორე მოსარჩელესთვის და 10,000 ევრო მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მოსარჩელეებისთვის.

2006 წელს ევროპულმა სასამართლომ განიხილა მურილო სალდიას და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (*Murillo Saldias and Others v. Spain*)¹⁹. 1996 წლის აგვისტოში ესპანეთის პირინეებში გადაუღებელი წვიმების გამო 87 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის პირველი მოსარჩელის ოჯახის წევრები. დანარჩენი მოსარჩელები დაზარალებულნი ბანაკში ცხოვრებისას. ბანაკი იმყოფებოდა მდინარის პირას და მისი აშენებისას შესაბამისმა უწყებამ ორჯერ გამოსცა რეკომენდაცია, რომ ბანაკის ადგილმდებარეობა საკამოდ საშიში იყო მდინარის პირას ყოფნის გამო და მისი სხვა ადგილას გადატანა სჯობდა. მშენებლობის უფლება მაინც გაიცა და ჩატარდა გასამაგრებელი სამუშაოები წყალდიდობის რისკის თავიდან ასაცილებლად. 1996 წელს წყალდიდობა მოხდა და ადამიანები დაიღუპნენ და დაზარალებულნი. დაიწყო გამოძიება, რომელმაც არ დაადგინა თანამდებობრივი გულგრილობა და არ დააკმაყოფილა სარჩელი. გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემოთ ინსტანციაში. ამასთანავე სასამართლომ დაადგინა 210,354.24 ევროს გადახდა თითოეულ დაღუპულ ნათესავზე და 9,200 ევრო მათი დასაფლავების ხარჯებისთვის. მოსარჩელემ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის თაობაზე. სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად სცნო, რადგან არ იყო ამონაწერი ეროვნული სამართალწარმოების საშუალებები, და აგრეთვე განაცხადა, რომ კომპენსაციის თანხა საკამოდ გონივრული იყო.

2004 წელს ევროპულმა სასამართლომ განიხილა ონერილდიზ თურქეთის წინააღმდეგ (*Öneryildiz v. Turkey*)²⁰, მოსარჩელეს სახლი მდებარეობდა დაკონსერვებული ნავსაყრელის ახლოს. 1993 წლის 28 აპრილს მოხდა მეტანის აფეთქება, რის შედეგადაც ნავის ნარჩენებმა დააზიანა სახლები, მათ შორის მოსარჩელეს სახლი; 39 ადამიანი დაიღუპა კატასტროფის შედეგად. დაიწყო გამოძიება, რის შედეგადაც დადგინდა ადგილობრივი მთავრობის, მერიის და გარემოს

დაცვის სამინისტროს ბრალი, რადგან მათ ვერ უზრუნველყვეს ნარჩენების შესაბამისი შენახვა და გასცეს უფლება დაწყებულიყო მშენებლობა საშიშ ადგილას. აგრეთვე დადგინდა იქ მაცხოვრებელთა ბრალი, რადგან ისინი დასახლდნენ საფრთხის შემცველ ადგილას, თუმცა 2003 წელს მაცხოვრებელთა ბრალზე გამოძიება შეწყდა. მოსარჩელემ მოითხოვა 2077 ევრო არამატერიალური და 208 ევრო მატერიალური ზიანისთვის, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. მოსარჩელემ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და სარჩელს საფუძვლად დაუდო კონვენციის მე-2, მე-6, 8-ე, 13-ე, 41-ე და ოქმის პირველი მუხლების დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის არსობრივი და პროცედურული დარღვევა, მე-8 და ოქმის პირველი მუხლების დარღვევა, არ დაადგინა მე-6 და 13-ე მუხლების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ იყო ერთსულოვანი თავის გადაწყვეტილებაში.

აგრეთვე სასამართლომ განიხილა 2002 წელს ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Burdov v. Russia*)²¹. ბურდოვი მონაწილეობდა ჩერნობილის ავარიის შედეგების ლიკვიდირებისთვის სპეციალურ ოპერაციებში, რის შედეგადაც მან მიიღო დასხივება. თავიდან დაენიშნა კომპენსაცია, მაგრამ თანხების უკმარისობის გამო მას საბოლოოდ არ მისცეს ეს თანხა. მან სარჩელს საფუძვლად დაუდო კონვენციის მეექვსე მუხლი და ოქმის პირველი მუხლი. სასამართლომ დაადგინა რომ რუსეთის მთავრობას უნდა გადაეხადა ბურდოვისთვის კომპენსაცია. რუსეთის მთავრობა დაპირდა ბურდოვს თანხის გადახდას და საქმე საზედამხედველოდ გადაეცა მინისტრთა კომიტეტს. წლების განმავლობაში რუსეთის მთავრობა აკეთებდა თანხის ინდექსაციას, უშვებდა შეცდომებს თანხის დაანგარიშებაში, აგვიანებდა ან საერთოდ არ იხდიდა თანხას. საბოლოოდ 2009 წლის 15 იანვარს სასამართლომ დაადგინა²² კონვენციის მეექვსე და ოქმის პირველი მუხლების დარღვევა და დაავალა რუსეთის მთავრობას ბურდოვისთვის 6,000 ევროს გადახდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბუდავეას და ონერილდიზ საქმეებში დაადგინა კონვენციის მეორე მუხლის დარღვევა. სალდიასის საქმეში სასამართ-

ლომ დაუშვებლად სცნო სარჩელი, რადგან ბოლომდე არ იყო ამონაწერი მართლმსაჯულების მიღწევის საშუალებები ეროვნულ დონეზე, და არა იმიტომ, რომ ვერ დაინახა კონვენციის მეორე მუხლის დარღვევა. დღეისათვის საკმაოდ რთულია იმსჯელო სასამართლოს ერთიან მიდგომაზე სტიქიური კატასტროფების შედეგად დაზარალებულ ან გადაადგილებულ პირთა საკითხებზე, თუმცა ონერილდის საქმეში დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები რათა არ დააყენოს რისკის ქვეშ მოქალაქეების სიცოცხლე – არსებობს შესაბამისი სტანდარტები (მაგალითად სამშენებლო, ნარჩენების შენახვის, მშენებლობის უფლების გაცემის), რომლებიც სახელმწიფომ უნდა დანერგოს და აღასრულოს. ისიც საინტერესოა, რომ ბუდაევას საქმეში სასამართლომ არ გაიზიარა რუსეთის მთავრობის და სასამართლოს მიდგომა, რომ მათ წინასწარ გააფრთხილეს ოჯახები მენჯერის საშიშროების შესახებ და შესაბამისად სახელმწიფოს მათთვის არ უნდა მიეცა კომპენსაცია. ბუდაევას საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება დაიცვას მოქალაქის საკუთრება და სასამართლომ დაინახა მიზეზობრივი კავშირი ადამიანის სიცოცხლის მოსპობასა და სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დაუდევრობას შორის, რაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევაა საფრთხის შემცველი საქმიანობის ქრილში.

2011 წელს „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა დიალოგში“²³ გაეროს უმაღლესმა კომისარმა ლტოლვილთა საკითხებზე ანტიონიო გუტერესმა განაცხადა, რომ 2010 წელს 2 მილიონი იგპ იყო ევროპაში და 27 მილიონი იგპ მთელს მსოფლიოში. გაეროს ლტოლვილთა სააგენტო აქტიურად მუშაობს კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული პირების საკითხებზე და ბოლო დროს დაიწყო მუშაობა სტიქიური უბედურებების გამო გადაადგილებული პირების საკითხებზეც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე განიხილა რამდენიმე საქმე, რომლებიც შეეხებოდა იგპ-ს, თუმცა მათი რიცხვი შეიძლება გაზიარდოს, ევროპაში იძულებით გადაადგილების გაქიანურებული ხასიათისა და იგპ-თა ზრდადი იმედგაცრუების გამო.

2.3. საერთაშორისო პრაქტიკა

ბოლო რამდენიმე წელია მეცნიერები ალაპარაკდნენ კლიმატის ცვლილებას, სტიქიური უბედურებას და მიგრაციის შორის კავშირზე. სტიქიური მოვლენების გამო ადგილის შეცვლა ახალი არ არის – საუკუნეების მანძილზე გარემოს და კლიმატის შეცვლის გამო მოსახლეობა გადაადგილდებოდა უკეთესი კლიმატური პირობების, მინის თუ მოსავლის მიღების გამო. ახლა მოსახლეობა სტიქიური მოვლენების გამო ან ქვეყნის საზღვრებს შიგნით გადაადგილდება ან საზღვრის გადაკვეთა უწევს. ქვეყნის შიგნით სახელმწიფოს ვალდებულებაა დაიცვას მათი უფლებები, ხოლო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, მიმღები ქვეყნის კანონმდებლობაზე და კეთილ ნებაზე დამოკიდებული რა მიდგომა იქნება ე.წ. ეკოლოგიური.

როგორც ზემოთ ავლინებთ, ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტი ამ სფეროში გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებია, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. თვითონ ქვეყანაზე დამოკიდებული რა სახის კანონმდებლობას შეიმუშავებს სტიქიური მოვლენების გამო იგპ-თა დასახმარებლად. ზოგიერთმა სახელმწიფომ ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავა, მაგალითად ბურუნდი, კოლუმბია, ფილიპინები, შრი ლანკა. აშშ-მ პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავა იგპ-თა დახმარების დოკუმენტი, პერუმ პრინციპებზე დაყრდნობით იგპ-თა მატერიალური დახმარების კანონი შეიმუშავა, კოლუმბიაში პრინციპები გამოყენებული იყო საკონსტრუქციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველად. თუმცა სახელმწიფოები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში გაეროს ამ პრინციპებს ეყრდნობიან, ზოგჯერ იგპ-თა სტატუსს არ ანიჭებენ სტიქიური მოვლენების შედეგად ადგილმონაცვლე პირებს.

2010 წელს უეცარი სტიქიური უბედურების შედეგად 42 მილიონი ადამიანი გახდა მიგრანტი. აქედან 38 მილიონი ადამიანი გადაადგილდა კლიმატის ცვლილებასთან ასოცირებული კატასტროფების გამო (ძირითადად დატბორვა და შტორმი). ასეთი დიდი ციფრი გამოწვეული იყო უჩვეულოდ ძლიერი დატბორვით ჩინეთში (15 მილიონი ადამი-

ანი გახდა იგპ) და პაკისტანში (11 მილიონი ადამიანი გახდა იგპ), აგრეთვე მინისძვრა ჩილეში, იაპონიასა და ჰაიტიში. თითოეულ ამ კატასტროფაზე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან იყო ჰუმანიტარული რეაგირება, მაგრამ სახელმწიფოს უნდა უზურველყო საარსებო, საბინაო, სამედიცინო და სხვა სახის ზოგადი მომსახურება, და აგრეთვე განეხორციელებინა რეაბილიტაციის და რეკონსტრუქციის ძალისხმევა²⁴.

2012 წელს 32.4 მილიონი ადამიანი გახდა მიგრანტი ბუნებრივი კატასტროფების გამო. ორი უდიდესი კატასტროფა 2012 წელს იყო დატობორვა, რომლის შედეგადაც 6.9 მილიონი ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი ადგილი ნიგერიაში და 6.1 მილიონმა ადამიანმა ინდოეთში²⁵. საინტერესოა, რომ 2012 წელს სტიქიური კატასტროფები განვითარებულ ქვეყნებშიც მოხდა – ქარიშხალი „სენდი“ ნიუ იორკში და ნიუ ჯერსიში (აშშ) (თუმცა მან ჰაიტისაც გადაუარა), დატობორვა ავსტრალიაში, მინისძვრა ლაქვილაში იტალიაში და ფუკუსიმას გარშემო მცხოვრები მოსახლეობის დაბრუნების პრობლემები.

საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება ძირითადად სტიქიური მოვლენებისგან დაზარალებულ მოსახლეობას ყველაზე ხშირად ნაკლებ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში სჭირდებათ²⁶. ეკომიგრანტები ასეთ ქვეყნებში ხვდებიან სპეციალურ ბანაკებში ან კოლექტიურ ცენტრებში, სადაც ძირითადად არის ცუდი სანიტარული პირობები, საკვების უკმარისობა, მათი ჯანმრთელობა ზიანდება, და დიდი ხანი სჭირდება მათ სხვა რეგიონში გადასახლებას ან მათი დაზიანებული საცხოვრებლის აღდგენას და იქ დაბრუნებას. იმ შემთხვევაში თუ მათი სხვა რეგიონში გადასახლება ხდება, დიდი ხანი სჭირდება მათ ადაპტაციას.

2010 წლის ჰაიტის მინისძვრის შედეგად 300 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა და 1.5 მილიონი ადამიანი გახდა იგპ. მოსალოდნელი იყო ემიგრაციის დიდი ტალღა, მაგრამ გაეროს ინფორმაციით ეს არ მოხდა, ძირითადად იმიტომ, რომ ჰაიტელებს არ ქონდათ საშუალება და რესურსები დაეწყათ ძვირის და გრძელი მოგზაურობა. თუმცა 2011 წელს IOM აცხადებდა რომ 810 ათასი ადამიანი კვლავ იგპ არის ქვეყნის ფარგლებს შიგნით. 2013 წლის დეკემბერში გაეროს ჰუმანი-

ტარულმა კოორდინატორმა ჰაიტიში პიტერ დე კლერგმა განაცხადა, რომ ჰაიტის მთავრობამ, არასამათავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო საზოგადოებამ ძალიან დიდ პროგრესს მიაღწიეს, თუმცა დაახლოებით 817 ათასი ჰაიტელს კვლავ ესაჭიროება ჰუმანიტარული დახმარება. ბევრ მათგანს არ აქვს საკვები, ჯერ კიდევ ცხოვრობს მძიმე პირობებში დარჩენილ 300 ბანაკში, საიდანაც შეიძლება მათი იძულებით გამოსახლება მოხდეს, და არის ქოლერის დაავადების მაღალი რისკის ქვეშ²⁷.

მოკლედ მიმოვიხილოთ 2012 წელს მომხდარ რამდენიმე მთავარი კატასტროფის პრაქტიკა და ვნახოთ რა საერთო ან განსხვავებული აქვთ მათ²⁸:

ქარიშხალი „სენდი“ ნიუ იორკში, აშშ: 2012 წლის ოქტომბერში „სენდი“ თავს დაატყდა ნიუ იორკს და ნიუ ჯერსის. ქარიშხლის შემდეგ პირველ კვირაში ინფორმაციით ასობით ათასი ადამიანი იყო ევაკუირებული, მათი ნაწილი სახლებში დაბრუნდა, თუმცა 10,000-40,000 ადამიანი 2013 წლის მაისის ინფორმაციით კვლავ უსახლკაროდ იყო დარჩენილი. უნდა ითქვას, რომ მთავრობამ ვერ უზრუნველყო ევაკუირებული მოსახლეობა ადეკვატური საცხოვრებლით, თავშესაფრები გადაჭედელი იყო. ქარიშხლის შედეგად გამოჩინდა, რომ მჭიდროდ დასახლებულ ნიუ იორკში ძალიან რთულია ევაკუირებულთათვის საცხოვრებლის მონახვა და აგრეთვე ადგილობრივი მთავრობა არ არის მომზადებული მსგავსი მოვლენებისთვის. ქარიშხლის შემდეგ ის ადამიანები, ვისი სახლებიც დაზიანებული იყო და ვერ ახერხებდნენ სახლში დაბრუნებას, მთავრობამ გაანაწილა ტრაილერებში და სასტუმროებში, თუმცა ბევრი მათგანი ნათესავებთან ან ახლობლებთან იყო გაჩერებული. მთლიანობაში სასწარფოდ შექმნილმა ფედერალურმა სასწრაფო მართვის სააგენტომ (Federal Emergency Management Agency FEMA) 250,000 ოჯახს გადაუხადა 370 მილიონი აშშ დოლარი თანხა დაზიანებული სახლის შესაკეთებლად ან დროებითი საცხოვრებლის საპოვნელად. საბოლოო შეფასებით ქარიშხლმა ყველაზე დიდი უარყოფითი გავლენა ნიუ იორკის დაბალ-შემოსავლიან, გაჭირვებულ ფენაზე იქონია – ბევრმა მათგანმა უარი თქვა ევაკუაციაზე, რადგან შორს უნდა წასულიყვნენ თავისი საცხოვრებლი-

დან და თავშესაფარიდან თავშესაფარში ემოგზაურათ. ქალაქის ტრანსპორტი და მეტრო ქარიშხლის შემდეგ გაჩერდა, ამიტომ მოსახლეობის ნაწილმა ვერ დატოვა დატბორილი და უშუქოდ დარჩენილი ბინები და საკვების და ჯანდაცვის გარეშე დარჩა. ზოგიერთმა მოსახლემ კი სამსახურის დაკარგვის შიშით ვერ დატოვა საცხოვრებელი სახლები, რადგან შეეშინდათ რომ თუ სამუშაოს გააცდენდნენ, სამსახურს დაკარგავდნენ. 2012 წლის ნოემბერში 120,000 ადამიანი მიმართა FEMA-ს განცხადებით რომ მათ დაკარგეს სამსახური ან დაუზიანდათ ბიზნესი. აგრეთვე რადგან მათ არ ქონდათ ქონების დაზღვევა, მათი პირადი ნივთების დაზიანება არ იქნა ანაზღაურებული. სპეციალისტებმა „სენდი“-ს უწოდეს „ნაწილობრივ პოლიტიკური კატასტროფა“, რადგანაც ნიუ იორკში, მიხედვად იმისა რომ გარემოს დამცველებისგან დიდი ხანია ჰქონდათ ინფორმაცია, რომ იყო ქარიშხლების და ზღვის დონის აწევის საშიშროება, არ გატარდა სპეციალური ზომები რისკების თავიდან ასარიდებლად.

ქარიშხალი „სენდი“, ჰაიტიში: სანამ „სენდი“ აშშ-მდე მივიდოდა, მან ჰაიტის დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებს გადაუარა. მთავრობამ დროულად გააფრთხილა მოსახლეობა და მოახდინა მათი ევაკუირება. დაახლოებით 20,000 ადამიანი იყო გადაყვანილი 136 თავშესაფარში. რამდენიმე დღეში მოსახლეობა უკან დაბრუნდა, დაახლოებით 2,000 ადამიანის სახლი იმდენად დაზიანდა, რომ მათ მოუწიათ რამდენიმე თვის განმავლობაში დროებით თავშესაფარში ან ახლობლებთან გაჩერება, სანამ მათი სახლი შეკეთდა. მოსახლეობის ნაწილი არ დაბრუნდა ქარიშხლით დაზიანებულ ადგილებში და ქვეყნის შიგნით სხვა რეგიონში გადავიდა, ხოლო ზოგიერთი ჰაიტის მოქალაქე დომინიკის რესპუბლიკაში გადავიდა საცხოვრებლად. ჰაიტის მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად ნათელია რომ მოსახლეობის დროული გაფრთხილება და ევაკუაცია სპეციალურად ამ მიზნით აშენებულ თავშესაფარებში, წარმატებული სტრატეგიაა.

ტაიფუნი „ბოფა“ ფილიპინებზე – 2012 წლის 4 დეკემბერს ტაიფუნმა „ბოფა“-მ გამოიწვია მენყერი ფილიპინების სამხრეთ ნაწილში. ზოგადად ფილიპინებში სტიქიური კატასტროფები ძალიან ხშირად ხდება, ყვე-

ლაზე ხშირი მათ შორის კი ტაიფუნებია: წლის განმავლობაში ივნისიდან დეკემბრამდე პერიოდში ფილიპინებს დაახლოებით 20 ტაიფუნი ატყდება თავს. ამის გათვალისწინებით, ფილიპინებს აქვთ შემუშავებული სხვადასხვა პოლიტიკა და კანონმდებლობა კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებზე (Disaster Risk Reduction – DRR). 2010 წელს ფილიპინების მთავრობამ მიიღო „ფილიპინების კატასტროფების რისკის შემცირების და მართვის აქტი“²⁹, რომლის მიზანია გატარდეს ქვეყნის კანონმდებლობის და პოლიტიკის რეფორმა კატასტროფის რისკების უკეთესად საპასუხოდ. 2013 წლის თებერვალში ფილიპინებმა მიიღო ახალი კანონები და აქტები იგპ-თა უფლებების დასაცავად. ტაიფუნი „ბოფა“ ძალიან ძლიერი იყო და შედეგად დაიღუპა 1,146 ადამიანი, დაიკარგა 834 ადამიანი და ფიზიკურად დაზიანდა 2,967 ადამიანი, მთლიანობაში კი ტაიფუნის შედეგად 6.2 მილიონი ადამიანი დაზარალდა, ინფრასტრუქტურის დაზიანება 186 მილიონ აშშ დოლარად შეფასდა. 2013 წლის აპრილის თვეში ჯერ კიდევ 11,700 ადამიანი თავშესაფარში ცხოვრობდა და 922 ათასი ადამიანი ვერ ბრუნდებოდა სახლში, თუმცა არ ცხოვრობდა თავშესაფარში. ტაიფუნის გამო მოსახლეობის ნაწილი (განსაკუთრებით მამაკაცები) სხვა რეგიონებში ემიგრირდნენ, რათა ეპოვათ სამუშაო. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპინები მომზადებული იყო ამ სტიქიური მოვლენისთვის, ქონდა შემუშავებული კანონმდებლობა და პოლიტიკა, აღმოჩნდა რომ არ იყო მზად ასეთი სიმძლავრის ტაიფუნისთვის (რის შედეგადაც ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა უსახლკარო და დაზიანდა მთელი მხარის ინფრასტრუქტურა). ფილიპინები განიხილება როგორც ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო სტიქიური მოვლენების საკითხებზე კანონმდებლობის და პოლიტიკის შემუშავების სფეროში და საერთაშორისო თანამეგობრობა ელოდება მისგან ახალ იდეებს ამ პრობლემების გადაწყვეტის შესახებ.

ამას გარდა 2012 წლის განმავლობაში ციკლონმა „ევან“-მა გადაუარა სამოას, ტონგას, ფიჯის, იყო გვალვა ჩრდილოეთ კენიაში, დატბორვა ასამში, 2013 წლის იანვარში დატბორვა მოზამბიკში. ყველგან მთავრობა იღებდა იმ მომენტისთვის საჭირო

გადანყვეტილებებს, და ყველგან სპეციალისტების საერთო რჩევები იყო მოსახლეობის დროული გაფრთხილება და ევაკუაცია, სტიქიური კატასტროფის რისკისთვის წინსაწარ მომზადება – თავშესაფრების აშენება, სტრატეგიების და კანონმდებლობის შემუშავება, კარგი კოორდინაცია, მშენებლობის სტანდარტების დანერგვა, რომლებშიც სტიქიური მოვლენების რისკები იქნება გათვალისწინებული, ა.შ. თუმცა ისიც უნდა ითქვას რომ პირადი ნივთების და ქონების დაზღვევაზე ძირითადად მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში საუბრობენ.

2013 წლის მარტში ბრუქინგსის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ანგარიში „განმეორებითი კატასტროფების წელი: 2012 წლის ბუნებრივი კატასტროფების მიმოხილვა“³⁰. პირველი მახასიათებელი რაც ყველა ამ ბუნებრივ კატასტროფას აქვს, არის ადამიანთა იძულებით გადაადგილება სტიქიით დაზარალებული რეგიონიდან. მეორე მახასიათებელი არის მთავრობის მიერ ხალხის დახმარების მოლოდინი, მიუხედავად იმისა რომ აშშ-ს ქარიშხლით დაზარალებულ მოსახლეობას და პაკისტანის დატბორვისგან დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა მოლოდინი აქვთ მთავრობის მხრიდან ქმედებებზე, ყველა შემთხვევაში ძალიან ბევრია დამოკიდებული მთავრობის მზადყოფნასა და მოქმედებაზე უპასუხოს გამოწვევებს და დაეხმაროს დაზარალებულ მოსახლეობას. ავტორები აგრეთვე ხაზს უსვამენ რომ ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო დახმარებასაკამოდ წელა აღწევს დაზარალებულ მოსახლეობამდე, რაც შეიძლება გამოსწორდეს თუ ადგილობრივი მთავრობიდან დროული გაფრთხილება მოხდება და ამასთან გათვალისწინებული იქნება წინა გამოცდილება. აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ იქნეს დანახული ბუნებრივი კატასტროფების რისკები და გატარდეს ქმედებები, რათა მათი თავიდან აცილება ან დროული რეაგირება მოხდეს.

2012 წლის მაისში ბიშკეკში ჰუმანიტარული საქმეების კოორდინაციის ოფისის³¹ ხელშეწყობით ჩატარდა სამუშაო სემინარი „ბუნებრივი კატასტროფები ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“³², სადაც ითქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში მთავრობების მიდგომა სტიქიური უბედურებების დროს წარმატებული და სწრაფია – სას-

წრაფო სამედიცინო დახმარება, ბანაკებში განთავსება, საკვების და მედიკამენტების მიწოდება, გრძელდავიან პრესპექტივაში – სტატუსის მინიჭება, კომპენსაცია, საკუთრების საკითხები, საცხოვრებელი უზრუნველყოფა – სახელმწიფოების ქმედებები ეფექტური არ არის.

2013 წლის 16 დეკემბერს გაერომ და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა განაცხადეს რომ 2014 წელს 12.9 ბილიონი აშშ დოლარი გამოიყოფა 52 მილიონი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენი დახმარებისთვის 17 ქვეყანაში. თანხის ნახევარზე მეტი დაიხარჯება სირიასა და მის მეზობელ ქვეყნებზე, 791 მილიონი აშშ დოლარი გამოიყოფა 2013 წლის ნოემბერში ფილიპინებზე მომხდარი შტორმის მიერ დაზარალებული მოსახლეობისთვის – 14.1 მილიონი ადამიანი დაზარალდა და 4.1 მილიონი ადამიანი გახდა იგპ³³.

2.4. სტიქიური მოვლენების შედეგად ლტოლვილი პირები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Organization for Migration – IOM) განმარტავს იძულებით მიგრაციას³⁴, როგორც საიმიგრაციო გადაადგილებას, როდესაც არსებობს იძულების ელემენტი, მათ შორის სიცოცხლის და ცხოვრების საშიშროება, რომელიც მათ შორის გამოწვეულია ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფებით (მაგალითად, ლტოლვილთა და იგპ-თა გადაადგილება, აგრეთვე იგპ ბუნებრივი და ეკოლოგიური კატასტროფების, ქიმიური ან ბირთვული კატასტროფების, შიმშილობის ან განვითარების პროექტების გამო). იძულებით გადაადგილებულ პირს IOM განმარტავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად³⁵.

გაეროც და IOM-იც განმარტავს ეკომიგრანტს, როგორც პირს, რომელსაც მოუწია ბუნებრივი კატასტროფის გამო საცხოვრებელი ადგილის დატოვება, მაგრამ ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი. თუმცა, ზოგჯერ სტიქიური უბედურების დროს მოქლაქეებს უწევთ ქვეყნის დატოვება და სხვა ქვეყანაში გადასვლა. თუმცა მაშინ რა ეწოდებათ ამ ადამიანებს – „ეკო-ლტოლვილი“, „კლიმატის

ლტოლვილი“ თუ უბრალოდ „ლტოლვილი“? ამ საკითხზე დიდი დისკუსიაა გამართული ამ სფეროს სპეციალისტებს შორის.

„ლტოლვილს“ გაეროგანმარტავს როგორც „პირს, რომელსაც საფუძვლიანი შიში აქვს, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, იმყოფება იმ ქვეყნის გარეთ, რომლის მოქალაქეც არის, და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს, გამოიყენოს ქვეყნის მფარველობა, ან არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა და აღნიშნული მოვლენების გამო იმყოფება ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს უკან დაბრუნება“³⁶. ამ პირობების ჩამონათვალში სტიქიური უბედურებების შედეგად გადაადგილებული პირები არ მოიზრებიან.

1969 წელს აფრიკული ერთობის ორგანიზაციის კონვენციის³⁷ განმარტავს ლტოლვილს როგორც ნებისმიერ პირს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ქვეყანა გარე აგრესიის, ოკუპაციის, უცხოური ბატონობის ან მოვლენების გამო, რომელიც სერიოზულად არღვევს სააჯარო წესრიგს მათი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის ნაწილში ან მთელ მის ტერიტორიაზე.

ანალოგიურად 1984 წლის კარტახენას დეკლარაციაში რეკომენდირებულია, რომ ლტოლვილთა ცნება აგრეთვე მოიცავდეს პირებს, რომლებმაც დატოვეს თავისი ქვეყანა, რადგანაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას ან თავისუფლებას საფრთხე შეექმნა საყოველთაო ძალადობის, უცხოური აგრესიის, შიდა კონფლიქტების, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ან იმ სხვა გარემოებების გამო, რომლებმაც სერიოზულად დაარღვიეს მასობრივი წესრიგი.

მიუხედავად იმისა, რომ კარტახენას დეკლარაცია სარეკომენდაციოა, იგი გამოხატავს სახელმწიფოთა პოზიციებს ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით. მრავალმა სახელმწიფო ჩართო თითქმის იდენტური ტექსტი ეროვნულ კანონმდებლობაში.

მიუხედავად იმისა რომ ტერმინი სტიქიური უბედურება ან ბუნებრივი კატასტროფა არ არის ნახსენები ამ დოკუმენტებში, თუ გავითვალისწინებთ ლტოლვილის სტა-

ტუსიდან ფრაზებს – „იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ქვეყანა... მოვლენების გამო, რომელიც სერიოზულად არღვევს სააჯარო წესრიგს მათი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის ნაწილში ან მთელ მის ტერიტორიაზე“ ან „რომლებმაც დატოვეს თავისი ქვეყანა, რადგანაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას ან თავისუფლებას საფრთხე შეექმნა ... ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ან იმ სხვა გარემოებების გამო, რომლებმაც სერიოზულად დაარღვიეს მასობრივი წესრიგი“, სტიქიური უბედურების გამო ადგილმონაცვლე პირს შეიძლება მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი და ამ შემთხვევაში მიმღები სახელმწიფო ვალდებულია გაუწიოს მას შესაბამისი დახმარება.

შვედეთსა და ფინეთში ეკომიგრანტები (ეკოლტოლვილები) კანონით არიან დაცულები – შვედეთში ეკომიგრანტები მოხსენიებული არიან როგორც „პირები, რომლებსაც დაცვა სჭირდებათ“, ფინეთის უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის აქტი ბინადრობის უფლებას აძლევს უცხოელს, რომელსაც არ შეუძლია თავის ქვეყანაში დაბრუნება შეირადებული კონფლიქტისა ან სტიქიური უბედურების გამო. აშშ და კანადა ანიჭებს დროებით ჰუმანიტარულ დაცვას იმ ქვეყნის მოქალაქეებს, სადაც მოხდა ეკოლოგიური კატასტროფა, თუ ამ ქვეყნის მოქალაქეები ამ კატასტროფის დროს შესაბამისად აშშ-ში ან კანადაში იმყოფებოდნენ. დროებითი სტატუსი საშუალოდ 6-18 თვე გრძელდება³⁸.

ძირითად შემთხვევებში მიგრაცია განვითარებადი, ღარიბი ქვეყნებიდან განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებში ხდება. საკმაოდ რთულია გაარჩიო კლიმატთან დაკავშირებული მიგრაცია ეკონომიკური მიგრაციისგან, თანაც ისიც შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური პრობლემები ეკომიგრანტებსაც ეხებათ, რადგან მათაც უდგებათ ფინანსური პრობლემები კლიმატური პრობლების ან კატასტროფების გამო. ამის გათვალისწინებით განვითარებული ქვეყნები ძირითადად არ ანიჭებენ ლტოლვილის სტატუსს ეკომიგრანტებს, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირის ქვეშ მყოფი სხვა ქვეყნის მოქალაქეს არ ენიჭება ლტოლვილის სტატუსი, რადგან ეკონომიკური პრობლემები არ არის საერთაშორისოდ მიღებულ „ლტოლვილის“ განმარტების ჩამონათვალში³⁹.

დღეისთვის ამ თემაზე კამათი მიმდინარეობს⁴⁰, ზოგიერთი მკვლევარის მიდგომით კლიმატის ცვლილება ძირითადად განვითარებული ქვეყნების მიერ განხორცილებული საქმიანობების ბრალია (გამონაბოლქვი, ჰაერის და მდინარეების დაბინძურება), ხოლო განვითარებადი, ღარიბი ქვეყნები ნაკლებად ახდენენ გავლენას კლიმატის ცვლილებაზე. ამიტომ ამ ქვეყნებს მორალური ვალდებულება უნდა ჰქონდეთ დაეხმარონ დაეხმარონ ეკომიგრანტებს ღარიბი ქვეყნებიდან⁴¹.

ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დადგება მომავალში თუ მეცნიერების ჰიპოტეზები გამართლდება და ზღვის დონე აინევს, რის შემდეგაც ზოგიერთი კუნძულისახელმწიფო, რომლებიც წყნარ ოკეანეში არიან განლაგებულნი, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყლის ქვეშ აღმოჩნდნენ და მათ მოსახლეობას მოუწევს სხვა ქვეყნებში მიგრაცია⁴².

საქართველოს კანონის ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ⁴³ მე-4 მუხლის შესაბამისად ჰუმანიტარული სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი და: (ბ) რომელიც საქართველოში შემოვიდა მოსაზღვრე წარმოშობის ქვეყნიდან, იქ მომხდარი სტიქიური უბედურების გამო. ჰუმანიტარული სტატუსი პირს ენიჭება 1 წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც მას ეს სტატუსი მიენიჭა.

3. ეროვნული სამართალი და პრაქტიკა

საქართველო თავისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გამოირჩევა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირით⁴⁴.

საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 35 204 ოჯახია რეგისტრირებული⁴⁵.

ვებ-გვერდზე www.ecomigration.ge, რომელიც „ეკომიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა“, პროექტის ფარგლებში შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციის „ბორჯღალი“-ს მიერ, ნათქვამია, რომ 2011 წლის მონაცემებით საქართველო ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ბოლო წლებში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე და მასშტაბი მკვეთრად გაიზარდა და უფრო მეტ აქტივაციას განიცდის. ბოლო 10 წლის განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საქართველომ 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იზარალა, სტიქიის მსხვერპლთა რაოდენობამ კი 400-ს მიაღწია⁴⁶.

3.1. ეროვნული კანონმდებლობა

იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ⁴⁷. პირველი მუხლის შესაბამისად, დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. ბავშვი უფლებამოსილია მიენიჭოს დევნილის სტატუსი მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, თუ ორივე ან ერთ-ერთ მშობელს აქვს ან/და ჰქონდა დევნილის სტატუსი.

როგორც ვხედავთ, ჩამონათვალში არ არის სტიქიური მოვლენები ნახსენები, და შესაბამისად კანონი არ იცნობს სტიქიური კატასტროფის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირს და არ ანიჭებს მას დევნილის სტატუსს, რადგან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ბრძანების 124⁴⁸ შესაბამისად სტატუსი ენიჭება პირს „იძულებით გადაადგილებულ

პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული პირობების არსებობისას.

გაეროს იძულებით გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობებში დასაწესებლად 2008 წელს გამოიცა სახელმძღვანელო – „იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა“⁴⁹ სადაც ნათქვამია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ეროვნული ცნებები და პრაქტიკაში გამოყენება შეიძლება იყოს უფრო ვიწრო, ვიდრე სახელმძღვანელო პრინციპებში. მაგალითად, ეროვნულ კანონმდებლობებში შეიძლება დევნილის სტატუსი არ მიენიჭოს საომარი მოქმედებების დროს გარკვეული შეიარაღებული ჯგუფების მიერ დევნილ პირებს, ან სტიქიური უბედურების შედეგად გადაადგილებულ პირებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს არათანაბარი მოპყრობა იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც აქვს დანარჩენი დევნილების თანაბარი საჭიროებები; ეს არღვევს მათ უფლებებს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ქრილში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულებაში⁵⁰ წერია, რომ სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა, სტიქიით დაზარალებულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში..

სამინისტროს ფუნქციაა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან

მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა.

მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობაა სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვის სისტემის შემუშავება და რეალიზაციისათვის ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესების მონიტორინგი და სტიქიასაშიში რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება და ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება; ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა; ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნა.

თუმცა სამინისტროს დებულება ითავლისწინებს სტიქიური უბედურებების გამო გადაადგილებულ პირთა დროებითი ან მუდმივი განსახლებას, მათთვის ადაპტაციის პირობების შექმნას, მათი სოციალურ დაცვას და სტიქიური უბედურებების გამო გადაადგილებულ პირთა ნაკადის ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნას, გაუუზარა რაზე დაყრდნობით ანიჭებს სამინისტრო სტიქიური უბედურებების გამო გადაადგილებულ პირის სტატუსს და რა სისტემით ეწევა მათ სოციალურ დახმარებას. და საერთოდ გაუგებარია ტერმინი „ეკომიგრანტი“ – ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნის ვალდებულებაში, რადგან ასეთი ტერმინი ამ სფეროს მარეგულირებელ სამართლებრივ დოკუმენტში არ გამოიყენება.

2013 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მინისტრის 779 ბრძანება⁵¹ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ. ბრძანება აკონკრეტებს რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახი (შემდგომში – „დაზარალებული“) არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრე-

ბი ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

ეს ბრძანება ნამდვილად მისასაღმებელი ინიციატივაა, რადგან აკონკრეტებს სტიქიური კატასტროფებით დაზარალებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების გადაცემის კრიტერიუმებს, ადგენს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის განსახლებისა და საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემის წესს, რაც ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად უდგათ დღეისთვის ეკომიგრანტებს.

სტიქიური უბედურების შედეგად მიგრაცია აგრეთვე ნახსენებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ვებ-გვერდზე – სამინისტროს ცნობით მიგრაცია გულისხმობს ცალკეული პირის ან ჯგუფის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას⁵².

2013 წლის ნოემბერში პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ შეტანილი იქნა საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“. წამყვანი კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. არც ამ ახალ კანონპროექტში არ არის ნახსენები სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებული პირები. მუხლი 6 განმარტავს დევნილის ცნებას – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახ-

ის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან/და ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით შეუძლებელია მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

დაიწყო საკომიტეტო მოსმენები: მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ 2013 წლის 26 ნოემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს, ხოლო 29 ნოემბერს და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე.

2013 წლის 24 დეკემბერს დეპუტატებმა პირველი მოსმენით, 88 ხმით მიიღეს კანონპროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“⁵³. პროექტი არეგულირებს პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და პირობებს, დევნილთა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე კატასტროფების ან ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად დაზარალებულთა უფლებებსა და მოვალეობებს.

არც ერთ პრესრელიზში არ არის ნახსენები სტიქიური უბედურებისგან იძულებით გადაადგილებული ან დაზარალებული პირები. მოსალოდენლია, რომ კანონპროექტი 2014 წლის დასაწყისში იქნება დამტკიცებული და თუ მეორე მოსმენისთვის არ იქნება დევნილის განმარტებაში ჩამატებული სტიქიური უბედურების შედეგად გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები კვლავ სტატუსის გარეშე დარჩებიან.

3.2. პრაქტიკა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტ-

ტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, რეპატრიანტთა, სტიქიით დაზარალებულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა, კონკრეტული სტიქიური უბედურებების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა წლების განმავლობაში იღებდა ზომებს რათა დახმარებოდა დაზარალებულ მოსახლეობას. ამის მაგალითებია:

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების განწევს შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება № 627, 2007 წლის 24 ოქტომბერი – 2007 წლის სექტემბერში მომხდარი სტიქიური მოვლენის შედეგად ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქურთაში უსახლკაროდ დარჩენილი ორი ოჯახისათვის გადაუდებელი დახმარების განწევს მიზნით.
- „რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 აპრილის №121 განკარგულება.
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული დუშეთის რაიონის პირიქითა ხევსურეთის მოსახლეობის დახმარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება №530, 2005 წლის 3 დეკემბერი.
- ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოთხი ოჯახისათვის ფინანსური დახმარების განწევს შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება №6, 2007 წლის 10 იანვარი.

ასეთი დოკუმენტები კიდევ მრავალია და კონკრეტულ სტიქიურ მოვლენას შეეხება. არ არსებობს ერთიანი მიდგომა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისთვის.

2014 წლის ბიუჯეტში ზოგიერთმა მუნიციპალიტეტების საკრებულომ გაითვალისწინა

თანხები სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. მაგალითად ახალციხის მუნიციპალიტეტმა სტიქიით დაზარალებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების სამშენებლო მასალებით დასახმარებლად – 40.0 ათასი ლარი მოითხოვა⁵⁴. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2013 წლის ბიუჯეტში დეკემბერში ცვლილების შეტანა მოუწია და სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველსაყოფად თანხა 119.0 ათასი ლარიდან 130.0 ათასი ლარამდე გაზარდა⁵⁵. 2013 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტს სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება ჰქონდა გათვალისწინებული⁵⁶ 50 ათასი ლარი⁵⁷. შედარებისთვის ბაღდათის მუნიციპალიტეტს სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი 2010 წელს 15.2 ათასი ლარი ქონდა, 2011 წელს 71 ათასი, 2012 წელს 60 ათასი ლარი. საინტერესოა, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტმა ბოლო დროს გახშირებული სტიქიური უბედურების, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით გადანყვიტა არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო-სამაშველო სამსახურის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2013 წელს გადანყვიტა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობას გაუწიოს ერთჯერადი დახმარება⁵⁸ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან⁵⁹.

წლების განმავლობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა მიდგომა და სხვადასხვა თანხები იყო გათვალისწინებული სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებული მოსახლეობისთვის. რიგ შემთხვევაში თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან იხდებოდა, ზოგ შემთხვევაში ცენტრალური ბიუჯეტიდან შეივსებოდა და მთლიანად იქიდან იფარებოდა, მაგალითად ბოლო წლების განმავლობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან.

კიდევ ერთი პრობლემა, რის წინაშეც დგებოდნენ ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, იყო სად და როგორ უნდა დაესახლებინათ სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებული და გადაადგილებული მოსახლეობა.

2005 წელს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე ჯ. ბ. თანამდებობიდან გაანთავისუფლეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2005 წლის 14 აპრილის ბრძანებით. მინისტრის წერილის თანახმად მან პირადი ინიციატივით განახორციელა აჭარის მაღალმთიანი რეგიონებიდან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 38 ოჯახის განსახლება ეთნიკური ბერძენი მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებში წალკის რაიონის სოფელში. ჯ.ბ.-ს უნდა შეესყიდა სახლები აჭარის მაღალმთიანი რეგიონებიდან 38 ოჯახის ჩამოსახლებისთვის, მაგრამ მან ეს ოჯახები ეთნიკური ბერძენი მოსახლეობის მიტოვებულ საცხოვრებელ სახლებში განათავსა ბინების გადაფორმების პროცესის დასრულებამდე. ჯ.ბ. აცხადებს რომ არც ერთი სახლი არ ყოფილა შესყიდული, ვინაიდან დოკუმენტაცია ჯერ კიდევ მომზადების პროცესში იყო, და ჯ.ბ. აწარმოებდა ზეპირ მოლაპარაკებებს მესაკუთრეებთან და იმ პირებთან, რომლებსაც გააჩნდათ სათანადო მინდობილობა მესაკუთრეებისაგან. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა მიწოდებული არც მხარის რწმუნებულისათვის და არც რაიონის გამგებლისათვის, ასევე საკითხი არ იყო შეთანხმებული მინისტრთან. ჯ.ბ.-მ სასამართლოში გაასაჩივრა ბრძანება, საფუძვლად დაუდო რა, რომ მინისტრს სრული ინფორმაცია ქონდა, მაგრამ 2005 წლის სექტემბერში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით პრემიერ-მინისტრის ბრძანება ძალაში დარჩა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის აპრილში და საკასაციო სასამართლომ, 2008 წლის სექტემბერში, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს⁶⁰.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევა საინტერესო იყო იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის 58 განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შიდა მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ასიგნებიდან სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი სახლებით დასაკმაყოფილებლად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და საქართველოს

შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქართველოს სხვადასხვა რაიონში მიმწოდებელთა შერჩევის მეშვეობით.

რა ხდება, როდესაც სტიქიით დაზარალებულ პირები უნდა იყვნენ განთავსებულნი ბინებში, მაგრამ მუნიციპალიტეტში თავისუფალი სახლები არ არის? 2008 წლის აგვისტოს ომმა გვიჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების განთავსება ძირითადად სკოლებში, საბავშვო ბაღებში და ზოგჯერ საავადმყოფოებში ხდებოდა, თუმცა ეს მოკლევადიანი გადაწყვეტილებაა. გრძელვადიანი პერსპექტივა ან ამ პირებისთვის შესაბამისი საცხოვრებლის შესყიდვა და გადაცემა უნდა იყოს, ან სტიქიისგან დაზარალებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა და დევილების უკან დაბრუნებაა, რა თქმა უნდა სტიქიის წინააღმდეგი ღონისძიებების გატარების შემდეგ.

წალკაში მაცხოვრებელმა ეკომიგრანტებმა 2013 წლის 19 დეკემბერს ხელისუფლების გამაფრთხილებელი აქცია წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთში გამართეს, ხოლო თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება აჭარაში დაბრუნებას და აქციების გაგრძელებას გეგმავენ⁶¹. აჭარიდან სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც წალკაში ცხოვრობენ, მოითხოვენ არა მხოლოდ მთავრობის დაინტერესებას ეკომიგრანტების პრობლემებით, არამედ რეალური ნაბიჯების გადადგმის დაინწყებას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ერთადერთი არ არის ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ეკომიგრანტები ცხოვრობენ. გარდაბანშიც, მარნეულშიც, დმანისშიც, ბოლნისსა და წალკაშიც ათასობით მაცხოვრებელი ეკომიგრანტი ოჯახის მოთხოვნაა ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვროს მათი სტატუსი.

2013 წლის დეკემბერში აქციების ფონზე პრესა დაინტერესდა პრობლემით და ეკომიგრანტების პრობლემებზე რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა, მათ შორის „ეკომიგრანტები კიდევ ერთ ახალ წელს შეხვდებიან სტატუსის მიღების მოლოდინში“⁶², სადაც აღწერილია ქვემო ქართლის ეკომიგრანტთა პრობლემები. ქვემო ქართლი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიმღები რეგიონია, სადაც აჭარიდან და ზემო სვანეთიდან სტიქიის შედეგად იძულებით

გადაადგილებული ოჯახები ცხოვრობენ. ეკომიგრანტები აცხადებენ რომ მათი პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ კანონმდებლობის შეცვლით და მათთვის სტატუსის მინიჭებითა არის შესაძლებელი.

სტატიაში ეკომიგრანტები ამოხსნილია რომ არასოდეს არანაირი დახმარება, არც სოციალური და არც გეგმიური არავისგან მიუღიათ. „2000 წლიდან აქ ვცხოვრობთ და ჩვენი პრობლემების მომკითხველი კაცი არ არის. თავად ვებრძვიტ გაჭირვებასაც და უსახსრობასაც. მთავარია, რომ განისაზღვროს ჩვენი სტატუსი, ამბობთ რომ ეკომიგრანტები ვართ, მაგრამ რეალურად არსად არ წერია ეს. არავინ არ გვაღიარებს, რომ ის მაინც გაგვიკეთოს სახელმწიფომ, რისი ვალდებულებაცაა, ჩვენი პრობლემების მოგვარების გზა, სწორედ სტატუსზე გადის” – ამბობს ეკომიგრანტი ნიკოლოზ ხაბულიანი.

ადამიანის უფლებათა სახლის წარმომადგენლის ალექო ცქიტიშვილის აზრით⁶³ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა რისკების შეუფასებლობაა, რის გამოც სახელმწიფოს მილიონობით ლარი გაუთვალისწინებელი ზარალი ადგება. საქართველოსთვის სტიქიები უცხო არ არის – წყალდიდობა, მენყერი, შტორმი, ქარიშხალი და სხვა ბუნებრივი კატასტროფები ადამიანებს ხშირად სახლკარს და საცხოვრებელ გარემოს უსპობს. ხელისუფლება ძირითადად სტიქიის შედეგებს ებრძვის, პრევენციულ ზომებს კი ნაკლებ ყურადღებას უთმობს. განსაკუთრებით პრობლემატური გაზაფხულის სეზონია, როცა მთებში თოვლი დნება და მდინარეები დიდდება. ამას გაზაფხულის წვიმებიც ემატება და იწყება სტიქიური მოვლენები – მენყერები, ღვარცოფები, წყალმოვარდნები, რომელთა შედეგად ათასობით ადამიანი ზარალდება.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 1987-2010 წლის პერიოდში სტიქიურ უბედურებებს საქართველოში 400-მდე ადამიანი შეეწირა. ეკონომიკური ზარალი დაახლოებით 150 მლნ დოლარს შეადგენს წელიწადში. 2006 წელს სპეციალისტებმა საქართველოში დააფიქსირეს 53 000 მენყერული სხეული, საერთო ჯამში – 1 500 000 ჰექტარ ფართობზე. რისკის ზონაშია 3 000-მდე დასახლება 400 000 ოჯახით.

სტიქიური უბედურებების პრევენციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო-

ფილი ხარჯები 40-ჯერ ნაკლებია მიყენებულ ზარალზე. ექსპერტთა აზრით, პრობლემის სათავე სწორედ ასეთი მიდგომაა. კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტების კოორდინატორის, რეზო გეთიაშვილის თქმით, სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს რისკების მართვას, რაც დიდწილად კატასტროფამდელ აქტივობებს – პრევენციულ ღონისძიებებს გულისხმობს⁶⁴.

მართვის ცენტრალიზებული სტილის არაეფექტურობის კარგი მაგალითია ზემო მლეთის⁶⁵ შემთხვევა. არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტები უკვე რამდენიმე წელია, ყურადღებას ამახვილებენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ამ პატარა სოფლის გასაჭირზე, სადაც რამდენიმე ოჯახს ყოველ გაზაფხულზე განადგურება ემუქრება. 15 ივნისს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა ზემო მლეთაში სასწავლო ტური მოაწყო ჟურნალისტებისათვის, რათა მათ კიდევ ერთხელ შეესწავლათ ამ სოფლის პრობლემები და შემდეგში თავიანთ გამოცემებში გაეშუქებინათ. აღმოჩნდა, რომ ვითარება ისევე უცვლელია, მაგრამ შემოდგომაზე დანიშნული არჩევნების წინ მლეთელებს ხელისუფლება მათ მიერ შერჩეულ უსაფრთხო ადგილას გადასახლებას პირდებოდა.

ეკომიგრაციასთან ერთად კიდევ ერთი პრობლემა დგება – სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც სხვა რეგიონში დაასახლეს ხშირად მათთვის უცხო ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტაციას ვერ ახერხებენ და უკანვე ბრუნდებიან მშობლიურ სოფლებში, სადაც რისკის ქვეშ აგრძელებენ ცხოვრებას.

3.3. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

2010 წლიდან სახალხო დამცველი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების – ეკომიგრანტების უფლებრივ მდგომარეობაზე წერდა საპარლამენტო ანგარიშებში. 2013 წელს კი ამ საკითხს სპეციალური ანგარიში მიუძღვნა⁶⁶.

საქართველოს სახალხო დამცველს 2011-2012 წლებში ხშირად მიმართავდნენ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით

გადაადგილებული პირები – ეკომიგრანტები. განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა რომ აღნიშნულ სფეროში ადამიანის უფლებების დარღვევები ინდივიდუალური და ერთჯერადი ხასიათის კი არ არის, არამედ, როგორც წესი, მათ სისტემური სახე აქვთ. ინდივიდუალური დარღვევებიც, უმეტეს შემთხვევებში, გამოწვეულია შესაბამისი დაცვის სტანდარტების არ არსებობით.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაარეგულირებს სტიქიური კატასტროფების შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, არ არის განერილი შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები ან ნორმატიული ძალის პროცედურული წესები, რომლებიც მოცემულ სფეროში მიმდინარე პროცესებს სამართლებრივ ჩარჩოში ჩასვამს. შეინიშნება არათანმიმდევრული მიდგომის არსებობა და ფინანსური სახსრების ნაკლებობა, რაც თავისთავად დამატებით პრობლემებს ქმნის.

სახალხო დამცველმა რიგი რეკომენდაციებისა მისცა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს:

- ეკომიგრანტის დეფინიცია ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე.
- სახელმწიფოს ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული და დაზარალებული პირების უფლებების დაცვის მიზნით.
- ეკომიგრანტების განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის სტრატეგიის შემუშავება და მისი ეფექტური რეალიზება პრაქტიკაში.
- ეკომიგრანტთა განსახლებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფარვისთვის სახელმწიფოს ვალდებულების ჩამოყალიბება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულების განერა იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის სტიქიის შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა-ეკომიგრანტთა შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ფინანსური დაკმაყოფილების/დახმარების შესახებ.
- ეკომიგრანტთა საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სახ-

სრების დაანგარიშება და ეტაპობრივი გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტში.

- სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ პირთა განსახლების პროცედურული წესები/სახელმძღვანელო პრინციპების, საცხოვრებელი სახლების განაწილების წესი, თავშესაფრების საკუთრებაში გადაცემის პირობები განერა.
- ეკომიგრანტთა მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება.

4. დასკვნა

ეკომიგრანტების პრობლემა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად განიხილება მსოფლიოს სხვადასხვა მკვლევარის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიური პირობების ან კატასტროფების გამო მიგრაცია მსოფლიოში ყოველთვის არსებობდა, 21-ე საუკუნეში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა. ცალკე კვლევები დასჭირდა იმის დამტკიცებას, რომ მიგრაცია შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო კლიმატის ცვლილებასთან. შესაბამისად ეკომიგრანტებს სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ: „ეკო-მიგრანტები“, „სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებული პირები“, „გარემოს მიგრანტები“, „კლიმატის მიგრანტები“, „კლიმატის ლტოლვილები“ და ა.შ. რა ტერმინიც არ უნდა იქნას გამოყენებული, მთავარია როგორ იქნება ცნება ასახული საერთაშორისო დოკუმენტებსა თუ ეროვნულ კანონმდებლობებში და რა სტატუსი და უფლებები მიენიჭება სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებულ პირებს.

საერთაშორისო დონეზე არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც დაავალდებულებდა სახელმწიფოებს მიეღოთ შესაბამისი ზომები სტიქიური მოვლენების შედეგად იგპთა დასახმარებლად. მთავარი დოკუმენტი, რომელიც ამ სფეროში მოიხსენიება, არის „გაეროს იძულებით გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები“, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. „პრინციპების“ შესაბამისად იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის ის პირებიც ითვლებიან, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თვითონი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ სტიქიურ ან ადამიანის მიერ

შექმნილ კატასტროფებს, და მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპები სარეკომენდაციო ხასიათისაა, ზოგიერთმა ქვეყანამ პრინციპები თავის კანონმდებლობაში დანერგა (აშშ, პერუ, კოლუმბია).

ძირითად შემთხვევებში სახელმწიფოები (განსაკუთრებით ნაკლებ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები) კონკრეტულ სტიქიურ მოვლენებზე კონკრეტულ ქმედებებს ახორციელებენ – სამედიცინო დახმარება, საკვებით, სასმელი წყლით და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში დროებით საცხოვრებელში ან ბანაკში შესახლება. განსაკუთრებით მძიმე სტიქიური მოვლენების დროს ქვეყანა იღებს ჰუმანიტარულ საერთაშორისო დახმარებას – საკვებს, წამლებს, ტანსაცმელს და ფინანსურ დახმარებას, რომელიც კატასტროფის შედეგების აღმოფხვრაზე უნდა იყოს მიმართული. თუმცა ჰაიტის მიწისძვრის მაგალითი გვაჩვენებს, რომ შედეგების აღმოფხვრას დიდი ხანი სჭირდება (განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში) – მიწისძვრა ჰაიტში 2010 წელს მოხდა, 2013 წლის დეკემბერში ჰაიტში გაეროს ჰუმანიტარული კოორდინატორის პიტერ დე კლერგის განაცხადებით დაახლოებით 817 ათასი ჰაიტელს კვლავ ესაჭიროება ჰუმანიტარული დახმარება, ბევრ მათგანს არ აქვს საკვები, ჯერ კიდევ ცხოვრობს მძიმე პირობებში დარჩენილ 300 ბანაკში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფების შესახებ საკმაოდ მცირეა, ამიტომ რთულია იმსჯელო სასამართლოს ერთიან მიდგომაზე სტიქიური კატასტროფების შედეგად დაზარალებულ ან გადაადგილებულ პირთა საკითხებზე. ევროპულმა სასამართლომ ამ სფეროში სულ ოთხი საქმე განიხილა, აქედან ორი სამიშ საქმიანობას ეხებოდა და ორი ბუნებრივ კატასტროფებს. საქმეებში ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ და ონერილდიზ თურქეთის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მეორე მუხლის – სიცოცხლის უფლების დარღვევა. მურილო სალდიასი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ საქმეში სასამართლომ დაუშვებლად სცნო სარჩელი, რადგან ბოლომდე არ იყო ამონაწერი მართლმსაჯულების მიღწევის საშუალებები ეროვნულ დონეზე, ამიტომ რთულია იმ-

სჯელო სცნობდა თუ არა სასამართლო კონვენციის მეორე მუხლის დარღვევას. ამ საქმეებიდან ჩანს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა არ დააყენოს რისკის ქვეშ მოქალაქეების სიცოცხლე და სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება დაიცვას მოქალაქის საკუთრება. სასამართლომ დაინახა მიზეზობრივი კავშირი ადამიანის სიცოცხლის მოსპობასა და სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დაუდევრობას შორის, რაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევაა საფრთხის შემცველი საქმიანობის ჩრდილში.

2011 წელს „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა დიალოგში“ გაეროს უმაღლესმა კომისარმა ლტოლვილთა საკითხებზე ანტიონიო გუტერესმა განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე განიხილა რამდენიმე საქმე, რომლებიც შეეხებოდა სტიქიური უბედურებების გამო გადაადგილებული პირებს, თუმცა მათი რიცხვი შეიძლება გაზირდოს, ევროპაში იძულებით გადაადგილების გაჭიანურებული ხასიათისა და იგპ-თა ზრდადი იმედგაცრუების გამო.

საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები არ შეიყვანეს იძულებით გადაადგილებული პირების ჩამონათვალში და არ ანიჭებენ მათ იგპ-ს სტატუსს – საქართველოს კანონში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ ჩამონათვალში არ არის სტიქიური კატასტროფების შედეგად ადგილმონაცვლე პირები.

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოში არ არსებობს ერთიანი მიდგომა სტიქიური კატასტროფების დროს დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად, კონკრეტული სტიქიური მოვლენის დროს მთავრობა იმ წუთიერ რეაგირებას ახდენს იმ რესურსებით გათვალისწინებით, რაც აქვს. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის საკრებულომ გაითვალისწინა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინტერესები და დაგეგმა ბიუჯეტში მათთვის დახმარება, თუმცა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს ეს სტიქიით დაზარალებულთა ფინანსური დახმარების მუხლი ბიუჯეტში გათვალისწინებული არ აქვს.

2013 წელს მთავრობამ გაითვალისწინა ეკომიგრანტების პრობლემა და ნოემბერში განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტმა გამოსცა 779 ბრძანება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ. ეს არის სამინისტროს მცდელობა შეექმნა ჩარჩო და კრიტერიუმები ეკომიგრანტთა დასახმარებლად, და ეს ნადვილად დადებითი ნაბიჯია. თუმცა საინტერესოა რომ კანონის დონზე ეკომიგრანტების განმარტება არ არსებობს. ბრძანება აკონკრეტებს, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწვეიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

დევნილები აცხადებენ რომ წლების განმავლობაში ისინი არ იღებენ არანაირ დახმარებას, სახლები, სადაც ისინი არიან განთავსებულნი მათზე არ არის გაფორმებული და ნებისმიერ მომენტში შეიძლება მათი გასახლება მოხდეს. დევნილები და ამ სფეროს ექსპერტები თვლიან, რომ სანამ საქართველოში არ ჩამოყალიბდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ეკომიგრანტებს არ მიენიჭებათ შესაბამისი სტატუსი, მანამდე მათი უფლებები არ იქნება დაცული და კვლავ არ იქნება ერთიანი მიდგომა მათი პრობლემების გადასაჭრელად და სოციალური დახმარების გასანევადა.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების – ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობაზე სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაარეგულირებს სტიქიური კატასტროფების

შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, არ არსებობს შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები ან ნორმატიული ძალის პროცედურული წესები, რომლებიც მოცემულ სფეროში მიმდინარე პროცესებს სამართლებრივ ჩარჩოში ჩასვამს. შეინიშნება არათანმიმდევრული მიდგომის არსებობა და ფინანსური სახსრების ნაკლებობა, რაც თავისთავად დამატებით პრობლემებს ქმნის. სახალხო დამცველმა რიგი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და მთავრობას ამ პრობლემების დასარეგულირებლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 779 ბრძანება სახალხო დამცველის და/ან ზემოთ ნახსენები დეკემბერში წალკაში მაცხოვრებელი ეკომიგრანტების პროტესტის შედეგია.

ნაშრომში მოკლედ შევხებით სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ პირებს, რომლებსაც საზღვრის გადაკვეთა მოუწიათ და ე.წ. ეკო-ლტოლვილებად იქცნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინის სისწორეზე და სტატუსზე ბევრი კამათი მიმდინარეობს, საბოლოოდ ასეთი ადამიანებისთვის სტატუსის მინიჭება და მათი დახმარება მიმღები სახელმწიფოს კეთილ ნებასა და კანონმდებლობაზეა დამოკიდებული. საქართველოს კანონის ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ შესაბამისად ჰუმანიტარული სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ პირსაც, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი და რომელიც საქართველოში შემოვიდა მოსაზღვრე წარმოშობის ქვეყნიდან, იქ მომხდარი სტიქიური უბედურების გამო. ჰუმანიტარული სტატუსი პირს ენიჭება 1 წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც მას ეს სტატუსი მიენიჭა.

ცალკე პრობლემად დგას სტიქიური მოვლენების თავიდან აცილებისთვის გასატარებელი ღონისძიებები. 2013 წლის მარტში ბრუქინგის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ანგარიში „განმეორებითი კატასტროფების წელი: 2012 წლის ბუნებრივი კატასტროფების მიმოხილვა“. ავტორები ხაზს უსვამენ რომ შესაძლებელია წინასწარ იქნეს დანახული ბუნებრივი კატასტროფების რისკები და გატარდეს ქმედებები, რათა მათი თავიდან

აცილება ან დროული რეაგირება მოხდეს. საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით საქართველო მილიონობით ლარს ხარჯავს სტიქიის შედეგების აღმოფხვრაზე და არა მის პრევენციაზე. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია გატარდეს სპეციალური ღონისძიებები, რათა ზოგიერთი კატასტროფა თავიდან იქნეს აცილებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აკისრებს სახელმწიფოებს პოზიტიური ვალდებულებას დაიცვას მოქალაქის სიცოცხლე და საკუთრება, გაატაროს ზომები რათა არ დააყენოს რისკის ქვეშ მოქალაქეების სიცოცხლე სტიქიური უბედურებების გამო. სტიქიური უბედურების თავიდან აცილება საკამოდ რთულია, მაგრამ შესაძლებელია მთავრობამ გაატაროს შესაბამისი ქმედებები, რათა თავიდან იყოს არიდებული რიგი კატასტროფებისა – სანაპიროზე ჯებირების გამაგრება, მეწყერების და ქანების ჩაშლის ადგილებში მშენებლობის შესაბამისი სტანდარტების დანერგვა და კონტროლირება, ევაკუაციის გეგმის მომზადება, მოსახლეობის ტრენინგები და დროული გაფრთხილება და ა.შ.

საბოლოოდ მინდა ავლინებო, რომ საქართველოს მიდგომა ეკომიგრანტთა საკითხებისადმი დიდად არ განსხვავდება უმეტესი (ნაკლებ განვითარებული და განვითარებადი) ქვეყნების მიდგომებისგან – იგულისხმობს არ მინიჭება, რეაგირება კონკრეტულ სტიქიურ მოვლენებზე და ღონისძიებების არ გატარება სტიქიური მოვლენების რისკების აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ თემაზე აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს და თუ მეცნიერთა გათვლები სწორია, მაშინ 2050 წლისათვის კლიმატის ცვლილებით შედეგად 200 მილიონი ან მეტი მიგრანტი იქნება მსოფლიოში, ქვეყნები მაინც გაურბიან ეკონომიკურ რისკებს იგულისხმობს მიანიჭონ ეკომიგრანტებს.

ქვემოთ ჩამოთვლილია რიგი რეკომენდაციებისა საქართველოს მთავრობისთვის, რომლებიც სასურველი იქნებოდა მალე განხორციელებულიყო, რათა ქვეყანაში დაცული იყოს ეკომიგრანტების უფლებები და თავიდან იქნეს აცილებული სტიქიური მოვლენების რისკები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი რეკომენდაციები დიდად არ განსხვავდება საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებისაგან.

რეკომენდაციები

- ჩამოყალიბდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ეკომიგრანტებს მიენიჭოს შესაბამისი სტატუსი.
- მოხდეს სტატისტიკის შეგროვება საქართველოში არსებული ეკომიგრანტების შესახებ;
- საქართველოს მთავრობამ დაიწყოს მუშაობა კატასტროფის რისკის შემცირებაზე.
- ეკომიგრანტის სტატუსის მინიჭების საკითხის დარეგულირების შემდეგ საქართველოს მთავრობამ სასურველია იმუშაოს გძელვადიან პრესპექტივაში გადასაჭრელ საკითხებზე, როგორცაა ეკომიგრანტებისთვის სოციალური დახმარების გაცემის უზრუნველყოფა, საცხოვრებელი სახლების საკუთრებაში გადაცემა (ეს საკითხი ყველაზე პრობლემურად უდგათ აჭარიდან გადაადგილებულ ეკომიგრანტებს, რომლებიც ქვემო ქართლსა და საქართველოს სხვა რეგიონებში არიან განსახლებულნი), საარსებო წყაროების და სამუშაო ადგილების შექმნა მათი განთავსების ან დაბრუნების ადგილებზე, ჯანდაცვისა და განათლების პროგრამების განხორციელება.

¹ “Jean-Francois Maystadt and Valerie Mueller, Environmental Migrants: A Myth?”, The International Food Policy Research Institute (IFPRI), May 2, 2012 <http://www.ifpri.org/sites/default/files/publications/rb18.pdf>

² Katrina Mariam Wyman, “Responses to climate migration”, Harvard Law School student organizations and journals <http://www3.law.harvard.edu/journals/elr/files/2013/05/Wyman.pdf>

³ იქვე

- 4 Global estimates 2011, People displaced by natural hazard-induced disasters, The Internal Displacement Monitoring Centre (IDMC), June 2012, <http://www.unhcr.org/50f95fcb9.pdf>
- 5 იქვე
- 6 [http://www.internal-displacement.org/idmc/website/countries.nsf/\(httpEnvelope\)/9E7CFF18A02827D1C12579C6006EDEA1?OpenDocument#19.2.1](http://www.internal-displacement.org/idmc/website/countries.nsf/(httpEnvelope)/9E7CFF18A02827D1C12579C6006EDEA1?OpenDocument#19.2.1)
- 7 <http://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=4f6ad21f2>
- 8 <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/lejmaqzqwpefpmultbji.pdf>
- 9 2013 წლის 13 ნოემბერი
- 10 მაია ბითაძე, „ეკომიგრანტთა უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები“ გვ. 13, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ რედაქტორი კ.კორკელია, 2011 წ. თბილისი.
- 11 <http://ecomigrants.files.wordpress.com/2011/03/un-guiding-principles-geo.doc>
- 12 Hannah Entwisle, Tracing Cascades: The Normative Development of the UN Guiding Principles on International Displacement, Georgetown immigration law journal, Vol. 19:369
- 13 ვოლტერ კალინი „რეაგირება იძულებით გადაადგილებაზე : ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო“ გვ. 11, „ბრუკინგის ინსტიტუტი – ბერნის უნივერსიტეტი, პროექტი იძულებით გადაადგილების შესახებ, 2005 წ. http://www.brookings.edu/~media/research/files/reports/2005/4/national%20responsibility%20framework/04_national_responsibility_framework_georgian.pdf
- 14 Manual on Human Rights and the Environment, Council of Europe, first edition 2006, second edition 2012, Council of Europe Publishing, F-67075 Strasbourg Cedex, http://echr.coe.int/Documents/Pub_coe_Environment_2012_ENG.pdf
- 15 Makaratzis v. Greece [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-67820#{"itemid":\["001-67820"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-67820#{)
- 16 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი, პარიზი, 1952 წლის 20 მარტი.
- 17 მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება და მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.
- 18 Budayeva and Others v. Russia (Applications nos. 15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02 and 15343/02), First Section, Judgment of 20 March 2008, Reports of Judgments and Decisions, 2008-II, გვ. 267, http://echr.coe.int/Documents/Reports_Recueil_2008-II.pdf
- 19 Murillo Saldias and Others v. Spain, (application no. 76973/01), <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=928141&Site=COE>
- 20 <http://www.bailii.org/eu/cases/ECHR/2004/657.html>
- 21 Judgment of 7 May 2002, Application No. 59498/00., გვ. http://echr.coe.int/Documents/Pub_coe_HFfiles_2007_23_ENG.pdf
- 22 Case of Budrov v. Russia (No. 2), Application no.33509/04, 15 January 2009, [http://hudoc.echr.coe.int/sites/fra/pages/search.aspx?i=001-90671-#{"itemid":\["001-90671"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/fra/pages/search.aspx?i=001-90671-#{)
- 23 “Dialogue between judges, European Court of Human Rights, Council of Europe, 2011”, European Court of Human Rights, 2011, http://echr.coe.int/Documents/Dialogue_2011_ENG.pdf
- 24 World Migration Report 2011, International Organization for Migration, http://publications.iom.int/bookstore/free/WMR2011_English.pdf
- 25 Edited by François Gemenne, Pauline Brücker, Dina Ionesco, STUDY – The State of Environmental Migration 2013, The Institute for Sustainable Development and International Relations (IDDRI), <http://www.iddri.org>.

- ²⁶ Benoit Mayer, The International Legal Challenges of Climate-Induced Migration: Proposal for an International Legal Framework, Colorado Journal of International Environmental Law and Policy, Volume 22, 2011.
- ²⁷ <http://www.unocha.org/top-stories/all-stories/haiti-un-official-sees-progress>
- ²⁸ Edited by François Gemenne, Pauline Brücker, Dina Ionesco, STUDY – The State of Environmental Migration 2013, The Institute for Sustainable Development and International Relations (IDDRI).
- ²⁹ Filipino Government signed the Philippines Disaster Risk Reduction and Management Act (PDRRM).
- ³⁰ Elizabeth Ferris, Daniel Petz and Chareen Stark, The Year of Recurring Disasters: A Review of Natural Disasters in 2012, The Brookings Institution – London School of Economics Project on Internal Displacement, March 2013
http://www.brookings.edu/~media/Research/Files/Reports/2013/03/natural%20disasters%20review/Brookings_Review_Natural_Disasters_2012.pdf
- ³¹ The Office for the Coordination of Humanitarian Affairs (OCHA).
- ³² <http://www.brookings.edu/events/2012/05/15-central-asia-natural-disasters>
- ³³ <http://www.unocha.org/top-stories/all-stories/global-un-and-partners-launch-record-humanitarian-appeal>
- ³⁴ <http://www.iom.int/cms/en/sites/iom/home/about-migration/key-migration-terms-1.html>
- ³⁵ იქვე.
- ³⁶ 1951 წელს მიღებული კონვენცია ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით, და 1967 წლის ლტოლვილის სტატუსის ოქმი.
- ³⁷ Organization of African Unity (OAU) Convention.
- ³⁸ Gil Marvel Tabucanon, Migration for environmentally displaced pacific peoples: legal options in the Pacific Rim, Pacific Basin Law Journal, Vol. 30:55, 2012.
- ³⁹ Howard F. Chang, The environment and climate change: is international migration part of the problem or part of the solution? Fordham Environmental Law Review, Sixteenth annual symposium, Global responses to eco-migration and environmental disasters: the role of U.S. and international law and policy, 2009-2010.
- ⁴⁰ Benoit Mayer, The International Legal Challenges of Climate-Induced Migration: Proposal for an International Legal Framework, Colorado Journal of International Environmental Law and Policy, Volume 22, 2011.
- ⁴¹ იქვე.
- ⁴² Sumudu Atapattu, Climate change, human rights, and forced migration: implications for international law, Climate Change & Forced Migration, vol. 27, no. 3, 2009-2010.
- ⁴³ საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ 5370-III 18/03/2012.
- ⁴⁴ ინფორმაცია საქართველოში მომხდარ კატასტროფებზე2.
- ⁴⁵ <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/lejmaqzqwpefpmultbjj.pdf>
- ⁴⁶ http://www.ecomigration.ge/index.php?option=com_content&view=article&id=89&Itemid=160
- ⁴⁷ 996 წლის 28 ივნისი, 335 – III, თბილისი
- ⁴⁸ 2007 წლის 1 ნოემბერი, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონუმობის ფორმის, მონუმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე.
- ⁴⁹ Protecting Intenally Displaced Persons: A Manual for Law and Policymakers, October 2008, გვ. 14, <http://www.unhcr.org/50f955599.html>
- ⁵⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება 34 2008 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ (3.07.2010 177).

⁵¹ 2013 წლის 13 ნოემბერი.

ევროკავშირის ქვეყნება ლისაბონის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 2007 წელს. იგი ძალაში შევიდა 2009 წელს. ამ ხელშეკრულების თანახმად, იმიგრაციასთან, თავშესაფართან და ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსენსუსით. თუმცა, სახელმწიფოებს კვლავაც რჩებათ ექსკლუზიური უფლება, რომ თავად გადაწყვიტონ რამდენ ადამიანს მიიღებენ საკუთარ ტერიტორიაზე. ხელშეკრულების თანახმად ევროპარლამენტის უფლებამოსილება კიდევ უფრო მეტად გაიზარდა იმიგრაციის სფეროში. მან ასევე უფრო გააძლიერა კომისიის პოზიცია სახელმწიფოებთან უკანონო მიგრანტების დაბრუნებასთან დაკავშირებით შეთანხმებების წარმოების კუთხით.³⁵

2.3.3. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება

ლისაბონის ხელშეკრულებამ მრავალი ცვლილება შეიტანა ევროკავშირში, შეცვალა დამფუძნებელი ხელშეკრულებები, ევროგაერთიანების ხელშეკრულება შეიცვალა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებით. ამ უკანასკნელი ხელშეკრულების 79-ე მუხლი საუბრობს იმიგრაციაზე, მათ შორის არარეგულარულ იმიგრაციაზე. აღნიშნულის მუხლის თანახმად, კავშირმა უნდა განავითაროს ერთიანი პოლიტიკა მიგრაციასთან დაკავშირებით, ყველა საფეხურზე უზრუნველყოს მიგრაციული ნაკადების მართვა, წევრ ქვეყნებში კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამართლიანი მოპყრობა, არალეგალური იმიგრაციის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ

ბრძოლა და მათი პრევენცია. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ევროკავშირის პარლამენტს და ევროკავშირის საბჭოს ევალებათ კავშირში შემოსვლისა და ცხოვრებისთვის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით პირობების დადგენა; ასევე წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული ნებართვებისთვის სტანდარტების შემუშავება; წევრ სახელმწიფოში ლეგალურად მცხოვრებ პირთა უფლებების დეფინიცია; არარეგულარულ მიგრაციასთან და თავშესაფართან დაკავშირებული საკითხები; ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. ევროკავშირს აღნიშნული მიუხედავად უფლებას ანიჭებს, რომ გააფორმოს ხელშეკრულებები მესამე სახელმწიფოებთან რეადმისიის შესახებ. კავშირის პარლამენტს და საბჭოს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ წევრ სახელმწიფოებს მათ ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრებ პირთა ინტეგრაციის უზრუნველყოფაში. მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოთა უფლებას, რომ განსაზღვრონ სამუშაო ნებართვების რაოდენობა, რომლებსაც გასცემენ მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე.³⁶

2.4. მბრუნავი მიგრაცია – მიგრაციული პოლიტიკის ნაწილი

ევროკავშირისთვის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, როგორ მოხდეს განვითარებადი ქვეყნებიდან ე.წ. „ტივინის გადინების“ პრაქტიკისთვის ხელის შეშლა. ერთის მხრივ, ევროპისთვის უკეთესია, თუ იქ ჩასული მიგრანტები მაღალკვალიფიციური პირები იქნებიან, მეორეს მხრივ კი, ქვეყანა, რომელიც კარგავს საუკეთესო ნაწილს მოსახლეობისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოახერხებს სწრაფად განავითაროს საკუთარი ეკონომიკა, რაც მომავალში კიდევ უფრო გაზრდის მიგრანტთა რიცხვს ევროპაში და შესაბამისად, ევროპა ვერ მოაგვარებს მიგრაციის პრობლემებს. მიიჩნევა, რომ აღნიშნულ პრაქტიკასთან ბრძოლის ერთ-ერთი გზა არის მბრუნავი მიგრაცია, რაც ნიშნავს მიგრანტის დახმარებას ქვეყნიდან წასვლის შემთხვევაში სამუშაოს პოვნაში და შემდეგ უკან, სამშობლოში დაბრუნებაში.³⁷

ზოგიერთი ოფიციალური პირი ევროკავშირში და მის წევრ ქვეყნებში ფიქრობს, რომ მბრუნავი მიგრაცია მრავალი პრობლემის მოგვარებას შეძლებს. კერძოდ: სამუშაო ად-

გილები შეივსება ევროპაში, შემდეგ კი მიგრანტები დაბრუნდებიან საკუთარ სამშობლოში ფინანსებით. 2007 წელს ევროკავშირმა გადაწყვიტა, რომ მობილური პარტნიორობის ფარგლებში გაამარტივოს მიგრაციის პროცედურები ისეთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებთანაც თანამშრომლობს ევროკავშირი.³⁸

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არსებობს გამოთქმა: „არაფერია ისეთი მუდმივი, როგორც დროებითი მიგრაცია“.³⁹ ამ მოსაზრებას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, რადგან ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა დროებით ნასული მიგრანტები მუდმივად რჩებიან საზღვარგარეთ და თან მიჰყავთ ოჯახის წევრებიც. მაგალითად, ტურისტული ვიზით ნასული მიგრანტები ხშირად რჩებიან ქვეყანაში ვიზისთვის ვადის გასვლის შემდეგაც. ძნელად დასაჯერებელია, რომ ღარიბი ეკონომიკის ქვეყნიდან ნასული პირი, რომელმაც ევროპაში უკეთესი პირობები იხილა და დასაქმდა, ისევ მოისურვებს უკან, განვითარებად ქვეყანაში დაბრუნებას. ამიტომ, მბრუნავ მიგრაციასთან დაკავშირებით პოლიტიკის განხორციელებისას სიფრთხილება საჭიროა.

2.5. სამეზობლო პოლიტიკა

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია მის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნებში შექმნას სტაბილური და ჯანსაღი სიტუაცია განვითარებისთვის. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი ხდება მეზობელი ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების განვითარება, ბაზარზე დაშვებით და სხვადასხვა სფეროებში მოლაპარაკებების წარმოებით. სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სომხეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, მოლდოვასთან, უკრაინასთან და ა.შ. სამეზობლო პოლიტიკის მთავარი საკითხი სწორედ მიგრაციაა. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში ფინანსდება მეზობელ ქვეყნებში პროექტები და პროგრამები საზღვრის კონტროლის გაძლიერებისთვის, ლტოლვილთა პირობების გაუმჯობესებისთვის, არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.⁴⁰

უმცირესობათა ინტეგრაცია მათ ადგილსამყოფელ ქვეყნებში მნიშვნელოვანი საკითხია ევროკავშირისთვის მიგრაციის მართვის კონტექსტში. რადგანაც ერთ ქვეყანაში უმცირესობათა უფლებების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მათ მიერ ქვეყნიდან წასვლა და ევროკავშირში იმიგრაცია.⁴¹ შესაბამისად, ევროკავშირი ამ საკითხებზეც აქტიურად მუშაობს და ახელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში უმცირესობათა უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2.5.1. ასოცირების შესახებ შეთანხმებები

ასოცირების შესახებ შეთანხმებები, რომლებიც არანეგრ სახელმწიფოებთან იდება, ასეთი ქვეყნების მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, რომ ევროკავშირში ანარმოონ ეკონომიკური საქმიანობა, მათი უფლებები ცოტა უფრო შეზღუდულია ვიდრე კავშირის მოქალაქეებისა. თითოეული შეთანხმების დადებისას იქმნება საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს შეთანხმების განვითარებასა და იმპლემენტაციას. იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომლებსაც გაფორმებული ჰქონდათ ასოცირების ხელშეკრულებები ევროკავშირთან, დღეს მისი წევრები არიან და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები წარმოადგენს მინიმუმ სტანდარტს იმისა, რის ქვევით არ უნდა წავიდეს განვითარებასთან დაკავშირებული ახალი უფლებები. ერთადერთი გამონაკლისია თურქეთი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პირველ ქვეყანას, რომელთანაც კავშირმა გააფორმა ასოცირების შესახებ შეთანხმება. ასოცირების შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული იყო ასევე ბულგარეთთან, ჩეხეთთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, ლიტვასთან, პოლონეთთან, სლოვაკეთთან და ა.შ. ყველა მათგანი დღეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს. ასოცირების ახალი შეთანხმებები მოიცავენ გარკვეულ ანტიდისკრიმინაციულ ნორმებს დასაქმებულ მუშახელთან მიმართებაში, ბიზნესის დაწყების და მომსახურების განვითარების უფლებას.⁴²

ასოცირების შესახებ შეთანხმებებმა ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებს დემოკრატია, განვითარება და სტაბილურობა მოუტანა. ვაჭრობის გამარტივება და ევროპული ინვესტიციების გააქტიურება აღნიშნულ ქვეყნებში,

რა თქმა უნდა, დადებითად აისახა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს მიგრაციის პროცესზეც.⁴³

2.5.2. დახმარება განვითარებისთვის

ევროკავშირში მიგრაციის მართვის პოლიტიკის კიდევ ერთი კომპონენტია დახმარების განწევა განვითარებადი ქვეყნებისთვის. თავის წევრ ქვეყნებთან ერთად ევროკავშირი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დონორია ოფიციალური დახმარებების გაცემის თვალსაზრისით. 2006 წელს ევროკავშირმა გასცა 48 მილიარდი დოლარის დახმარება, რაც წარმოადგენს მისი მთლიანი შემოსავლის 0.42%-ს. ამერიკაში ეს მაჩვენებელი არის 0.17%, ხოლო იაპონიაში 0.25%. გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და გერმანია ყველაზე მსხვილი დონორები არიან კავშირში. მათ მიერ 2006 წელს გაცემული ოფიციალური დახმარება არის შესაბამისად 10 მილიარდი, 8.3 მილიარდი და 8.2 მილიარდი აშშ დოლარი. თუმცა, თუ ვიხელოვანდებით გაცემული დახმარების ნილობრივი მაჩვენებლით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, მაშინ პირველ ადგილზე არის დანია, შემდეგ მოდიან ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და შვედეთი.⁴⁴

პრაქტიკაში ევროკავშირი ყოველთვის ვერ ახერხებდა, რომ გაცემული დახმარებები და მიგრაციის პოლიტიკა ერთმანეთთან შერწყმულად ეწარმოებინა. დახმარებები, როგორც წესი, გაიცემა მიგრაციის პოლიტიკისგან დამოუკიდებლად მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების აზრით, მიგრანტთა ასოციაციების გამოყენება, მათთვის ხელშეწყობა ბიზნესის დაწყებაში საკუთარ ქვეყანაში და ა.შ სასიკეთოდ წაადგება მიგრაციის მართვის პოლიტიკას.⁴⁵

თუმცა, არსებობს ეჭვები იმის თაობაზე, ნამდვილად ხელს შეუწყობს თუ არა განვითარებადი ქვეყნებისთვის განწეული ფულადი დახმარება სილატაკის შემცირებას და ემიგრაციის შეჩერებას აღნიშნული ქვეყნებიდან. მრავალი სამეცნიერო კვლევის თანახმად, როდესაც ღარიბი ქვეყნების მაცხოვრებლების შემოსავალი იზრდება, ეს პირიქით, ხელს უწყობს მათ ემიგრაციას, რადგან უკვე შეუძლიათ განახორციელონ თავის მისწრაფებები იმ ქვეყნებში, რომლებშიც თავად

სურთ. მხოლოდ მოგვიანებით, მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ, როდესაც ემიგრაციული ქვეყნების სამუშაო ბაზარი შეძლებს, რომ შესთავაზოს დაახლოებით იგივე პირობები მაინც დასაქმებულებს, რასაც სთავაზობს მათ ევროპული ბაზარი, გაიზარდება იმის შანსი, რომ ასეთი ქვეყნის მაცხოვრებლები ნაკლებად იფიქრებენ ემიგრაციაზე.⁴⁶

2.6. ევროკავშირის პოლიტიკა მუშა მიგრანტებთან მიმართებაში

ევროპის კომისიის დასკვნის თანახმად, ევროპაში 2007 წელს 8 მილიონი არალეგალური მიგრანტი იყო და მათი რიცხვი ყოველ წელს დაახლოებით ერთი მილიონით იზრდება. მრავალი მათგანი ევროპაში ჩავიდა მოკლევადიანი ვიზით და ვადის გასვლის შემდეგ უკან აღარ წავიდა. ბევრი პოულობს სამუშაოს ევროპის “შავ ეკონომიკაში”, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 16%-ს წარმოადგენს.⁴⁷ ეს ადამიანები, როგორც წესი, ჩადიან ევროპაში იმ მოტივით, რომ იპოვონ არალეგალური სამუშაო აგრარულ სფეროში, მშენებლობაში და ა.შ. მრავალი მათგანი ბინძურ სამუშაოს ასრულებს და მინიმუმზე მცირე ხელფასის პირობებში მუშაობს.

სამუშაო ძალა დროთა განმავლობაში სულ უფრო იმატებს განვითარებად ქვეყნებში, განვითარებული ქვეყნის სამუშაო ძალა ძალიან მცირე იქნებოდა მათ გარეშე. მუშათა მიგრაცია ქვეყნებს შორის, შესაძლოა ბუნებრივ მოვლენადაც ჩაითვალოს, მაგრამ გაზრდილი და უკონტროლო მიგრაცია ინვესს შიშს, რომელიც შესაძლოა “სახლში დარჩი“-ს პოლიტიკის გამომწვევი მიზეზიც გახდეს.⁴⁸

ევროპის ქვეყნები მუშაობის მიზნით ჩასულ ურიცხვ მიგრანტთა მდგომარეობის დარეგულირებას ცდილობდნენ კანონებისა და პროგრამების ლიბერალიზაციით, რაც უმეტეს შემთხვევაში კვალიფიციურ და მაღალკვალიფიციურ მუშახელს ეხებოდა.⁴⁹

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პოლიტიკა მიგრაციასთან დაკავშირებით ორი ძირითადი მიდგომისგან შედგებოდა: მუდმივი და რაციონალური. შვეიცარია და დასავლეთ გერმანია ნებართვებს გაცემდნენ ერთჯერადად და დროებით, ხოლო გაერთიანებულ სამეფოს არჩეული ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ნებართვების გაცემის

სტრატეგია. სხვა ევროპული ქვეყნები კი ამ ორი მიდგომის ნაზავსაც იყენებდნენ. 1973 წლიდან დასავლეთ გერმანიაში გაამკაცრა პოლიტიკა იმიგრანტების მიმართ და ნებართვები უკვე შეზღუდული რაოდენობით გაიცემოდა, თუმცა გაიზარდა უკვე არსებული მიგრანტების ოჯახის წევრებზე გაცემული ნებართვების რაოდენობა. იგივე პერიოდში გაამკაცრა საკუთარი პოლიტიკა საფრანგეთმაც და ასევე ევროპის ბევრმა სხვა ქვეყანამ. პოლიტიკის აღნიშნული გამკაცრება დაკავშირებული იყო ნავთობის პირველ ბუშთან, ასევე იმ სოციალურ პირობებთან, რომელიც სახელმწიფოს უნდა შეექმნა მიგრანტებისთვის, რომლებსაც ის საცხოვრებელ ნებართვებს აძლევდა.⁵⁰

მეოცე საუკუნის ბოლოს გაიზარდა ოჯახის გაერთიანების სურვილით ჩამსვლევლ იმიგრანტთა რაოდენობა. მაგალითად, 1999 წელს დანიაში ჩასული იმიგრანტების 66% სწორედ აღნიშნული მიზნით იყო ჩასული. რაც შეეხება თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა ნაკადს, მათი ოდენობა რეგიონებში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე დამოკიდებული. მაგალითად, კოსოვოს კრიზისის დროს აღნიშნული რეგიონიდან ჩასული ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი მკვეთრად აისახა იმიგრანტთა საერთო ოდენობაზე ევროპაში. აღნიშნული მიზნით მრავალი ადამიანი მიდის აგრეთვე აფრიკიდანაც.⁵¹

2.7. რეგულარიზაცია

ევროკავშირში მიგრაციის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება არის რეგულარიზაციის პროგრამები და მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ხდება ქვეყანაში არალეგალურად მყოფი პირების მდგომარეობის რეგულარიზაცია. აღნიშნულ მიმართულებას უკვე 30-წლიანი ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში კავშირის მასშტაბით მილიონობით პირის მდგომარეობა იქნა დარეგულირებული.

2.7.1. ტერმინების განმარტება

ევროკავშირის დირექტივა დაბრუნების შესახებ⁵² შეიცავს განმარტებას უკანონო ყოფნასთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყენება ევროკომისიის მიერ სხვა დირექ-

ტივების პროექტებშიც. დირექტივის მესამე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად:

*„უკანონო ყოფნა“ ნიშნავს წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს მოქალაქის ისეთ ყოფნას, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს შენგენის სასაზღვრო კოდექსის მეხუთე მუხლით გათვალისწინებულ შემოსვლის პირობებს ან შემოსვლის, ყოფნის და ცხოვრების სხვა პირობებს ამ წვერ სახელმწიფოში“.*⁵³

მიუხედავად საერთო დეფინიციის არსებობისა, წვერი სახელმწიფოები მაინც სხვადასხვაგვარად განმარტავენ ზემოაღნიშნულ ტერმინს, რისთვისაც ძირითადად იყენებენ ნეგატიურ მნიშვნელობას – რომ კონკრეტული პირები არ იმყოფებიან ლეგალურად მათ ტერიტორიაზე. თუმცა, არ არსებობს საკმარისი მითითება იმ კანონებზე თუ ნორმებზე, რომლებიც ირღვევა აღნიშნული პირის ყოფნით მათ ტერიტორიაზე. გამონაკლისია ნიდერლანდები და ირლანდია, რომელთაც ნათლად აქვთ განმარტებული არალეგალური ცხოვრების მნიშვნელობა.⁵⁴

ევროკომისიის განმარტება კი ფართოა, რადგან „უკანონო ყოფნა“ მისი განმარტების თანახმად ნიშნავს ქვეყანაში ყოფნას მაშინ, როცა ვიზას, საცხოვრებელ ნებართვას გაუვიდა ვადა, უარი ითქვა თავშესაფარზე, უკანონოდ შევიდა წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ა.შ. შესაძლებელია, ადამიანმა კანონიერად გადაკვეთოს საზღვარი და შევიდეს ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ შემდეგში იმის გამო, რომ ვიზას ვადა გაუვიდა, ის კი მაინც ქვეყანაში რჩება, მისი იქ ყოფნა გახდეს უკანონო. არც ის არის გამორიცხული, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ შესულმა პირმა შემდგომში მონანიღობა მიიღოს რეგულარიზაციის პროცესში და მისი აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოფნა გახდეს კანონიერი. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს ერვოკავშირის მიერ არჩეულ განმარტებას უკანონო ყოფნასთან დაკავშირებით.

ტერმინ რეგულარიზაციის სამართლებრივი ან ზოგადი განმარტება არ არის მოცემული რომელიმე ოფიციალურ დოკუმენტში. შინაარსობრივად რეგულარიზაცია ნიშნავს სახელმწიფოს ნებისმიერ პროცედურას, რომლის მეშვეობით მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მასპინძელი სახელმწიფოს ტე-

რიტორიაზე იმყოფებიან უკანონოდ, იძენენ კანონიერ სტატუსს ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კანონიერი სტატუსის მინიჭება შეიძლება იყოს მუდმივი, ხანგრძლივი ან ხანმოკლე.⁵⁵

განსხვავდება ასევე რეგულარიზაციის პროგრამა რეგულარიზაციის მექანიზმისგან. რეგულარიზაციის პროგრამა ნიშნავს სპეციალურ პროცედურას, რომელიც არ წარმოადგენს ზოგადი მიგრაციის პოლიტიკის ნაწილს, დროის შეზღუდულ მონაკვეთზე გათვლილი და მხოლოდ ცალკეული კატეგორიის პირებს მოიცავს. მექანიზმი კი პირიქით, ხანგრძლივ დროის მონაკვეთზე გათვლილი პროცედურაა, რომელიც როგორც წესი, მიგრაციის ერთიანი პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს და მისით სარგებლობენ ინდივიდუალური პირები. მექანიზმები მოიცავენ ე.წ. „გამომუშავებით ლეგალიზაციას“, როგორცაა, მაგალითად, ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ ცხოვრების ნებართვის მოპოვება, ოჯახის გაერთიანების მიზნით ლეგალური სტატუსის მინიჭება და ა.შ.

2.7.2. რეგულარიზაცია – არარეგულარულ მიგრაციასთან ბრძოლის საშუალება

ცალკეულ ქვეყნებში რეგულარიზაციის პრაქტიკა 1980-იანი წლებიდან აქტიურად მიმდინარეობს, ამ პერიოდიდან იწყება შეზღუდვების დაწესება მიგრაციაზეც.

სახელმწიფოები რეგულარიზაციის პოლიტიკას რამდენიმე მიზეზის გამო მიმართავენ:

1) შეინარჩუნონ კონტროლი მიგრაციის პროცესზე და შეამცირონ არარეგულარული მიგრანტების რაოდენობა,

2) გააუმჯობესონ მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ასევე აისახება ქვეყნის ზოგად მდგომარეობაზე თუ მიგრანტების რიცხვი ქვეყანაში მნიშვნელოვნად მაღალია,

3) გაზარდონ სამუშაო ბაზრის გამჭვირვალობა და ებრძოლონ უკანონო დასაქმების პრობლემას და ა.შ.

ქვეყნები, როგორც წესი, მიმართავენ რეგულარიზაციის პროგრამებს, ხოლო რეგულარიზაციის მექანიზმებს მათ პრაქტიკაში უფრო იშვიათად ვხვდებით. არადა რეგუ-

ლარიზაციის, როგორც მექანიზმის ჩადება ქვეყნის პოლიტიკაში ბევრად ეფექტურია, ვიდრე ცალკეული პროგრამების განხორციელება. რეგულარიზაციის მექანიზმი მოქმედებს მუდმივად, ცალსახადაა განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც პირი მიიღებს ლეგალურ სტატუსს. რეგულარიზაციის მექანიზმი ნიშნავს სისტემის შექმნას და არა ცალკეული დროებითი პროგრამების განხორციელებას, რაც მეტ ხარჯებს იწვევს და ყოველთვის ეფექტური არ არის.

1996-2007 წ.წ. განხორციელებულ 42 რეგულარიზაციის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 4.2 მილიონმა ადამიანმა 17 ქვეყანაში, საიდანაც ლეგალური სტატუსი 2.9 მილიონმა მოიპოვა.⁵⁶ რაც შეეხება რეგულარიზაციის მექანიზმებს, 2000-2006 წ.წ. დაახლოებით 100,000 პირის რეგულარიზაცია მოხდა.⁵⁷

რეგულარიზაციის პროგრამებს შესაძლოა ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ასეთი პროგრამების სასარგებლო შედეგი არის ის, რომ ხელისუფლება მოიპოვებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას მიგრანტების შესახებ: მიგრანტების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს ამა თუ იმ პირობებს; კავშირები, რომელსაც იყენებენ მიგრანტები იმისთვის, რომ მოახერხონ უკანონოდ დარჩენა ეკონომიკურ სექტორში და ა.შ. რეგულარიზაციის პროგრამები არის უკანონო მიგრანტების ქვეყანაში ყოფნისთვის კანონიერი სტატუსის მინიჭების საშუალება; როდესაც არარეგულარულ მიგრანტთა რიცხვი ქვეყანაში კრიტიკულ ზღვარს აღწევს, მათი მდგომარეობის რეგულარიზაცია შესაძლოა ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებშიც შედიოდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მათ მიერ კრიმინალურ ქმედებათა ჩადენას და სხვა. დასაქმების შემთხვევაში მათ მიერ დანაშაულების ჩადენის რისკი ცალსახად მცირდება.

თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს ასეთი პროგრამების შესაძლო უარყოფითი მხარეები და შედეგები. მსგავსი პროგრამების ყველაზე დიდი საფრთხე არის ის, რომ მან შესაძლოა გამოიწვიოს არალეგალური იმიგრაციის გაზრდა და სტიმული დაუკარგოს ლეგალურ მიგრაციას. დასაქმებაზე ორიენტირებულ ფართომასშტაბიან რეგულარიზაციის პრო-

გრამებს ხშირად თან ახლავს მასობრივი გაყალბება და თაღლითობა (ესპანეთი, იტალია). პროგრამის მიზანი კი რჩება მიუღწეველი.⁵⁸

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებაზე ორიენტირებული რეგულარიზაციისას დამსაქმებლები ყოველთვის კმაყოფილი არ რჩებიან. საუბარია ისეთ კომპანიებზე, რომლებიც ორიენტირებული არიან იაფ მუშახელზე, რომლებისთვისაც არ ითვალისწინებენ სოციალური უსაფრთხოების სტანდარტებს. მუშახელისთვის ლეგალური სტატუსის მინიჭების შემთხვევაში კი დამსაქმებელი იძულებული ხდება დაიცვას მინიმალური სტანდარტები, რაც გათვალისწინებულია შრომით ბაზარზე.

იმისთვის, რომ დასაქმებაზე ორიენტირებული რეგულარიზაცია იყოს ეფექტური, საჭიროა იგი იყოს ერთიანი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, პოლიტიკისა, რომელიც ებრძვის ზოგადად უკანონო დასაქმებას და არა მხოლოდ არალეგალების უკანონო მუშაობას.

3. ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკა

ევროკავშირის ქვეყნებიდან საფრანგეთი და გერმანია ყველაზე ხანგრძლივი მიგრაციული ისტორიის ქვეყნები არიან, ისინი დიდი ხანია მასპინძლობენ მიგრანტთა სხვადასხვა ტალღებს და მათი პოლიტიკა მიგრაციასთან დაკავშირებით მუდმივად იხვეწება და მიდის ლიბერალიზაციისკენ. ამ ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვა აშკარას ხდის, რომ მიგრაციის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გატარება არ არის შედეგის მომცემი და მან შეიძლება დადებითი ნაცვლად მეტი უარყოფითი შედეგები მოუტანოს ქვეყანას.

3.2. იმიგრაციის პოლიტიკა გერმანიაში

2006 წლის ბოლოს გერმანიის მოსახლეობა 82 მილიონს აღწევდა, აქედან 6.7 მილიონი არ იყო გერმანიის მოქალაქე. ყველაზე დიდი რაოდენობით იყვნენ ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები. თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა კი დროთა განმავლობაში სულ უფრო იკლებდა. თუ 1999 წელს მათი რაოდენობა 95,000 იყო, 2006 წელს 21,000 დაფიქსირდა. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან გერმანიაში არა-

ლეგალურად ჩამსვლელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რადგან გერმანიის გაერთიანების შემდეგ სამხრეთი საზღვარი ფაქტიურად უკონტროლო იყო. 90-იანი წლების ბოლოს კი არალეგალების რაოდენობამ შემცირება დაიწყო, რისი სავარაუდო მიზეზიც შესაძლოა ევროკავშირის გაფართოება გახდა.⁵⁹

3.2.1. იმიგრაციის პირობები და სამართალი

უცხოელების შესახებ 1965 წლის აქტი აწესებდა ქვეყანაში შემოსვლაზე ნებართვის გაცემის პირობებს. მწვანე ბარათი კი გაციემოდა ქვეყანაში ლეგალურად მყოფ პირებზე, რაც მათ აძლევდათ მუშაობის უფლებას. ძველი დოკუმენტი შეცვალა 1990 წლის აქტმა უცხოელების შესახებ, რომლითაც დაწესდა საცხოვრებელი ნებართვის ორი სახე: მუდმივი და დროებითი. 2005 წელს მიღებულ იქნა საცხოვრებელი ნებართვის შესახებ აქტი, რომელიც ასევე მხოლოდ ორი სახის ნებართვის გაცემას ითვალისწინებდა. დღეს კი ასეთი ნებართვა დაახლოებით 35 სახისაა. 2007 წელს ბუნდესტაგმა მიიღო გადაწყვეტილება იმიგრაციის სფეროში ევროკავშირის დირექტივების გერმანიის კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შესახებ. ჯამში 11 დირექტივა იქნა გადმოტანილი გერმანიის კანონმდებლობაში და მრავალმა ეროვნულმა ნორმამ განიცადა ცვლილება.⁶⁰

აღსანიშნავია, რომ გერმანიის მთავრობა თავდპირველად მასობრივი რეგულარიზაციის სასტიკი წინააღმდეგი იყო, რადგან თვლიდა, რომ ეს არალეგალური მიგრაციის წამქეზებელი ფაქტორი გახდებოდა. გერმანიის კანონმდებლობა და რეგულარიზაცია იცნობს მაცხოვრებლის სტატუსს, რომელიც არც არალეგალურია და არც არადოკუმენტირებული, აღნიშნულ სტატუსს შემწყნარებლობა ("toleration") ეწოდება. ამ სტატუსს ანიჭებენ პირებს, რომლებიც ექვემდებარებიან დეპროტაციას და ეძლევათ გერმანიაში დარჩენის უფლება რამდენიმე დღით, კვირით ან თვით. სტატუსის მფლობელებს აქვთ შეზღუდული დაშვება გერმანიის სამუშაო ბაზარზე და მხოლოდ ნაწილობრივი სოციალური დახმარება.⁶¹

ზოგადად, ცხოვრების ნებართვა გერმანიაში შეიძლება გაიცეს მუშაობის, ოჯახის

გაერთიანების და სწავლის-ტრენინგების მიზნით. უკანასკნელ კატეგორიასთან დაკავშირებით აუცილებელია გარკვეული უნარების ფლობის დადასტურება/დამტკიცება. პირები, რომლებზეც გაიცემა ასეთი ნებართვა, შეიძლება იყვნენ მეცნიერები, ბიზნესმენები, ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანები, სპორტსმენები, ჟურნალისტები და ა.შ. ნებართვების გაცემას ექვემდებარებიან ასევე ეთნიკურად გერმანელები, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, მეორე მსოფლიო ომის დროს გადაადგილებული პირები, პირები, რომლებიც ბავშვობაში ცხოვრობდნენ გერმანიაში და აქვთ უკან დაბრუნების უფლება. ნებართვის გაცემა შესაძლებელია ასევე არა-ექსპერტულ პროფესიებზე: სეზონური მუშახელი, შინამოსამსახურეები და სხვა.⁶²

საკანონმდებლო ცვლილებების და ნორმათა დახვეწის პარალელურად გერმანიაში მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამები, რომ დარეგულირებულიყო იმ პირთა მდგომარეობა, რომლებიც არალეგალურად იმყოფებოდნენ გერმანიაში იმის გამო, რომ ვერ დააკმაყოფილეს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები და იძულებული გახდნენ არალეგალურად გადაეკვეთათ საზღვარი ან ვიზისთვი ვადის გასვლის შემდეგ არალეგალურად დარჩენილიყვნენ ქვეყანაში.

3.2.1.1. სავიზო პოლიტიკა

გერმანია გასცემს ტრანზიტულ ვიზებს ქვეყნის გადაკვეთისთვის, შენგენის ვიზებს 3 თვემდე ქვეყანაში დარჩენისთვის, და ნაციონალურ ვიზებს მეტი პერიოდით დარჩენისთვის.⁶³ ნაციონალური ვიზა არის წინაპირობა იმიგრანტის სტატუსის მინიჭებისთვის. შესაბამისად, ნაციონალური ვიზის გაცემისთვის აუცილებელია იმ პირობების დაკმაყოფილება, რაც განსაზღვრულია ცალკეული საცხოვრებელი ნებართვის გაცემისთვის.⁶⁴

ზოგადად, სავიზო განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას გერმანიის საელჩოებში ან საკონსულოებში საზღვარგარეთ. როგორც წესი, სამ თვეზე მეტხნაინი ვიზისთვის აუცილებელია წინასწარი ნებართვა უცხოელების პოლიციისგან (ე.წ. "foreigners police"), რომელიც არის პასუხისმგებელი იმ ფედერალურ ტერიტორიაზე, სადაც შეტანილია საცხოვრებელი ნებართვის გაცემის თხოვნა. ასეთი ნებარ-

თვა აუცილებელია აგრეთვე უცხოელის მიერ მუშაობის დაწყების სურვილის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებლის თანხმობა წარდგენილი უნდა იყოს ვიზის გაცემამდე.⁶⁵

ზოგადი კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ვიზის მიმღები აპლიკანტი არის: უნდა მიუთითოს გამგზავრების მიზანი, ფლობდეს მოქმედ პასპორტს,⁶⁶ მისი დარჩენა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფინანსურად და უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის შესაბამისი დაზღვევა გერმანიაში დასარჩენად.⁶⁷

აეროპორტის ტრანზიტული ვიზისა და შენგენის ვიზისთვის გადასახადი 60 ევროა, ნაციონალური ვიზისთვის 30 ევრო, ხოლო შერეული ვიზისთვის 60 ევრო.⁶⁸ ვიზის გაცემაზე უარის გასაჩივრება შესაძლებელია ბერლინის ადმინისტრაციულ სასამართლოში, თუმცა პროცედურები მეტად ხანგრძლივია, ორიდან სამ წლამდე.⁶⁹

ევროკავშირის რეგულაციის⁷⁰ მეორედანართში ჩამოთვლილი ქვეყნების გარდა, გერმანიაში შესვლისთვის ვიზა ასევე არ სჭირდებათ ავტრალიის, ისრაელის, იაპონიის, კანადის, სამხ. კორეის, ახალი ზელანდიის და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს. უფრო მეტიც, აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეებს ასევე არ სჭირდებათ წინასწარ განცხადების გაკეთება გერმანიაში სამ თვეზე მეტი ვადით დარჩენის შემთხვევაშიც კი, მიუხედავად დარჩენის მიზნისა.⁷¹

3.2.1.2. საცხოვრებელი ნებართვა

გერმანიაში შესვლისას გერმანული ენის ცოდნა სავალდებულო არ არის, თუმცა გარემოება შეიძლება შეიცვალოს. დღეისდღეობით, იმიგრანტის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ის ეცდება ინგლისურის ენის შესწავლას ქვეყანაში შესვლის შემდეგ, რისთვისაც შეთავაზებულია შესაბამისი კურსები. იმიგრანტებისთვის, რომლებსაც არასაკმარისი ენობრივი უნარები აქვთ, შესაძლოა სავალდებულო იყოს ასეთ კურსებზე დასწრება.⁷² ამჟამად იმისთვის, რომ გაიცეს მუდმივი საცხოვრებელი ნებართვა, აუცილებელია პირმა დაადასტუროს გერმანული ენის საბაზისო ცოდნის დონე. თუმცა, არ არის სავალდებულო, პირმა იცოდეს მასპინძელი ქვეყნის ისტორია.⁷³ საცხოვრებელი ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული პროცედურა

დაახლოებით ორი-სამი თვე გრძელდება. ცხოვრების ნებართვაზე უარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრების სამართლებრივ საშუალებებს და ვადას, რა პერიოდშიც შეიძლება გადამწყვეტილების გასაჩივრება.⁷⁴

უმეტეს შემთხვევაში პირველად საცხოვრებლის ნებართვაზე მოთხოვნა შეტანილ უნდა იქნას წარმოშობის ქვეყანაში. როდესაც ვიზა არ არის საჭირო, არ ხდება ნებართვის განახლება, მაშინ დასაშვებია განაცხადის გაკეთება გერმანიაში. საცხოვრებელ ნებართვას გასცემს უცხოელების პოლიცია.⁷⁵ როგორც წესი საცხოვრებელი ნებართვის გაცემა დამოკიდებულია რამდენიმე გარემოებაზე: პირი საარსებო საშუალებით უზრუნველყოფილია, გაძევებისთვის საფუძველი არ არსებობს, მისი გერმანიაში ცხოვრება საფრთხეს არ უქმნის ქვეყნის ინტერესებს, საპასპორტო ვალდებულება დაცულია, და საჭირო ვიზა გაცემულია.⁷⁶

3.2.1.3. პირობები ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩასვლის შემთხვევაში

გერმანიის მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე საცხოვრებელი ნებართვის გაცემა გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. თუ რომელიმე ისეთი ქვეყნის მოქალაქე, რომლის მოქალაქეებიც შემჩნეული არიან საბუთების გაყალბებაში გერმანიაში შევა ტურისტული ვიზით და შემდეგ შეავსებს განაცხადს ცხოვრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, მისი განაცხადი არ განიხილება. ის ვალდებული იქნება, რომ დაბრუნდეს უკან თავის წარმოშობის ქვეყანაში და იქ შეიტანოს განაცხადი ნებართვის გაცემის თაობაზე. ევროკავშირის სხვა ქვეყნების მოქალაქეების ოჯახის წევრებთან მიმართებაში მსგავსი მოთხოვნა არ არის დადგენილი. მათ შეუძლიათ ცხოვრების ნებართვის შესახებ განაცხადი გერმანიაშივე წარადგინონ.⁷⁷

რაც შეეხება მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებს, მათ აქვთ ოჯახის გაერთიანების უფლება, თუ გერმანიაში მცხოვრებ პირს გააჩნია გერმანიაში მუდმივი ცხოვრების ნებართვა მინიმუმ ორი წლის ვადით ან საცხოვრებელი ნებართვა, რომელიც უკვე არსებობდა ქორწინებამდე და მოსალოდნელია, რომ გაგრძელდება კიდევ ერთ წელზე მეტი ვადით. ოჯახის გაერთიანება იმ შემთხვევაში დამტკიცდება, თუ ორივე მუდმივ შესაბამისი

ასაკისაა.⁷⁸ გარდა ამისა, ჩამოსული ოჯახის წევრი ვალდებულია, იცოდეს გერმანული ენა და მწყობის დონეზე მაინც. თუმცა, ის პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან გერმანიაში ჩასვლისთვის სავიზო რეჟიმს, თავისუფალი არიან აღნიშნული ვალდებულებებისგან. გერმანიაში 5 წლიანი ცხოვრების შემდეგ ოჯახის წევრსაც შეუძლია მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიღება თუ მას აქვს გარანტირებული შემოსავალი. საცხოვრებელი ნებართვის გაცემიდან 2 წლის გასვლამდე მას არ აქვს მუშაობის დაწყების უფლება გამონაკლისი შემთხვევების გარდა.⁷⁹ 16 წლამდე ბავშვების იმიგრაცია გერმანიაში დასაშვებია თუ მათი მშობლები ცხოვრობენ გერმანიაში და აქვთ დაცული შემოსავალი.⁸⁰ 18 წელს ზევით შვილების მიმართ დადგენილია მოთხოვნა გერმანული ენის კარგად ცოდნისა.⁸¹ როგორც წესი, 18 წელს ზევით ოჯახის წევრს შეუძლია შეუერთდეს თავის ოჯახს გერმანიაში მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების შემთხვევაში.⁸² ბავშვებს, რომლებიც ჩავიდნენ გერმანიაში ოჯახის გაერთიანების მიზნით, უფლება აქვთ მიიღონ განათლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. 16 წლის ასაკში ბავშვები იღებენ მუდმივი ცხოვრების ნებართვას, თუ მანამდე 5 წელი მაინც იცხოვრეს გერმანიაში.⁸³

1996 წელს დარეგულირდა უცხოელთა ოჯახების მდგომარეობა, რომლებიც გერმანიაში უკიდურესი გაჭირვების გამო იყვნენ ჩასულები და უკვე მოახდინეს ინტეგრაცია გერმანიის ეკონომიკურ, სოციალურ სფეროებში. ჯამში 7, 856 ადამიანის მდგომარეობა გახდა ლეგალური აღნიშნული პროგრამის საფუძველზე.

3.2.1.4. პირობები მუშაობის მიზნით ჩასვლის შემთხვევაში

უცხოელმა შეიძლება მიიღოს საცხოვრებელი ნებართვა თვითდასაქმების მიზნით თუკი არსებობს უპირატესი ეკონომიკური ან სპეციალური რეგიონალური საჭიროება, ან მოსალოდნელია პოზიტიური ეკონომიკური შედეგი ასეთი დასაქმებისგან. კანონის მიხედვით, მინიმუმ 500 000 ევრო უნდა იყოს ჩადებული საქმეში და უნდა შეიქმნას მინიმუმ 5 სამუშაო ადგილი.⁸⁴ ასეთ შემთხვევებში საცხოვრებელი ნებართვა მას იმ შემთხვევაში ვადით გაცემა, გამონაკლის შემთხვევებში

შესაძლებელია დაფუძნების ნებართვის გაცემა.⁸⁵

უცხოელი მუშახელისთვის ნებართვის გაცემა გერმანიაში ჩასვლისთვის დამოკიდებულია გერმანიის ეკონომიკის მოთხოვნილებაზე, რომელიც განისაზღვრება სამუშაო ბაზარზე არსებული მდგომარეობით, და უმუშევრობასთან ბრძოლის საჭიროებაზე.⁸⁶ ნებართვა, რომელიც იძლევა მუშაობის უფლებას, შესაძლოა გაიცეს მხოლოდ ფედერალური დასაქმების სააგენტოს თანხმობით.⁸⁷ სააგენტო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, თუ იმიგრანტის დასაქმება არ დააზიანებს გერმანიის სამუშაო ბაზარს, და არ არიან დასაქმების მსურველი გერმანიის ან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ მუშაობის ნებართვა. ვიზა, რომელიც გაიცემა მუშაობის ან დროებითი ცხოვრების მიზნით, როგორც წესი შეზღუდულია აღნიშნული მიზნით და მისი განახლება სხვა მიზნით არ ხდება.⁸⁸ ცხოვრების ნებართვა შეიძლება გაგრძელდეს ხელახალი გადამონმების გარეშე მუშაობის ერთი წლის შემდეგ იგივე დამსაქმებელთან.⁸⁹ 2007 წლიდან გერმანიაში პირს შეუძლია დასაქმდეს იმ შემთხვევაშიც თუ მისი საცხოვრებელი ნებართვა სხვა მიზნით არის გაცემული.⁹⁰

სეზონური მუშების დასაქმება, როგორც წესი, აგრარულ სექტორში ხდება. სეზონური მუშები კვირაში მინიმუმ 30 საათი უნდა იყვნენ დასაქმებული, დღეში მინიმუმ 6 საათით, მაგრამ არაუმეტეს ოთხი თვისა ყოველ კალენდარულ წელიწადში.⁹¹

3.2.1.5. პირობები სწავლა და ტრენინგების მიზნით ჩასვლის შემთხვევაში

საცხოვრებელი ნებართვის ხანგრძლივობა უნივერსიტეტში სწავლის მოსამზადებელი პერიოდისთვის არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. მისი გაგრძელება შესაძლებელი იქნება, თუ პირმა ვერ მიაღწია საჭირო შედეგს ამ პერიოდში და მისი მიღწევა შესაძლებელია გონივრულ ვადაში. საჭირო მოთხოვნებია: უზრუნველყოფილი შემოსავალი და ჯანმრთელობის დაზღვევა. ასეთი ნებართვა განაცხადის წარდგენიდან ორი თვის ვადაში გაიცემა.⁹²

უნივერსიტეტში ჩაბარების მიზნით საცხოვრებელი ნებართვა არ გაიცემა 9 თვეზე მეტი ვადით. სწავლის განმავლობაში მუშაო-

ბა დასაშვებია 90 დღე ან 180 ნახევარგანაკვეთიანი დღე, ასევე პრაქტიკის მიზნით სტუდენტის მეორადი საქმიანობა უნივერსიტეტში.⁹³ წარმატებული საბოლოო ხარისხის მოპოვების შემთხვევაში შესაძლებელია საცხოვრებელი ნებართვის განახლება ერთი წლის ვადით სამსახურის მოძიების მიზნით. სამსახური უნდა იყოს ისეთი, როგორც დასაშვებია იმიგრანტისთვის.

1991 წლის რეგულარიზაციის პროგრამამ მოიცვა თავშესაფრის მაძიებლები, რომლებსაც უარი ეთქვათ თავშესაფარზე. ასევე იყო არაერთი რეგულარიზაციის პროგრამა, რომელიც კონკრეტული ეროვნების ხალხს ეხებოდა. მაგალითად, 1994 წლის პროგრამით დარეგულირდ იეზიდი თურქების მდგომარეობა, ასევე იყო პროგრამა პაკისტანელებისთვის და ა.შ. 1999 წლის პროგრამა ეხებოდა პირებს, რომლებსაც უარი ჰქონდათ მიღებული თავშესაფარზე და იყვნენ ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან, ჯამში მოიცვა 18,258 აპლიკანტი. ასეთივე სახის პროგრამა განხორციელდა 2000 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინიდან და კოსოვოდან წამოსული თავშესაფრის მაძიებლებისთვის, რომლებსაც უარი ჰქონდათ თავშესაფარზე მიღებული.⁹⁴

2001 წელს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანია იმიგრაციის ქვეყანაა.⁹⁵ 2006 წელს დამტკიცდა პროგრამა, რომელიც ეხებოდა შეწყნარებული პირების სამართლებრივი მდგომარეობის დარეგულირებას თუ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ გერმანიაში და უკვე ინტეგრირებული იყვნენ საზოგადოებაში. აღნიშნულ პროგრამას დაახლოებით 72,000 ადამიანი გამოეხმარა, აქედან დაახლოებით 20,000 დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ნებართვით, ხოლო 30,000 ადამიანმა მიიღო დამატებით შეწყნარებულის სტატუსი.⁹⁶

3.2.1.6. გერმანიის სამართლის შესაბამისობა ევროპის სამართალთან

რამდენიმე ნორმა გერმანიის კანონმდებლობაში ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს. ევროკავშირის სამართლის თანახმად, აუცილებელი არ არის კავშირის მოქალაქის ოჯახის წევრმა იცოდეს გერმანული ენა იმისთვის, რომ მიიღოს საცხოვრებელი ნებართვა.⁹⁷ გერმანიაში გერმანიის მოქალაქეთა ოჯახის წევრებისთვის ასეთი

მოთხოვნის დაწესება კი ეწინააღმდეგება ევროკავშირის სტანდარტებს, აყენებს გერმანიის მოქალაქეებს არათანაბარ მდგომარეობაში კავშირის სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან შედარებით. გერმანიის კანონმდებლობით ოჯახის წევრმა შესაძლოა მიიღოს მუშაობის ნებართვა ორი წლის შემდეგ საცხოვრებელი ნებართვის გაცემიდან. კავშირის სამართლის თანახმად კი ეს ვადა ერთი წელია.⁹⁸

საერთო ჯამში, გერმანიის კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია იმიგრანტებთან მიმართებაში, რაც შესაძლოა არის კიდევ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გერმანია იმიგრანტთა რაოდენობით ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად ითვლება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ გერმანია არც არაღლეგალურად მყოფი მიგრანტების ნაკლებობას განიცდის, რის გამოც ქვეყანას უხდებოდა საკანონმდებლო ნორმების მუდმივი ლიბერალიზაცია და სხვადასხვა რეგულარიზაციის პროგრამების გამოყენებაც. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო და არაღლეგალ მიგრანტთა რაოდენობა შემცირდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ე.წ. “უსაბუთო” მიგრანტები ყოველთვის იარსებებენ, რის გამოც აუცილებელია კანონმდებლობაში შეტანა რეგულარიზაციის მექანიზმებისა, რომელთა საშუალებით ავტომატურად მოხდება იმ პირთა მდგომარეობის დარეგულირება, რომლებიც შესაბამის პირობებს დააკმაყოფილებენ.

3.3. იმიგრაციის პოლიტიკა საფრანგეთში

უახლესი მონაცემებით საფრანგეთში 6,471,000 იმიგრანტი ცხოვრობს. ამ მაჩვენებლით მსოფლიოში საფრანგეთს მე-5 ადგილი უკავია მსოფლიოს 195 ქვეყანას შორის.⁹⁹ მეოცე საუკუნის შუა ხანებში საფრანგეთში მიგრაციის ნაკადი მოდიოდა სამხრეთ ევროპიდან, მალრებიდან. მიგრაციის ახალი ტალღები კი ძირითადად აფრიკიდან არის, პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნებიდან.

საფრანგეთში თავდაპირველად უცხოელების შესახებ მიღებულ იქნა ბრძანებულება 1945 წლის 2 ნოემბერს, რომლის მიზანი იყო რეგულირება იმ იმიგრაციული ნაკადისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სასურველად ითვლებოდა. 1970-იანი, 1980-იანი წლებიდან კი იმიგრაციული პოლიტიკის გამკაცრება დაიწყო.¹⁰⁰

საფრანგეთში საკანონმდებლო ცვლილებებთან ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო კოლექტიური რეგულარობის საშუალებები. რეგულარობის პროგრამებს, როგორც წესი, ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. მათი განხორციელების კი პროცესში ჩართულია ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ პროცესის მონიტორინგს.¹⁰¹

3.3.1. იმიგრაციის პირობები და სამართალი

2004 წელს საფრანგეთში მიიღეს კოდექსი ქვეყანაში შემოსვლასთან, ცხოვრებასთან და თავშესაფართან დაკავშირებით. ამას მოჰყვა 2006 წლის კანონი იმიგრაციასა და ინტეგრაციაზე, რომლის მიზანი იყო საზღვრების ხელახლა გახსნა ისეთი ანაზღაურებადი დასაქმებისთვის, რომელიც დადებითად იმოქმედებდა საფრანგეთის ეკონომიკაზე. 2007 წელს მიღებულ იქნა კანონი არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელმაც გაამარტივა საფრანგეთში შესვლის და ცხოვრების პირობები და წაახალისა საფრანგეთში პროფესიონალური მიზნით ლეგალური იმიგრაცია.¹⁰²

3.3.1.1. სავიზო პოლიტიკა

საფრანგეთის სამართლებრივი სისტემა მისი სირთულის მიუხედავად ორი სახის დარჩენის ნებართვას ითვალისწინებს: დროებითი დარჩენის ნებართვა, რომელიც ერთ წლიანია და საცხოვრებელი ნებართვა, რომელიც 10 წლიანია და შესაძლებელია მისი განახლება. ვიზის გაცემის კომპეტენცია მინიჭებული აქვს კონსულს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციების მიხედვით. ძირითადი სახის ვიზებია მოკლე ვადიანი და გრძელვადიანი. მოკლევადიანი ვიზები ძირითადად წარმოადგენს შენგენის ვიზებს. გრძელვადიანი ვიზა, რომელსაც ასევე დასახლების ვიზასაც უწოდებენ, გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საფრანგეთში სურს დასახლება სამ თვეზე მეტი ხნით.¹⁰³

გრძელვადიანი ვიზა შეიძლება იყოს სტუმრის, სტუდენტური, პროფესიული და

ოჯახური მიზნებით. საკონსულო წარმომადგენლობა ვალდებულია, რომ გადაამოწმოს პირის საფრანგეთში გამგზავრების მიზანი და მისი ვინაობა. ვიზის გაცემაზე უარი ჯერ საჩივრდება სააპელაციო კომისიაში, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭოში.¹⁰⁴

საცხოვრებელ ნებართვას საფრანგეთში გაცემს პრეფექტი სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან თანამშრომლობით. 18 წელს ზევით ყველა პირი, რომელსაც სურს, რომ დარჩეს საფრანგეთში, უნდა ფლობდეს იქ დარჩენის ნებართვას. ნებართვის მოსაპოვებლად განაცხადი უნდა გაკეთდეს საფრანგეთში ჩასვლიდან ორი თვის განმავლობაში. ყველა შემთხვევაში პირმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მისი სამოქალაქო სტატუსის, ასევე მუდმივი საცხოვრებლის შესახებ, პიროვნების დამადასტურებელი ფოტოები და პასპორტი. აუცილებელია, გაფორმდეს მიღებისა და ინტეგრაციის შესახებ კონტრაქტი იმ ჩამოსულ უცხოელთან, რომელსაც სურს მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიღება. ამ კონტრაქტის შესაბამისად, უცხოელი გაივლის სამოქალაქო ტრენინგებს, საჭიროების შემთხვევაში ასევე ენის კურსებს.¹⁰⁵ საცხოვრებელი ნებართვის გაცემაზე უარის გასაჩივრება შესაძლებელია თვითონ პრეფექტთან ან მის ზემდგომთან – შინაგან საქმეთა მინისტრთან.

3.3.1.2. პირობები მუშაობის მინზით ჩასვლის შემთხვევაში

საფრანგეთში თვითდასაქმებისთვის საფუძველი არის უცხოელის მოვაჭრის საიდენტიფიკაციო ბარათი და დროებით ყოფნის ნებართვა შესაბამისი საქმიანობის განხორციელების მიზნით. ბარათისა და ნებართვის გაცემის პირობები შემდეგია: პირი უნდა იყოს 18 წლის ან მეტის, არ უნდა ჰქონდეს კრიმინალური წარსული, არ უნდა ახორციელებდეს საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება მოვაჭრეთა თანასწორობას, და არ უნდა იყოს გამოცხადებული გაკოტრებულად.¹⁰⁶ ცალკეული პროფესიისთვის კი დამატებით მოთხოვნების დაკმაყოფილებაა საჭირო.

საცხოვრებელი ნებართვა და ოჯახური და პირადი ცხოვრების მიზნით გაცემული ნებართვა ითვალისწინებს მუშაობის უფლებასაც და დამატებით განაცხადის გაკეთება საჭირო აღარ არის. რაც შეეხება მუშაობის

მიზნით ვიზის გაცემას, თავდაპირველად პირმა უნდა იპოვოს დამსაქმებელი. ამის შემდეგ ეროვნული დასაქმების სააგენტო აქვეყნებს ვაკანსიას იმ მიზნით, რომ გაარკვიოს ხომ არ არის შესაბამისი კანდიდატი ადგილობრივ ბაზარზე. ამის შემდეგ პრეფექტი გაცემს სამუშაო ნებართვას შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. უცხოელს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საფრანგეთის და თავის წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაში თავისი პროფესიონალიზმით, შესაძლოა მიენიჭოს კომპეტენციისა და ტალანტის ბარათი, რომელიც ნებისმიერი პროფესიული საქმიანობის უფლებას იძლევა, სამწლიანია და შესაძლებელია განახლება.¹⁰⁷

“სეზონური მუშა” – ამ სახელწოდების ნებართვა გაიცემა შესაბამისი კატეგორიის პირზე. აღნიშნული დოკუმენტი სეზონურ მუშას უფლებას აძლევს, რომ დასაქმდეს ქვეყანაში არაუმეტეს 6 თვისა წელიწადში. გაიცემა მაქსიმუმ სამი წლით და არის განახლებადი.¹⁰⁸

1990-იან წლებამდე საფრანგეთი მკაცრ პოლიტიკას ატარებდა ოჯახის გაერთიანების მიზნით შემოსულ განცხადებებზე და მეტლიბერალიზმს მუშაობის მიზნით ჩამოსულ პირების მიმართ იჩენდა. 1981-1982 წლებში საფრანგეთში განხორციელებული რეგულარიზაციის პროგრამის შედეგად 130,000 არალეგალურად მცხოვრები პირის მდგომარეობა გახდა ლეგალური. მათი უმრავლესობა საფრანგეთში მუშაობის მიზნით იყო ჩასული. ამ პროგრამის შემდეგ აშკარა გახდა, რომ საფრანგეთში არალეგალურად მცხოვრები მიგრანტების უმეტესობა ქვეყანაში ტურისტული ვიზით შევიდა და ვიზისთვის ვადის გასვლის შემდეგ უკან აღარ წავიდა.¹⁰⁹

3.3.1.3. პირობები ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩასვლის შემთხვევაში

ოჯახის გაერთიანება საფრანგეთის სამართლით განიმარტება, როგორც საფრანგეთში მცხოვრები უცხოელის უფლება, რომ მას შეუერთდნენ საკუთარი ოჯახის წევრები.¹¹⁰ იმისთვის, რომ პირმა ისარგებლოს ოჯახის გაერთიანების უფლებით, იგი უნდა ფლობდეს დარჩენის მინიმუმ ერთწლიან ნებართვას, განაცხადის წარდგენამდე მინიმუმ 18 თვე უნდა ჰქონდეს საფრანგეთში ნაცხოვრე-

ბი რეგულარულად, უნდა ფლობდეს ისეთ საცხოვრებელს, რომელიც ითვლება ნორმალურად მისი ოჯახისთვის იმ ქვეყანაში, სადაც ისინი ცხოვრობენ. ასევე უნდა ჰქონდეს სტაბილური შემოსავალი და პატივის სცემდეს საფრანგეთის ძირითად პრინციპებს, მათ შორის, გენდერულ თანასწორობას და ა.შ. ოჯახის გაერთიანება ეხება პირის მეუღლეს (თუ ის 18 წლის ან მეტის არის) და არასრულწლოვან შვილებს.¹¹¹

ოჯახის წევრებზე გაიცემა დროებითი საცხოვრებელი ნებართვა ოჯახური და პირადი ცხოვრების მიზნით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობა.¹¹²

1997 წელს საფრანგეთის მთავრობის რეგულარიზაციის პროგრამის ფარგლებში 75,600 უცხოელმა მიიღო საცხოვრებელი ნებართვა.¹¹³ 90-იანი წლებიდან განხორციელებულ რეგულარიზაციის პროგრამებში უკვე ქალებიც დიდი რაოდენობით მოხვდნენ, რადგან ამ პერიოდიდან სამუშაოს მაძიებელთა მიმართ პოლიტიკა გამკაცრდა და ოჯახის გაერთიანების მიზნით მიგრაციას მიენიჭა უპირატესობა. 1997-1998 წლის რეგულარიზაციის პროგრამით დარეგულირდა საფრანგეთში ლეგალურად მცხოვრებ პირთა ოჯახის წევრების მდგომარეობა. მსგავსი პროგრამა განხორციელდა 2005-2006 წლებშიც, რომლის ფარგლებში 30,000 პირმა მიიღო ცხოვრების ნებართვა საფრანგეთში.¹¹⁴

3.3.1.4. პირობები სწავლისა და ტრენინგის მიზნით ჩასვლის შემთხვევაში

სტუდენტისთვის საფრანგეთში სწავლის მიზნით შესვლის სურვილის შემთხვევაში გაიცემა ნებართვა სახელწოდებით “სტუდენტი”. ნებართვის გაცემის პირობებია: გრძელვადიანი ვიზის ფლობა, საგანმანათლებლო ინსტიტუტში რეგისტრაცია და საცხოვრებლად საკმარისი შემოსავლის ქონა. სტუდენტის სტატუსის მფლობელ პირს აქვს დასაქმების უფლებაც სრული სამუშაო დროის მაქსიმუმ 60%-ის პერიოდით.¹¹⁵ სწავლის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სტუდენტს შესაძლოა მიეცეს საფრანგეთში სამუშაოდ დარჩენის უფლებაც.

1990-იანი წლებიდან საფრანგეთის იმიგრაციულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს თავშესაფრის მაძიებელმა

პირებმა. ისინი ძირითადად ევროპული ქვეყნებიდან მოდიოდნენ: თურქეთი, სერბეთი, მონტენეგრო, კოსოვო, რუსეთი/ჩეჩნეთი, ასევე აფრიკიდან და აზიიდანაც. ამ პერიოდში საფრანგეთი მკაცრ პოლიტიკას ატარებდა თავშესაფრის მაძიებლების მიამრთ და უამრავ მათგან ეთქვა უარი ქვეყანაში შესვლაზე. ამან გამოიწვია არალეგალურად შესულ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის გაზრდა, რომლის შემცირებისთვის საჭირო გახდა რეგულარიზაციის პროგრამა 1991 წელს, რომლის საშუალებით დაახლოებით 45,000 პირის მდგომარეობა გახდა ლეგალური.¹¹⁶

1998 წელს განხორციელდა ე.წ. “დაბრუნებაში დახმარების” პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვან თანხას სთავაზობდა არალეგალურ იმიგრანტებს წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნებაში (4,500 ფრანკი, დმატებით 900 ფრანკი თითო ბავშვზე) და ამასთანავე ეხმარებოდა მათ საკუთარ სამშობლოში შემდგომ ინტეგრაციაში. 2006 წელს პრეზიდენტ სარკოზის ინიციატივით განხორციელებული პროგრამის საშუალებით 6,924 ადამიანის მდგომარეობა დარეგულირდა. აღნიშნული რიცხვი პროგრამის წარუმატებლობაზე მიუთითებს, კერძოდ ეს აპლიკანტთა 20%-ს წარმოადგენდა. წარუმატებლობის მიზეზი იყო აპლიკანტებისთვის წაყენებული ზედმეტად ბევრი მოთხოვნა.¹¹⁷

პროგრამების იმპლემენტაციასაც ჰქონდა თავის პრობლემები, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ხშირად სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანი სხვადასხვა პირობებს განსაზღვრავდა პროგრამაში მოსახვედრად იმის გამო, რომ სამინისტროს მიერ ნათლად არ იყო ასეთი პირობები განსაზღვრული. თავდაპირველად იყო ადამიანური რესურსების პრობლემა, გრძელი რიგები და ა.შ. თუმცა, მთავრობამ დროთა განმავლობაში დახვეწა პროგრამები და აღნიშნულ პრობლემებსაც ბოლო მოეღო.¹¹⁸

3.3.1.5. ფრანგული სამართლის შესაბამისობა ევროპის სამართალთან:

ფრანგული სამართალი უფრო ლიბერალურია ოჯახის გაერთიანების საკითხებში, ვიდრე ამას მოითხოვს ევროკავშირის 2003 წლის დირექტივა¹¹⁹, თუმცა არღვევს 2004 წლის დირექტივას¹²⁰ იმ კუთხით, რომ ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩამოსვლის

უფლების მქონე პირებად არ ასახელებს რეგისტრირებულ კავშირში მყოფ პირს. ასევე, საფრანგეთის მოქალქის მეუღლის სურვილი, რომ მიიღოს საცხოვრებელი ნებართვა საფრანგეთში, იწვევს მის ვალდებულებას, რომ დაბრუნდეს წარმოშობის ქვეყანაში და იქ გააკეთოს განაცხადი, რაც არღვევს კავშირის სამართალს.¹²¹

როგორც საფრანგეთის მაგალიტიდან აშკარად ჩანს, ქვეყანაში მკაცრი იმიგრაციული კანონმდებლობის გამო, ძლიან იმატებდა არალეგალურ მიგრანტთა რაოდენობა, რაც ხელიდუფლებას აიძულებდა, რომ პერიოდულად განხორციელებინა რეგულარიზაციის პროგრამები და ამავდროულად გაემარტივებინა კანონმდებლობაც.

დასკვნა

“დღეს, ოცდაათწლიანი გამოცდილების შემდეგ, ჩვენ უკვე ვიცით, რომ იმიგრაცია ევროპაში მუდმივი ზრდის ობიექტი არ არის. ის უფრო ამინდს გავს: შეიძლება წვიმდეს, თოვდეს ან მზე ანათებდეს, მაგრამ არა ყველა ერთდროულად. მუდმივი ცვლილებებია ზევით და ქვევით, მაგრამ არ არის მუდმივი ზრდა”, – განაცხადა ჯონას ვიდგრენმა ევროკავშირის პარლამენტის სხდომაზე სტოკჰოლმში, 2001 წელს.¹²²

მართლაც, როგორც ეს წინამდებარე ნაშრომიდან გამოჩნდა, მიგრაციის ნაკადები ყოველთვის ერთნაირი არ არის, მათი ზრდა და შემცირება დამოკიდებულია მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომელთა შესწავლა და გაანალიზება აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს უზარმაზარი მიგრაციული პროცესის დარეგულირება.

დოკუმენტში მე განვიხილე მიგრაციის მართვის პოლიტიკა როგორც ევროკავშირის, ასევე მისი ცალკეული წევრი ქვეყნების დონეზე. ვისაუბრე მიგრაციის გამომწვევ მიზეზებზე, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის საშუალებებზე და ასე შემდეგ.

ეკონომიკური მიზეზით გამოწვეული მიგრაციის მართვა შესაძლებელია და შესაძლოა სასარგებლოც იყოს როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები სახელმწიფოთვის თუ ის სათანადოდ დარეგულირდება. უფრო რთულია პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაციის

მიზეზით გამოწვეული მიგრაციის მართვა ისე, რომ ამაღ დადებითი შედეგი მოუტანოს სახელმწიფოებს. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი არის არა ზედაპირულად მიგრაციის ტალღების შემცირებაზე ზრუნვა, არამედ მიგრაციის გამომწვევ მიზეზებში ჩაღრმავება და მათზე მუშაობა, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს მიგრაციის რაოდენობასაც.

აუცილებელია აქტიური მოლაპარაკებების წარმოება სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის იმ მიზნით, რომ შემუშავდეს ყოვლისმომცველი მექანიზმები მიგრაციის სამართავად.

მიგრაციული პოლიტიკის გამკაცრება და საზღვრების ჩაკეტვა არ შეიძლება იყოს გამოსავალი სახელმწიფოებისთვის, ასეთი მიდგომით მიგრაცია არ შეცირდება. შემცირდება მხოლოდ ლეგალურ მიგრანტთა რიცხვი, სამაგიეროდ კი მნიშვნელოვნად მოიმატებს არალეგალური მიგრანტების რაოდენობა. საფრანგეთისა და გერმანიის პრაქტიკის განხილვისას აშკარა გახდა, რომ ქვეყნებს მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკა

წარმატებებს არ მოუტანს სახელმწიფოებს და პირიქით, ეს მათ დამატებით პრობლემებს შეუქმნის. ამიტომაც სასურველია, კანონმდებლობებში რეგულირების მექანიზმების შეტანა, რომლის საშუალებითაც მოხდება არალეგალურად ქვეყანაში მყოფ პირთა მდგომარეობის ავტომატური დარეგულირება გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ასევე აუცილებელია ლიბერალური პოლიტიკის გატარება იმიგრანტების მიმართ და ლეგალური მიგრაციის წახალისება, რომ არ მოხდეს არალეგალთა რიცხვის მკვეთრი ზრდა სახელმწიფოში.

მართული მიგრაცია კი საბოლოოდ სიკეთეს მოუტონს როგორც წარმოშობის, ასევე მასპინძელ ქვეყანას. ორივე მათგანის ეკონომიკას შეუძლია ნახოს სარგებელი აღნიშნული ფენომენიდან. მიმღები ქვეყნის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს სამუშაო ბაზრის შევსება და ერის გაახალგაზრდავება, ხოლო გამგზავნ ქვეყანაში ფულადი გზავნილები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

- 1 T. M. C. Asser Press 2004, Peter J. Van Krieken, "The Consolidated Asylum and Migration Acquis", გვ: 24.
- 2 Institute of European Studies 2009, Tea Gogelia, "Migration Policies and Labour Migration in Europe 2000-2008", გვ: 3.
- 3 ლოგოს პრესი, თბილისი 2004, ედუარდ კოდუა და სხვები, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, გვ: 351.
- 4 Centre for European Reform, February 2008, Hugo Brady, "EU Migration Policy: An A-Z", გვ: 1.
- 5 FoxNews 2008, Eliane Engeler, "Rich World Needs More Foreign Workers", ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ.გვერდზე: [\[http://www.foxnews.com/wires/2008Dec02/0.4670.EUWorldMigrationReport.00.html\]](http://www.foxnews.com/wires/2008Dec02/0.4670.EUWorldMigrationReport.00.html).
- 6 UN Population Division, February 2006, "Trends in Total Migrant Stock: the 2005 Revision", გვ: 2.
- 7 Global Commission on International Migration 2005, Christina Boswell, "Migration in Europe", გვ: 2.
- 8 Oxford university Press 2006, Carl-Ulrik Schierup and others, "Migration, Citizenship, and the European Welfare state", გვ: 21.
- 9 Chicago University Press 1987, J. Abowd and R. Freeman, "Immigration, Trade and the Labor Market", გვ: 201-234.
- 10 Centre for European Reform, January 2008, Alasdair Murray, "Growing old gracefully: How to ease population ageing in Europe", გვ: 17-18.
- 11 T. M. C. Asser Press 2004, Peter J. Van Krieken, "The Consolidated Asylum and Migration Acquis", გვ: 16.
- 12 Centre for European Reform, February 2008, Hugo Brady, "EU Migration Policy: An A-Z", გვ: 2.

- 13 Centre for European Reform, February 2008, Hugo Brady, "EU Migration Policy: An A-Z", გვ: 13.
- 14 Global Commission on International Migration 2005, Christina Boswell, "Migration in Europe", გვ: 1.
- 15 CentreForum, winter 2007, Philippe Legrain, 'Globalisation: A liberal response'.
- 16 University of Oxford 2007, Steven Vertovec, "Circular Migration: The way forward in global policy", გვ: 2-3.
- 17 Centre for European Reform, February 2008, Hugo Brady, "EU Migration Policy: An A-Z", გვ: 14.
- 18 Westview Press 2000, Dr. Stephen J.H. Dearden, "Immigration Policy in the European Community", გვ: 27.
- 19 Commission of the EC 2001, Conclusions, პარ: 11.
- 20 Oxford University Press 2009, Gina Clayton and others, "Immigration and Asylum Law", გვ: 151.
- 21 Directive 2003/86 EC of European Council of 22 September 2003 concerning Family Reunion.
- 22 Case C-540/03 European Parliament v European Council ECR I-05769.
- 23 Directive 2003/109/EC of European Council of 25 November 2003 concerning the status of third-country nationals who are long-term residents.
- 24 European Parliament and of the Council Directive of 16 December 2008 on common standards and procedures in Member States for returning illegally staying third-country nationals, 2008/115/EC.
- 25 Commission of the European Communities, June 2009, Communication from the Commission to the European Parliament and the Council, COM (2009) 262.
- 26 Official Journal of the European Union, November 2004, Council Regulation of 26 October 2004 establishing European Agency for the Management of Operational Cooperation at the External Borders of the Member States of the European Union.
- 27 Centre for European Reform, February 2008, Hugo Brady, "EU Migration Policy: An A-Z", გვ: 8.
- 28 Oxford University Press 2009, Gina Clayton and others, "Immigration and Asylum Law", გვ: 159.
- 29 Directive 2009/50/EC of European Council of 25 May 2009 on the conditions of entry and residence of third-country nationals for the purposes of highly qualified employment.
საბედნიეროდ, გადაადგილების გამომწვევ პოლიტიკურ და იძულებით საფუძვლებს ჯერ კიდევ სჭარბობს ეკონომიკური მოტივები. ადამიანები უმეტეს შემთხვევაში მიისწრაფიან მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ და პოლიტიკური მიზეზების გამო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ტოვებენ ძირითად სამოსახლო ადგილებს. მიგრაციული პროცესების კვლევისას მეცნიერი ელენა სადოვსკაია წერს, რომ „არა გვგონია პოლიტიკური ფაქტორი ერთადერთი იყოს, რასაც ამტკიცებს ბალტიის ქვეყნების მაგალითი. რუსების უფლებები – განაგრძობს ე.ი. სადოვსკაია, – როგორც მოქალაქეებისა და ეთნიკური უმცირესობებისა, იქ დარღვეულია, მაგრამ ბალტიის ქვეყნებიდან ემიგრაციას უმნიშვნელო ადგილი უჭირავს არსებული ხელშემწყობი ეკონომიკური სიტუაციის გამო“.¹

რაც შეეხება ლტოლვილთა სამართლებრივ მდგომარეობას, იგი საერთაშორისო

კანონმდებლობით მონესრიგებულია და მიჩნეულია როგორც იძულებითი ღონისძიება. როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციით დამტკიცებულ ნესდებში („გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ნესდება“) არის აღნიშნული, ლტოლვილები მოკლებულნი არიან თავიანთი ქვეყნისაგან დაცვას და საჭიროებენ იმ ქვეყნის მხრიდან მფარველობას, რომელ ქვეყანაშიც ისინი ლტოლვილების სახით იმყოფებიან.²

ამრიგად, მსოფლიოში ადამიანთა გადაადგილების ერთგვარი კანონზომიერება ვლინდება, რომლის მიხედვითაც ადამიანები ტოვებენ თავიანთ ძირითად საცხოვრებელ ადგილებს და საცხოვრებლად მიემართებიან უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ჩამოდიან სპეციალისტები და კომერსანტები, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ მოგება და სიმდიდრე წარმოების განვითარების შედეგად იაფი მუშახელის ბაზაზე. როგორც სამართლიანად მიუთითებს ვ. რ. ბიონინგი, „ცალკეული სპეციალისტებისა და ბიზნესმენების გარდა, რომლებიც საკუთარი ნებით ჩამოდიან, მენეჯერებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი რაოდენობაც ჩამოდის ქვეყანაში ტრანსნაციონალურ საწარმოთა ფარგლებში გადაცემასთან დაკავშირებით, რაც მათ საშუალებას აძლევს წინ წაიწიონ სამსახურებრივ კიბეზე ან დაემორჩილონ ბიზნესის მოთხოვნებს.“³

მიგრაციული პროცესები საქართველოსთვის უცხო არასოდეს ყოფილა, მაგრამ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მათი გააქტიურება აშკარად თვალში საცემია. თუ თავდაპირველად რუსეთის მიერ სამაჩაბალო-

სა და აფხაზეთში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიების შედეგად ამკარად იმატა ემიგრაციამ, ანუ ქვეყნიდან მკვიდრი მოსახლეობის გადინების ტენდენციამ. ბოლო პერიოდში, სახელმწიფოში მდგომარეობის შედარებით სტაბილიზირების შემდგომ, გააქტიურდა იმიგრაციაც, ე.ი. უცხოელთა საქართველოში შემოსვლის პროცესი. დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა იმიგრაციის პროცესების მართვასა და რეგულირებას და ბუნებრივია, ეს სფერო ჩვენი ქვეყნისთვისაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. აღნიშნულ საკითხზე საქართველოში მიღებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, მაქსიმალურად ხდება საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. მაგრამ, სამწუხაროდ, კანონიერი იმიგრაციის გვერდით არსებობს უკანონო იმიგრაციაც, რაც სერიოზულად უშლის ხელს იმიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას.

უკანონო იმიგრაციად უნდა ჩაითვალოს ყველა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი უკანონოდ ცხოვრობს ქვეყანაში და არ იცავს ამ ქვეყნის კანონმდებლობას კანონიერი ცხოვრების შესახებ. უკანონო იმიგრაცია განზრახ ქმედებაა და, საერთაშორისო აქტების მიხედვით, არ შეიძლება პირი ჩაითვალოს უკანონოდ მცხოვრებად, თუ მან უცხოეთში დაკარგა კანონიერი სამუშაო და ახლის მოლოდინშია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 143-ე კონვენციაში „შეურაცხყოფელ პირობებში მიგრაციისა და თანაბარი შესაძლებლობებისა და მიგრანტი მშრომელების მოპყრობის ხელშეწყობის შესახებ“ – ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თუკი მშრომელი მიგრანტი კანონიერ საფუძველზე ცხოვრობს ქვეყანაში დასაქმების მიზნით, იგი არ განიხილება უკანონოდ მყოფად ან სამართლებრივი ნორმების დამრღვევად იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ მან დაკარგა თავისი სამსახური, რაც თავისთავად არ იწვევს ცხოვრების ნებართვის ან სამუშაოს დაწყების უფლების გაუქმებას (მუხ.8).⁴

თვით უკანონო მიგრაციის ცნება ამ კონვენციაში გაგებულია, როგორც ისეთი შემთხვევები, როდესაც მშრომელი მიგრანტი უკანონოდაა დაქირავებული, როდესაც მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე იწყება, ნა-

რიმართება ამ ტერიტორიის გავლით და მიემართება ამ ტერიტორიიდან მშრომელთა მიგრაციული მოძრაობა სამუშაოს საშოვნელად, რომლის პროცესშიც ასეთი მშრომელი მიგრანტი გადაადგილებისას, ჩამოსვლისას ან სამუშაოდ ყოფნისას ისეთ პირობებში აღმოჩნდება, რომელიც ეწინააღმდეგება შესაბამის აქტებს ან საერთაშორისო შეთანხმებებს, ან ეროვნულ კანონმდებლობას და დადგენილებებს. როგორც ვხედავთ, ასეთი განმარტება გამოხატავს მხოლოდ უკანონო შრომითი მიგრაციის ცნებას და უკანონო მიგრაციის სხვა შემთხვევებს არ ასახავს.

უკანონო მიგრაცია შრომითი ურთიერთობის გარდა, ძალიან გავრცელებულია კრიმინალურ სამყაროში. ნარკოტიკების უკანონო შემოტანა-გატანა, ტერორისტების უკანონო გადაადგილება, რელიგიური ექსტრემიზმის წარმომადგენელთა უკანონო მოძრაობა სხვადასხვა ქვეყნებში და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები კრიმინალური იმიგრაციის სახეებს წარმოადგენენ. მათთან ბრძოლა წარმოებს არა მხოლოდ ეროვნული ორგანიზაციების, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობითაც. თავის მხრივ კრიმინალური სამყაროც ქმნის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ალქაიდას, ნარკობიზნესური ორგანიზაციებისა და სხვათა სახით. საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია, რომლის წევრი საქართველოს კრიმინალური პოლიციაცაა, ყველა ზომას იღებს საერთაშორისო ორგანიზებულ დამნაშავეობასთან საბრძოლველად.

ყაზახეთში არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, მკვლევარი ელენა სადოვსკაია მიიჩნევს, რომ უკანონო მიგრაციის შემდეგ ფორმებს აქვს ადგილი:

- 1) იმ ქვეყანაში შესვლის ვიზის მოპოვება, რომელთანაც ყაზახეთს უვიზო რეჟიმი აქვს და ამის შემდეგ ყაზახეთში შემოსვლა ვიზის გაფორმების გარეშე. მაგალითად ყირგიზეთთან და ტაჯიკეთთან ყაზახეთს უვიზო კავშირი აქვს, ხოლო ავღანეთიდან ყირგიზეთში ან ტაჯიკეთში პირი ვიზას ადვილად მოიპოვებს, ამის შემდეგ კი უკანონოდ – ყაზახეთშიც აღმოჩნდება;
- 2) ყაზახეთში კანონიერი გზით შემოსვლის შემდეგ (ტურისტული ვიზით, საქმიანი მონვევით და ა.შ.) უკანონოდ დარჩენა

ამ ქვეყანაში სავიზო ვადის ამოწურვის მიუხედავად;

- 3) გაყალბებული ვიზებისა და დოკუმენტების გამოყენებით, აგრეთვე ტრანსორგანიზებული ჯგუფების მიერ მიგრანტების უკანონოდ შემოყვანა;
- 4) საქმიანი და სხვა შეთანხმებების გაფორმება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ საქმიან პარტნიორებს, არამედ არიან თაღლითები და გამომძალველები ხალხის მოტყუების გზით;
- 5) უცხო მოქალაქეების მიერ ქვეყანაში მოქმედი კანონების ან ცხოვრების წესების დარღვევა ცხოვრების უფლების მოპოვების მიზნით (ფიქტიური ქორწინება, ხელახალი რეგისტრაციის გაჭიანურება და სხვა);
- 6) მოქალაქეთა ჩამოსვლა დსთ-ს ქვეყნიდან და შორეული უცხოეთიდან კონტრაქტის გაფორმების გარეშე არალეგალური შრომითი საქმიანობის მიზნით და სხვა.⁵

ავტორის მიერ აქ დასახელებული უკანონო მიგრაციის ყველა შემთხვევას შეიძლება მეტ-ნაკლებად ჰქონდეს ადგილი, რასთან ბრძოლა სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი ინტენსიურობით უნდა მიმდინარეობდეს.

საქართველოს კანონმდებლობა უკანონო იმიგრაციის გამოკვეთილ განმარტებას და მის უშუალო კლასიფიკაციას არ იძლევა, მაგრამ აღნიშნულზე წარმოდგენა მაინც შეიძლება შევიქმნათ ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების ანალიზით.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის 2535 – რს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით უცხოელს საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ:

- ა) მას არ გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსასვლელად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტები;
- ბ) საქართველოში მისი წინა ყოფნისას გამოვლენილი იქნა მის მიერ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი ან განცხადების წარდგენამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში გაძევებული იქნა ან არ გადაუხდია ჯარიმა, რომელიც წესდება

საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნისათვის.

- გ) ვიზის მისაღებად ან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსასვლელად მან წარადგინა ყალბი მონაცემები ან დოკუმენტები;
- დ) მას არ გააჩნია საქართველოში ყოფნისათვის, ცხოვრებისათვის ან უკან დაბრუნებისათვის საკმარისი მატერიალური სახსრები;
- ე) საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;
- ვ) საქართველოში მისი ყოფნა ზიანს მიყენებს საქართველოსა და რომელიმე უცხო სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს;
- ზ) იგი არ იძლევა ინფორმაციას ან იძლევა ყალბ ინფორმაციას თავისი პიროვნებისა და მგზავრობის მიზნის შესახებ;
- თ) საქართველოს საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებულია უარის თქმის სხვა საფუძველი.“⁶

ამავე კანონის 53-ე მუხლი კი ადგენს უცხოელის საქართველოდან გაძევების საფუძველებს. კერძოდ, უცხოელი შეიძლება გაძევებული იქნეს საქართველოდან, თუ:

- ა) იგი უკანონოდ შემოვიდა საქართველოში;
- ბ) აღარ არსებობს საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის სამართლებრივი საფუძველი;
- გ) მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
- დ) მისი გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში კანონიერად მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის;
- ე) იგი სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას;
- ვ) მან საქართველოში შემოსვლის ან ყოფნის სამართლებრივი საფუძველი მოიპოვა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდგენით;

ზ) მას ერთი ან რამდენიმე განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა – სასჯელის მოხდის შემდეგ.“

საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმისა და საქართველოდან გაძევების დაახლოებით იგივე საფუძვლებს შეიცავდა განხილული ნორმების შემოღებამდე არსებული კანონმდებლობაც (მაგალითად, 1993 წლის 27 ივლისის „იმიგრაციის შესახებ“ კანონის მე-7 და 1993 წლის 3 ივნისის „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლები).⁷

ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ კანონმდებელი დაინტერესდა უცხოელის მატერიალური მდგომარეობითაც და საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად, როგორც ზემოთ ითქვა, საკმარისი სახსრების უქონლობაც დაასახელა. სახელმწიფო თავს იზღვევს მხოლოდ ბედისა და უკეთესი ცხოვრების საძებნელად წამოსული გაურკვეველი პროფესიისა და საქმიანობის მიგრანტთა სერიოზული ნაკადების შემოღინებისაგან თავის დასაცავად, რაც გასაკვირი არაა. საქმე ისაა, რომ, მიუხედავად არცთუ მთლად სახარბიელო ცხოვრებისეული დონისა, საქართველო შეიძლება მაინც ინვესტირებდეს გარკვეულ ინტერესს სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ პირთა შორის.

საქართველოს კანონმდებლობის დებულებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც კრიმინალურ, ისე არაკრიმინალურ უკანონო იმიგრაციას.

კრიმინალური იმიგრაციის მრავალი სახე არსებობს, მათ შორის: 1) იმიგრაცია, რომელიც განხორციელებულია საქართველოში ცხოვრების ნებართვის მოსაპოვებლად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე საბუთების წარდგენის გზით, 2) იმიგრაცია საქართველოში მძიმე დანაშაულის ჩასადენად ან საქართველოში შემოსვლამდე ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, 3) იმიგრაცია მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის მიზნით, 4) იმიგრაცია საქართველოში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემდგომში ჩადენის მიზნით, 5) იმიგრაცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის

განზრახ სისტემატური დარღვევებით, 6) იმიგრაცია, რომელიც იწვევს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების შელახვას, 7) იმიგრაციის სხვა შემთხვევები, როცა იგი დაკავშირებულია კრიმინალურ მოქმედებებთან.

ასეთი სხვა შემთხვევის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული ჩვილი ბავშვებით კრიმინალური ვაჭრობა. ეს ქმედება ხშირად შვილად აყვანის საფარველითაა შენიღბული – თითქოს რომელიმე უცხოელს სურს შვილად აიყვანოს საქართველოს მოქალაქე ბავშვი. ამ დროს მართლაც ხდება გარკვეული დოკუმენტების გაფორმება შუამავალი ფირმებისა თუ კერძო პირების მეშვეობით უცხოელებთან, მაგრამ სინამდვილეში ადგილი აქვს ბინძურ გარიგებას – უპატრონო ბავშვთა დაწესებულება, ზოგჯერ კი მშობელი დედაც, ყიდის მცირეწლოვანს და ამისათვის იღებს სოლიდურ გასამრჯელოს. აღნიშნულ ფაქტებზე არაერთხელ აუტყხავს განგაში ქართულ მედიას და მოქალაქეებს პრესისა თუ მაუწყებლობის საშუალებებში. ბოლო პერიოდში ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან განხორციელებული ცალკეული ღონისძიებების შედეგად ასეთმა შემთხვევებმა, მართალია, იკლო, მაგრამ ამ კუთხით გასაკეთებელი კვლავ ბევრია. მკაცრად უნდა შემოწმდეს საქართველოს მოქალაქე ბავშვის შვილად აყვანის მსურველ უცხოელთა ვინაობა, მატერიალური მდგომარეობა, საქმიანი რეპუტაცია, სხვა ქვეყნის მოქალაქის შვილად აყვანის მოტივების სერიოზულობა და სხვა. ამასთან, გაშვილებულ ბავშვზე მეურვეობა საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა მთლიანად არ უნდა მოიხსნან და გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა გადაამოწმონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სოციალური პირობები; საჭიროების შემთხვევაში, აღძრან შუამდგომლობები უცხოეთის სათანადო ორგანოების წინაშე; უკიდურეს სიტუაციაში მოითხოვონ მცირეწლოვნის უკან დაბრუნება.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიმინალური იმიგრაციის სახეებიდან ასევე აღსანიშნავია ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების წარდგენის გზით საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოპოვება,

რაც, თავის მხრივ, შეიძლება საფუძველი გახდეს სხვა კრიმინალური ქმედების ჩასადენად (მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ან სხვა მძიმე დანაშაულის და ა.შ.). მაგრამ ასეთი გაყალბებით საქართველოში იმიგრანტად ყოფნა მეტწილად დაკავშირებულია უკანონო შრომით იმიგრაციასთან. რაც შეეხება მძიმე დანაშაულის ჩასადენად საქართველოში შემოსვლას, ეს განსაკუთრებით შენიღბულად ხდება, ასეთი პირი, უმეტეს შემთხვევაში, ფლობს საჭირო დოკუმენტაციას და ცდილობს თავისი ქცევით ეჭვი არ აღუძრას სამართალდამცავ ორგანოებს, მაგალითად ტერორისტები, ნარკობიზნესმენები და სხვა. მათი ყოფნა ქვეყანაში საკმაოდ ძნელი გამოსავლენია, ამაში აქტიურად უნდა დაგვეხმაროს მათი მოქალაქეობის ან ძირითადი ცხოვრების ადგილის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უნდა ეწეოდნენ ყოველი ადამიანის და განსაკუთრებით დამნაშავე ელემენტების რეგისტრაციას.

რაც შეეხება იმიგრაციას, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სისტემატურ დარღვევასთანაა დაკავშირებული, შეიძლება იმთავითვე კრიმინალური არ იყოს, ვინაიდან უცხოელი შესაძლებელია ჩამოვიდეს კეთილშობილი მიზნით, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ჩაიდინოს კრიმინალური სამართალდარღვევა (მაგ. ავტოავარია), რაც მას აქცევს კრიმინალურ მიგრანტად.

კრიმინალურ იმიგრაციასთან ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოთა ამოცანებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, ეს მოვლენა საჭიროებს მთელი საზოგადოებისაგან ყურადღებას და შესაბამისად მის ჩაბმას კრიმინალური მიგრანტების გამოვლენის საქმეში, რაც ცალკე სამეცნიერო კვლევის საგანია.

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში უკანონო იმიგრაცია შეიძლება იყოს არაკრიმინალურიც, როცა იმიგრანტი, მართალია, არ სჩადის დანაშაულს, მაგრამ თავისი ქმედებით უხეშად ან სისტემატურად არღვევს მოქმედ კანონმდებლობას, რა თქმა უნდა, ასეთი იმიგრაციაც საზიანოა და ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ჩვენს სახელმწიფოში არაკრიმინალური უკანონო იმიგრაციის შემდეგი სახეები

შეიძლება გამოვყოთ: 1) როცა არ არსებობს იმიგრანტის საქართველოში ყოფნის ან მუდმივად ცხოვრების კანონიერი საფუძველი (მაგ. ვიზის ვადის გასვლა, სეზონური სამუშაოს დასრულება, მეურვეობის უფლების ჩამორთმევა და სხვა), 2) იმიგრანტის მიერ არალეგალური (უკანონო) შრომითი საქმიანობა ან ლეგალური საქმიანობის დროს გადასახადების გადახდისაგან სისტემატურად ბოროტად თავის არიდება, 3) როცა შრომითი მიგრანტი არსებითი მიზეზის გარეშე საკუთარი ნებით წყვეტს შრომით ურთიერთობას ან უარს ამბობს მის დაწყებაზე და ქვეყანაში ყოფნის სხვა კანონიერი საფუძველი არ გააჩნია, 4) როცა იმიგრანტი უხეშად არღვევს საზოგადოებაში არსებული ზნეობის ნორმებს ან არაჰიგიენური ცხოვრების წესით საფრთხეს უქმნის სხვათა ჯანმრთელობას, 5) როცა ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი იმიგრანტი თხოვნის დაკმაყოფილებაზე ოფიციალური უარის მიღების მიუხედავად არ ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, 6) როცა ლტოლვილი იმიგრანტის მოქალაქეობის ან მუდმივად ცხოვრების სახელმწიფოში სიტუაციის დარეგულირების შედეგად აღარ არსებობს ის საფრთხე, რამაც იგი აიძულა შემოსულიყო საქართველოში და მიუხედავად ამისა, უარს ამბობს საქართველოდან წასვლაზე, 7) როცა იმიგრანტი განზრახ სისტემატურად არ იცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, 8) როცა იმიგრანტს არ გააჩნია საქართველოში ცხოვრებისათვის საკმარისი სახსრები და სხვა.

მართალია, არაკრიმინალური უკანონო იმიგრაციის ცალკეული სახეები თვისობრივად ნაკლებ საზიანოა, ვიდრე კრიმინალური იმიგრაცია, მაგრამ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში, როგორც წესი, არაკრიმინალური უკანონო იმიგრაციის შემთხვევათა რაოდენობრივი მაჩვენებელი აშკარად სჭარბობს კრიმინალური იმიგრაციის რიცხოვრივ მაჩვენებელს და, ამდენად, მასთან ბრძოლა ყოველი სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად რჩება.

უკანონო იმიგრაცია გარდა კრიმინალური და არაკრიმინალურისა, შეიძლება დაიყოს სხვა ნიშნების მიხედვითაც. კერძოდ, იგი შეიძლება იყოს როგორც ფარული, ისე არაფარული, ღია ხასიათის. ფარული სახით შეიძლება წარიმართოს როგორც კრი-

მინალური (მაგ.: ტერორისტების შემოსვლა ქვეყანაში), ისე არაკრიმინალური უკანონო იმიგრაცია (მაგ.: უცხოელს აღარ გააჩნია ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების კანონიერი საფუძველი და მაინც განაგრძობს ცხოვრებას, რა დროსაც ემალება სამართალდამცავ ორგანოებს, ხშირად იცვლის საცხოვრებელ თუ ლამის გასათევ ადგილს და სხვ.). ღია სახით კი ძირითადად გვხვდება არაკრიმინალური უკანონო იმიგრაცია. რა თქმა უნდა, ტერორისტები, ნარკომაფიისა თუ სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები უმეტესად ცდილობენ არავის მოხვდნენ თვალში, ზედმეტად სადმე არ დააფიქსირონ მათი ქვეყანაში ყოფნა და ამით საქმე არ გაირთულონ. თუმცა იშვიათად საწინააღმდეგო შემთხვევებსაც აქვს ადგილი. სამაგიეროდ არაკრიმინალური იმიგრანტები ხშირად დაუფარავად იმყოფებიან სახელმწიფოში. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნიდან შემოსული ლტოლვილის სტატუსის მაძიებელ პირთა დიდი ნაკადი, მათ შეიძლება ობიექტური გარემოებების გამო ჩვენთან ვერ მიიღონ აღნიშნული სტატუსი და, მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძონ უკანონოდ ცხოვრება საქართველოში. ასეთ შემთხვევას ჩვენთან უკვე ჰქონდა ადგილი, როცა 2000 წელს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში, კერძოდ კი პანკისის ხეობაში შემოვიდნენ კონფლიქტის ზონიდან წამოსული ჩეჩნები, რომელთა გარკვეულ ნაწილს დღემდე არ მიუღია ლტოლვილის სტატუსი თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლებისათვის ასეთი თხოვნით არ მიუმართავს, მაგრამ სრულიად ღიად და დაუფარავად განაგრძობდა ჩვენს ტერიტორიაზე ყოფნას.

უკანონო იმიგრაციაზე საუბრისას ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც ქვეყანაში იმიგრაცია გარეგნულად რაიმე ეჭვს არ იწვევს, უცხოელს სათანადოდ აქვს გაფორმებული საქართველოში შემოსვლისა და ყოფნისათვის საჭირო დოკუმენტები, დაცული აქვს ყველა აუცილებელი პროცედურა და თითქოს არაფერს აშავებს, ე.ი. ფორმალური მხარე წესრიგშია, მაგრამ სინამდვილეში მისი აქ ყოფნა განპირობებულია არა კეთილშობილური, არამედ მართლსაწინააღმდეგო, ხშირად კრიმინალური მიზნებით. ასეთი ერთი შეხედვით ლეგალური იმიგრაცია

უკანონოთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დანაშაულებრივი ზრახვების გამოაშკარავება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს ასეთი იმიგრანტების ქვეყნიდან გაძევებასაც. მსოფლიოში იმიგრაციის პროცესების გახშირებამ გამოიწვია სახელმწიფოებში კანონმდებლობის შემოღება, რომელიც აწესრიგებს მოქალაქეთა იმიგრაციულ პროცესებს, როგორც თავის ქვეყანაში (შიდა იმიგრაცია), ისე მის ფარგლებს გარეთაც (გარე იმიგრაცია). როგორც ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის პირთა გადაადგილების რეგულირების ნორმების შესახებ 1957 წლის 13 დეკემბრის ევროპულ შეთანხმებაშია აღნიშნული, ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საზოგადოებრივი წესრიგის, უშიშროებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უარი უთხრას პირებს ქვეყანაში შემოსვლაზე ან დროებით შეაჩეროს მათი შემოსვლა.

შესაძლებელია საპირისპირო შემთხვევასაც ჰქონდეს ადგილი – როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ფაქტობრივად გააჩნია საქართველოში ცხოვრების საფუძველი, მაგრამ იმყოფება რა ჩვენი ქვეყნის მოქალაქესთან კანონიერ ქორწინებაში, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ 2005 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-18 და მე-20 მუხლების შესაბამისად, არ მიუმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსათვის მუდმივად ცხოვრების უფლების მოპოვების თაობაზე, რის გამოც ამ პირის საქართველოში მუდმივად ცხოვრება კანონიერად (ლეგალურად) ვერ ჩაითვლება და თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, პიროვნება შეიძლება ქართული კანონმდებლობის დამრღვევადაც იქნეს მიჩნეული.⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, შესაძლებელია ვიმსჯელოთ უკანონო იმიგრაციის კიდევ ორ ნაირსახეობაზე და პირობითად ვუნოდოთ მათ ფორმალური და არაფორმალური.

აქვე გვინდა მოკლედ შევჩერდეთ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს საქართველოში გავრცელებულ თავისებურ შემთხვევებზეც. კერძოდ, ქვეყნის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების

მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული განკარგულებების (მაგ.: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 18 მაისის 106 განკარგულება, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 7 სექტემბრის 641 განკარგულება და სხვა)⁹ შესაბამისად, მოხდა 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლთა რამდენიმე ოჯახის ან ცალკეული პირების უკან დაბრუნება და ქვეყანაში განსახლება. ამასთან არ მომხდარა აღნიშნულ პირთათვის კანონით დადგენილი იმიგრანტის ან სხვა ოფიციალური სტატუსის მინიჭება და არც საქართველოში კანონიერი შემოსვლისათვის საჭირო სხვა დოკუმენტების (მაგ.: ვიზა) გაფორმებაზე შეუწუხებია ვინმეს თავი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აშკარად უკანონო იმიგრაციას ჰქონდა ადგილი, არცერთ სახელმწიფო ორგანოს დღემდე არ დაუსვამს საკითხი დასახელებულ პირთა უკანონო მიგრანტებად აღიარებისა და შესაბამისი ზომების მიღების თაობაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა უკვე საქართველოს მოქალაქეობაც კი მიიღო და განაგრძობს ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვიმსჯელოთ საქართველოში გავრცელებულ უკანონო იმიგრაციის კიდევ ერთ სახესხვაობაზე, რომელსაც ასევე პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ოფიციალური“ ან „ნებადართული“ უკანონო იმიგრაცია, რომელიც იმავდროულად ღია უკანონო იმიგრაციის კატეგორიას განეკუთვნება. მიგრაციის ეს ფორმაც არანაკლებ ზიზნის მომტანია, რადგან მისი ხელშემწყობი გახლავთ ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სწორედ რომ უკანონო იმიგრაციას უნდა ებრძოდეს და არა მის ლეგალიზებაზე ზრუნავდეს. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით ქვეყნის მოსახლეობაში ინვესს უნდობლობას ხელისუფლებისა და არსებული სამართლებრივი წესრიგის მიმართ, რაც ნებისმიერ გარე საფრთხეზე საშიში შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს სახელმწიფოსთვის.

მართალია რეპატრიაციის პრობლემა მარტო ამ საკითხით არ შემოიფარგლება და სხვა მრავალ ასპექტსაც შეიცავს, მაგრამ მათი დეტალური განხილვა ამჟამად სცილდება ჩვენს მიზნებს და ცალკე მსჯელობის საგანია.

ე. სადოვსკაია თვლის, რომ უკანონო იმიგრაციის პრობლემათა აღმოფხვრის მიზნით საჭიროა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავდა უკანონო იმიგრაციასთან ბრძოლას; განვითარდეს ინსტიტუციური ბაზა, ჩამოყალიბდეს ახალი საკონტროლო პუნქტები საზღვარზე; გაძლიერდეს უშიშროების სამსახური; დამყარდეს მრავალმხრივი თანამშრომლობა მოსახლეობაზე ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მეტი ყურადღება დაეთმოს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას.¹⁰

ვფიქრობთ, უკანონო იმიგრაციასთან ბრძოლის ჩამოთვლილი ღონისძიებების პარალელურად საჭიროა დამატებითი ზომების გატარებაც, მათ შორის:

ყველა ქვეყანაში შემოღებული უნდა იქნეს მოსახლეობის აღრიცხვის, რეგისტრაციის სავალდებულო წესი. ეს არ ნიშნავს საბჭოთა ეპოქის ადამიანის დაბმული ცხოვრების შემოღებას, არამედ ყველა პიროვნება აღრიცხული უნდა იყოს მუდმივი თუ დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს არის მოქალაქეთა რეგისტრაციის (მინერის) და არა ჩანერის ინსტიტუტი, რომელიც ყველა ქვეყანამ მკაცრად უნდა დაიცვას, რაც გაცილებით გააიოლებს კრიმინალური ელემენტების გადაადგილების გაკონტროლებას. უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგად, საქართველოში მოსახლეობის რეგისტრაციის საკითხი აშკარად გაუმჯობესდა. ერთიანი სარეგისტრაციო სისტემის შემოღებამ და პროცედურების გამარტივებამ ხელი შეუწყო ფიზიკურ პირთა დროულ დარეგისტრირებას და მათზე სათანადო დოკუმენტების, პირადობისა თუ ბინადრობის მონმობების გაცემას. მაგრამ ამ მხრივ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება და მუშაობის გაგრძელება კვლავაც საჭიროა.

საჭიროა ფართოდ იქნეს მხარდაჭერილი კანონიერი შრომითი მიგრაცია და ბრძოლა გამოეცხადოს უცხოელთა უკანონოდ შრომით დასაქმებას. კერძოდ, მკაცრი პასუხისმგებლობა უნდა დაწესდეს იმ ბიზნესმენებისა და ხელმძღვანელების მიმართ, ვინც უკანონო მიგრაციით სარგებლობს და ხელს უწყობს უკანონო მიგრანტებს დასაქმებაში. ვფიქრობთ, მაღალი საჯარიმო სანქციების შემოღება სათანადოდ შედეგებს გამოიღებს და ხელს შეუწყობს არაკანონიერი მიგრაციის შეზღუდვას.

უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა სახელმწიფოთა შორის მძიმე დანაშაულის ჩამდენი ძეგნილი, მათი მფარველი და ხელშემწყობი პირების აღმოსაჩენად და მათ მიმართ გადამჭრელ ზომების მიღების მიზნით.

სასურველია ქვეყნის მოსახლეობაც აქტიურად ჩაებას სამომავლო დამნაშავეთა და არაკრიმინალ, მაგრამ უკანონო მიგრანტთა გამოვლენის საქმეში. არალეგალური მიგრაცია სერიოზულ ეკონომიკურ თუ სხვა სახის პრობლემებს უქმნის სახელმწიფოებს, რაც დადებითად არ აისახება მოსახლეობის ცხოვრების პირობებზეც. ყველას უნდა ჰქონდეს მორალური მოვალეობა დაეხმაროს სამართალდამცავებს. საზოგადოებრივი განკითხვის შემოღება ნებისმიერ სახელმწიფოებრივ დამსჯელობით ოპერაციაზე უფრო ძლიერია. შეიძლება, ჩვენ მზად არ ვართ ფუფუნებით ვიცხოვროთ, მაგრამ მზად ვართ სწორად ვიაზროვნოთ. საზოგადოებრივი ინტელექტი ყველაზე ძლიერი ფენომენია, რაც კი კაცობრიობას მოუპოვებია.

უკანონო იმიგრაციის გამომწვევ უკვე ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ სამწუხაროდ, საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნია მიგრაციული პროცესების რეგულირების გონივრულად ჩამოყალიბებული ერთიანი პოლიტიკა, რაც იწვევს ამ პროცესების მართვის სისტემის მოუქნელობას. მაგალითად, იმიგრანტის ანუ საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელის, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა შედის საქართველოს სხვადასხვა უწყების კომპეტენციაში. რაც შეეხება დროებით იმიგრაციას: ტურიზმს, განათლებისა და დასაქმების მიზნით ქვეყანაში შემოსვლას, ეს პროცესები ჯერ კიდევ სახელმწიფო ორგანოთა სერიოზული კონტროლის მიღმა რჩება.

ყოველივე ამას თან ერთვის ისიც, რომ საქართველოში იმიგრაციის მსურველი პირები ხშირად თავს არიდებენ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვას და, ასე ვთქვათ, მოკლე გზებით ცდილობენ საზღვრის მიღწევას, რაც იწვევს უამრავ დარღვევას და უხერხულობას. ხოლო პოლიცია და სხვა სამართალდამცავი ორგანოები ძირითადად მხოლოდ დანაშაულის ფაქტებზე რეაგირებენ. ასეთ შემთხვევებში ქმედითად უნდა იქნეს გამოყენებული უკანონო

მიგრანტთა გამოვლენისა და ქვეყნიდან გაძევების მექანიზმები. ამ კუთხით არსებული საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და იძლევა პრაქტიკული ღონისძიებების უფრო აქტიურად გატარების შესაძლებლობას.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტში მითითებულია, რომ ყველას, ვინც კანონიერი წესით იმყოფება ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და გააჩნია საცხოვრებელი ადგილის არჩევანის თავისუფლება; რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც. აღნიშნული უფლება, – ჩანერილია პაქტში, – არ შეიძლება გახდეს ნებისმიერი შეზღუდვის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან კიდევ სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და შეესაბამება ამ პაქტში აღიარებულ სხვა უფლებებს. ასევე არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას თავის ქვეყანაში შესვლის უფლება (მუხ.12).

უცხოელი, რომელიც კანონიერად იმყოფება ამა თუ იმ ქვეყანაში, შეიძლება გაძევებულ იქნეს ამ ქვეყნიდან მხოლოდ გადამწყვეტილების შესაბამისად, რომელიც მიღებულია კანონის საფუძველზე და თუკი სახელმწიფო უშიშროების იმპერატიული მოსაზრებები სხვას არ მოითხოვს, უცხოელს უფლება აქვს წარადგინოს თავისი გაძევების საწინააღმდეგო მოსაზრებები, მოითხოვოს გადასინჯოს მისი საქმე კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ან პირმა თუ პირებმა, რომლებიც დანიშნულია კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, აგრეთვე აღნიშნული მიზნით წარდგენილ იქნეს ამ ხელისუფლების წინაშე შესაბამისი პირის ან პირების მიერ (მუხ.13).¹¹

ასევე გადასახედია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსასვლელად და 360 დღემდე ყოფნისათვის ვიზა არ ესაჭიროებათ.

უცხო სახელმწიფოებთან უვიზო მიმოსვლის არსებობა, მართალია, ამარტივებს გადაადგილების მსურველთა მდგომარეობას, მაგრამ მას საფუძვლად უნდა ედოს ობიექტური გარემოებები. მაგალითად, რეალურად არსებული ინტენსიური მიგრაციული კავშირები, ეკონომიკური სარგებლიანობა, სამეცნიერო თუ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სხვა სფეროში თანამშრომლობა, უვიზო მიმოსვლის პრინციპის ორმხრივი აღიარება და სხვა. მითითებულ ნორმაში მოცემული სახელმწიფოთა ჩამონათვალი კი ერთობ ვრცელია და დასახელებულთაგან რიგ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის (განსაკუთრებით ცალმხრივად) დაშვების მიზანშეწონილობა ეჭვს იწვევს.

ვფიქრობთ, გონივრული ყოველწლიური საიმიგრაციო ქვოტის განსაზღვრა და მისი მკაცრი დაცვა, ასევე მიგრაციული პროცესების მართვის ძირითადი ფუნქციების ერთი, საამისოდ სპეციალიზებული, სახელმწიფო უწყების კომპეტენციაში თავმოყრა, ხოლო მიგრაციისათვის საჭირო დადგენილი პროცედურების დახვეწა და შექმნისდაგვარად გამარტივება ძლიერ წაადგებოდა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. სასურველია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უახლოეს მომავალში უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს აღნიშნულ პრობლემას და მისი მოგვარების საკითხს.

- ¹ Садовская Е.Ю., Миграция в Казахстане на рубеже XXI века, основные тенденции и перспективы, Алматы, (2001), გვ. 53.
- ² Гудвин-Гилл Гай С., Статус беженца в международном праве, М., ЮНИТИ, (1997), გვ. 442.
- ³ Бёнинг В.Р., Занятность иностранных трудящихся, М., Марлена, (1996), გვ. 8.
- ⁴ Сборник международных правовых документов, регулирующих вопросы миграции, Международная Организация по Миграции, Москва, (1994), გვ. 215.
- ⁵ Садовская Е.Ю., Миграция в Казахстане на рубеже XXI века, основные тенденции и перспективы, Алматы, (2001), გვ. 171-172.
- ⁶ საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, სსმ, 3, 16/01/206. მუხ. 16.
- ⁷ პარლამენტის უწყებანი, 1993 წელი, გვ. 127, 1997 წელი 44, გვ. 15, 1997 წელი 45, გვ. 23.
- ⁸ საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, სსმ, 3, 16/01/2006/ მუხ. 16.
- ⁹ ბარათაშვილი მ., მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბილისი, (1998), გვ. 36, 46.
- ¹⁰ Садовская Е.Ю., Миграция в Казахстане на рубеже XXI века, основные тенденции и перспективы, Алматы, (2001), გვ. 187-188.
- ¹¹ Сборник международных правовых документов, регулирующих вопросы миграции, Международная Организация по Миграции, Москва, (1994), გვ. 9.

ARCHIL LORIA

IRREGULAR IMMIGRATION TYPES AND REASONS CAUSING THEREOF IN GEORGIA

Movement of people from one territory to another, from one country to another is not un-common, but rather characterizes the process of development of the mankind. In recent years migration processes have covered many countries of the world. People have become more social, they leave their homes for distant places in search of better conditions and they live in foreign countries. This is caused by the increase of requirements and abilities of people, by the desire of gaining better life, or by becoming refugees of internally displaced persons due to persecution and violence.

Fortunately, economic motives for displacement still exceed political and forced grounds thereof. In most cases people strive for better material conditions and only in extreme cases they leave their places due to political reasons. While researching migration processes Elena Sadovskaia, a scientist, writes: "We do not consider that political factor is the only one verifying the example of the Baltic countries. Rights of the Russians – continues E.I. Sadovskaia – as the rights of citizens and of the ethnic minority have been violated there, but the emigration of the Baltic countries has not occurred to a greater extent due to the good existing economic situation therein."¹

As for the legal position of refugees, it is regulated by international legislation and is considered as a coercive measure. The Statute (Statute of the Office of the United Nations High Commissioner for Refugees), approved by UN General Assembly Resolution of 14 December 1950, states that refugees are short of the protection from their countries and are in need of the protection from the country where they are present as refugees.²

Hence, according to the consistency characterizing the movement of the people in the world, a person leaves his/her place of main residence and goes to more advanced countries for living, while specialists and businessmen go to less advanced counties and try to gain profit and wealth using the cheap labour. As fairly noted by V.R. Bioning: "Besides certain specialists and businessmen who come on their own initiative, many managers and engineer-technicians also come to the country concerning the transfer within the scope of transnational factories, what gives them an opportunity to move forward on a career ladder or to comply with the requirements of business."³

Migration processes have never been uncommon for Georgia, however they have definitely become more vivid in the last two decades. If in the beginning emigration level, in other words the tendency of local people leaving the country, went dramatically high due to the anti-Georgian campaigns conducted by Russia in Samachablo and Abkhazia; in recent years immigration, that is the process of foreigners entering Georgia, has become active due to stabilization of the situation in the country. Western advanced countries pay huge attention to the management and regulation of immigration processes and naturally, this field is important for our country as well. Legal acts and bylaws adopted in Georgia concerning these issues consider basic principles and requirements of international law to a great extent. But, unfortunately, besides legal migration irregular migration also occurs which seriously hinders application of state policy in the field of immigration.

Irregular immigration covers the cases when a person illegally lives in a country and does not comply with the legislation of this country concerning requirements of legal stay. Irregular immigration is an intentional act and according to international acts, a person cannot be considered as a person illegally living in a country if he/she lost legal job there and is in search of a new one. ILO Convention concerning Migrations in Abusive Conditions and the Promotion of Equality of Opportunity and Treatment of Migration Workers (Convention 143) explicitly mentions that if a migrant worker legally resides in a country for the purposes of employment, he/she is not considered as the one illegally staying or the one violating legal norms due to the simple fact that he/she has lost the job, what by no means results in annulment of residence permit or the right to start a job (Art.8).⁴

The term of irregular migration is understood in the Convention in the following way: when a migrant worker is illegally hired; when migration labour is started in the territory of the given country, is carried out through this territory and is led from this territory in order to seek a job, and during this process a migrant worker, while moving, entering or being at work, turns out to be in a situation which contradicts with relevant acts or international agreements, or national legislation and regulations. As you can see, such a definition expresses only the notion of irregular labour migration and does not cover other cases of irregular migration.

Irregular migration, except labour relationship, is widely spread in criminal world. Illicit drug traffic, illegal movement of terrorists, illegal movement of religious extremists in various countries and other criminal acts represent types of criminal immigration. Fight against such acts is conducted within national, as well as international organizations. On the other hand, criminal world also forms various international organizations like Al-Qaida, drug traffic organizations and etc. INTERPOL takes every possible measure to fight against organized crime and national bureau of Interpol in Georgia is part thereto.

Based on the practice of Kazakhstan, a researcher Elena Sadovskaia considers that

there are the following forms of irregular migration:

- 1) To obtain an entrance visa for the country with whom Kazakhstan has a visa-free regime and afterwards to enter Kazakhstan without a visa. For instance, Kazakhstan has a visa-free regime with Kirgizstan and Tajikistan, and a person can easily obtain visa for Kirgizstan or Tajikistan from Afghanistan and afterwards illegally enter Kazakhstan;
- 2) After legally entering Kazakhstan (tourist visa, work invitation, etc.) to illegally stay in this country despite expiring the visa term;
- 3) Smuggling of migrants by using forged visas and documents, also by trans-organized groups;
- 4) Signing work or other contracts with the organizations which do not represent work partners, but rather are swindlers and extort by cheating people;
- 5) Violating the laws or living requirements by foreign nationals in order to obtain a residence permit (false marriage, postponement of repetitive registration, etc.);
- 6) Coming of nationals from CIS countries and from far abroad without signing a contract and for the purposes of conducting illegal labour activities, etc.⁵

All the cases mentioned above by the author might take place and the fight against all these forms should be actively carried out by various countries.

The Georgian legislation does not contain an express definition of irregular immigration and its qualification, but the analysis of the normative acts adopted in this field might help in this regard.

In accordance with Article 14 of the Law of Georgia on Legal Status of Aliens and of Stateless Persons of 27 December 2005 №2535, an alien might be denied entrance into Georgia if:

- a) he/she does not have the documents necessary to enter the territory of Georgia, envisaged by the Georgian legislation;
- b) while his/her previous stay in Georgia a fact of violating the Georgian criminal legislation by him/her has been revealed, or during the last 1 year before submitting an

application he/she was expelled, or he/she did not pay fine established for illegally being in the territory of Georgia;

- c) he/she submitted forged data or documents for obtaining a visa or for entering the territory of Georgia;
- d) he/she does not have material means necessary to stay, live in Georgia or to return home;
- e) his/her stay in Georgia shall endanger public order and security of Georgia, the protection of health, rights and legal interests of Georgian nationals and the persons living in Georgia;
- f) his/her stay in Georgia shall endanger the relationships between Georgian and any foreign country;
- g) he/she does not give or gives false information about his/her personality and purpose of travel;
- f) Georgian legislative act envisages other ground for refusal".⁶

Article 53 of the same Law establishes the grounds for expelling an alien from Georgia. More precisely, an alien can be expelled from Georgia if:

- "a) he/she illegally entered Georgia;
- b) legal ground for his/her further stay in Georgia does no longer exist;
- c) his/her stay contradicts with the interests of state security of Georgia and the protection of public order;
- d) his/her expel is necessary for the protection of Georgian nationals and of health, rights and legitimate interests of other persons legally being in Georgia;
- e) he/she regularly violates the Georgian legislation;
- f) he/she obtained the legal ground for entering or staying by submitting forged or invalid documents;
- g) he/she is sentenced to deprivation of liberty for more than one year term for intentionally committing one or several crimes – after serving the sentence".

Before adopting the above-mentioned norms, the legislation in force (for instance, Article 7 of Law on Immigration of 27 July 1993 and Article 23 of Law on Legal Status of Aliens of 3 June 1993)⁷ contained approximately simi-

lar grounds for refusal to enter Georgia and for expelling from Georgia.

It is the novelty that the legislator pays attention to the material means of an alien and, as mentioned above, one of the grounds for refusal to enter Georgia is not having enough means. In this case the state prevents itself from serious flows of migrants having uncertain professions and job descriptions searching for better life, and the state's reaction thereto is not surprising. Despite not highly-advanced level of living, Georgia might still be interesting for people living in other countries.

Based on Georgian legislative norms, we might conclude that criminal as well as non-criminal immigration occurs in our country.

There are various types of criminal immigration, including: 1) immigration conducted in order to gain residence permit in Georgia by submitting forged or invalid documents, 2) immigration conducted in order to commit a serious crime in Georgia or in order to avoid responsibility for committing a crime before entering Georgia, 3) immigration for committing a crime against peace and humanity, 4) immigration in order to commit a violation of state security or public order of Georgia, 5) immigration conducted by regularly, intentionally violating Georgian legislation, 6) immigration causing breach of the interests of protecting the health of population, 7) other cases of immigration linked to criminal activities.

Illicit traffic of infants what has become widespread recently, is one of the examples of such other cases. This activity is often camouflaged by the process of child adoption - as if a foreigner wants to adopt a child who is a national of Georgia. In these cases some documents are truly signed by foreigners, through intermediary firms or private persons, however what actually happens is the following – an orphanage, sometimes even a mother, sells a minor and receives huge amount of money in return. Georgian media and citizens through the press or broadcast often tried to raise awareness concerning such facts. It is true that in recent years the number of such facts has decreased due to the measures carried out by the law enforcement authorities, but the problem still remains and there is much to be done. The

following factors should be strictly checked: personality of a foreigner who wants to adopt a Georgian national-child, his/her financial situation, work reputation, the seriousness of his/her motives to adopt a citizen of another country, etc. Furthermore, relevant institutions of Georgia should be held reliable over a child even after the adoption and they should be responsible to examine his/her health and social conditions; if necessary they should cooperate with relevant structures of foreign countries; in extreme cases they should request for return of the minor.

Among the types of irregular immigration mentioned above, obtaining a permanent residence permit in Georgia through submitting forged or invalid documents is also worth mentioning, and it might lead towards committing other criminal activities (crimes against peace and humanity or other serious crimes, etc.). Staying in Georgia as an immigrant through such invalid mechanisms is also connected to the process of irregular labour immigration. As for entering Georgia to commit a serious crime, such actions are carried out in extremely covert circumstances, such a person in most cases has necessary documentation and tries not to fall under the focus of law enforcement authorities, for instance spies, terrorists, people involved in illicit drug traffic and others. Their stay in the country is hard to reveal and in this regard, the assistance of state institutions of the country of their citizenship or permanent residence is important since these institutions should be conducting registration of every person and especially of criminals.

As for the immigration related to systematic violations of the Georgian legislation, this type of immigration might not be of criminal character from the beginning, when a foreigner comes to Georgia with good intentions, but due to certain reasons commits a crime (e.g. car accident), what turns him/her into a criminal migrant.

Fight against criminal immigration in our country is entirely linked to the objectives of law enforcement and those of other state institutions, however, as noted, this process also requires the attention from the society and its involvement in revealing criminal migrants, what is the subject of another scientific research.

As mentioned above, irregular immigration in Georgia might be non-criminal as well, when an immigrant does not commit a crime, but his/her actions seriously or systematically violate the existing legislation; such immigration is also dangerous and contradicts with the state interests.

There are the following types of non-criminal irregular immigration in our country: 1) when there is no legal ground for immigrant's stay or permanent residence in Georgia (e.g. expiry of a visa, end of season work, seizure of the right of guardianship, etc.), 2) irregular (illegal) labour activities of an immigrant or systematically avoiding paying taxes during conducting legal activities, 3) when a labour migrant terminates labour relationships on his/her initiative without any substantive reasons or refuses to start it and has no other legal ground for staying in the country, 4) when an immigrant seriously violates ethic norms of the society or endangers health of others by pursuing non-hygienic style of life, 5) when an immigrant seeking refugee status does not leave the territory of Georgia despite receiving official refusal to his/her request, 6) when a refugee immigrant refuses to leave Georgia after the situation has been stabilized in the country of his/her origin or permanent habitual residence and the threat causing him/her to enter Georgia does not exist any longer, 7) when an immigrant intentionally, systematically does not comply with the requirement of the Georgian legislation, 8) when an immigrant does not have necessary means to live in Georgia, etc.

Although some types of non-criminal irregular migration are less harmful rather than criminal migration, but as a rule the number of non-criminal irregular immigration strongly exceeds the number of criminal immigration in most countries and therefore, fight against it remains one of the primary aims of each and every country.

Irregular migration can be classified according to the types, other than criminal and non-criminal. More precisely, it might be covert and open. Criminal (e.g. terrorists entering the country) as well as non-criminal (when an alien continues to stay in the country though having no legal ground for staying, and hiding from law

enforcement authorities and often changing place of residence or even place for night, etc.) irregular immigration can be carried out in covert ways. Of course, terrorists and representatives of illicit drug traffic and of other criminal organizations try to act undercover and thus not to endanger their activities. However, often the course of their activities takes the opposite turn. On the other hand, non-criminal immigrants often act open in the country. For instance, a huge flow of people seeking for refugee status, and when they do not obtain the status, they may still continue illegal stay in Georgia. Similar situation occurred when in 2000 Chechens leaving the conflict zone in the Russian Federation entered Georgia, more precisely the Pankisi Gorge, part of them do not have refugee status even today due to a simple reason that they have not addressed the authorities with such a request, but they continue to stay openly and expressly in our territory.

While discussing irregular immigration we should consider one more circumstance. More precisely, there are cases when immigration in the country does not raise alert, e.g. an alien possesses relevant documentation for entering and staying in Georgia, complies with all the necessary procedures and does not do anything wrong, in other words, the formal requirements are met, however his/her stay has illicit, criminal rather than legal objectives. This kind of legal immigration should be considered as irregular, criminal intentions should be revealed and relevant measures be taken, amounting even to expelling such migrants from the country. Frequency of migration processes in the world has led to the adoption of legislation, regulating migration processes of nationals within (internal migration) as well as outside (external migration) the country. As European Agreement of 13 December 1957 on Regulations governing the Movement of Persons between Member States of the Council of Europe states, every country should have the right to refuse persons entering the country or to temporarily stop their entrance for the purposes of protecting public order, security and health.

A contrary case might occur as well – when a national of another country de facto complies with the ground requirement for liv-

ing in Georgia but, but being legally married to the national of our country, he/she has not addressed Civil Registry Agency – LEPL of the Ministry of Justice of Georgia for obtaining a permanent residence permit in accordance with Articles 18 and 20 of Law of 27 December 2005 on Legal Status of Aliens and Stateless Persons, and because of this fact his/her permanent stay in Georgia cannot be considered as legal, and if this situation continues this person can be considered as the one violating the Georgian legislation.⁸ Based on the mentioned assumptions, we can consider two additional types of irregular immigration and provisionally name them as formal and non-formal.

At this point we would like to draw your attention to the cases which occurred in Georgian at the end of 80ies of the last century. More precisely, in accordance with the regulations adopted by executive branch of Georgian at various times (e.g. Regulation #106 of 18 May 1993 of the head of the Georgian state, Regulation #641 of 7 September 1995 of the cabinet of ministers, etc.)⁹, several families or individuals from the descendants of the population deported from Meskheta in 1944 were returned and provided by housing in the country. However, these persons were not simultaneously granted the status of an immigrant or any official status, nor the documents necessary for legally entering Georgia (e.g. a visa). Despite of the fact that an obvious irregular immigration occurred, so far none of state institutions requested the recognition of these persons as illegal migrants and the adoption of respective measures. On the contrary, some of them have already been granted Georgian citizenship and they continue to live in our country. Based on the above-mentioned, we can discuss one more type of irregular immigration occurring in Georgia and immigration provisionally name it “official” or “allowed” irregular, which is also covered by the category of open irregular immigration. This type of migration is also endangering, since it is supported by bureaucratic apparatus which should fight against irregular immigration and not trying its legalization. This approach most importantly shakes the trust of the country’s population towards authorities and towards the existing legal order, what

might result in more serious consequences for the state than any external threat can cause.

Although the repatriation problem covers many other aspects as well, their detailed analysis falls outside our goals, and is subject to another discussion.

In order to eradicate the problems of irregular migration, E. Sadovskaia considers it necessary to adopt relevant legislation, determining the fight against irregular migration; to develop institutionalized base, to establish new border control points; to strengthen security services; to establish multilateral cooperation with neighboring countries and international organizations; further focusing on the awareness raising of the legal knowledge.¹⁰

Besides the mentioned measures, we consider additional measures to fight against irregular immigration should be taken, including the following:

Every country should have an obligatory procedure for registering population. This does not mean the re-adoption of the Soviet style, but rather registering each and every person in accordance with permanent or temporary place of residence. This is the institute of registering population and not "propiska" measure, and every country should obey thereto and it will largely simplify the control over movement of criminal elements. It should be mentioned that due to the reforms undertaken in the country, the issue of registering the Georgian population has significantly improved. Adoption of unified registration system and simplification of procedures promoted timely registration of natural persons and issuance of relevant documentation, IDs or residence permits to them. And, this course should be actively continued in the future as well.

Legal labour migration should be widely supported and the fight against involvement of foreigners in illegal labour relations should be announced. More precisely, strict liability should be determined for those businessmen and managers who use irregular migration and support employment of irregular migrants. Setting high fines in the form of sanctions will result in positive consequences and will promote restricting irregular migration.

Cooperation among countries should strengthen in order to reveal fugitives who commit-

ted serious crimes, as well as persons supporting them and in order to take decisive measures against them.

It is desirable for the country population to get involved in the process of revealing dangerous criminals and non-criminal but irregular migrants. Irregular migration causes serious economic and other kind of problems for countries, what does not positively reflect on the living conditions of the population. Everyone should have a moral duty to assist law enforcement authorities. Establishing public condemnation is stronger than any state penal measure. Maybe we are not ready to have advanced living conditions, but we are ready to think clearly. Public intellect is the strongest phenomenon the mankind has ever gained.

Besides the above-mentioned reasons causing irregular immigration, we should consider that, unfortunately, Georgia does not have a clearly established, unilateral policy on the regulation of migration processes, what results in the non-flexibility of the management system of these processes. For instance, various state institutions cover the competences of deciding upon the status of an immigrant or an alien permanently living in Georgia, a person seeking political asylum and a refugee. As for temporary immigration issues such as tourism, entering the country for the purposes of education and employment, these processes still remain outside the serious control of state agencies.

Furthermore, the persons seeking to immigrate into Georgia often avoid meeting the requirements set by the legislation and try to achieve the goal otherwise resulting in many violations and distress. While the police and other law enforcement authorities mostly react only to the facts of crime. In such cases the mechanisms of revealing irregular migrants and expelling them from the country should be actively applied. In this regard the existing Georgian legislation complies with the international standards and leaves the room for conducting practical measures more actively.

International Covenant on Civil and Political Rights of 16 December 1966 states that everyone legally staying in the territory of a country has the right to free movement within the territory of this country and has the freedom to choose a place of residence; that every person

has the right to leave any country, including his/her own. The Covenant explicitly notes that this right cannot be subject to any restriction except for the one envisaged by the law, is necessary for the protection of state security, public order, health or morals of the society, or even for the protection of the rights and freedoms of the others, and is in line with the other rights recognized by this Covenant. Also, no one shall be arbitrarily deprived of the right to enter his/her own country (Art. 12).

An alien legally staying in a country, can be expelled from this country only in accordance with the decision adopted on the bases of the law and unless imperative interests of the state security require otherwise; an alien has the right to submit the opinions contrary to his/her expel, require for his/her case to be revised by competent authorities or a person/persons approved by competent authorities, also to be heard before this authority represented by respective person/persons (Art.13).¹¹

Also, the list of countries whose nationals do not need a visa for entering and staying in Georgia for up to 360 days, given in Article 4.5

of Law on Legal Status of Aliens and Stateless Persons, this list should be revised. It is true that a visa-free regime with a foreign country simplifies the situation of those wishing to move freely, but objective circumstances should be considered in this regard. For instance, considering the intensive migration links existing in practice, economic profit, cooperation in scientific or other important fields for the country, double recognition of visa-free regime, etc. But in the mentioned norm the list of countries is far too wide and allowing visa-free regime (especially, one-side recognition) with certain countries raises question marks.

In order to fight irregular migration, we believe, reasonable annual migration quotes should be determined and strictly observed, also merge the main functions of migration management under the competence of one, specialized state agency, while improving the migration procedures and their simplification in reasonable limits. Georgian authorities should pay more attention to this problem and to its regulation in the near future.

-
- ¹ Садовская Е.Ю., Миграция в Казахстане на рубеже XXI века, основные тенденции и перспективы, Алматы, (2001), р. 53.
 - ² Гудвин-Гилл Гай С., Статус беженца в международном праве, М., ЮНИТИ, (1997), р. 442.
 - ³ Бёнинг В.Р., Занятность иностранных трудящихся, М., Марлена, (1996), р. 8.
 - ⁴ Сборник международных правовых документов, регулирующих вопросы миграции, Международная Организация по Миграции, Москва, (1994), р. 215.
 - ⁵ Садовская Е.Ю., Миграция в Казахстане на рубеже XXI века, основные тенденции и перспективы, Алматы, (2001), р. 171-172.
 - ⁶ Law of Georgia on Aliens and Stateless Persons, LHG, 3, 16/01/2006, Article 16.
 - ⁷ The Gazette of Parliament, 1993 #8, р. 127, 1997 #44, р. 15, 1997 #45, р. 23.
 - ⁸ Law of Georgia on Aliens and Stateless Persons, LHG, 3, 16/01/2006, art. 16.
 - ⁹ Baratashvili, Meskhian repatriants legal status in Georgia (1998), pg. 36, 46
 - ¹⁰ Садовская Е.Ю., Миграция в Казахстане на рубеже XXI века, основные тенденции и перспективы, Алматы, (2001), р. 187-188.
 - ¹¹ Сборник международных правовых документов, регулирующих вопросы миграции, Международная Организация по Миграции, Москва, (1994), р. 9.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკანონმდებლო რეგულირება საქართველოს და ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით

საერთაშორისო საზოგადოებამ 2000 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო განამტკიცა და ხელმოსაწერად გახსნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენცია (შემდგომში „პალერმოს ოქმი“) და მასთან ერთად, მისი დამატებითი ოქმი (შემდგომში „დამატებითი ოქმი“) ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ.¹ ამით სახელმწიფოების მიერ საფუძველი ჩაეყარა ტრეფიკინგის პირველი დეფინიციის ჩამოყალიბებას. ამავდროულად, ტრეფიკინგი აღიარებული იქნა მონობის თანამედროვე ფორმად, რაც როგორც კონვენციაში, ასევე ეროვნულ კანონმდებლობებშიც იქნა ასახული.

დამატებითი ოქმის მე-3 (ა) ქვეპუნქტის მიხედვით, „ადამიანის ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანის გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას, ძალის ან ძალის მუქარის, ან იძულების სხვა ფორმების, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან დაუცველი მდგომარეობის, გასამრჯელოს ან რაიმე სარგებლის მიცემის ან მიღების დაპირების გამოყენებით, რათა მიღწეული იქნეს იმ ადამიანის თანხმობა, ვისაც კონტროლი აქვს სხვა ადამიანზე, ამ უკანასკნელის ექსპლოატაციის მიზნით.² აქვე აღვნიშნავთ, რომ ოქმის მე-3 (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას ზემოაღნიშნულ-

ლი მუხლის (ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებული წინასწარგანზრახული ექსპლოატაციის ობიექტი გახდეს, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ გამოყენებულია (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება.³

პალერმოს ოქმის მიღება უმნიშვნელოვანესი და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების შესაქმნელად. პირველივე მუხლში ხაზგასმით იქნა აღნიშნული რომ დოკუმენტის მიზანია:

„ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვა, მსხვერპლთა და მონმეთა დაცვისა და დახმარების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა, რომელშიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას გენდერული თანასწორობა და ასევე ეფექტური გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფა“⁴.

ამგვარმა ჩანაწერმა ფაქტობრივად განსაზღვრა კიდევ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების სამი მიმართულებით ჩამოყალიბება ქვეყნების მიერ: (1) სისხლის სამართლებრივი დევნა; (2) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება; (3) პრევენციული ზომების განხორციელება.⁵

სამივე ამ კომპონენტის განხორციელება მნიშვნელოვანია, თუმცა საკანონმდებლობის სრულყოფა, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა, რაც ე.წ. პირველი კომპონენტითაა გათვალისწინებული, დანარჩენ ორზე აღმატებულია და თითქმის ყველა ხელმომწერი სახელმწიფოს მიერაც ასეა აღიარებული.

საერთაშორისო ინსტრუმენტების მი- მოხილვა ტრეფიკინგის ფორმებთან მი- მართებით

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პირველ დეფინიციად პალერმოს ოქმის დეფინიციას ითვლება. მიუხედავად იმისა რომ იგი ტრეფიკინგის როგორც დანაშაულის ყველაზე დეტალური დეფინიციაა, ქვეყნების მიერ ეროვნულ სისხლის სამართლის კოდექსებში გამოსაყენებლ საუკეთესო დეფინიციად არ მიიჩნევა. მთავარი სირთულე იმაშია რომ აღნიშნული დეფინიციის შეიცავს ისეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებებს, რომელიც შემდეგში გამოძიების მიერ უნდა იქნას დამტკიცებული. ბუნდოვანი ჩანანერის არსებობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი გამოძიების პროცესს საკმაოდ ართულებს.⁶

გარდა ამისა, პალერმოს ოქმის მიხედვით, „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ექსპლოატაციის ყველა ფორმასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნის შესუსტების მიზნით, რასაც შედეგად მოსდევს ტრეფიკინგი, თითოეული მონაწილე სახელმწიფო მიიღებს ან გააძლიერებს... ზომებს“⁷. აღნიშნულმა მიუხედავად სხვადასხვაობა გამოიწვია, ჩანანერის ხარვეზად ჩაითვალა ის გარემოება რომ ამ ჩანანერის მიხედვით იგულისხმება რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი მხოლოდ ქალები ან გოგონები შეიძლება იყონ, რაც რეალობას არ შეესაბამება⁸. 1998 წელს, როცა გაერთიანებული ერები ფორმალურად შეთანხმდა პალერმოს ოქმის პროექტზე, მიღებული იქნა რეზოლუცია ადამიანებით ტრეფიკინგის შესახებ. რეზოლუციის პრეამბულაშივე გაერთიანებული ერების მიერ აღიარებული იქნა რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდნენ ვაჭებიც.⁹ თუმცა ამ ჩანანერის გარდა აღარაფერია ნათქვამი ბიჭების ტრეფიკინგის შესახებ და აქცენტი ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგზეა გადატანილი. მიუხედავად იმისა რომ ქალები და გოგონები მსხვერპლთა უმრავლესობას წარმოადგენს¹⁰, ტრეფიკინგის მსხვერპლი აგრეთვე არიან ვაჭებიც¹¹. ამას ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბიუროს გამოძიებათა სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც ბავშვთა პორნოგრაფიის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაახლოებით 50 პროცენტს ვაჭები შეადგენს.¹²

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის სრულყოფილების განხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ქვემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე ფორმას, რომლებიც მოგვიანებით სხვადასხვა ფორმით ასახული იქნა როგორც პალერმოს ოქმში, ისე სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობითაც.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თითქმის ყველაზე გავრცელებულ ფორმას მონობა ან მონობის მსგავსი პრაქტიკა. კონვენცია მონობის, მონებით ვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და გამოცდილების გაუქმების შესახებ ჯერ კიდევ 1926 წელს იქნა მიღებული. კონვენციის პირველი მუხლის თანახმად ტერმინი „მონობა“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული: მონობა არის პიროვნების სტატუსი ან მდგომარეობა, რომლის მიმართ მთლიანად ვრცელდება მფლობელობის უფლება. მონებით ვაჭრობა მოიცავს ყველა აქტს, რომელიც ითვალისწინებს პირის დაკავებას, შეძენას ან განკარგვას მის მონურ მდგომარეობაში ჩადების მიზნით; ყველა აქტს რომელიც ითვალისწინებს მონის შეძენას, გაყიდვის ან გაცვლის მიზნით; ყველა აქტს რომელიც ითვალისწინებს მონის განკარგვას გაყიდვის ან გაცვლის მიზნით, როდესაც მისი შეძენა გაყიდვის ან გაცვლის მიზნით განხორციელდა; და ზოგადად, მონებით ვაჭრობისა და გადაყვანის ყველა აქტი.

მონობის, მონებით ვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და გამოცდილების გაუქმების შესახებ გაეროს 1956 წლის კონვენციის პირველი მუხლით განისაზღვრა „მონობის მსგავსი ოთხი მდგომარეობა“:

- 1) ფულადი ვალდებულებითი დამოკიდებულება ანუ სტატუსი ან მდგომარეობა, რომელიც გამომდინარეობს მოვალის დაპირებისაგან, ვალის უზრუნველყოფის მიზნით, განიოს პირადი მომსახურება ან უზრუნველყოფის ამგვარი მომსახურების განევა მისი კონტროლის ქვეშ მყოფი პირის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ამ მომსახურებათა ღირებულება, გონივრულადაა შეფასებული, არ ემსახურება აღებული ვალის დაფარვას ან ამ მომსახურების ხანგრძლივობა და შინაარსი არ არის შესაბამისად შეზღუდული და განსაზღვრული;
- 2) ყმობა, ანუ დამქირავებლის სტატუსი ან მდგომარეობა, რომელიც კანონის,

ჩვეულებისა ან შეთანხმების საფუძველზე შებოჭილია იცხოვროს და იმუშაოს სხვა პიროვნების კუთვნილ მიწაზე და განსაზღვრულ სამსახურს უწევს იმ პიროვნებას, გასამრჯელოს მიღების საფუძველზე ან მის გარეშე, არ შეუძლია თვითონ შეცვალოს სტატუსი;

3) ნებისმიერი ინსტიტუტი ან პრაქტიკა, რომლის ფარგლებში: გარკვეული ფულადი ან ნატურალური ანაზღაურების სანაცვლოდ ქალის მშობლების, მეურვეების, ოჯახის ან ცალკეული პირის ან ჯგუფის მიერ ხორციელდება ქალის გათხოვება ან გათხოვების თაობაზე დაპირების მიცემა, რა შემთხვევაშიც ქალს არ აქვს უარის თქმის უფლება; ან ქალის მეუღლეს, მის ოჯახს ან მის კლანს უფლება აქვს ქალი გადასცეს სხვა პირს, ანაზღაურების სანაცვლოდ ან უამისოდ; ან მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ქალი მემკვიდრეობით გადაეცემა სხვა პირს.

4) ნებისმიერი ინსტიტუტი ან პრაქტიკა, რომლის ფარგლებში ბავშვის, ახალგაზრდა ადამიანის ან მისი შრომის, ექსპლოატაციის მიზნით ერთერთი ან ორივე მშობლის მიერ, ან მეურვის მიერ ხორციელდება ბავშვის ან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ადამიანის გადაცემა სხვა პირისათვის, ანაზღაურების სანაცვლოდ ან უამისოდ.

მონობის შესახებ კონვენცია განასხვავებს იძულებით შრომას და მონობას, და მიუთითებს რომ არ შეიძლება იძულებითი შრომის მონობის ანალოგიურ მდგომარეობაში გადაზრდის დაშვება. ზემოაღნიშნული კონვენციების განხილვა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მონობა და მონობის მსგავსი მდგომარეობა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის), განსაკუთრებით არასრულწლოვანთა ვაჭრობისას, ხშირად არის ქმედების შემადგენელი ელემენტი.¹³

ტრეფიკინგის შედარებით უფრო მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც გავრცელებული ფორმაა ტრეფიკინგი ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით. ტრეფიკინგის შესახებ ზემოაღნიშნული ოქმის თანახმად, ორგანოთა ტრეფიკინგი წარმოადგენს ტრეფიკინგის ფორმას. ამასთან, იგი არ არის გათვალისწინებული ევროკავშირის ჩარჩო გადაწყვეტილებით ტრეფიკინგის შესახებ.

თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის შენიშვნაში ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით ტრეფიკინგი მოხსენიებულია, როგორც ტრეფიკინგის ფორმა.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით საერთაშორისო ინსტრუმენტების ჭრილში

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დახასიათებისას მნიშვნელოვანია შემდეგ გარემოებებზე ყურადღების გამახვილება: ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც ქალი, ისე ბავშვიც და მამაკაციც; ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლი საკმაოდ ხშირად ქალია, რომელთა გამოყენება უმეტესად სექსბიზნესში ხდება.

საკმაოდ ხშირად, მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ტრეფიკინგის დანაშაული მეძავთა სექსუალურ ექსპლოატაციასთან არის გაიგივებული, რაც ბუნებრივია, არასწორი შეხედულებაა. სახელმწიფოებმა კანონმდებლობა ისე უნდა ჩამოაყალიბონ რომ ზემოაღნიშნული სტერეოტიპისაგან თავისუფალი იყოს. ტრეფიკინგად მიიჩნევა არა მხოლოდ პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალური ექსპლოატაცია, არამედ ყველა სახის იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა ან მონობის მსგავსი მდგომარეობა.¹⁴

ტრეფიკინგი შესაძლოა, განხორციელდეს როგორც სახელმწიფოთა საზღვრების გადაკვეთით, ისე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე; შეიძლება იყოს როგორც ტრანსნაციონალური, ისე ლოკალური დანაშაული.¹⁵

ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) კომპლექსური პროცესია, რომელიც იწყება ადამიანის გადაბირებით, ხშირ შემთხვევაში შესაძლოა, გაგრძელდეს სხვადასხვა მიმართულებით გადაყვანით და მთავრდება სხვადასხვა ფორმით ექსპლოატაციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთ მოვაჭრეების მიერ გამოყენებული მეთოდები ხშირად იცვლება, რადგან ისინი ცდილობენ ახალ ტექნოლოგიებთან სწრაფი ადაპტირებით მოახდინონ იმ ბარიერების გადალახვა, რაც მათ საქმიანობაში შეიძლება, წარმოიქმნას.

მოკლედ მიმოვიხილოთ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტადიები. გადაბი-

რება ტრეფიკინგის პროცესის პირველ ეტაპად ითვლება. ამ ეტაპზე ხდება პირთან კონტაქტი მისი ტრეფიკინგის პროცესში ჩართვის მიზნით. ადამიანის ტრეფიკინგის დანაშაულისათვის ტერმინი „გადაბირება“ მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის სამუშაოდ აყვანას, არამედ სხვა ისეთი ზომების გამოყენებასაც, როგორცაა მოტყუება, მოტაცება, ძალის გამოყენება და სხვა. ადამიანით მოვაჭრეთა მეთოდები განსხვავებულია და ყველა ზომის ჩამოთვლა ან წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. გავრცელებულია შემდეგი მეთოდების გამოყენება¹⁶: ა) გადაბირება ნაცნობ-მეგობრების საშუალებით; ბ) გადაბირება სარეკლამო განცხადებებით და სააგენტოების გამოყენებით, აგრეთვე ფიქტიური ქორწინებების გამოყენებით; გ) კაფეებში, ბარებში, დისკოთეკებზე, ბაზრებში, ავტოსადგურებში და სხვა ხალხმრავალ ადგილებში სამიზნე პირების შერჩევით და ა.შ. დ) ხშირად მსხვერპლი იცნობს გადამბირებელს, არცთუ იშვიათად ისინი ნათესავებიც კი არიან. ნაცნობობის ან ნათესაობის ფაქტორი წარმოშობს მსხვერპლის ნდობას გადამბირებლის მიმართ.¹⁷ გარდა ამისა, გადაბირების მომენტი მნიშვნელოვნად ადვილდება, თუ მსხვერპლს მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აქვს და დასაქმების შესაძლებლობას უცხოეთში ეძებს. ქალებს, როგორც წესი, სთავაზობენ მაღალანაზღაურებად სამუშაოს საზღვარგარეთის რესტორნებში, სოფლის მეურნეობაში, ბავშვთა და მოხუცთა მოვლის სექტორში და ა.შ.¹⁸ ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ დანიშნულების ქვეყნებში აშკარავდება ადამიანით მოვაჭრესთან დადებული შეთანხმების სიყალბე და პირი ექსპლოატაციის და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ხდება. განვითარებად და მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე ქვეყნებში არცთუ იშვიათია ქალების, განსაკუთრებით ბავშვების გაყიდვის შემთხვევები სახელმწიფო ინსტიტუტების (მაგალითად, ბავშვთა სახლების) მიერ. როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს მსხვერპლი ინფორმირებულია საზღვარგარეთ მისი სამუშაოს შესახებ (მაგალითად პროსტიტუცია), მაგრამ რეალური შრომის პირობები წარმოდგენილისაგან განსხვავებული ხდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მსხვერპლის თანხმობას მის ექსპლოატაციაზე

ტრეფიკინგის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. აქვე უნდა დავძინოთ რომ თეორიაში, (ქართველ თეორეტიკოსებშიც მათ შორის) არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ამ საკისის მიმართ. ნაწილი თვლის, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმეტესობისათვის წინასწარ ცნობილია შეუსაბამო ანაზღაურების, მათი ექსპლოატაციის მიზნის შესახებ¹⁹.

გადაბირების მეთოდები მრავალფეროვანია დამოიცავს არამარტოაშკარა ძალადობას, აგრეთვე მოტყუებას, რომელიც შეიძლება ნაკლებად მძიმე და მტკივნეულ ფორმებში იყოს გამოხატული. არანაკლებ მნიშვნელოვანია გადაბირების კრიმინალური მეთოდები, რომელთაგანაც აღსანიშნავია შემდეგი: ა) იძულება მოტაცების გამოყენებით; ბ) არასრულწლოვნის ადამიანით მოვაჭრისთვის მიყიდვა, რომელიც ხორციელდება იმ პირის მიერ, რომელიც არასრულწლოვანზე კონტროლს ახორციელებს. გ) მოტყუება ლეგალური შრომის დაპირებით, ექსპლოატაციური პირობების დამალვით; დ) მოტყუება კონტროლირებადი ან იძულებითი ხასიათის შესახებ. გადაბირების მეთოდის შერჩევა მსხვერპლის ტიპაჟის გათვალისწინებით ხდება. ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ გადაბირებაში ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდეს. ხშირად მშობლები ბავშვებს ტრეფიკერებს თავადვე აბარებენ, თუმცა იმ მოტივით, რომ ბავშვის ცხოვრება თითქოსდა გაუმჯობესდება.²⁰ ხშირ შემთხვევაში ყოფილი მსხვერპლი გადამბირებლად და ტრეფიკერადაც თავადვე გვევლინება. ამას ცხადჰყოფს როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები, ასევე ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშებიც.²¹

ამრიგად, ზემოაღნიშნულ მსჯელობაში შევეცადეთ, წარმოგვედგინა ტრეფიკინგის პროცესის პირველი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი – მსხვერპლის გადაბირება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მსხვერპლის შეფარებას ან მიღებას, ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაადგილების ჩათვლით. გადაყვანის პროცესი გამოირჩევა იმ სპეციფიკით, რომ სამიზნედ გამხდარ ადამიანებს უმეტეს შემთხვევაში უხეშად

ელახებათ უფლებები, განიცდიან ფიზიკურ და სხვა სახის შეურაცხყოფას, ადამიანის პატივისა და ღირსებისათვის შეუფერებელ მოპყრობას (მაგალითად, იძულებულნი არიან, იმგზავრონ მანქანის საბარგულთ, ფეხით გრძელ და რთულად დასაფარ დისტანციებზე, ან ცურვით და ა.შ.). საკუთარი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ გაყვანის შემთხვევაში ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მდგომარეობას ხშირად აუარესებს ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში ამ მდგომარეობაში აღმოჩენილ ადამიანს საკუთარი ქვეყნის ტერიტორია მანამდე არასდროს დაუტოვებია, რაც მას უმეტეს შემთხვევაში ძალაუწევდა მთლიანად ადამიანთ მოვაჭრეზე დამოკიდებულს ხდის. მსხვერპლის მორჩილების უზრუნველსაყოფად ადამიანთ მოვაჭრეები, როგორც წესი, პასპორტებს ითხოვენ.²² გადაყვანის, როგორც ტრეფიკინგის ეტაპის განხილვისას, როგორც საქართველოს, ისე საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე, დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მის წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედების გამო განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდება თუნდაც საკუთარ სამშობლოში. ამ დანაშაულის მსხვერპლი უცხოეთში არალეგალური მიგრანტის სტატუსით ყოფნის შემთხვევაში განსაკუთრებით დაუცველი ხდება. არალეგალის სტატუსის გამო დასჯის შიშით, მსხვერპლი დაცვისათვის პოლიციას იშვიათად მიმართავს, რაც ადამიანთ მოვაჭრეს საშუალებას აძლევს, მთლიანად მართოს მსხვერპლი ან მკაცრი კონტროლი განახორციელოს მასზე.

ექსპლოატაცია, როგორც ტრეფიკინგის პროცესის მიზანი, ერთ-ერთი განმსაზღვრელი გარემოებაა ტრეფიკინგის დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. საქართველოს კანონმდებლობით საკითხი მცირეოდენი გაფართოებით განიხილება.

ოქმის მიხედვით, ექსპლოატაცია მოიცავს პროსტიტუციის ექსპლოატაციას ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს პრაქტიკას, ყმობას ან ორგანოების ამოღებას. გამომდინარე აქედან, ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მხოლოდ მსხვერპლთა სექსუალურ ექსპლოატაციას

არ ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის ამ ასპექტში განხილვა XXI საუკუნის დასაწყისში ყველაზე გავრცელებული იყო. კვლევების ანალიზისა და გასული წლების აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშების მიხედვით, ეს მიდგომა მნიშვნელოვნად შეცვალა²³. დღეისათვის მსოფლიო ტრეფიკინგს განიხილავს არა მხოლოდ როგორც მსხვერპლის სექსუალურ ექსპლოატაციას. ტრეფიკინგი, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, მრავალი მიზნით შეიძლება განხორციელდეს, რომელთა შორის სექსუალურ ექსპლოატაციასთან ერთად ყველაზე გავრცელებულია იძულებითი შრომითი ექსპლოატაცია.²⁴ ხელშემწყობ გარემოებათაგან აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ იძულებითი შრომა ხშირ შემთხვევაში განიხილება როგორც არალეგალური დასაქმება და ექსპლოატირებულ ტრეფიკირებულ ადამიანებს ხშირად განიხილავენ, როგორც არალეგალურ მიგრანტებს და არა როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანები შრომით რეგულაციების არღვევენ, ეს ხდება მათი ტრეფიკინგის სიტუაციაში ყოფნის გამო და ბევრი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) კანონმდებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლს ათავისუფლებს მთელი რიგი დანაშაულებისაგან, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის გამო.²⁵

2003 წლის ივლისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ორი მუხლი, რომლებითაც მოხდა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კრიმინალიზაცია. მოგვიანებით, 2006 წელს, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანისა და სისხლის სამართლებრივი ქმედებების დეფინიციების საქართველოს სტანდარტების შესაბამისად დახვეწის პარალელურად, მიღებული იქნა კანონი „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ხოლო 2007 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 143³ მუხლი, ტრეფიკინგის მსხვერპლის შრომის გამოყენების დასჯადობის შესახებ. ისევე როგორც წინათავე, სადაც არასრულწლოვნის ტრეფიკინგი ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კონტექსტში იქნა განხილული, განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 1431 და 1432 მუხლები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის მიხედვით: *ადამიანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლოატაციის მიზნით.* სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლის მიხედვით ბავშვთა ტრეფიკინგი არის: *არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლოატაციის მიზნით.*

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან *სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი* საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პირადი უფლებები და თავისუფლებებია. კერძოდ: ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება; საცხოვრებელი ადგილისა და საქმიანობის სფეროს თავისუფალი არჩევის უფლება; თავისუფლების, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების შემთხვევაში – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება.²⁶ დანაშაულის *ობიექტური მხარე* ძირითადად მოქმედებაშია გამოხატული, თუმცა სავსებით შესაძლებელია სახეზე იყოს უმოქმედობაც. დანაშაული დამთავრებულად ითვლება დისპოზიციაში ჩამოთვლილი ერთერთი ქმედების ჩადენისთანავე, თუნდაც მძიმე შედეგის დადგომის გარეშე, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა დაზარალებულის ექსპლოატაცია.²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული ტრეფიკინგის დანაშაულისათვის ამ დანაშაულის დისპოზიციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ა) *უკანონო გარიგება* – გარიგება, რომლის დადების შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, მათ შორის, გარიგება იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებელის მიცემის ან მიღების შესახებ, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი.²⁸ ბ) *ადამიანის ყიდვა ფულის გადახდით*, რაიმე ნივთში გაცვლით, ვალში

ჩათვლით, რომლის შემდეგაც ადამიანი უვადოდ გადადის მყიდველის განკარგულებაში. გ) *ადამიანის გაყიდვა ფულის მიღებით*, რაიმე ნივთში გაცვლით ან ვალის სანაცვლოდ.²⁹ დ) *ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება* – ადამიანის შემძენის დაპირება გამსხვისებლის მიმართ რომ ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებაში, ან საკუთარი შემოსავლიდან პერიოდულად პროცენტის გადახდაში, სამუშაოზე მონყობაში, საზღვარგარეთ გამგზავრებაში და ა.შ.³⁰ ე) *გადაბირება* – ადამიანის დარწმუნება ან შეთავაზება შეასრულოს რაიმე სახის სამუშაო ან მომსახურება ან მონაწილეობა მიიღოს რაიმე სახის ქმედებაში. უფრო კონკრეტულად, გადაბირება ნიშნავს პირის დაყოლიებას ექსპლოატაციაში მის ჩართვაში. ვ) *გადაყვანა* – პირის წაყვანა თავისი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა მიმართულებით, სადაც მოხდება მისი ჩაბმა ექსპლოატაციაში.³¹ ზ) *გადამალვა* – პირის გადამალვა ზემოაღნიშნული ხერხების გამოყენებით, მომავალში მისი ექსპლოატაციაში ჩაბმის მიზნით. გადამალვა გარკვეულწილად თავისუფლების უკანონო აღკვეთასაც მოიცავს.³² თ) *მოტყუება* – ადამიანის შეცდომაში შეყვანა სხვადასხვა სახის დაპირებით. მაგალითად, საზღვარგარეთ წაყვანისა და მალაღანაზღაურებადი სამსახურით დაკმაყოფილების დაპირებით, როცა რეალურად ხდება ამ ადამიანის გაყიდვა.³³ ი) *იძულება* შეიძლება განხორციელდეს როგორც ძალადობით, ასევე ძალადობის მუქარით. იძულებაში ძირითადად იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, გამოხატული ცემაში, ან სხვა ძალადობის ფორმაში. კ) *შანტაჟი* – ადამიანის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მის ან მისი ახლობლების მიმართ სახელგამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მნიშვნელობა არა აქვს ცნობები მოგონილია თუ ნამდვილი, მთავარია ისინი ლახავდეს პიროვნების რეპუტაციას საზოგადოების თვალში (მაგალითად, პირს ემუქრებიან რომ მას დააბრალებენ დანაშაულის ჩადენას, ჰომოსექსუალიზმს, ნარკომანობას და ა.შ.). ლ) *ადამიანის მიღება ექსპლოატაციის მიზნით* – პირის მიერ სხვა პირის მეშვეობით უკვე გადაბირებული ადამიანის მიღება მისი ექსპლოატაციის მიზნით. აქ მნიშვნელოვანია

ის გარემოება რომ მიმღებ პირს არ გამოუყენებია იძულება, შანტაჟი თუ მოტყუება მიღებული პირის გადაბირების, გადაყვანის ან გადაძალისათვის. მისი დანაშაულებრივი ქმედება არის ექსპლოატაციის მიზნით სხვისი გადაბირებული ადამიანის მიღება. მ) *უმწეო მდგომარეობა* – მდგომარეობა, როდესაც პირი სხვა პირზე მატერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული; როდესაც პირს მისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება; აგრეთვე, მდგომარეობა, როდესაც პირს არ გააჩნია სხვა რეალური და მისაღები საშუალება, გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ ძალადობის გამოყენებას.

³⁴ ნ) *ექსპლოატაცია* – ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლოატაციის, მონობის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარი გამოყენების მიზნით.³⁵ ო) *იძულებითი შრომა* – ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მუქარით, შანტაჟით ან პირის უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.³⁶ პ) *სექსუალური ექსპლოატაცია* – პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სექსობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში, მის მიმართ მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის, პირის უმწეო მდგომარეობის ან თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ მოტყუებით.³⁷ ყ) *მონობა* – პირის სტატუსი ან მდგომარეობა, როდესაც მის მიმართ გამოიყენება ნივთზე საკუთრების უფლების შემადგენელი რომელიმე ან ყველა ელემენტი. რ) *მონობის მსგავსი მდგომარეობა* – მონობის, მონური შრომისა და მონობის მსგავსი მდგომარეობის გაუქმების შესახებ გაერთიანებული ერების 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენციით განსაზღვრული პირის სტატუსი ან მდგომარეობა. უფრო ზუსტად, ტერმინი „მონობის მსგავსი მდგომარეობა“ განმარტებულია მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი მდგომარეობისა და პრაქტიკის აღ-

მოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების დამატებით კონვენციის პირველი მუხლით. იგი თავის თავში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ცნებებს, როგორც არის სავალო კაბალა და ყმობა, აგრეთვე, ქალის გათხოვება ან მასზე უფლების გადაცემა თანხის მიღებით, ქალის მემკვიდრეობით გადაცემა ან ბაშვის გადაცემა მისი ექსპლოატაციის მიზნით.³⁸

მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პროსტიტუციასთან მიმართებაში ქვეყნებს განსხვავებული კანონები და პოლიტიკა აქვთ და არ სურთ მათი შეცვლა. შეუთანხმებლობა დეფინიციების თაობაზე გამოიწვია იმან, რომ პალერმოს კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის აზრით, პროსტიტუციის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის, სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი და ლეგალური პროსტიტუცია, ტრეფიკინგად უნდა ჩაითვალოს. მონაწილეთა მეორე ჯგუფი კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი პროსტიტუცია ტრეფიკინგის ფორმაა და აცხადებს, რომ ნებაყოფლობითი პროსტიტუცია არ უნდა იქნას განსხვავებული ნებაყოფლობითი შრომის სხვა ფორმებისაგან. ამ შეუთანხმებლობის გამო წარმოიშვა აზრი, რომ რამდენადაც იძულებითი სექსობრივი შრომა და ბავშვთა პროსტიტუცია თავისთავად იფარება ისეთი ტერმინებით, როგორცაა იძულებითი შრომა, მონობა და სერვიტუტი, უმჯობესია სახელმწიფოებმა საერთოდ არ შეიტანონ ტერმინები „სხვათა პროსტიტუციის ექსპლოატაცია“ და „სექსობრივი ექსპლოატაცია“ ეროვნულ კანონმდებლობაში. ხოლო თუ მაინც შეიტანენ, მისცენ მათ ნათელი და ცალსახა განმარტება.

მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება – ადამიანისათვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმონერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვა, კულტურული იზოლაცია და პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში და/ან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება. ადამიანთ უფრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სუბიექტია 12 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. ძირითადად, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენა სრულწლოვანთა მიერ

ხდება, მაგრამ თუ 1431 და 1432 მუხლებში ჩამოთვლილი რომელიმე ქმედება ჩადენილია არასრულწლოვნის მიერ, იგი ჩაითვლება დამნაშავედ. ადამიანებით ვაჭრობა განზრახვი დანაშაულია. ამ დანაშაულისთვის დამახასიათებელი ნიშანია პირდაპირი განზრახვა. დანაშაულის მოტივი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად შური, ანგარება და სხვა. მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული სასჯელის დანიშვნისას, მაგრამ არა დანაშაულის კვალიფიკაციისას.³⁹ დანაშაულის მიზანია ადამიანის ექსპლოატაცია და მას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს. უფრო კონკრეტულად, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა და/ან გადამალვა ტრეფიკინგის დანაშაულისათვის ჩადენილი უნდა იყოს ექსპლოატაციის მიზნით. სხვა შემთხვევაში ეს ქმედებები, ექსპლოატაციის მიზნის გარეშე ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემადგენლობა არ არის. პირის მიერ სხვა პირის გადაბირება რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად კონკრეტული დანაშაულის ნაქმედებაა და არა ადამიანებით ვაჭრობა. აგრეთვე, ადამიანის გადაყვანა ან გადამალვა ექსპლოატაციის მიზნის გარეშე, ვთქვათ, მისთვის თავისუფლების აღკვეთის მიზნით, იძლევა სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენლობას. სხვაგვარად განიხილება მიზანი ადამიანის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისას. სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს მოსაზრება, რომ ამ შემთხვევებში ქმედების ჩადენის მიზანს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს და პირის ქმედება ადამიანით ვაჭრობად უნდა დაკვალიფიცირდეს მიუხედავად იმისა არსებობდა თუ არა ამ პირის ექსპლოატაციის მიზანი. *ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება – ეს ქმედებები უკვე ადამიანით ვაჭრობის დანაშაულია ექსპლოატაციის მიზნის გარეშე და მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელების ტრეფიკინგის დანაშაულად აღიარებაზე ექსპლოატაციის მიზნის, როგორც მაკვალი-*

ფიცირებელი გარემოების გარეშე, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. იურისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს რომ ეს არასწორი პოზიციაა და მათი აზრით ეს სახიფათო პრაქტიკას დანერგავს. მეორე ნაწილი თვლის, რომ ეს ქმედებები ექსპლოატაციის მიზნის გარეშე უკვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულია. საკანონმდებლო პრაქტიკა მეორე პოზიციის თანახმად ვითარდება, და ადამიანების ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო ღონისძიების განხორციელების ტრეფიკინგის დანაშაულად კვალიფიკაციისას ექსპლოატაციის მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არ ენიჭება. რაც შეეხება არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავისებურებებს, სისხლის სამართლის კოდექსის 1432 მუხლის მიხედვით ბავშვთა ტრეფიკინგი არის: *არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლოატაციის მიზნით.*

დანაშაულის ობიექტია არასრულწლოვნის პირადი უფლება და თავისუფლება, ექსპლოატაციისაგან დაცულობის დაცულობის უფლება, განათლების უფლება და სხვ. დანაშაულის ობიექტური მხარე 1431 მუხლით გათვალისწინებული ჰგავს, მაგრამ არასრულწლოვნით ვაჭრობის დანაშაულის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ამ დროს სავალდებულო არ არის დანაშაული ჩადენილი იყოს იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით. თუ არასრულწლოვნის ვაჭრობისათვის გამოყენებული იქნა იძულება, შანტაჟი ან მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხები, ქმედება დაკვალიფიცირდება 143² მუხლის მე-2 ნაწილით, როგორც დამამძიმებელი გარემოება. ობიექტური მხარის დანარჩენი ნიშნები და დანაშაულის სუბიექტი 1431 მუხლის იდენტურია. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, არასრულწლოვნით ვაჭრობა პირდაპირი განზრახვით ხდება, დამნაშავის მიერ გაცნობიერებულად არასრულწლოვნის მიმართ, მისი ექსპლოატაციის მიზნით.⁴⁰ სისხლის სამართლის თეორიაში ამ მუხლთან მიმართებაში ექსპლოატაციის მიზნის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ყველაზე გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანთა გადაბირების, გადაყვანის, გადამალვის და

მიღების დროს სუბიექტის მიზანია ექსპლოატაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაული არასრულწლოვნით ვაჭრობად ვერ დაკვალიფიცირდება. თუმცა, ცოტა სხვაგვარად დგას საკითხი არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვისა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების შემთხვევაში. ამ დროს, მყიდველს შეიძლება თავად არ ქონდეს ექსპლოატაციის მიზანი და შემკვეთის მიზნის შესახებ მისთვის ცნობილი არც იყოს. მიუხედავად ამისა, არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვისას, ქმედების დაკვალიფიცირება უნდა მოხდეს 1432 მუხლით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგება განხორციელდა მისი შვილად აყვანის მიზნით (იხ. სსკ 172-ე მუხლი). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებში დიდი გაუგებრობა წარმოშვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ორი დანაშაულის: არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგისა) (მუხლის 143²) და შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელების (მუხლი 172) დეფინიციებმა. შეუთანხმებლობის საგანი გახდა – უნდა ჩაითვალოს თუ არა შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვანის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება ადამიანთა ტრეფიკინგის ფორმად და ამისათვის აუცილებელია თუ არა ექსპლოატაციის, როგორც მიზნის არსებობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ სსკ 172-ე მუხლში სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების გამო შესულია შესაბამისი ცვლილებები.

არანაკლებ მტკივნეული საკითხია საერთაშორისო გაშვილება, და არამარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.⁴¹ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბავშვის ინტერესების დაცვას მათი ტრანსნაციონალური გადაადგილებისა და საერთაშორისო გაშვილებისას მიეძღვნა ჰააგის სამი კონვენცია, 1980 წლის კონვენცია ბავშვების საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტების შესახებ; 1993 წლის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; 1996 წლის კონვენცია მშობლების პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვისათვის გათვალისწინებულ

ზომებთან დაკავშირებული იურისდიქციის, შესაბამისი კანონის, აღიარების, იძულებითი აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული კონვენციები აქცენტს ძირითადად აკეთებდნენ მიმღები ოჯახის მოვალეობებზე და მშობელთა პასუხისმგებლობაზე, მაგრამ სათანადო ყურადღება არ იყო გამახვილებული არასრულწლოვანზე. საერთაშორისო გაშვილების შესახებ ბოლო კონვენციამ აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად დაარეგულირა და აქცენტი სწორედ არასრულწლოვანზე გააკეთა. შესაბამისად, არასრულწლოვნის უზენაესი ინტერესიდან გამომდინარე, თუ მისი ყიდვა მოხდა შვილად აყვანის მიზნით, არ შეიძლება ეს არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი გახდეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია 1431 და 1432 მუხლებისათვის დამამძიმებელ გარემოებათა განხილვა. სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის დამამძიმებელი გარემოებებია ქმედებების ჩადენა: ა) არაერთგზის; ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ; გ) დამნაშავესათვის წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ე) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ვ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ზ) წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ; ნებისმიერი დანაშაული, თუ მას ახორციელებს ორი ან მეტი პირი, თავის მხრივ ძალზედ ართულებს დანაშაულის ეფექტურ გამოძიებასა და გახსნას. ორგანიზებული დანაშაული არის განსაკუთრებული საშიშროების შემცველი და მას მოსდევს ადექვატურად მძიმე სასჯელის ზომა. ასევე მძიმდება დამნაშავეს პასუხისმგებლობა, თუ მისმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ, (ამ შემთხვევაში ტრეფიკინგმა) ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ხელყო. სისხლის სამართლის კოდექსის 1432 მუხლის დამამძიმებელ გარემოებებად ჩაითვლება დანაშაულებრივი ქმედება: ა) არაერთგზის; ბ) იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით; გ) ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ; დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ე) სიცოცხლისათვის ან

ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ვ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ. გარდა ამისა, დამამძიმებელ გარემოებებზე ჩაითვლება: ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) რამაც გამოიწვია არასრულწლოვანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზნით ადამიანების გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ან მიღება შეიძლება განხორციელდეს ისეთი საშუალებებით როგორცაა *იძულება, შანტაჟი ან მოტყუება*. გარდა ამისა, დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებში მითითებული ისეთი საშუალებებით, როგორცაა: სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება; სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა; ადამიანის უმწეო მდგომარეობის ან დამნაშავეზე მისი მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენება.⁴² ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის განსხვავება სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლისაგან, როგორცაა პროსტიტუციაში ჩაბმა. ადამიანებით ვაჭრობისას ექსპლოატაციის მიზანი გულისხმობს პროსტიტუციაში ჩაბმასაც, თუმცა ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან განსხვავდება რამდენიმე ნიშნით. პროსტიტუციაში ჩაბმა (სსკ 253-ე მუხლი), ისევე როგორ ადამიანებით ვაჭრობა, ხორციელდება ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით. ამ ორი დანაშაულის მთავარი განმასხვავებელი ნიშნები კი არის ის რომ 253-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წინ არ უძღვის 1431 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები: ადამიანის ყიდვა, გაყიდვა და ა.შ.⁴³ 253-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ობიექტური მხარე პირის პროსტიტუციაში ჩაბმაში გამოიხატება და დამთავრებულად ითვლება პირის პროსტიტუციაში ჩაბმიდან, მაშინ როცა 1431 დანაშაული ობიექტური მხრივ პირის პროსტიტუციაში ჩაბმას კი არ გულისხმობს, არამედ

ასეთი ქმედების თუნდაც მომავალში ჩადენის მიზანს.

დასკვნა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საერთაშორისოინსტრუმენტებითდასაქართველოს კანონდებლობით რეგულირების მექანიზმების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, განსაკუთრებით არასრულწლოვანი, განიცდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებს და ამ ფორმების დამანგრეველ გავლენას. აღნიშნული ფორმების გამოყენება რისკის წინაშე აყენებს პირის სიცოცხლეს, თავისუფლებას, უსაფრთხოებასა და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. შეგვიძლია აგრეთვე დავასკვნათ რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გარდა, ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვანი ხშირად განიცდის სექსუალურ ძალადობას, ამის გამო მას ეუფლება სირცხვილის გრძობა და საკუთარი თავის დადანაშაულების განცდა რომ რადგან ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდა, მოხდება მისი, როგორც მეძავის სტიგმატიზაცია. ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლი ზოგადად, განიხილება როგორც დამნაშავე ან თანამონაწილე და არა როგორც დაზარალებული. მის გამო მას დაცვის და დახმარების ნაცვლად ბრალს სდებენ დანაშაულის ჩადენაში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას. აღნიშნულ მომენტს მეორადი ვიქტიმიზაციის სახელითაც იხსენიებენ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრეფიკინგის მსხვერპლის, განსაკუთრებით არასრულწლოვნის დაცვისა და დახმარების მიზნით, საქართველოს კანონში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ⁴⁴, 2012 წელს შესული სპეციალური თავი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სოციალური და სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია“⁴⁵. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება რომ აღნიშნული თავით განისაზღვრა ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვნის სოციალური, სამართლებრივი დაცვის და დახმარების საფუძველები, მექანიზმები. გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ ცვლი-

- ⁶ odres, J., "Widening our lens: incorporating essential perspectives in the right against Human Trafficking" Hein Online – 33 Mich.J.Int'l L. 53. 2011-2012. pp.55-56.
- ⁷ rticle 6, Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings.
http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelenes/ctoc_palermo_protocol.pdf Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, UN Convention (Palermo Protocol)
- ⁸ odres, J., "Widening our lens: incorporating essential perspectives in the right against Human Trafficking" Hein Online – 33 Mich.J.Int'l L. 53. 2011-2012. p. 59.
- ⁹ esolution on Trafficking in Women and Girls, G.A. Res. 53/116, U.N. GAOR, 53rd Sess. U.N.Doc A/RES/53/116(Feb.1,1999).
- ¹⁰ ffsce to Monitor & Combat Trafficking in Pers., U.S. Dep't Of State, Trafficking In Persons Report 8 (7th ed. 2007), *available at* <http://www.state.gov/documents/organization/82902.pdf> (reporting that based on research completed in 2006, "[a]pproximately 80 percent of transnational victims are women and girls").
- ¹¹ ee TIP REPORT 2009, *supra* note 16, at 91 (reporting that in 2008, the government of Burkina Faso identified 691 child trafficking victims in various sectors, 438 of whom (63.3%) were boys); *ibid.* at 102 (describing a UNICEF study that found sixty-two percent of child domestic workers in Chad were male); *ibid.* at 148 (stating that the majority of child trafficking victims in Guinea-Bissau are boys, trafficked into forced begging); *also* Carroll, S., "Officials Say Men Are Being Targeted More as Cases of Forced Labor Increase: Rise in Male Trafficking Victims Seen, Hous. CHRON". July 6, 2009, at A1, *available at* http://www.chron.com/CDA/archives/archive.mpl?id=2009_4762175 (reporting U.S. government figures that about forty-five percent of the 286 certified adult human trafficking victims in fiscal year 2008 were male).
- ¹² UNICEF, Profiting from Abuse: An Investigation into the Sexual Exploitation of Our Children 11 (2001), *available at* <http://www.unicef.org/publications/files/pub-profiting-en.pdf>.
- ¹³ http://childtrafficking.org/eng/conventions_and_guidelenes/convention_on_the_rights_of_the_child.pdf
UN Convention on the Rights of the Child
http://childtrafficking.org/eng/conventions_and_guidelenes/crc_optional_protocol.pdf
Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the sale of children, child prostitution and child pornography
http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelenes/ctoc_palermo_protocol.pdf Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, UN Convention (Palermo Protocol)

- http://www.childtrafficking.org/eng/ilo_convention_182.pdf
Convention on the Worst Forms of Child Labor, ILO Convention 182, 1999
- http://www.childtrafficking.org/eng/hague_convention_33.pdf Convention on Protection of Children and Co-operation in Respect of Inter-Country Adoption, Hague Convention 33
- http://www.childtrafficking.org/eng/hague_convention_34.pdf
Convention on Jurisdiction, Applicable Law, Recognition, Enforcement and Co-operation in Respect of Parental Responsibility and Measures for the Protection of Children, Hague Convention 34
- http://www.childtrafficking.org/eng/european_convention_on_thb.pdf
Council of Europe Convention on action against trafficking in human beings.
- ¹⁴ Sulakvelidze, D., "Analyses of Trafficking in Persons Case Law", Criminalization and application problems of modern form of organizational crime in Georgian criminal legislation, Tbilisi, 2012. pp. 360-362.
- ¹⁵ *Note: however United Nation Palermo protocol does not directly indicate trafficking within the borders but, according to legislations most of the countries, Georgian is included, trafficking is criminalized not only by crossing the border but also within the territory of state.*
- ¹⁶ Conrad, Gary L., Sexually transmitted Diseases among Prostitutes and Other Sexual Offenders in Sexually Transmitted Diseases, October-December 1981, pp. 241-244.
- ¹⁷ Brunivsky, A., Border crossing: Transnational Prostitution and Trafficking Research, Oslo, pp. 30-33.
- ¹⁸ Heckter, M., Forming of the group and division of work, American sociological journal, 1998, Vol.84, N2.
- ¹⁹ Ghlonti, G., Some issues classification of Trafficking in Persons according to new Georgian law, Scientific and practical journal of Criminology 2(3), Tbilisi, 2008, pp. 127-128.
- ²⁰ Bracy, D. H., Concurrent and Consecutive Abuse: The Juvenile Prostitute in the Criminal Justice System and Women, NY Clark Boardman Co, 1982.
- ²¹ Jac-Kucharski A., The Determinants of Human Trafficking-Paper presented at the annual meeting of the Theory vs. Policy? Connecting Scholars and Practitioners, new Orleans Hilton Riverside Hotel, the Loews New Orleans Hotel, New Orleans, 2010. http://www.allacademic.com/meta/p413629_index.html
- ²² UN Migrant smuggling. http://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/smuggling_of_migrants.html (24.10.2010).
- ²³ U.S. Government, Assessment of U.S. Government activities to Combat Trafficking in Persons, www.state.gov/civiliansecurityanddemocracy/trafficking-inhumanpersons/reports.
- ²⁴ Surteest, R., Child Trafficking in Southeastern Europe: Different Forms of Trafficking and Alternative Interventions, Citation: 14 Tul. J. Int'l & Comp. L. 455 2005-2006 p. 455.
- ²⁵ Article 15, Law of Georgia on Combating Human Trafficking, Adopted on 28 April 2006.
- ²⁶ Todua, N., Analysis Criminal Aspects of Trafficking in Persons, criminalization modern forms of organized crime and law application problems in Georgian criminal law, Tbilisi, 2012, p. 278.
- ²⁷ *Ibid.* p.279
- ²⁸ Article 3, Law of Georgia on Combating Human Trafficking, Adopted on 28 April 2006.
- ²⁹ *Note: Bothe seller and buyer are criminally liable for the crime.*
- ³⁰ Article 3, Law of Georgia on Combating Human Trafficking, Adopted on 28 April 2006.
- ³¹ *Note: recruitment and transformation methods are the following: coercion, blackmail or deception.*

- ³² *Note: Person or persons could commit recruitment, transformation or hiding. It is important, recruitment, transformation and hiding to be committed by coercion, blackmail or threat.*
- ³³ Article 3, Law of Georgia on Combating Human Trafficking, Adopted on 28 April 2006.
- ³⁴ *Ibid.*
- ³⁵ *Ibid.*
- ³⁶ *Ibid.*
- ³⁷ *Ibid.*
- ³⁸ *Note: Two notion "Exploitation of prostitution" and "other forms of sexual exploitation" were not agreed between signatory states of the protocol and UN criminal law commission.*
- ³⁹ Lobjanidze, G., Criminal aspects of the Trafficking in persons, Tbilisi, 2006, p. 147.
- ⁴⁰ Sulakvelidze, D., "Analyses of Trafficking in Persons Case Law", Criminalization and application problems of modern form of organizational crime in Georgian criminal legislation, Tbilisi, 2012. pp. 363-364.
- ⁴¹ Reports on the researches conducted about juvenile trafficking, BCG, Tbilisi, 2008, p.6.
- ⁴² *Note: "Use of person's Vulnerable situation" – understanding of this term in international law is different from domestic legislation. This is a situation where a person is materially or otherwise dependent on other person, where because of physical or mental disability a person is unable to truly understand the existing situation, where a person has no other true option but to obey the violence applied to him/her.*
- ⁴³ Comments on criminal case law: crimes against human, Criminal Code of Georgia, Chapters XXII-XXIV, Meridian, Tbilisi, 2008, p.33.
- ⁴⁴ Law of Georgia on Combating Human Trafficking, Adopted on 28 April 2006.
- ⁴⁵ *Ibid.*

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება ქართულად

მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე გათავისუფლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად გათავისუფლებული მსჯავრდებულებისთვის; აღნიშნული ქმედება ასევე მეტყველებს საზოგადოებაზე და მის დამოკიდებულებაზე თავისუფლებააღკვეთილ პირთა, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა გათავისუფლებაც (გარდა იმ იურისდიქციებისა, სადაც შესაბამისი მოთხოვნების არსებობისას, სავალდებულო წესით ხდება ვადაზე გათავისუფლება) დამოკიდებულია გარკვეული ორგანოების, მაგალითად პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სპეციალური კომისიების, გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანას აქვს გადავსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებების პრობლემა¹ და ბევრი ქვეყანა ცდილობს აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე გამოსავლის მოძებნას, პრობლემა პრობლემად რჩება. სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე გათავისუფლების შეუფერხებლად მომუშავე სისტემაა. ვადაზე ადრე გათავისუფლების დროული მომზადება გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართლიანი და ჰუმანური გადაწყვეტილების მიღებაში, იმ პირთა მიმართ, რომლებიც ითვლებიან, რომ მზად არიან სოციალურ დასაბრუნებლად და დანაშაულის განმეორებით ჩადენის დაბალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან, და არანაკლებ მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების სისტემის სწორი მართვისთვის. მნიშვნელოვანია განიმარტოს რა იგულისხმება „მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებაში“ და როგორ ხდება ამ ცნების განმარტება როგორც ევროპულ დონეზე, ისე საქართველოში. მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებას შეიძლება ჰქონდეს

რამდენიმე ფორმა, რაც დამოკიდებულია თავად კომპეტენტურ უწყებაზე. შესაბამისად, სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს (პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის) მიერ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება, სახელმწიფოს მეთაურის მიერ შეწყალებით და ვადაზე გათავისუფლება ამნისტიის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების ფართოდ გავრცელებულ მექანიზმებს როგორც საქართველოში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში.

წინამდებარე სტატიის მიზანია მიმოიხილოს საქართველოში ამჟამად მოქმედი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემული „პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების“ შესახებ (2003)22 რეკომენდაციასთან (შემდგომში CoE CM Rec(2003)22) შესაბამისობის ქრილში.

2012 წლის ბოლოს საქართველო მონიწივე პოზიციებზე იყო ევროპაში (მესამე რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსის შემდგომ) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პირების რაოდენობით (427 პატიმარი ყოველ 100 000 მოსახლეზე) და მეთერთმეტე ადგილზე – მსოფლიოს მასშტაბით.² პატიმრების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა (21 425 პატიმრიდან (2012 წლის ოქტომბერში) 10 999 პატიმრამდე (2013 წლის თებერვალში))³ 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის თებერვლის პერიოდში პრეზიდენტის მიერ გაცემული მრავალი შეწყალებისა, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მიერ განეული სამუშაოსა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის წყალობით.

თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა დგას, როგორც დანაშაულის შემცირებასა და სამართალდარღვევების განმეორებით ჩადენასთან, ასევე გადავსებულ ციხეებთან და პატიმრების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების წინაშე.⁴ ამ საკითხებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებულმა სამუშაო ნათლად წარმოაჩინა, რომ „პირობითი გათავისუფლება უნდა მიიჩნეოდეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური და კონსტრუქციული მექანიზმი, რომელიც არამხოლოდ ამცირებს პატიმრობის ხანგრძლივობას, არამედ ასევე არსებითად ხელს უწყობს სამართალდარღვევის გეგმიურ დაბრუნებას საზოგადოებაში“.⁵

ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში (2003)22 გატარებულია დამნაშავის საზოგადოებაში რეინტეგრაციის იდეა. აღნიშნული რეკომენდაცია ფართოდ ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში იმ ინდივიდუალური პირობების დამატებას, რაც უნდა დაიცვას მსჯავრდებულმა, რათა შეეხოს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება.⁶ რეკომენდაციის პრეამბულა ასახელებს მიზეზებს პირობითი გათავისუფლებისათვის, მიიჩნევს რა მას „ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ და კონსტრუქციულ საშუალებად სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციისათვის და ეტაპობრივი რესოციალიზაციის წახალისებისათვის, შედეგად ვიღებთ პატიმრის საზოგადოებაში რეინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფილია გეგმით, ხელშეწყობითა და ზედამხედველობით“. აღნიშნული შეხედულება აშკარად მხარდაჭერილი იყო CPT-ის მიერ უკრაინაში ვიზიტთან დაკავშირებით, მის ანგარიშში.⁷ მსგავსი მიდგომაა ასახული ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში *Léger v France*, სადაც მან მიიჩნია პირობითი გათავისუფლება ლეგიტიმურ პოლიტიკად პროგრესული სოციალური რეინტეგრაციისათვის, იმ პიროვნებებისათვის, რომლებსაც მისჯილი აქვთ პატიმრობა, მათ შორის სამუდამო პატიმრობა.⁸

ევროპის საბჭოს (2003)22 რეკომენდაცია ცნობს ვადამდე პირობით გათავისუფლების ორ სისტემას: სავალდებულო და დისკრეციულ პირობით გათავისუფლებას.⁹ ევროპულ პრაქტიკაში ორივე მოდელია წარ-

მოდგენილი, ისევე როგორც ჰიბრიდული მოდელი, რომელიც მიანიჭებს პირობით გათავისუფლებას, ავტომატურად ზოგიერთ შემთხვევებში, მაგრამ სხვა შემთხვევებში დისკრეციულია.¹⁰ საქართველომ ჩამოაყალიბა დისკრეციული პირობითი გათავისუფლების სისტემა, რომელიც უკავშირდება იმ მინიმალური დროის განსაზღვრას, რაც პატიმრებმა უნდა მოიხადონ, რათა მოიპოვონ პირობითი გათავისუფლების უფლება.

უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების სისტემა საქართველოში რამდენჯერმე იქნა შეცვლილი. კერძოდ, 2006 წლამდე სისტემა ციხის მმართველობას/მმართველს ანიჭებდა ძალაუფლებას რომ განაცხადი პირობითი გათავისუფლებისათვის წარედგინა სასამართლოსათვის. სასამართლო განიხილავდა საქმეს და მიიღებდა გადაწყვეტილებას. 2006 წელს, პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის საბჭო (შემდგომში: საბჭო). მას შემდეგ, ციხის ადმინისტრაცია ვალდებული იყო საბჭოსთვის წარედგინა განაცხადები ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლების შესახებ. საბჭო განიხილავდა მათ და გადაწყვეტდა თუ რომელი აპლიკაციები უნდა წარდგენოდა სასამართლოს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. შესაბამისად, საბჭო იყო დატვირთული ეგრეთწოდებული „ფილტრის“ ფუნქციით. 2009 წლის სექტემბერში, საბჭო¹¹ ჩაანაცვლა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების მუდმივმოქმედმა კომისიამ (შემდგომში: კომისია), რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს იურიდიული დახმარებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით, რამაც განაპირობა მნიშვნელოვანი ცვლილებები ვადამდელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი გადავიდა სასამართლოდან კომისიაზე. სასამართლოსათვის დარჩენილი უფლებამოსილება მდგომარეობს მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვაში. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი თუ სასამართლო დაეთანხმება საჩივარს, იგი უფლებამოსილია მხოლოდ დაუბრუნოს საქმე გადასახედად კომისიას. ამდენად, ყოველ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

კომისიის წევრების დანიშვნა რთული და პრობლემატურია და არ ემთხვევა არც ერთი ევროპული ქვეყნის პრაქტიკას, რადგან ითვალისწინებს პოლიტიკოსების მონაწილეობას. კანონმდებლობა ადგენს, რომ კომისიის ორი წევრი უნდა დაინიშნოს პარლამენტიდან: ერთი მათგანი უმრავლესობიდან და მეორე იმ წევრებისგან, რომლებიც არ არიან უმრავლესობის წევრები.¹² პოლიტიკოსების ჩართულობა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში, ევროპის საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებში არ ხორციელდება, რადგანაც ეს საკითხი არაპოლიტიკურად მიიჩნევა, ითვლება პრაქტიკულ საკითხად და ეფუძნება ინდივიდუალურ პატიმართან დაკავშირებულ დეტალებს.

იმის მიუხედავად, რომ ამნისტიის შესახებ კანონი პოლიტიკური გადანყვეტილებაა, რომელსაც პარლამენტი იღებს, მისი განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, ის შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო ორგანოს ჩარევად სასამართლოს კომპეტენციაში. მეტიც, პოლიტიკოსების მონაწილეობა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების სისტემაში, ამ მიმართულებით ძალზე შორს წასული პრაქტიკაა.

2010 წლის ოქტომბერში, პატიმრობის შესახებ ახალი კოდექსი შევიდა ძალაში. მან ჩამოაყალიბა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების სისტემის ახალი მოდელი. შემოღებულ იქნა „ადგილობრივი საბჭოები“ (შემდგომში: ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლების საბჭოები). საქართველოს პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ბრძანებით ჩამოაყალიბდა სამი ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭო: აღმოსავლეთ საქართველოს ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭო, დასავლეთ საქართველოს ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭო და ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭო არასრულწლოვანი პატიმრებისათვის, ასევე ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს ფუნქციების, პროცედურების და წევრობის დეტალური აღწერილობა.

ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოებთან ერთად კომისიაც შენარჩუნდა. ზემოთ ხსენებული მინისტრის ბრძანებამ განსაზღვრა ურთიერთობა ორ ორგანოს შორის.

განსაკუთრებით, კომისიას აქვს მინიჭებული ძალაუფლება, რომ განახორციელოს ზედამხედველობა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს საქმიანობაზე. პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ ყოველ სამ თვეში ერთხელ, კომისია განიხილავს ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოების ანგარიშებს მათ საქმიანობასა და გადანყვეტილებებზე, რომლებიც ეხება პირობით გათავისუფლებას და ჯერ მოუხდელი ვადის შეცვლას უფრო ლიბერალური სანქციით.¹³ კომისია უფლებამოსილია წამოაყენოს ნებისმიერი სახის ინიციატივა და უფლება აქვს გადახედოს ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს მიერ განხილულ ნებისმიერ საქმეს, და მიიღოს ინდივიდუალური გადანყვეტილება საქმეზე. იმის მიუხედავად, რომ მინისტრის ბრძანება კომისიას ანიჭებს ძალაუფლებას, შეცვალოს ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს გადანყვეტილებები, მიმდინარე კანონმდებლობა დგას ისეთი პრობლემის წინაშე, როგორცაა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს გადანყვეტილების გასაჩივრების სისტემა. ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს გადანყვეტილება შესაძლოა გასაჩივრებული იქნას, მაგრამ მხოლოდ სასამართლოში, ადმინისტრაციული წესების მიხედვით, და არა კომისიაში. თუმცა ეს პრობლემა, არ ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს მიერ CMRec(2003)22 რეკომენდაციით გათვალისწინებულ სტანდარტებს, რომლებიც ადგენს, რომ გადანყვეტილების მიმღები ორგანოს გადანყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს. ჩემი აზრით, აქ არის ნყვეტა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოებსა და კომისიას შორის, სახეზეა: ერთი მხრივ – კომისია, როგორც ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოების ზედამხედველი ორგანო და მეორე მხრივ – სასამართლო, როგორც ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს გადანყვეტილების გასაჩივრების სტრუქტურა. უფრო ლოგიკურად მიმაჩნია, რომ ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს გადანყვეტილება გასაჩივრდეს მუდმივ მოქმედ კომისიაში, ხოლო თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდება, მხოლოდ ამის შემდეგ გასაჩივრდეს სასამართლოში. შემოთავაზებული სტრუქტურა ჩამოაყალიბებს ლოგი-

კურ ჯაჭვს სხვადასხვა დონის ორგანოებს შორის და უზრუნველყოფს აპლიკანტისათვის შესაძლებლობას, მისი საქმე განიხილონ სამართლიანად, ზემდგომი ორგანოების მიერ (კომისია და სასამართლო); პარალელურად, სასამართლოსათვის პირდაპირი მიმართვის წესის გაუქმება (ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს გადაწყვეტილებაზე) დაიცავს სასამართლო სისტემას დიდი რაოდენობით საჩივრებით გადატვირთვისგან.

ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს ახალმა სისტემამ მნიშვნელოვანი სიახლეები შემოიტანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ზეპირი მოსმენების შემოღება ვადამდე პირობით გათავისუფლებისას,¹⁴ ისევე როგორც შეფასების კრიტერიუმების სისტემა, რომელიც მოიცავს დანაშაულის ბუნებას, მსჯავრდებულის პირის საქციელს სასჯელის მოხდის პერიოდში (ყურადღება ექცევა დისციპლინურ, ადმინისტრაციულ და წამახალისებელ აქტივობებს), მსჯავრდებულის კრიმინალურ ისტორიას და ჩადენილი დანაშაულის სხვა ფაქტებს, მანამდე არსებულ მსჯავრს, ოჯახურ პირობებს და მსჯავრდებულის პიროვნულ ხასიათს.¹⁵ თუმცა, სამომავლო რისკების შეფასების სისტემისა და ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმარების ნაკლებობის გამო, ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების მთლიანი სისტემა ვერ იფუნქციონირებს გამართულად. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვანი პატიმრები, რადგანაც მათთვის, მინისტრის ბრძანებით, რისკის შეფასების მექანიზმი და ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვის სქემა იქნა შემოღებული¹⁶

ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოში უნდა დაინიშნოს: 1) წარმომადგენელი პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ცენტრალური ოფისიდან ან ციხეების დეპარტამენტის ცენტრალური ოფისიდან; 2) წარმომადგენელი პრობაციის ეროვნული სააგენტოდან; 3) წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციიდან; 4) წარმომადგენელი მუნიციპალიტეტიდან და 5) წარმომადგენელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის მონაწილეობა, ნაწილობრივ პასუხობს ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტს CM

Rec(2003)22¹⁷ და ევროპის საბჭოს რეკომენდაციას CM Rec(2010)1 პრობაციის ევროპულ წესებთან დაკავშირებით,¹⁸ რომელიც შეეხება მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას ციხეში მომუშავე და იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან გათავისუფლების შემდგომ ზედამხედველობაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან წარმომადგენლის წევრობა მოტივირებული იყო, სასამართლო სისტემასთან კავშირის შენარჩუნებით (რათა თავიდან აცილებულიყო სანქციების ცვლილება იმ ორგანოს წარმომადგენლის გარეშე, რომელმაც განიხილა საქმე და დაანერგა შესაბამისი სანქცია). მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობა უზრუნველყოფილი იქნა, იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს დახმარება გაენია პატიმრისთვის სამსახურისა და საცხოვრებლის მოძებნაში. თუმცა, არარეალისტურია, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, რომლის კომპეტენციებიც ფარავს ერთ კონკრეტულ რეგიონს ან უბანს და ხშირად არ ემთხვევა პირობით გათავისუფლებული პატიმრის საცხოვრებელ ადგილს, შეძლებს უზრუნველყოს შესაბამისი დახმარება. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის წევრობა გათვალისწინებული იყო, იმისთვის რომ გაზრდილიყო პროცესის გამჭვირვალობა და საზოგადოების ნდობა ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების ახალი სისტემის მიმართ, ისევე როგორც გათავისუფლებული პატიმრების ჩართულობა რესოციალიზაციის აქტივობებში, რომლებიც ორგანიზებულია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM Rec(2003)22 ყურადღებას ამახვილებს პირობით გათავისუფლებული პირებისათვის შესაფერისი საცხოვრებლის უზრუნველყოფაზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და რომ საცხოვრებლის არქონა არ უნდა ჩაითვალოს მის პირობით გათავისუფლებაზე უარის ან პირობით გათავისუფლების გადავადების მიზეზად.¹⁹ ამგვარად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ნაცვლად ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოში შესაძლოა უფრო მეტად დამხმარე აღმოჩნდეს დასაქმების, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლის ჩართულობა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CMRec(2003)22 არაფერ კონკრეტულს არ ამბობს იმ ორგანოს წევრობაზე, რომელსაც ევალება ვადამდე პირობით გათავისუფლების უზრუნველყოფა, პროცესში პატიმრის მონაწილეობის აუცილებლობის გამო (რამაც იგულისხმება მისი ზეპირი მოსმენა იმ ორგანოს მიერ, ვინც იღებს გადაწყვეტილებას ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე) მნიშვნელოვანია დამატებითი პირის ჩართვა საქართველოს ვადამდე პირობითად გათავისუფლების საბჭოში – მაგალითად კრიმინალური ფსიქოლოგის ან სხვა ქცევის შემსწავლელი მეცნიერის (სოციოლოგის), რათა გარანტირებული იყოს ზეპირი მოსმენისას პროფესიული შეფასება რისკებისა, რომლის მატარებელიცაა მოცემული პატიმარი; აღნიშნული ხელს შეუწყობს ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოს მიიღოს უკეთესი გადაწყვეტილებები.

ვადამდე პირობითა გათავისუფლების საბჭოსათვის შესაფერისი კრიტერიუმების განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვადამდე პირობით გათავისუფლება შეიძლება მიენიჭოს თუ სამართალდამრღვემა ფაქტიურად მოიხადა: (1) სასჯელის არანაკლებ ნახევარი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის;²⁰ (2) ორი მესამედისა მძიმე დანაშაულის შემთხვევაში;²¹ (3) სამი მეოთხედი სასჯელის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;²² (4) სამი მეოთხედი სასჯელის, რომელიც დაწესებულია პირისათვის რომელიც ადრე უკვე გათავისუფლებული იქნა ვადამდე პირობითად გათავისუფლების კომისიის მიერ, მაგრამ მათთვის ვისთვისაც ვადამდე პირობითად გათავისუფლება გაუქმებული იქნა ახალი დანაშაულის ჩადენის ან ვადამდე პირობითად გათავისუფლებისთვის ვალდებულებების დარღვევისთვის.

ოდნავ განსხვავდება და უფრო ლიბერალური კრიტერიუმებია გამოყენებული არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით, არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პირობით გათავისუფლება, უნდა მოხდეს თუ სამართალდამრღვემა ფაქტიურად მოიხადა: (1) ერთი მესამედი სასჯელის მსუბუქი დანაშაულის შემთხვევა-

ში; (2) სასჯელის ნახევარი მძიმე დანაშაულის შემთხვევაში; (3) ორი მესამედი დანაშაული სასჯელის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.²³ პატიმრობის ვადა, რომელიც ფაქტიურად მოხდითა სამართალდამრღვევის მიერ არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები.²⁴

თუ საბჭო არ დააკმაყოფილებს ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლების საბჭოს მოთხოვნას წარმოდგენილ სასჯელის უფრო მსუბუქით ჩანაცვლების თაობაზე, ახალი განაცხადი იგივე საქმეზე შეიძლება წარდგინდეს იქნას მხოლოდ 6 თვის შემდეგ, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როდესაც დარჩენილი ვადა არ არის 6 თვეზე მეტი და/ან არ არის რაიმე განსაკუთრებული გარემოებები. ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს მიერ არასრულწლოვნების განაცხადები განიხილება ყოველ 3 თვეში.²⁵ იმის მიუხედავად, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს პირობებს საქმის ხელახალი განხილვისათვის, ის არ აკონკრეტებს თუ როდის უნდა იყოს ხელახლა განხილული განაცხადი, იმ შემთხვევაში თუ დარჩენილი ვადა არ არის 6 თვეზე მეტი, და რა იგულისხმება განსაკუთრებულ გარემოებებში. ეს ტოვებს ადგილს ვადაზე ადრე პირობითად გათავისუფლების საბჭოს მოქმედებისათვის, საკუთარი შეხედულებებისამებრ, რამაც პოტენციურად შესაძლოა ზიანი მიაყენოს პატიმრების თანასწორობის პრინციპს.

2013 წლის 1 იანვრამდე, სამართალდამრღვევს, მის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს, ახლო ნათესავს ან სასჯელსრულების დაწესებულების ხელმძღვანელს არ შეეძლო მიემართა ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლების მოთხოვნით ან სასჯელის უფრო ნაკლებად მძიმე სასჯელით შეცვლისათვის. 2012 წლის ივნისში პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად²⁶, ციხის ადმინისტრაცია გახდა ვალდებული უზრუნველყოს ვადამდე პირობით გათავისუფლების კომისიისთვის განაცხადების განსახილველად წარდგენა. ეს ცვლილება პასუხობს ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ CM Rec(2003)22 სტანდარტს, იმის გათვალისწინებით, რომ „შესაბამისმა უფლებამოსილმა პირებმა უნდა მოახდინონ საჭირო პროცედურების ინიცირება, რათა აამოქმედონ გადაწყვეტილება პირობით გათავისუფ-

ფლებზე, რომელიც უნდა იქნას მიღებული დაუყოვნებლივ, მას შემდეგ რაც პატიმარი მოიხდის მინიმუმ ვადას²⁷.

პირობითი გათავისუფლების გამოყენება სამუდამო პატიმრობის შემთხვევაში, აღიარებულია სხვადასხვა ევროპული ინსტრუმენტით. განსაკუთრებით, ხანგრძლივი ვადის მქონე პატიმრებთან მოპყრობის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით რეკომენდაცია გაენია, რომ მოხდეს ყველა მსგავსი პატიმრის შემთხვევის განხილვა ვადამდე გათავისუფლებისათვის,²⁸ ამასთან, იგივე პრინციპი უნდა იყოს გამოყენებული იმ პირთა მიმართ, ვისაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, ან ვისაც ხანგრძლივი ვადა აქვს მისჯილი.²⁹ უფრო მეტიც, რეკომენდირებულია, განსაკუთრებით განიხილოს ის პატიმრები რომლებმაც მოიხადეს 8-დან 14 წლამდე; და ამის შემდეგ აღნიშნული შემთხვევები უნდა გადაიხედოს რეგულარულად.³⁰ ვადამდე პირობით გათავისუფლების უფლების უზრუნველყოფა ხანგრძლივი ვადის მქონე ან სამუდამო პატიმრობა მისჯილი პატიმრებისათვის, გაძლიერდა და მხარდაჭერილია ევროპის საბჭოს მიერ CM Rec(2003)23 რეკომენდაციით, რომელიც შეეხება ციხის ადმინისტრაციის მიერ სამუდამო პატიმრობის და სხვა ხანგრძლივი ვადით პატიმრობის მენეჯმენტს.³¹

წამების აკრძალვის ევროპულმა კომიტეტმა ასევე ნათლად აღნიშნა, რომ სამუდამოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებს უნდა ჰქონდეს გათავისუფლების პერსპექტივა, რომლისთვისაც ისინი უნდა მოემზადონ გონივრული შესაბამისი აქტივობებით ციხეში.³² აღნიშნული თემა ნახსენებია ევროპის საბჭოს CM Rec(2003)22 რეკომენდაციაში, რომლის მიხედვითაც, „იმისათვის რომ, შემცირდეს პატიმრობის მავნე ეფექტი და ნახალისდეს პატიმრების რესოციალიზაცია, იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს გარეთ არსებული საზოგადოების უსაფრთხოებას, კანონმა უნდა დაანესოს პირობითი გათავისუფლება ყველა სასჯელმისჯილი პატიმრისათვის, სამუდამო პატიმრობაში მყოფი პატიმრების ჩათვლით“³³.

სამუდამო პატიმრობა მისჯილ პატიმრებსაც არ უნდა წაერთვას იმედი, რომ გათავისუფლდებიან. პირველ რიგში, არავის შეუძლია გონივრულად დაასაბუთოს, რომ ყველა

სამუდამო პატიმრობაში მყოფი მუდმივად საშიში დარჩება საზოგადოებისათვის. მეორეც, პატიმრობა, იმ პირისა, რომელსაც არ აქვს იმედი რომ გათავისუფლდება, ქმნისმენეჯმენტის სერიოზულ პრობლემებს თანამშრომლობის ნახალისების და ზიანის მომტანი საქციელის მიართვის, პერსონალური განვითარების პროგრამების მინოდების, სასჯელის გეგმისა და უსაფრთხოების ორგანიზების კუთხით³⁴ ის ქვეყნები, რომლებშიც კანონმდებლობა უზრუნველყოფს სამუდამო პატიმრობას, უნდა ქმნიდნენ შესაძლებლობებს ამ სასჯელის გადახედვისათვის, წლების შემდეგ და რეგულარული ინტერვალებით, იმისათვის რომ დაადგინონ, სამუდამო პატიმრობა მისჯილი პირი შეძლებს თუ არა მოიხადოს დარჩენილი სასჯელი საზოგადოებაში, რა პირობებითა და ზედამხედველობის მექანიზმებით.³⁵

მოქმედი ქართული კანონმდებლობა არ შეესაბამება ევროპის საბჭოს რეზოლუციას CM Resolution (76)2 და განსაზღვრავს სასჯელის მოხდის 25 წლიან პერიოდს პატიმრობაში, სამუდამოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრებისთვის, როგორც საფუძველს მისი განაცხადის შეწყალებისათვის წარსადგენად³⁶ ან ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოსათვის განსახილველად.³⁷ ამასთან, კანონმდებლობა უზრუნველყოფს სამუდამოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრებისთვის შესაძლებლობას, რომ „შეცვალოს“ სამუდამო პატიმრობა საზოგადოების სანქციაზე ან თავისუფლების შეზღუდვაზე ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულებაში? (half-way house). ასეთი გადახედვა ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოს კომპეტენციაა და შესაძლებელია მხოლოდ სასჯელის 20 წლის მოხდის შემდეგ.³⁸ თუმცა, კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს მოდიფიცირებული სანქციების ხანგრძლივობის განსაზღვრად აუცილებელ კრიტერიუმებს იმ პატიმრებისათვის, რომლებსაც სამუდამო პატიმრობა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეეცვალათ. აქ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ძირითადი ნორმები, რომლებიც მოცემულია 44-ე და 47 მუხლებში, კერძოდ, 44-ე მუხლი ადგენს, რომ საზოგადოებრივი სანქცია უნდა გულისხმობდეს შრომას ანაზღაურების გა-

რეშე. პრობაციის ბიურომ შესაძლოა განსაზღვროს საზოგადოებრივი სანქციის ტიპი. საზოგადოებრივი სანქცია შესაძლოა დაწესდეს 40 დან 800 საათამდე. ნამუშევარი საათები არ უნდა იყოს 8 საათზე მეტი. იმ შემთხვევაში თუ სასჯელი გადაიქცევა საზოგადოებრივ სანქციად, ის შეიძლება მინიჭებულ იქნას უფრო დიდი ხნით. ასეთ შემთხვევებში ვადა განისაზღვრება ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოს მიერ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, თავისუფლების შეზღუდვა უნდა ნიშნავდეს იმ სამართალდამრღვევის, რომელმაც მიაღწია 14 წელს სასჯელის შეფარდების მომენტისთვის საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე, ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულებებში განთავსებას. თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს ერთიდან 5 წლამდე. პატიმრობის თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შემთხვევაში, ის შეიძლება დაწესდეს არაუმეტეს ერთი წლისა.

ვადამდე პირობით გათავისუფლების მოქმედი სისტემის გადახედვას მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ეს წესები არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. მიმდინარე კანონმდებლობაში შემდეგი ცვლილებების შეტანა, სისტემას გახდის უფრო სამართლიანს და ეფექტურს. წარმოგიდგინებ მათგან ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკისთვის გასატარებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებების ჩამონათვალს:

შემოსაღებია რისკის შეფასებისა და ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვა პატიმრებისათვის – რისკის შეფასებისა და ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვა ამჟამად მოქმედებს მხოლოდ არასრულწლოვნებისათვის. ყველა პატიმრისათვის სამართლიანი და თანასწორი ვადამდე პირობით გათავისუფლების უზრუნველყოფა საჭიროებს ზუსტი სურათის არსებობას პატიმრის პიროვნებაზე, ქცევასა და იმ რისკებზე რომლის მატარებელიც არის თითოეული პატიმარი. აღნიშნული შეიძლება მიღწეულ იქნას ყველა პატიმრისათვის ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვის ჩამოყალიბებით, რაც რთული და მრავალმხრივი შეფასების მექანიზმია.

პირობითი გათავისუფლების პირობები – პირობით გათავისუფლებული პატიმრების მიერ, რომ ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის

რისკის შესამცირებლად შესაძლებელი უნდა გახდეს – შესაბამისი კანონმდებლობის ცვლილებების გზით – მათთვის ისეთი ინდივიდუალური პირობების დაწესება, როგორცა მაგალითად: (1) კომპენსაციის გადახდა ან მსხვერპლისათვის ზიანის ანაზღაურება; (2) ნარკოტიკების ან ალკოჰოლის მოხმარების წინააღმდეგ მკურნალობის კურსის გავლა (ან იმის წინააღმდეგ, რაც გახდა დანაშაულის ჩადენის მიზეზი); (3) მუშაობა ან მონაწილეობის მიღება სხვა დადებითად შეფასებულ აქტივობაში, მაგალითად სასწავლო ან პროფესიულ ტრენინგში; (4) პიროვნული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა; (5) ზოგიერთ ადგილას ცხოვრების, ვიზიტის აკრძალვა.

ციხეების დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობა – პირობითი გათავისუფლებისათვის მომზადება უნდა იყოს ორგანიზებული ციხეში მომუშავე ყველა შესაბამისი მუშაკის ახლო თანამშრომლობით გათავისუფლების შემდგომ ზედამხედველობაში ჩართულ პირებთან და უნდა დასრულდეს მინიმალურ ან ფიქსირებულ პერიოდზე ადრე.

დამატებითი დოკუმენტების მომზადება ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოსთვის – დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოსთვის განსახილველად, დამატებით უნდა შეიცავდეს ბოლო პერიოდის ანგარიშს პატიმრის ფსიქოსოციალური მდგომარეობის შესახებ.

ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოსთვის განცხადების წარდგენის პროცესში პატიმრების ჩართულობა – ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოსთვის საქმის წარდგენამდე, ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მოცემული პატიმარი ან მისი ადვოკატი, ფაილების ასლებით და შესთავაზოს გონივრული დრო რომ მოამზადოს მისი მოსაზრება, რომელიც მიმდებარეული იქნება და ციხის მიერ გაიგზავნება საქმესთან ერთად ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოსთვის.

ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოს წევრობა – (1) საბჭოს შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ფსიქოლოგები რაც უზრუნველყოფს ექსპერტულ ფსიქოლოგიურ მოსაზრებას საქმის განხილვისას და ზეპირ მოსმენაზე. (2) შრომის, ჯანმრთე-

ლობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენელი უნდა შეუერთდეს საბჭოს, რათა თავიდან იქნას აცილებული პირობით გათავისუფლებაზე უარი, ან მისი გადადება იმ მიზეზით, რომ ვერ ხდება სამუშაოთი და/ან მუდმივი საცხოვრებელი უზრუნველყოფა; ასეთ შემთხვევაში პირი უნდა უზრუნველყონ დროებითი საცხოვრებელით. (3) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი უნდა ჩამოშორდეს საბჭოს. ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოს წევრების შესარჩევად, კანონმდებლობაში უნდა გაიწეროს ნათელი კრიტერიუმები (მაგ.: როგორცაა პროფესია, გამოცდილება სფეროში, რეპუტაცია და ა.შ.)

საქართველოსპრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ მუდმივი კომისია – პარლამენტის წევრები უნდა გამოირიცხონ კომისიიდან, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკური წნეხი ვადამდე პირობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.

ცვლილებები კანონმდებლობაში უნდა ასახავდეს ვადამდე პირობით გათავისუფლების საბჭოს გადაწყვეტილების აპელაციის შესაძლებლობას კომისიაში, ხოლო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას – კი სასამართლოში, ადმინისტრაციული წესების მიხედვით.

ქართული კანონმდებლობით ვადამდე პირობით გათავისუფლების დარეგულირება ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, ამ უკანასკნელს, ევროპის საბჭოს CoE CM Rec(2003)22 რეკომენდაციასთან თანხვედრაში მოიყვანს.

იმის მიუხედავად, რომ ვადამდე პირობით გათავისუფლება გადამწყვეტ როლს ასრულებს პატიმრების ვადამდე გათავისუფლებაში, კითხვა „დამატებით რა ალტერნატიული

მექანიზმები (გარდა შეწყალებისა და ამნისტიისა) შეიძლება იქნას გამოყენებული, რომ უფრო მეტად ეფექტური ვადამდე პირობით გათავისუფლების სისტემის ჩამოყალიბების სტიმულაცია მოვახდინოთ“ მნიშვნელოვანი ელემენტია შემდგომი მსჯელობისათვის.

ვადამდე გათავისუფლების სისტემის ალტერნატივას წარმოადგენს ციხეში ყოფნის დროის შემცირების ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც ცნობილია ანგლო-ამერიკული სიტყვით „კარგი დრო“. ამ მიდგომით, ციხეში გატარებული დროის შემცირება გარანტირებულია იმ პატიმრისათვის, რომელიც მუშაობს, ან ზოგიერთ შემთხვევაში, უბრალოდ კარგად იქცევა. საბერძნეთში, ერთი ნამუშევარი დღე ითვლება 1.5 პატიმრობის დღედ, რაც ამცირებს პატიმრობას ერთი მესამედით. საფრანგეთშიც, ასევე შორს მწვდომი შემცირებელია კარგი საქციელისათვის: შვიდ დღემდე თვეში ან სამ თვემდე წელიწადში.³⁹

ქართული კანონმდებლობა არ სცნობს მსგავს მექანიზმებს პატიმრობის ვადის შემცირებისათვის. ერთი მხრივ, საბერძნეთში არსებული პრაქტიკის შემოღება, ძირეული რეფორმის კონტექსტში, შეასრულებს მნიშვნელოვან როლს პატიმრების რეაბილიტაციაში, ციხის გადატვირთულობის შემცირებაში და გახდება ნამახალისებელი პატიმრებისათვის ვადამდე გათავისუფლების საკითხში. მეორე მხრივ, ვადამდე გათავისუფლების ჩამოყალიბება კარგი საქციელისათვის გახსნის შესაძლებლობებს, იმ პატიმრებისათვისაც ვინ მაღალი რისკის მატარებელია საზოგადოებისათვის. შესაბამისად, ეს სისტემა შესაძლოა იყოს გონივრული და ეფექტური თუ ის არ გამოიყენება ყველა შემთხვევაში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის გამოიყენება კომპლექსურად, ინდივიდუალური სასჯელის გეგმისა და ყველა პატიმრის რისკის შეფასების შედეგებთან ერთად.

¹ R. Walmsley, World Prison Population List, 9th Edition, at http://prisonstudies.org/images/news_events/wpp19.pdf.

² http://prisonstudies.org/info/worldbrief/wpb_stats.php?area=all&category=wb_poprate

³ სამხრეთ კავკასიაში სისხლის სამართლის რეფორმის საერთაშორისო ოფისის მიერ მოწოდებული საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაცია.

- ⁴ პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების შესახებ რეკომენდაციის Rec(2003)22 განმარტებითი მემორანდუმი.
- ⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(99)22 სასჯელალსრულების დაწესებულებების გადავსებულობისა და მათი მოზინადრეების მკვეთრი ზრდის შესახებ, 24-ე მუხლი.
- ⁶ D. Van Zyl Smit and S. Snacken “ევროპული სასჯელალსრულების სამართლის პრინციპები და პოლიტიკა – სასჯელი და ადამიანის უფლებები”, Oxford University Press Inc., New York, 2009, გვ. 324.
- ⁷ CPT-ს უკრაინაში ვიზიტი 2006 [CPT/Inf (2007) 22], პარაგრაფი 94.
- ⁸ *Leger v France*, Application #19324/02, 2006 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 70.
- ⁹ 16-24 მუხლები, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22.
- ¹⁰ H. Tubex (with P. Tournier) „ნევრ სახელმწიფოებში პირობით ვადამდე განთავისუფლების კვლევა: ძირითადი კითხვარის ანალიზი“ (PC-CP (2000) 24 REV 4), სტრაზბურგი, 17 თებერვალი, 2003, <http://prison.eu.org/spip.php?article900>.
- ¹¹ ბრძანება #585 (17.09.2009); მოგვიანებით შეიცვალა ახალი ბრძანებით #185 (27.12.2010) პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს შესახებ.
- ¹² 3(2) მუხლი, სასჯელალსრულების და იურიდიული დახმარების მინისტრის ბრძანება #185 პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის შესახებ.
- ¹³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (73-ე მუხლის მესამე და მესამე პრიმა ნაწილი), ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს მოუხდელი სასჯელი შეუცვალოს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით (ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსება?). საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შემთხვევაში საბჭო ადგენს სამუშაო დღეების რაოდენობას. თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში ერთი დღე უდრის სასჯელალსრულების დაწესებულებაში გასატარებელ ერთ დღეს.
- ¹⁴ საქართველოს სასჯელალსრულების და იურიდიული დახმარების მინისტრის #151 (28.10.2010) ბრძანების 13-17 მუხლები.
- ¹⁵ *Ibid*, მუხლი 12.
- ¹⁶ საქართველოს სასჯელალსრულების და იურიდიული დახმარების მინისტრის #9 ბრძანება (18.01.2012) არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ.
- ¹⁷ მუხლი 12.
- ¹⁸ მუხლი 8, 12, 37 და 39.
- ¹⁹ მუხლი 19
- ²⁰ ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილი).
- ²¹ მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მესამე ნაწილი).
- ²² განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მესამე ნაწილი).

- ²³ მუხლი 98(1), საქართველოს სსკ, მუხლი 40 (2), საქართველოს პატიმრობის კოდექსი.
- ²⁴ მუხლი 72(4), საქართველოს სსკ, მუხლი 40 (3), საქართველოს პატიმრობის კოდექსი.
- ²⁵ *Ibid*, მუხლი 42(6).
- ²⁶ ძალაში შევიდა 2013 წლის პირველ იანვარს.
- ²⁷ მუხლი 17.
- ²⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (76)2 გრძელვადიანი პატიმრების მოპყრობის შესახებ, მუხლი 10.
- ²⁹ *Ibid*, მუხლი 11.
- ³⁰ *Ibid*, მუხლი 12.
- ³¹ მუხლი 34.
- ³² CPT მე-11 ზოგადი მოხსენება [CPT/Inf (2001) 16], პარაგრაფი 33.
- ³³ მუხლი 4(ა).
- ³⁴ A. Coyle, ციხის მართვა ადამიანის უფლებების ქრილში, მეორე გამოცემა, ციხეების კვლევის საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2009, გვ. 152.
- ³⁵ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ რეკომენდაციის Rec(2003)22 განმარტებითი მემორანდუმი, მეოთხე პარაგრაფი.
- ³⁶ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #277 (19.07.2004) შეწყალების წესების შესახებ, მუხლი 3(ა).
- ³⁷ საქართველოს სსკ, მუხლი 72(7); საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლის 40(6).
- ³⁸ საქართველოს სსკ, მუხლი 73(7).
- ³⁹ ციხიდან გათავისუფლება – ევროპული პოლიტიკა და პრაქტიკა, D. van Zyl Smit and F. Dunkel-ის რედაქტორობით/ თუ რედაქციით?, Willan Publishing, 2010, გვ. 421-422.

PAROLE, THE GEORGIAN WAY

The early release of sentenced prisoners is of great significance, not only to the prisoners concerned, but also for what it tells us about how society deals with those who have lost their liberty and – except in jurisdictions with a mandatory release system – are dependent on the decision of special authorities like parole boards to regain it. Although, many countries worldwide are facing a prison overcrowding problem¹ and are trying to find ways to solve it, the problem still remains. A smoothly operating early release system seems to be an important instrument – way to combat overcrowding. Timely preparation for early release plays a key role in establishing fair and humane treatment to those persons, who have been considered ready for returning to the society and having minimal risk of recommitting the crime; It also serves as an important mechanism for properly managed prison system.

It is important to clarify what is meant by “early release” and how it has been conceptualized at European level as well as in Georgia. Early release may take several forms, depending on the authority empowered to release a prisoner. Accordingly, early conditional release – also known as parole – provided either by a court or an administrative body (a so-called parole board), and pardoning granted by the head of the state and release on the basis of the law on amnesty adopted by the Parliament, are most widely spread forms of early release from prison in Georgia and other countries of Europe.

The scope of this article is to review the existing system of conditional release in Georgia with an emphasis on the question whether it is compatible with the standards set in the

Recommendation (2003)22 on Conditional Release (Parole) by the Committee of Ministers of the Council of Europe (hereafter CoE CM Rec(2003)22).

By the end of 2012, Georgia took a leading position in Europe (third after Russian Federation and Belarus) with its prison population rate (427 prisoners per 100,000 inhabitants) and eleventh place in the world.² Thanks to the activities of the parole boards and many pardons granted by President during November 2012 – February 2013, and the significant number of released persons based on the Law of Amnesty, the number of prisoners have decreased significantly – from 21,425 (October 2012) to 10,999 (February 2013).³

Almost all European countries face serious problems in reducing crime and re-offending rates, as well as prison overcrowding and prison population inflation.⁴ The work conducted by the Council of Europe on these issues has clearly demonstrated that “conditional release is to be regarded as one of the most effective and constructive measures, which not only reduces the length of imprisonment, but also contributes substantially to a planned return of the offender to the community”.⁵

The idea of actively managing the offender in the community is emphasized in the CoE Rec(2003)22, which makes extensive provision for individual special conditions to be added, if necessary, to early release, in addition to the standard condition that the offender should commit no further offences.⁶ The Preamble to the Recommendation makes a strong case for conditional release, considering it to be “one of the most effective and constructive means of preventing reoffending and promoting resettlement”.

ment, providing the prisoner with planned, assisted and supervised reintegration into the community". This view has been explicitly supported by the CPT in its Report for the visit to Ukraine.⁷ The same approach was reflected in *Léger v France* by the ECtHR, which regarded conditional release as a legitimate policy for the progressive social reintegration of persons sentenced to imprisonment, even for life sentenced prisoners.⁸

CoE CM Rec(2003)22 recognizes two systems of early conditional release: mandatory and discretionary conditional release.⁹ In the European practice both models are present, as well as hybrid model that would grant automatic conditional release in some cases, but make it discretionary in others.¹⁰ Georgia has established a discretionary conditional release system, which relates to the definition of a minimum period that prisoners have to serve to become eligible for conditional release.

During last seven years, the parole system in Georgia has been modified several times. Particularly before 2006, the system empowered prison governors to present an application for conditional release to the court. The court reviewed the case and took a decision. In 2006, a Penitentiary Department Council (hereafter: the Council) has been established on a basis of the Georgian Law on Imprisonment. Since then the prison administration had to present applications for early conditional release to the Council. The Council reviewed them and decided which applications should be presented to the court for consideration and final decision. Accordingly, the Council was charged with a so-called "filter" function. In September 2009, a Standing Commission on Parole (hereafter: the Commission), established by the Order of the Minister of Corrections and Legal Assistance of Georgia, replaced the Council¹¹ This led to an important change in the early release procedure as, the decision making process was transferred from the court to the Commission. The role left to the court is to review the appeal to a decision of the Commission. However, even if the court could agree with the appeal, it can only return the case for revision to the Commission. Therefore, in any case, the final decision lay with the Commission.

The appointment of the members of the Commission is complicated and problematic, and not in line with practice elsewhere in Europe, since it includes politicians. The legislation states that two members of the Commission come from Parliament: one from the Majority and another from non-members of the Majority.¹² Politicians' involvement in the parole decision process is not practiced in other member countries of the Council of Europe, since the issue is not considered political, but rather practical and based on details related to the individual prisoner.

Although, law on amnesty is a political decision taken by the Parliament, due to its exceptional character, it can be defined as intervention of the legislative body into the competences of the court. Moreover, participation of politicians in the parole system is rather far going course of practice.

